ახალი რიტორიკა – საჯარო კამათის ტექნოლოგიები

წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მხარდაჭერით

თბილისი, 2018
გამომცემლობა „ბურისტების სამყარო“

წიგნი „ახალი რიტორიკა – საჯარო კამათის ტექნოლოგიები“ მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამოსამართლო მჭევრმეტყველების“ ფარგლებში.

ავტორები: პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი,
ი. გაბისონია
ივ. ჯაგოდნიშვილი

რედაქტორები: პროფ. ჯ. გახოკიძე
ჯ. გაბელია
ქ. ქოქრაშვილი

ტექნიკური შემსრულებელი: ა. ფიფია

© თ.ჯაგოდნიშვილი, ი.გაბისონია, ივ.ჯაგოდნიშვილი, 2018
© გამომცემლობა “იურისტების სამყარო”, 2018

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“
თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171
ტელ:. (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34
ვებ-გვერდი: www.law.ge
ელ-ფოსტა: Info@law.ge
www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9585-0-2

წინასიტყვაობა

რიტორიკა ცოდნის ძირძველი სფეროს აღმნიშვნელი ტერმინია. იგი მეტყველებით, სიტყვით მიზნის მიღწევის სტრატეგიების, ტაქტიკების, მოდელების, ტექნოლოგიების ცოდნის ვებერთელა სფეროა. რიტორიკის თეორია და პრაქტიკა ჩვენგან ათასწლეულებით დაშორებული ეპოქების გზავნილია, რომელიც არა მხოლოდ იმას იუწყება, თუ როგორ აღწევდნენ ძველად პროფესიონალები, საჯარო მოხელეები მიზანს მეტყველებით, სიტყვით, არამედ ამ მხრივ ისეთ ცოდნა-გამოცდილებასაც გვთავაზობენ, რომელსაც ყავლი არც ჩვენს ეპოქაში გასვლია და ჩვენი თანამედროვე ენობრივი პიროვნების პროფესიული დაოსტატებისათვისაც შეუცვლელია.

რიტორიკა და მისი დიდი ისტორია იმასაც ცხადყოფს, თუ დრო და დრო როგორ გულგრილობას იჩენდნენ ადამიანები რიტორიკის მიერ შემოთავაზებული ცოდნისადმი; გვაუწყებს, რომ ხან მოთხოვნადი იყო, ხანაც უარყოფილი და მივიწყებული... მიზეზი განათლებისადმი საზოგადოებათა დამოკიდებულება იყო, უფრო ზუსტად, განათლების რეფორმის არსის გააზრება.

განათლების რეფორმას საზოგადოება ყოველთვის ისე აღიქვამდა და აღიქვამს, როგორც „დაავადებული“, ყავლგასული განათლების სისტემაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის მცდელობას. არადა, განათლება თავისი ბუნებით, არსებობით უწყვეტი რეფორმის მდგომარეობაშია, იგი ისტორიული რეალობაა. მხედველობაში მისაღები ისიც არის, რომ „ცოდნის სტრუქტურები“ არასოდეს ემთხვევა „განათლების

სტრუქტურებს, რადგან საზოგადოება არასოდეს ასწავლის ყველაფერს, რაც იცის, უფრო ისეთი მოძველებული ცოდნის სწავლას აგრძელებს, რაც უარყოფილია ხოლმე ცოცხალი მეცნიერების მიერ (ჟერარ ჟანეტი).

ტრადიციული რიტორიკის ისტორია სულ ბოლოს, ახალ ეპოქაში, XIX საუკუნის დასაწყისში შეწყდა. მიზეზი რომანტიზმის მოვლინება და ლიტერატურის ისტორიული გააზრების დამკვიდრება გახდა. თუმცა ისტორიის შეწყვეტა ისტორიის დასასრული მაინც არ ყოფილა, რადგან ბუნებაში უკვალოდ არაფერი ქრება, რაღაცნაირ კვალს ყოველთვის ტოვებს. გამონაკლისი, ცხადია, არც რიტორიკაა. იგი არ გამქრალა, მხოლოდ შეიცვალა...

XIX საუკუნემდე რიტორიკა ღიაობით (ექსპლიციტურობით) გამოირჩეოდა. მოსწავლეებს ასწავლიდნენ ტროპებს, შემდეგ წერის უნარებს. მხატვრული ტექსტები მხოლოდ შესწავლის საგნებს კი არ წამოადგენდნენ, არამედ მიბაძვის ნიმუშებსაც. ამასთან ერთად, რიტორიკა მეტყველების (წერითისაც და ზეპირისაც) სტილის ხვეწის სწავლებაზედაც იყო ორიენტირებული. ერთი სიტყვით, რიტორიკა, როგორც ცოდნის დარგი, სამი ტრადიციული ნაწილისაგან შედეგბოდა:

პირველი ნაწილი – investition – იდეების, არგუმენტების ძიების ტექნოლოგიებს მოიცავდა, მეორე – dispozitio – საჯარო სიტყვის კომპოზიციის აგების პრობლემების სწავლებით იყო შემოფარგლული, მესამე – elocutio – ტექსტისათვის სიტყვების შერჩევა-განლაგების ტექნოლოგიებზე იყო ორიენტირებული.

XIX საუკუნის დასაწყისში შეიცვალა რიტორიკის იდე-

თლოგიური სტატუსი. ოფიციალური ლექსიკონებიდან გაქრა ტერმინი „რიტორიკა“. სასაუბრო, საურთიერთო მეტყველებაში რიტორიკამ დამამცირებელი კონოტაცია შეიძინა – ცარიელია, მაღალფარდოვანი ყბედობისა და პედანტობის სინონიმი გახდა.

შეიცვალა რიტორიკის სემიოტიკური სტატუსიც. თუ ადრე მოსწავლეები მხატვრული ტექსტების შესწავლითა და მათი ავტორების მიბაძვით სწავლობდნენ წერას, XIX საუკუნეში მხოლოდ ტექსტების შესწავლა ევალებოდათ, მათი კლასიკოსი ავტორების მიბძვის მეთოდოლოგია კი გაქრა. ტექსტების შესწავლაც გავიდა რიტორიკის სფეროდან და ლიტერატურის შესახებ მეცნიერების სფეროში მოექცა.

რიტორიკას, ცხადია, შეეცვალა სტატუსიც. თუ ანტიკური რიტორიკა იდეების არგუმენტების ძიების რიტორიკა იყო, ხოლო კლასიკური რიტორიკა – სიტყვათა შერჩევა-განლაგების რიტორიკას წარმოადგენდა, თანამედროვე (ახალი) რიტორიკა კომპოზიციის რიტორიკად წარმოსდგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალმა ეპოქამ – XIX საუკუნიდან მოყოლებული – ძველი რიტორიკიდან ტექსტის კომპოზიციის თეორია და ტექნოლოგიები იმემკვიდრა და ამით საფუძველი ჩაუყარა **ახალ რიტორიკას.** ამ ახალი რიტორიკის მესაძირკვლედ ითვლება პასკალი. მის მიხედვით ახალი რიტორიკის ფილოსოფია იუწყება: **„ნუ მეტყვიან, რომ ახალი არაფერი მითქვამს. სიახლეს მასალის განლაგება წარმოადგენს“.**

სწორედ ამ გამაოგნებლად უცნაური მიგნებით ეხმიანება ამჟამინდელი რიტორიკა ჩვენს თანამედროვეობას, რომ-

ლის ყველაზე ძვირადღირებული კაპიტალი ინფორმაციაა და აქედან გამომდინარე კომუნიკაცია, როგორც ამ ინფორმაციის ადრესატამდე მიტანისა და მიზნობრივი ზემოქმედების ტექნოლოგია. ფაქტი, მოვლენა, ხდომილება კი ინფორმაციად მხოლოდ მაშინ იქცევა, როდესაც ტექსტად ჩამოიქმნება; ხოლო ტექსტი სიტყვების უბრალო თავმოყრა კი არ არის, არამედ სიტყვების, ფრაზების, გამოთქმების მიზნობრივი დალაგება-განლაგება. ახალი რიტორიკის შინააარსს, პრობლემურ არეს სწორედ ამ უაქტუალურესი ამოცანის (ლექსიკა-ფარზეოლოგიის მიგნება, შერჩევა, მომარგვება) რეალიზების ტექნოლოგიები ქმნიან.

აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ რიტორიკის მემკვდირე ახალი რიტორიკა ენობრივი პიროვნების (ვინც ენას, მეტყველების ტექნოლოგიების, ცოდნას პროფესიულ საქმიანობაში გამოიყენებს) პროფესიული საქმიანობის წარმატების საფუძვლების ცოდნის მომცემი დარგია, მისი მნიშვნელობა და აქტუალობაც ამ დიდი ამოცანებით არის განსზღვრული.

თავი I. რიტორიკა: არსი, სპეციფიკა, დანიშნულება

რიტორიკა ბერძნული სიტყვაა (rhētorikē). იგი ცოდნის დარგია, მჭევრმეტყველების, ორატორული ხელოვნების არსს იკვლევს და ასწავლის, მეტყველებით მიზნის მიღწევის თეორიას და პრაქტიკას წარმოგვიდგენს. ეს კი არცთუ მარტივი მეცნიერებაა. ამის ერთი გამოხატულება ისიცაა, რომ რიტორიკას, ტრადიციულად, თეატრალური ხელოვნებისა და სასცენო მეტყველების ოსტატობის საფუძველზე ასწავლიდნენ: განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ხმის სიძლიერეს, მოძრაობის პლასტიკას, ჟესტების პათოსს, გარდასახვის უნარს... ამიტომაც ითვლებოდა (და ითვლება) რიტორიკა ადამიანის შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ყველაზე ამკარა გამოხატულებად.

რიტორიკის მეცნიერების მესაძირკვლე, მისი უპირველესი თეორეტიკოსი, ვის ნააზრევსაც დღესაც არ დაუკარგავს თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა, – ძველი ბერძენი მოაზროვნე არისტოტელეა. იგი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „რიტორიკა“ ამბობდა: მეტყველება და განსაკუთრებით „საჯარო სიტყვა ფერწერას ჰგავს, სადაც შუქ-ჩრდილებია გამოყენებული. რაც უფრო მეტი ხალხია დახატული ტილოზე, მით უფრო შორიდან უნდა შეხედო მას“.

მეტყველებას, განსაკუთრებით შთამბეჭდავად, შთამაგონებლად მეტყველებას ანუ მჭევრად მეტყველებას ჭკუისა და კულტურის საფუძვლად მოიაზრებენ. ასეთი მეტყველება ანუ მჭევრმეტყველება ორატორული ხელოვნების სახეობაა, დარგია, ორატორული ხელოვნება კი რიტორიკის ნაწილია.

არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობენ, რომ მეტყველების გარეშე არ იქნებოდა ცნობილი არც ბოროტება, არც ჭეშმარიტება, არც სიცრუე, არც კმაყოფილება, რადგან ამ ყველაფრის შეცნობის, გააზრების, გაცნობიერების შესაძლებლობას სწორედ მეტყველება იძლევა და ეს ჭეშმარიტება კაცობრიული ცივილიზაციის ისეთ ადრინდელ ძეგლშია დაფიქსირებული, როგორიცაა „უპანიშადები“.

ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ვერბალური (მეტყველებითი) ინფორმაცია უფრო მეტი შთაგონებით გამოირჩევა, ვიდრე ვიზუალური (მხედველობითი). ძალიან ბევრი, გამოუცდელი ადამიანი უშვებს ხელიდან (იკავებს თავს) მასობრივი აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობას მხოლოდ იმის გამო, რომ არა აქვს საამისო უნარ-ჩვევები და არა სწამს საკუთარი თავისა, გონებაში შთაბეჭდილი აქვს მცდარი აზრი, რომ ორატორად უნდა დაიბადო. რიტორიკა და მისი ისტორია კი უამრავ მაგალითს იცნობს, როდესაც საქვეყნოდ ცნობილი ორატორები თავიანთი კარიერის დასაწყისში დიდ სირთულეებს აწყდებოდნენ საჯარო გამოსვლებში, შემდეგ კი გადაულახავთ ისინი და საუკეთო მჭევრმეტყველნი – ორატორნი გამხდარან. შენიშნულია, რომ არაფერს მოაქვს ისეთი კმაყოფილება, როგორიც რიტორიკას. რიტორიკის, ორატორული ხელოვნების დაუფლება პიროვნულობის გამომზეურების პირდაპირი გზაა.

ორატორობის უნარ-ჩვევების შეძენა მხოლოდ აუდიტორიის წინაშეა შესაძლებელი. ამგვარ პრაქტიკას ვერანაირი წიგნის კითხვა ვერ შეცვლის. ამიტომ გამოდით

სიტყვით ყოველთვის, როცა კი შესაძლებელი იქნება ადამიანების ყურადღების მიქცევა [1].

ამტკიცებენ, რომ არსებობს „ჰო“-ს თქმის 50 და „არა“-ს თქმის (უარის) 500 ხერხი. ამ სიტყვათა დასაწერად კი მხოლოდ ერთი ხერხი არსებობსო (ბერნარდ შოუ).

მეტყველება უდიდესი ძალაა. იგი ადრესატს რაიმეში არწმუნებს, რაღაცაზე ან რაღაცისაკენ მიაქცევს მის ყურადღებას, რაღაც ქმედების ჩადენას აიძულებს.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ რიტორიკის წყალობით თთხი საინტერესო კეთილისმყოფელობის მიღწევა არის შესაძლებელი. ეს თთხი კეთილისმყოფელობა (სიკეთის მოტანა) ძველი მოაზროვნის. ელიუს არისტიდეს აზრით, არის:

- აზრიანობა;
- ზომიერება;
- მამაცობა;
- სამართლიანობა.

• ლაპარაკის უნარი ისე თქმას ნიშნავს, რომ სიტყვაში მსმენელებმა მოლაპარაკის ნებელობა, მისი კულტურობა, პიროვნულობა იგრძნონ.

• ენაში უფრო გასაგები არის არა თავად სიტყვა, არამედ ტონი, მახვილი, მოდულაცია, ტემპი, რითაც წარმოითქმება ზოგიერთი სიტყვა, – მოკლედ რომ ვთქვათ, მუსიკა, რომელიც იმალება სიტყვაში, ვნებიანობა, რომელიც იმალება მუსიკაში, პიროვნულობა, რომელიც იმალება ვნებაში, ანუ ყველაფერი ის, რაც არ შეიძლება დაიწეროს (ფრიდრიხ ნიცშე).

• **ორატორული ხელოვნების არსი**

ორატორული ხელოვნება, სხვაგვარად, მჭევრმეტყველე-

ბა, არის იმგვარად ლაპარაკის ხელოვნება, რომ ისინი, ვისაც მივმართავთ, არა მხოლოდ დაუძაბავად გვისმენდნენ, არამედ სიამოვნებითაც, და რომ, თემით გატაცებულნი და თავმოყვარეობით ანთებულნი, უფრო ღრმად წვდომას მოინდომებდნენ (ბლუზ პასკალი).

• ისევე, როგორც ზოგჯერ შეიძლება ვერ შენიშნო ის ადამიანები, გვერდით რომ ჩაგირბენენ, შეიძლება სიტყვაც ვერ გაიგონო მისი სიჩქარის გამო“ (დემეტრიოსი).

• კარგი სიტყვა რომ სამჯერ გავიმეოროთ, ძაღლებსაც კი მობეზრდებათ (ჩინური სიბრძნე).

• ბევრის ლაპარაკი არ ნიშნავს კარგად თქმას, მაგრამ კარგად თქმა ბევრის თქმას ნიშნავს (დემოსთენე).

• მეტყველების სამი ამოცანაა: დატყვევება, დამტკიცება, დარწმუნება

• ნუ შეუტევთ მსმენელს. წარმოთქვით ფრაზა – მიეცით ადამიანებს არსში წვდომის, გაცნობიერების, ნათქვამის გათავისების, დაფიქრების საშუალება. ყველაფერი საჭირო სიდინჯით, უფაციფუცოდ უნდა კეთებოდეს.

• მჯდომარედ მოლაპარაკე ორატორების სიტყვა მნიშვნელოვანწილად იმ ღირსებებით არ არის აღსავსე, რითაც ფეხზე მდგომთა სიტყვაა. და ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ სხედან, ამით კი ასუსტებენ და ამდარებენ თავიანთი სიტყვის ძალას.

•როდესაც მოსამართლენი და ბრალმდებელნი ერთი და იგივე პირები არიან, აუცილებელია უხვი ცრემლისღვრა და ათასი საჩივრის წარმოთქმა, რათა მოჩივარნი კეთილგანწყობით იქნან მოსმენილი (დიონისე ჰალიკარნასელი).

– ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი ლი იაკოკას აზრით, თუ კარგად იცით თქვენი სიტყვით გამოსვლის საგანი, უნდა გახსოვდეთ, რომ შესაძლოა აუდიტორია აღმოჩნდეს არასაკმარისად ყურადღებიანი. ამიტომ ლაპარაკი დაიწყეთ იმის შეტყობინებით, რის თქმასაც აპირებთ. შემდეგ თქვით სწორედ ის, რაც სათქმელი გაქვთ და დასკვნაში გაიმეორეთ ის, რაც უკვე თქვით.

• საერთოდ კი უნდა უფრთხილდეთ გამეორებებს. ნებისმიერი სიტყვა (გამოსვლა) მხოლოდ ერთჯერადობაზეა გათვლილი. მეტყველება წამიერია, წარმავალი. იგი გაცისკროვნებულ, მოწმენდილ ცაზე ღრუბლების თამაშს ჩამოჰგავს.

• ეფექტური რიტორიკული ხერხია მსმენელის დაყენება სამეტყველო სიტუაციის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის სიტუაციაში.

სიტყვა (მოხსენება) არ არსებობს ყურადღების გამომაცოცხლებელი ჩანართების გარეშე. აქ შედეგის მომტანია: სიცილი, იუმორი, სატირა, გაკილვა, ირონია (ფარული დაცინვა), სარკაზმი.

ამჟამად გავრცელებული და მიღებულია რიტორიკის ასეთი განმარტება:

„რიტორიკა" – არის მეცნიერება დარწმუნების ხერხების, აუდიტორიაზე უპირატესად ენობრივი ზემოქმედების სხვადასხვაგვარი ფორმების შესახებ, რომელსაც ახდენს ამ უკანასკნელის თავისებურებათა გათვალისწინებითა და სასურველი ეფექტის მიღების მიზნით. ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირი, ასევე წერილო-

ბითი ფორმით არგუმენტების, სამტკიცებების, ალბათობების დემონსტრირებისა და სხვა ხერხების მეშვეობით ენობრივი და არაენობრივი საშუალებების გამოყენებით, გარკვეული ემოციებისა და შეგრძნებების გამოწვევის მიზნით, რომლებსაც, თავის მხრივ, შეუძლიათ განაპირობონ შეგრძნებათა და ქცევათა ახალი ან თავდაპირველი სტერეოტიპების მოდიფიცირების მართული ფორმირება [2].

ამის მიუხედავად, ისეთი მოსაზრებაც არსებობს, რომელთა მიხედვითაც რიტორიკა ვერ იქნება დარწმუნების მეცნიერება, რადგან ამით ისეთი მეცნიერებაა დაკავებული, როგორიცაა ადამიანმცოდნეობა და ამაში მას სრულიად დამოუკიდებელი ცოდნის სფერო – **არგუმენტალისტიკა** ეხმარება.

ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ **რიტორიკის საგანია** – თვითგამოხატვის ხელოვნება, რომელიც ენობრივ ფორმაში (წერილობით და ზეპირად) ხორციელდება.

ორატორული ხელოვნება საკუთარი თავის აღმოჩენის, შეცნობის და მართვის სწავლებაა, განათლებულობის, წიგნიერების დემონსტრირების ასპარეზია. ამით არის განსაზღვრული ორატორული ხელოვნების, როგორც სასწავლო დისციპლინის ამოცანები. **ეს ამოცანებია იმის სწავლა,** თუ როგორ უნდა:

1. მოიპოვოს ადამიანმა ავტორიტეტი და პოპულარობა;
2. გამოავლინოს განათლება, წიგნიერება;
3. დაამყაროს კომუნიკაცია მსმენელთან, მოახდინოს მასზე ზეგავლენა;
4. დაეუფლოს პოლემიკისა და დარწმუნების ოსტატობას;

5. დაიჭიროს თავი აუდიტორიის წინაშე;

6. მეტყველებდეს მიზნობრივად.

ამას გარდა, ისიც ისწავლოს, თუ რა პირობებს ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის სპეციფიკას; გაერკვეს ორატორული მეტყველების სტილის თავისებურებებში; შეისწავლოს ისეთი პრაქტიკული საკითხებიც, როგორებიც არის:

– საჯარო სიტყვის თემის აქტუალურობისა და მიზნის განსაზღვრა, კომპოზიციისა და გეგმის შედგენა, კამათის ხელოვნება და სხვა.

1.1. რიტორიკის თეორიული ელემენტები

• **მჭევრმეტყველების** არსი, მიზანი და ამოცანა საყოველთაოდ ცნობილით გაოცებაა.

• **რიტორიკა გასაგებად მეტყველების მეცნიერებაა.** ვისთვის ვლაპარაკობთ? სხვებისთვის, სხვების გასაგონად, მაგრამ ამ დროს ჩვენს თავზე ვფიქრობთ.

ყველაზე საუკეთესო სიტყვების (გამოსვლათა) ტექსტები შექმნილია არა მათ მიერ, ვინც ლაპარაკობდა, არამედ მსმენელების (აუდიტორიის) მიერ. სიტყვა იქ არის და იმით მყარდება, სადაც ითქმება და ვისაც მიემართება. ამას, სხვათა შორის, ცხადყოფს თუნდაც ცნობილი რუსი ადვოკატის, ფ. პლევაკოს პროფესიული პრაქტიკის ერთი ეპიზოდი:

• რაღაც დანაშაულისათვის ასამართლებდნენ სასულიერო პირს. პროკურორის „მქუხარე სიტყვის“ შემდეგ სიტყვა აიღო ფ. პლევაკომ:

– ბატონო ნაფიცო მსაჯულებო! საქმე სრულიად ნათელია. პროკურორი ყველაფერში მართალია. ყველა დანაშაული განსასჯელმა, მართლაც, ჩაიდინა და აღიარა კიდევაც. აქ რა არის საკამათო? მაგრამ თქვენს ყურადღებას აი, რას მივაქცევ:

თქვენ წინაშეა ადამიანი, რომელსაც აღსარებას აბარებდით ოცდაათი წლის მანძილზე და ისიც შეგინდობდათ თქვენს ცოდვებს. ახლა იგი ამას თქვენგან ელოდება: შეუნდობთ თუ არა ცოდვას.

პლევაკომ თქვა ეს და დადუმდა...

მსჯავრდებული გაამართლეს.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? – იმის, რომ, რაც ორატორმა შეძლო, ნაფიცს მსაჯულებთან ერთად შეძლო.

თუ დაკვირვებიხართ, მოძრაობა რომ შედგეს, ამისათვის **აუცილებელია უკუგდება – ფეხისა თუ ბორბლის** გარე პირის ნაწილისა. შენიშნულია, რომ სწორედ უკუგდების გამო უყენებენ მანქანას „ბრიზგავიკებს" – **საწუწავებს.**

იქნებ უკუგდება წინსვლის კანონზომიერებაა? ამიტომ უკუგდებული დარჩენილს ტოლფასი უნდა იყოს. აი, რატომაა აუცილებელი საკადრო ცვლილებები სახელმწიფო აპარატში, წარმოებაში, მეცნიერთა კოლექტივებში. თუ არ მოხდება უკუგდება-გაძევება, გარდუვალი შეიქმნება გაჩერება, „ზასტოი". იქნებ ვინმემ იფიქროს, რა შუაშია აქ რიტორიკა? საქმე ისაა, რომ სიტყვა (მეტყველება) არ შეიძლება შეეხებოდეს აზრის ერთ პლანს და მხოლოდ იმას, რაც ყველასათვის ორატორის გარეშეც კარგად არის ცნობილი.

იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს თრასპექტა მიდგომას, განსჯაში საპირისპირო მოსაზრების ჩართვას.

რატომაა ეს მნიშვნელოვანი? ჩვენ ხომ სიტყვას ვიღებთ (წარმოვთქვამთ) არა განცხრომის მომენტში, არამედ იმ წუთებში, როდესაც სხვების აზრები აშკარად არ ემთხვევა ჩვენსას. იმიტომ, რომ **მეტყველება** ხომ სოციალურ ნაირგვაროვნობაში მხოლოდ წამიერებაა.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში სიტყვა (გამოსვლა) ესმოდათ, როგორც **მიზანი,** მაშინ, როდესაც იგი მხოლოდ საშუალებაა. არ ესმოდათ, რომ სიტყვის არსი ინტრიგოლოგიასა და არგუმენტალისტიკაშია. არც იმას უწევდნენ ანგარიშს, რომ რიტორიკაში ყველაფერი თრგვაროდ არის აღსაქმელი.

• ორატორმა ერთი თვალსაზრისი არ უნდა გადმოსცეს. მან თავისი აზრი დაბალანსებულად უნდა წარადგინოს, ანუ ალტერნატიულად. თუ მასში წინააღმდეგობრივი არაფერი იქნება, მისი შეთავაზება უსუსური და უსიცოცხლო გამოვა.

ერთგვაროვანი, ცალსახა შეხედულება პრობლემაზე უსიცოცხლოს ხდის ჭეშმარიტებას. თავისი ახალი შეხედულებები ადამიანმა თავისივე „არასწორი" თვალსაზრისების ჩართვით უნდა წარმოადგინოს. ამით მსმენელთა აღქმას ერთგვარ არჩევანს შეუქმნის. ეს კი აზრის გაზიარების საწინდარია. ყოველთვის ვუშვებთ შეცდომას, რადგან, სადაც არ უნდა ვიდგეთ, ჩვენ ყოველთვის არ ვართ, ხოლო ფაქტი არ არსებობს, იგი ჩნდება. ამიტომ სიახლე კი არ გვეძლევა, მას ჩვენ ვქმნით. ახალი ყოველთვის ძველის გასინჯვის შედეგია. მეტყველება ურთიერთობაა, ხოლო იმის გამო, რომ მეტყველება ურთიერთობაა, ორატორს უნდა ახსოვ-

დეს კომუნიკოლოგიის ზოგიერთი სასაფუძვლო დებულება, კერძოდ, უნდა ესმოდეს:

1. **კრიგეს პინციპი** (გერმანელი მწერალი ადოლფ ფონ კრიგე - 1752-1796): ისწავლეთ საკუთარი თავის წამოყენება სხვების შეცდომების გარეშე.

2. **ჯონ ლებოკის** (1854-1913 - ინგლისელი ბუნებისმეტყველი, მორალისტი) პრინციპი: ცხოვრებაში წარმატებისათვის ადამიანებთან ურთიერთობის უნარი ნიჭიერებაზე გაცილებით მნიშნელოვანია.

3. **ოსკარ უაილდის პრინციპი:** ბუნებრივი რომ იყო, აუცილებლად უნდა შეგეძლოს თავის მოკატუნება.

4. **ჯიბრანის პრინციპი:** იმის ნახევარი, რასაც ვლაპარაკობ, უაზრობაა, მაგრამ ამას იმისათვის ვამბობ, რომ მეორე ნახევარი იყოს შენთვის გასაგები.

5. **დენი დიდროს პრინციპი:** ადამიანებს სჭირდებათ ერთმანეთი. და თუ ჩვენ ველით დახმარებას ჩვენივე მსგავსთაგან, ისინიც ზუსტად ასევე ელიან მას ჩვენგან.

6. **ვოლტერის პრინციპი:** ადამიანებს იოლად სჯერათ იმისი, რაც ძალიან სურთ.

7. **კარეგის პრინციპი:** მე პირადად მარწყვი მიყვარს ნაღებით, მაგრამ თევზი რატომღაც სხვას ამჯობინებს. აი, რატომაა, რომ როცა სათევზაოდ მივდივარ, თან ის კი არ მიმაქვს, რაც მე მომწონს, არამედ ის, რაც თევზს უნდა - გამხმარი ჭიაყელები და კალიები.

8. **ბ. პასტერნაკის პრინციპი:** ამქვეყნად ყველაფერი უნდა სჯობდეს (აღემატებოდეს) თავის თავს, რათა თავისთავადი იყოს.

მეტყველება, მართალია, ურთიერთობაა, მაგრამ რთგორიც არ უნდა იყოს ეს ურთიერთობა, იგი „ერთიანობის გრძნობას“ ემყარება, რომელიც ადამიანის ყოველდღიურობაში ვლინდება. ამერიკელმა ფსიქიატრმა ე. ბერნმა (Eric Berne, 1910-1970) ადამიანების ეს გრძნობა ცხოველთა ალერსის – ხელის სმის მოთხოვნას შეუდარა [3]. ყველანაირი ნიშანი, რომელსაც ადამიანი ავლენს ერთიანობისადმი (ერთობისადმი) კუთვნილების გამოსახატავად, მისი აზრით, არის მოფერება (ხელის გადასმა) (stroking). შეხვდა ადამიანი ნაცნობს, ქუდის მოხდით მიესალმა, მანაც იმავეთი უპასუხა, ეს არის „მოფერებათა“ გაცვლა, „მოფერების რიტუალი“. ეს რიტუალი ყოველდღიურობაში დაახლოებით ასე გამოიხატება:

პეტრე (პავლეს): გაუმარჯოს! (პირველი მოფერება)

პავლე: გაგიმარჯოს! (მეორე მოფერება)

პეტრე: როგორ ხარ? როგორაა საქმეები? (მესამე მოფერება)

პავლე: ისე რა! არა უშავს, შენა? (მეოთხე მოფერება)

პეტრე: მეც ისე!.. ცოტა ამინდი გვაწუხებს. რა ამინდია, არა? (მეხუთე მოფერება)

პავლე: მაშ, კაცო! (მეექვსე მოფერება)

პეტრე: აბა, შენ იცი, კარგად იყავი! (მეშვიდე მოფერება)

პავლე: კარგად! (მერვე მოფერება).

შემჩნეულია, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობები მკაცრად განსაზღვრულ მოფერებათა (ხელის გადასმათა) ჯაჭვს ემყარება. თუ ამ ჯაჭვს რომელიმე რგოლი გამოაკლდა, ადამიანები დისკომფორტს გრძნობენ, თანაც იმდენად, რომ ამ ჯაჭვის წყვეტის მიზეზის გაფაციცებულ ძიებას იწყებენ.

მაგალითად, თუ პეტრე პავლეს გამარჯობას მშრალად ეტყვის და გზას განაგრძობს, სალამ-ქალამის გრძელ რიტუალს ნაჩვევი პავლე გულში უთუოდ გაიფიქრებს, რამე ხომ არ ვაწყენინე, ასე მშრალად რატომ მომესალმაო. თუ პეტრე ზემოაღნიშნული ჩვეულებრივი ეტიკეტური რვა მოფერებით არ შემოფარგლება, მოფერებების რიგს გაზრდის, გაამრავალფეროვნებს, პავლე ამასაც ეჭვით შეხედავს და იფიქრებს – ნეტა რა უნდა ჩემგანო.

რიტორიკის ენაზე ეს მოვლენა აღნიშნავს, რომ მეტყველების რიტუალების მომენტი იმ სტრუქტურული კომპონენტებისაგან შედგება, რომელთა ყოველგვარი შეკუმშვა თუ გაფართოება აღქმის გადარეცხვას, წაშლას მისი მიმართულების, მიზნის მოუხელთებლობას ან კარგვას იწვევს.

• **მეტყველება 5±2-ის კანონს ექვემდებარება.**

ტექსტი სულ ცოტა სამი ნაწილისაგან (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) უნდა შედგებოდეს, მაგრამ არ უნდა აჭარბებდეს შვიდ ნაწილს: წინასიტყვაობას, ამოსავალ რეზიუმეს, შესავალს, გადასვლის ფრაზას, ძირითად ნაწილს, აზრის გაშვებას თავისუფალ მოგზაურობაში, დაბოლოებას.

• **ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა აქვს** ნაირგვაროვნობას, მოლაპარაკე ერთგვაროვანი (ერთნაირი) არ უნდა იყოს არც თავის თავთან, არც აუდიტორიასთან.

ლაპარაკი ნიშნავს მუშაობას სხვისთვის და სხვებთან ერთად, თუმცა არა საკუთარი თავის მათში ასიმილირებას, გაუჩინარებას, ინდივიდუალობის დაკარგვას.

• **არსი (აზრი)** მხოლოდ ფრაზის შინაარსი არ არის, არც რაიმე მოვლენის განმსაზღვრელი შიგა არსის გამოხ-

ატვა. არსი, ამათ გარდა, უმეტესად მოუხერხებლად დაკავშირებულია ჩვენთან, რომელიმე აზრის აღმქმელ ადამიანებთან. არსი საკუთარი თავის გარეთ არის საძებარი იმისათვის, რომ მისი პოვნა მხოლოდ საკუთარ თავში გახდეს შესაძლებელი.

• **სიტყვის ტექსტის ნახვეწრობის, უშეცდომობისა (შეუმცდარობის) და სისადავის** შესახებ:

ჩვენი აზრი, მოსაზრება, შეხედულება სხვის თავში ავთენტურად ვერ შევა. ინფორმაციის მანძილზე გადაცემა არაადეკვატურია. აღქმის სისწორე (ადეკვატურობა) მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც თავად აღქმის პროცესი ჩაერთვება აღქმის ხერხში. ეს ნიშნავს, რომ მიმღები მხარის დახშულობები (ხელშეშლები) იფილტრება გამგზავნის მხრიდან. ამ მოვლენაში სპეციალისტები ხედავენ მეტყველების იმ სპეციფიკას, რომელსაც „კონსტრუქციულ მცდარობას“ უწოდებენ. მართვის სისტემების ამერიკელი თეორეტიკოსის თქმით, ეს აზრი ასეთ შინაარსს იძენს: „დარწმუნდით, რომ თქვენ დასაშვები რაოდენობის შეცდომებს უშვებთ“. ეს ნიშნავს, რომ სიცრუე, შეცდომები, ცთომილებები კი არ ამრუდებენ, ან კი არ ცვლიან სინამდვილეს, არამედ ავსებენ, ამთლიანებენ მას. ამიტომ უკვე აღარ გვაკვირვებს პოეტური თქმა „იისფერი თოვლი“ ან გალაკტიონისავე პოეტური სტრიქონის შინაარსი ლექსიდან „მოვა, მაგრამ როდის?“

„მიჰქრის დალალგადაყრილი დოვინ-დოვენ-დოვლი: თოვლი, ფიფქი და აპრილი, **ვარდისფერი თოვლი**“; ანდა

მისი კიდევ უფრო ულოგიკო და წარმოუდგენლად უცნაური თქმა ლექსში **„ბალახები“**:

„ვაზებში ფშატი გადაბიბინდა და
წყალი წმინდა
ათას შხამიან ბალახებით
გარდაიხატა“.

ფშატი ხე-მცენარეა და ვაზებში, რომლებიც ვენახს ქმნიან, ვერანაირად ვერ „გადაბიბინდება“. აქ სრულიად არალოგიკურია „ვაზებ**ში**“ (ში!). შეიძლება თავად ვაზები „ავიდნენ“ და მოედვნენ ფშატს. მაგრამ ამგვარი უცნაურობის მიუხედავად, ლექსის სტრიქონს მომნუსხველობაც აქვს, ხიბლიანობაც, ვიზუალური შტრიხების წარმოსახვის პერსპექტივაც.

ამგვარი მოვლენა კიდევ უფრო თვალშისაცემია რუსი პოეტის ფ. ი. ტუტჩევის ლექსში „გაზაფხულის ჭექა-ქუხილი“ (1928), კერძოდ, ერთი სტროფის შინაარსში:

„მიყვარს ელჭექი მაისის დამდეგს,
როდესაც გაზაფხულის პირველი ქუხილი, –
თითქოს ანცობს და თამაშით ლაღობსო, –
ქუხს და აქუხებს ცისფერ კაბადონს (ზეცას)“.

ადამიანი ყურადღებას აქცევს ღირებულებას და არა თავის თავში შეფასების გადაფასებას. მერე რა, რომ თოვლი არ არის იისფერი, ან რომ მოწმენდილ ცისფერ (ფირუზ) ცაზე ქუხილი შეუძლებელია?! სილამაზის დანახვა (შემჩნევა) ლოგიკას არ ეძლევა და არ ექვემდებარება. აღქმის მოსახერხებლობა კი ბევრად მეტია და ბევრად ფასეულია. შიშველი პრაგმატიკის თემაზე „ასეთი რამ შეუძლებელია“,

„ასეთი რამ არ ხდება“. ადამიანის გონებისათვის ყველაფერი შეიძლება და ყველაფერიც ხდება. ზღაპარიც შეუძლებლის და არარსებულის თხრობაა, მაგრამ არა მხოლოდ ბავშვობაში გვიზიდავს, არამედ ზრდასრულობაშიც.

სადა და მდორე მეტყველება მთვლემარების ეფექტს იწვევს, რაღაცნაირად თენთავს სმენას და აძინებს მსმენელს. მსმენელი მეტყველების მეშვეობით ადამიანს უნდა ხედავდეს.

ნებისმიერ სიტყვას სჭირდება შთამბეჭდავი პროლოგი, ასევე სამშვენისები – ჩანართები, რომლებიც ამყარებენ სათქმელს და ხელს უწყობენ მსმენელის ცნობიერებაში აღბეჭდვას და დამახსოვრებას.

მეტყველება კომუნიკაციური საზრიანობაა, „ხელთარსებულ სამუალებათა“ გამოყენებაზე დაფუძნებული სითამამე და პლასტიკურობა, რაიმე ჭკუის სარგო მაგალითის, შედარების მოხმობით და ა. შ. თუმცა მთავარი მაინც საბუთიანობა და დასაბუთებაა.

თავი II. ქართული ორატორული ხელოვნების დარგები

რიტორიკის, კერძოდ, ორატორიკის (ორატორული ხელოვნების) გამოყენების სფეროები მრავალნაირია, რადგან ადამიანის გონებრივ-ინტელექტუალური საქმიანობის სრულიად განსხვავებულ დარგებს მოიცავს. ცივილიზაციის ისტორია ცხადყოფს, რომ ადამიანები საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარ ადგილს იმკვიდრებდნენ, პროფესიულ ინტერესებს იკმაყოფილებდნენ, მიზნებს აღწევდნენ სხვა ადამიანებთან სამეტყველო (ვერბალური) კომუნიკაციების დამყარებით, ხოლო ამგვარი კომუნიკაციის წარმატებულობის საფუძველი შთამბეჭდავი, დამაჯერებელი, მჭევრი მეტყველების უნარი იყო. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშნელოვანი გახდა თანამედროვე ეპოქაში, რომლის არსებითი მახასიათებელია დემოკრატიის ფილოსოფიით განსაზღვრული საჯაროობის არეალის საყოველთაობა, ინფორმაციის ღირებულების არნახული ზრდა, მისი გადაქცევა უმთავრეს კაპიტალად და, შესაბამისად, ინფორმაციის ადრესატისათვის მიწოდების ანუ კომუნიკაციის პრობლემების მნიშვნელობის გაცნობიერება და როლური ფუნქციონალიზმის თვალშისაცემობა.

ქართულ რიტორიკაში (ორატორულ ხელოვნებაში) ძველთაგანვე აღინიშნა ვერბალური კომუნიკაციების მრავალფეროვნება და ცალკეული სფეროების აღწერა-დახასიათებებიც განხორციელდა; შესაბამისად, გამოიკვეთა ორატორული ხელოვნების დარგებიც. თუმცა დროის მსვლ-

ელობისა და ეპოქათა ცვლის შესაბამისად იცვლებოდა ადამიანთა საჯარო საქმიანობის სფეროები და იცვლებოდა ორატორული ხელოვნების დარგები, რომელთა სპეციფიკა რიტორიკის კვლევების ობიექტი ხდებოდა. რიტორიკამ შემოინახა მჭევრმეტყველების სხვადასხვა დარგი. ესენია: სადარბაზო ანუ დიპლომატიის, სამხედრო, იურისპრუდენციის, სადღესასწაულო, სამგლოვიარო დარგები.

• **სადარბაზო (დიპლომატიური) მჭევრმეტყველება** მოიცავს ისეთ კომუნიკაციებს, როგორებიცაა მოლაპარაკება, შეთანხმება, კონსენსუსის მიღწევა, ხელშეკრულების დადება, სადავო პრობლემის მოგვარება და ა. შ. ორატორული ხელოვნების ეს სფერო დანარჩენებისგან იმით განსხვავდება, რომ განსაკუთრებულია აზრის სპეციფიკურ სიტყვიერ სამოსში მოქცევა, ღრმად გააზრებული, დახვეწილი და, რაც მთავარია, შთამბეჭდავად, ამაღლებული ინტონაციითა და ექსპრესიით წარმოთქმა, იმდაგვარი მეტყველება, როდესაც მთავარი აზრი მიეწოდება ქვეტექსტურად, ხოლო მეტყველების ექსპლიციტური ასპექტი იმპლიციტურის (ქვეტექსტის) გამოხატვის მიზანს ექვემდებარება. ამის მიღწევა კი მაღალი დონის მჭევრად მეტყველების გარეშე შეუძლებელია.

• **სამხედრო მჭევრმეტყველება.** ამ სფეროში უმთავრესია მოწოდება, შეგულიანება, გამხნევება, წაქეზება. მჭევრმეტყველების ამ დარგის ფუნქციონირების არეალი, ტრადიციულად, განსაკუთრებულია, სპეციფიკურია. ძველ ეპოქებში ეს იყო საომარი მოქმედების არენა. ამას ცხადყოფს წერილობით წყაროებში შემონახული სამხედრო მჭევრმეტყველების ჩაწერილი ნიმუშების ტექსტები.

მოგვიანო ეპოქებში მისი მოქმედების არეალი გაფართოვდა, ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სამხედრო შენაერთების რეგულარულ არმიად გარდაქცევამ. არმიაში აუცილებელი გახდა სამხედრო მოსამსახურეების – მეომრების სახელმწიფოს იდეოლოგიის სულისკვეთებით აღზრდა, მისი მისიის, პოლიტიკური მიზნების გაცნობიერება. ამგვარი მიზანი სისტემატურ მუშაობას საჭიროებდა. ამიტომ შეიარაღებული ძალების სივრცეში იდეოლოგიური აღზრდის შტატიანი სპეციალისტებიც დაკანონდა. იდეოლოგიური, პოლიტიკური განათლების სპეციალისტების პროფესიული პრაქტიკის საფუძველზე კი მჭევრმეტყველების ახალი დარგი აღმოცენდა.

• **სამოსამართლო (სამართალმცოდნეობის) დარგის მჭევრმეტყველება** სამართლის წარმოების სფეროს ემსახურება. მისი ბუნება უპირატესად საჯარო პაექრობაში მჟღავნდება. ესაა კონფლიქტის, დავის, დანაშაულის კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტის პროცესი. ამ დარგის სპეციფიკა ძველ ეპოქებში გამოიკვეთა, რადგან სამართლის მოთხოვნილება ადამიანური ცივილიზაციის ფუნდამენტური განცდაა, ხოლო სამართლიანობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობის პირობაა.

ადრეულ ეპოქებში ტრადიციულ საზოგადოებებში სამართლის წარმოების საფუძველი იყო ადათი და ადათობრივი სამართლის კოდექსები. ადათობრივი სამართალი რწმენა-წარმოდგენებსა და ადათ-წესებს ემყარებოდა და პროფესიული რიტუალებიც მოეპოვებოდა: სამოსამართლო სიტყვის წარმოთქმას თან სდევდა შესაბამისი რიტუალებიც.

მოგვიანო ეპოქებში სამართალწარმოება სახელმწიფო წყობით განსაზღვრულ კანონთა შესაბამისად მიმდინარეობს, თუმცა პროცესუალურად არსებითი ცვლილებები არ განუცდია. პროცესის რიტუალური უცვლელობის მიუხედავად, მჭევრმეტყველების ძალმოსილება ჭეშმარიტების დადგენაში სწორედ სამართალმცოდნეობის სფეროში ვლინდება.

• **სადღესასწაულო მჭევრმეტყველება** საზეიმო, სახოტბო სიტყვიერებაა. მისი მიზანია განსაკუთრებული მოვლენის მნიშვნელობის გათვალსაჩინოება, აღნიშვნა და შეფასება. მეტყველებისათვის ამ დარგში დამახასიათებელია გამორჩეული ინტონაცია, ემოცია, ექსპრესია, ტონალობა და არტისტიზმი, ხოტბის ობიექტის ღირსებათა გაზვიადება-ხაზგასმა, მისი ისტორიული ღირებულების აქცენტირება, ეპოქის კანონზომიერებათა უნისონში განჭვრეტა. საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისად, სადღესასწაულო (სადარბაზო) მჭევრმეტყველება თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

• **სამგლოვიარო მჭევრმეტყველება** ერთ-ერთი უძველესი დარგია. იგი არა მხოლოდ მჭევრად, შთამაგონებლად მეტყველების სახეობაა, არამედ შთაგონებულობის განსაკუთრებული გამოხატვით და რიტუალურობის დემონსტრირებითაც არის აღბეჭდილი.

თავისი ბუნებით სამგლოვიარო მჭევრმეტყველება სახოტბოა, რადგან გლოვის ობიექტის ღირსებათა წინ წამოწევას და თავისებურ გაზვიადებას ემყარება. ეს კი იმის გამო ხდება, რომ ადამიანის დაკარგვა ყველაზე დიდი აუნაზღაურებელი დანაკლისი და ტრაგიზმია. ტრაგიზმის შეგრძნე-

ბა ადამიანს ზნეობრივი კათარზისისაკენ უბიძგებს, უკეთესად გახდომის (უკეთესობის) სურვილს უმძაფრებს, რადგან დანაკარგის სიმწვავე ცხადად წარმოაჩენს ცხოვრების ამაოებას და ადამიანის ამქვეყნიურ არსებობის ეფემერულობას.

მჭევრმეტყველების ყოველ დარგს თავისი სპეციფიკა, დანიშნულება და მიზანი აქვს, თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი ერთმანეთისაგან დიდად არ არიან დაშორებული. ეს იმაშიც ვლინდება, რომ ეს დარგები არცთუ ბევიათად ერთსა და იმავე ჟანრებს გამოიყენებენ. ამის გამო მჭევრმეტყველება ყოველთვის შთამაგონებელი მეტყველებით მიზნის მიღწევას ასახავს.

• **ქართული რიტორიკის ჟანრები**

ქართულ რიტორიკაში (ორატორულ ხელოვნებაში) დარგების მიხედვით გამოვლენილია: ქადაგება, სწავლა, მოძღვრება, ქება, შესხმა, სიტყვა, მოხსენება, მილოცვა, სამძიმარი.

• **ქადაგება** ორატორული ხელოვნების ჟანრია, რომელშიც გამოთქმულია რაიმეს რწმენა. მისი გამოყენების სფეროა რელიგია.

• **სწავლება,** გარკვეული აზრით, ქადაგების სინონიმია. სწავლება ქადაგებასაც შეიცავს და მოძღვრებასაც, თუმცა, ზოგადად, ქადაგების მიზანი რაიმეს ჭეშმარიტების არსის გამოვლენაა, მსმენელისათვის მისი გააზრების, აღიარების ხელშეწყობაა და, რაც მთავარია, მოქცევა – მის მიმდევრად გადაქცევაა, სწავლების მიზანი მხოლოდ ცოდნის მიცემაა, მიმდევრად ქცევას მიზნად არ ისახავს.

• **მოძღვრება** უფრო დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს სწავლებასთან. იგი ადრესატში რაიმე ცოდნის დამკვიდრებას

ისახავს მიზნად. სწავლებისაგან კი იმით განსხვავდება, რომ ცოდნის გადაცემისაგან შესაბამის შედეგს მოელის. მოძღვრებას ცოდნის განმტკიცებაზე უფრო ის აინტერესებს, დაარწმუნა თუ არა ადრესატი ახალი ცოდნის უტყუარობაში.

თუ სწავლების მიზანი ადრესატის ახალი ცოდნით გამდიდრებაა, მოძღვრების მიზანია ადრესატის დარწმუნება საკუთარი თვალსაზრისის სიმართლეში. მოძღვრებას ამ სიმართლეში დარწმუნების შედეგის მოლოდინიც გამოარჩევს.

• **ქება** სახოტბო სიტყვიერების ჟანრია. იგი დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტის, მოვლენის, ღვაწლმოსილი პიროვნების განდიდებას ისახავს მიზნად. მისთვის მთავარია ღირსებათა წარმოჩენა, მათი ღირებულებების გათვალსაჩინოება. ქება შინაარსისა და მიზნის თვალსაზრისით ემთხვევა შესხმას, ასევე თავისებური სახოტბო შინაარსის ჟანრს.

• **სიტყვა,** როგორც მჭევრმეტყველების ჟანრი, ერთ კონკრეტულ თემას შეიცავს, ამ თემის არსის წარმოჩენას ისახავს მიზნად.

• **მოხსენება** ბევრი ნიშნით ჩამოჰგავს სიტყვას, თუმცა მისგან განსხვავებით, გამოკვეთილად კონკრეტული საკითხის გაშუქებას წარმოადგენს.

• **მილოცვა** გამორჩეული სასიხარულო ფაქტის, მოვლენის აღმნიშვნელი ჟანრია. ამის გამო აქ აქცენტირებულია სიხარულის გაზიარების, თანამონაწილეობის აზრი.

• **სამძიმარი** წუხილის, ჭირის, წყენის გაზიარების აზრს შეიცავს.

ასეთია ქართული რიტორიკის და მისი უმთავრესი ნაწილის, ორატორული ხელოვნების ჟანრები და მათი თავისებურებები.

თავი III. რიტორიკის ქართული ტერმინოლოგიის შესახებ

ქართული საგანანმანათლებლო სივრცე იმთავითვე გამოირჩეოდა რიტორიკისადმი დიდი ინტერესით. ფაზისის, იყალთოს, გელათის აკადემიებში სასწავლო დისციპლინებს შორის ისტორიულად უპირველესი ადგილი რიტორიკას ეკავა და ამ საგნის შესასწავლად, მაგალითად, ფაზისის აკადემიაში უკხოეთიდანაც კი ჩადიოდნენ. ცნობილია, რომ სწორედ ამ აკადემიაში შეისწავლა რიტორიკა ცნობილმა მოაზროვნემ თემისტიოსმა.

რიტორიკა შეისწავლებოდა XVIII საუკუნის საქართველოს ორ სასწავლო ცენტრში – თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიებში. ასე რომ, რიტორიკას, როგორც ცოდნის დარგს და სასწავლო დისციპლინას, ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. ამიტომ რიტორიკას იმთავითვე მოეპოვებოდა თავისი ქართული ტერმინოლოგია. წერილობით ძეგლებში ანტიკური ეპოქის ბერძნულ ტერმინებთან ერთად გვხვდება ორიგინალური ქართული ტერმინებიც. ერთი ასეთი ტერმინია „ქადაგება“, რომელიც ამჟამად სასულიერო მჭევრმეტყველებას შემორჩა, ადრე კი „მაღალი ხმით სწავლებას“ ნიშნავდა და გამოყენების არეალიც საყოველთაო ჰქონდა. ამგვარ ინფორმაციას შეიცავს სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“.

ამავე ლექსიკონის თანახმად, ის პირი, რომელიც ქადაგებს, მქადაგებელია, ანუ **ქადაგი**. სულხან-საბა ქადაგს უწოდებს „მაღალ მძახებელს სწავლისას“. ამით ქადაგი არის

მოძღვარი, ხოლო მქადაგებელი ის პირია, რომელიც **„ქადაგების მეტყველია“** ანუ **ორატორი.** გამოდის, რომ ქადაგებას, როგორც ტერმინს, ორი მნიშვნელობა ჰქონდა:

- **ქადაგება** – საჯარო ზეპირი სიტყვით სწავლება;
- **ქადაგება** – საჯაროდ ზეპირად წარმოსათქმელი სიტყვა.

მაშასადამე **ქადაგი** და **მქადაგებელი** სინონიმური ცნებებია და ნიშნავს საჯაროდ გამოსვლის ოსტატობის მასწავლებელს და ზეპირი სიტყვის საჯაროდ მთქმელს.

ტერმინ **ქადაგებას** სინონიმური ტერმინებიც მოპოვება. ესენია: **სწავლა** და **მოძღვრება.**

მოძღვრება ზეპირი სიტყვით სწავლას ნიშნავდა. იგი სიტყვა **მოძღვარიდან** მომდინარეობს. **მოძღვარი** მასწავლებელს ნიშნავს. ·

ორატორული ტექსტის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები: **სიტყვა, ქება, შესხმა.**

სიტყვა აერთიანებდა ცალკეულ საღვთისმეტყველო გამონათქვამებს. იგი აღნიშნავდა (და დღესაც აღნიშნავს) ორატორულ ნაწარმოებსაც.

ქება – სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის კეთილის თქმა, დიდების შესხმა, მადლობა, ქველმოქმედების შესახებ თხრობა.

შესხმა – ქებაა ანუ შემკობა, დამშვენება.

მჭევრი (მჭევრობა) – რიტორი. ამ ტერმინიდან შემდეგში არაერთი სინონიმური ტერმინი წარმოიქმნა. მაგალითად: ენამჭევრი, სიტყვამჭევრი, მჭევრმოუბნარი, მჭევრმეთქმი, სიტყვახელოვანი, სიტყვაპოვნიერი და ა. შ.

ძველქართულ წერილობითი ძეგლებში გვხვდება ტერმინი **სიტყვისგება.** იგი აღნიშნავს **კამათს, პაექრობას.** ეს ტერმინი ამ მნიშვნელობით გვხვდება IX საუკუნის რომანში „სიბრძნე ბალავარისა“, გვხვდება სხვაგანაც. **კამათის, მსჯელობის** მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი **სიტყვისყოფა.**

პაექრობა ენობრივ პრაქტიკაში გვიან შევიდა. პაექრობა სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, არის „ცილება და გამოძიება“.

უფრო გვიანდელია ტერმინი **კამათობა/კამათი.** სულხან-საბა მას განმარტავს, როგორც **ცილებას, დავას.**

სამოსამართლო მჭევრმეტყველების ძველი ქართული ტერმინებია **ვარქირი/ვექილი** ანუ დამცველი. ეს ტერმინი გამოყენებული აქვს ეფრემ მცირეს „სამოციქულოს“ თარგმანში [4]. ამავე ძეგლში წარმოდგენილია ვექილის ქართული შესატყვისი ტერმინი **თანამოსარჩელე, მეონი.** უფრო მოგვიანო წყაროებში გვხვდება მათი სინონიმური ტერმინები: **ქომაგი, მონაცვლე, შუაკაცი.**

ბიზანტიიდან შემოვიდა ტერმინი **რიტორი, რიტორობა.** სულხან-საბა ორბელიანის აზრით, **რიტორი** მჭევრს ნიშნავს. უკანასკნელ ხანს გავრცელდა ტერმინი **ორატორი,** რომელიც მოლაპარაკეს ნიშნავს, ანუ მჭევრმეტყველს.

სოლომონ დოდაშვილის განმარტებით, **რიტორი** მჭევრმეტყველების თეორეტიკოსია, ხოლო **ორატორი** – პრაქტიკოსი, მჭევრადმეტყველების ოსტატი.

ჩვენს ეპოქაში ფართოდ გავრცელდა ასევე ლათინური წარმოშობის ტერმინები **ლექცია** და **ლექტორი.** ლექცია საჯაროდ წარმოსათქმელ თხზულებასაც აღნიშნავს, ამგ-

ვარი თხზულების ზეპირად წარმოთქმის პროცესსაც. **ლექტორი** ლექციის წამკითხველს ჰქვია.

აღნიშნული ტერმინების გარდა, არსებობს ორატორულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ისეთი გამოთქმებიც, როგორებიცაა **ოქროსიტყვა, ენამაქცევარი, ენადღეობა, ენამზეობა, ტკბილმოუბარი, ოქრომპირი, სიტყვამარგვე** და სხვა [5, 58-59].

ქართულ წერილობით ძეგლებში რიტორიკის სხვა ტერმინებიც არის დაფიქსირებული, მათგან ბევრი ორიგინალურია – ქართულია. ეს გარემოება კი ქართული ორატორული ხელოვნებისა და, საერთოდ, რიტორიკის მეცნიერული ცოდნის დიდ ტრადიციებზე მეტყველებს.

თავი IV. ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების განვითარების გზა

სამოსამართლო მჭევრმეტყველებას ჩვენში თავისი ისტორია, განვითარების გზები და კანონზომიერებანი აქვს. ქართული იურისპრუდენცია ჯერ კიდევ ძველ საუკუნეებში ჩაისახა და იმთავითვე გამოკვეთა თავისი შინაარსი. ეს საკითხი სათანადოდ არის კიდევაც შესწავლილი, უამრავ გამოკვლევასთან ერთად შექმნილია ქართული სამართლის ისტორიის კაპიტალური ნაშრომი, რომელიც ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის [6]. გარკვეულია სამართალწარმოების ისტორიის არაერთი საკითხი, მაგრამ ძალზე ცოტა რამაა ცნობილი ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ჩასახვა-განვითარების შესახებ. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ჩვენამდე ეროვნული მართლმადიდებლობის „მდიდარი, ტევადი და პროგრესული კლასიკური კანონმდებლობა“ და ტრადიციები წერილობითი ძეგლების სახით უხვად არის მიღწეული. ეს ყველაფერი თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ მისი „შესაფერისი სამოსამართლო მჭევრმეტყველება უნდა გვქონოდა“. სამწუხაროთ, ამ უკანასკნელს მოსალოდნელი სიუხვით არ მოუღწევია ჩვენამდე. პირიქით, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელი სიცარიელე იქცევს ჩვენს ყურადღებას და მხოლოდ საგანგებო დაკვირვებით შეიძლება მივაგნოთ ჩვენთვის მნიშნელოვან ისტორიულ ფაქტებს [5, 174-175].

წერილობითი წყაროების მიხედვით, ქართულ სამო-

სამართლო მჭევრმეტყველებაში ორი ფენა გამოიყოფა. ერთი უფრო ადრინდელ ვითარებას წარმოაჩენს და, უმთავრესად, ბერძნულ-რომაულია, მეორე უფრო გვიანდელი და გამოკვეთილად ქართული ეროვნული ელფერისაა.

ადრინდელი ბერძნულ-რომაული მჭევრმეტყველების ტიპობრივ ნიმუშად მიჩნეულია გუბაზ მეფის მკვლელების გასამართლების პროცესზე წარმოთქმული საბრალდებო სიტყვა, რომელიც ქართველთა მხრის წარმომადგენელს წარმოუთქვამს. ამ სასამართლო პროცესის ჩატარების ფაქტი და საბრალდებო სიტყვა აგათია სქოლასტიკოსს ჩაუწერია, თავისი საინტერესო თხზულებაში შეუტანია და ამიტომ ჩვენამდეც არის მოღწეული.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ გუბაზ მეფის მკვლელთა სასამართლო პროცესს დიდი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს პროცესი 554 წელს ბიზანტიის კეისრის, იუსტინიანეს, თაოსნობით მოეწყო. ამ პროცესით, მკვლელთა დასჯით, კეისარს კოლხთა გულის მოგება და მათი შერიგება ჰქონდა მიზნად. სასამართლო პროცესი კოლხეთის ქალაქ არქეოპოლისში მოეწყო. ჩვენთვის ცნობილი არაა, თუ ვინ წარმოთქვა აღნიშნული საბრალდებო სიტყვა, არც მისი ტექსტია სიტყვასიტყვით დაცული. აგათია სქოლასტიკოსი, ბუნებრივია, მის პერიფრაზს გვაწვდის, შინაარსს თავისი სიტყვებით გადმოგვცემს. ამიტომ ჩვენ მიახლოებით შეგვიძლია წარმოდგენის შექმნა მის ორატორულ ოსტატობაზე. მიუხედავად ამისა, საბრალდებო სიტყვა მჭევრსიტყვაობის თვალსაზრისით კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მსჯელობის

ლოგიკურობითა და სტილის სიცხადით აშკარად გამოირჩევა. სიტყვა კომპოზიციურად შეკრულია და მისი ყოველი ნაწილი ბრალდების დასაბუთებას ემსახურება. შესავალში ასახულია მკვლელობის ფაქტი. შემდეგ მიმოხილულია სახელმწიფოებრივი ცხოვრების საერთო ფონი, მომხდარი ფაქტი ამ ფონის გაუარესების მიზეზად არის დასახელებული. მკვლელები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის გამწვავების მიზეზად სახელდებიან. ამით კი ობიექტურად მძიმდება დანაშაული, რადგან კერძოობითი მნიშვნელობიდან საერთო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სიბრტყეზე გადაიტანება. ამავე მიზანს ემსახურება ზოგადად ვითარების აღწერისა და მკვლელობის ფაქტიდან მისი კონკრეტულ ასპექტებსა და მოტივებზე გადასვლა-ანალიზი. ამ ასპექტებისა და მოტივების წარმოჩენით ხდება ბრალდების ლოგიკური დასაბუთება, ხოლო ამ ფონზე სრული დამაჯერებლობა აქვს შეძენილი მართლმსაჯულების მოწოდებას დამნაშავეთა დასჯისაკენ.

თარგმანისა და პერიფრაზის შინაარსის მიხედვით მჭევრმეტყველების ნიმუშის შეფასება, მისი ღირსება-ნაკლოვანებების ანალიზი, რასაკვირველია, ძნელია და საუკეთესო შემთხვევაშიც კი ყველაფერი მიახლოებითი იქნება, მაგრამ თვით ის, რაც ამ საბრალდებო სიტყვის თავისუფალ ინტერპრეტაციაშიც კი შემონახულა, ანუ სიტყვის სიუჟეტური სტრუქტურა და ბრალდების წაყენება-დასაბუთების მანერა, უკვე ნათელყოფს ჩვენი ნაცნობი ორატორის მჭევრმეტყველურ ოსტატობას, თანაც ამ ოსტატობის მაღალ დონეს. ამ სიტყვის განხილვა-ანალიზი ქვემოთაა შეთავაზებული.

თუ ბერძნულ-რომაულ საისტორიო წყაროებში ჩვენი სამოსამართლო მჭევრმეტყველების ნიმუშების შინაარსები მაინც არის შენახული, კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა ამ მხრივ ქართულ წერილობით ძეგლებში. ჩვენს წინაპრებს რატომღაც, საერთოდ, არ უცვნიათ საჭიროდ მათი დაფიქსირება. ამიტომ ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია იმაზე მსჯელობა, თუ როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო მჭევრმეტყველება. ამ ვარაუდების გამოთქმის საფუძველსაც ხშირად არაპირდაპირი წყაროები იძლევა. უმეტესად ესაა ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლები, ჰაგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებები. ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებად მიჩნეულია VI საუკუნის ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ცნობილი ძეგლი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“.

ქართული მჭევრმეტყველების მკვლევარი ნ. კანდელაკი მიიჩნევდა, რომ ამ ნაწარმოებში არსებული ევსტათი მცხეთელის სიტყვა სამოსამართლო მჭევრმეტყველების შესანიშნავი ნიმუშია. იგი, ერთი მხრივ, მჭევრმეტყველების დონეს წარმოადგენს, მეორე მხრივ, სამართლის წარმოებაში ზეპირი მეტყველების როლსაც ათვალსაჩინოებს [5, 180]. ასეა თუ ისე, ამ ნაწარმოებში სამოსამართლო მჭევრმეტყველების მსგავსი სიტყვა მაინც გვხვდება, ქართული ჰაგიოგრაფიის სხვა ძეგლებში ასეთებსაც ვერ ვხვდებით და ვარაუდების გამოსათქმელადაც კი უფრო შემოვლითი გზებით სიარული ხდება აუცილებელი. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ საავარაუდო გზად მიჩნეულია წამებულთა სიტყვისგებანი [5, 181].

ანუ, ის სიტყვები, რომლებსაც ქრისტიანი მოწამენი მტრის სამსჯავროს წინაშე წარმოთქვამდნენ ხოლმე.

ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიის შესახებ გარკვეული ცნობები იძებნება X საუკუნის სასულიერო მწერლობის ისეთ ძეგლებში, რომლებიც ე. წ. „სასულიერო-იურიდიული“ შინაარსისაა.

სასულიერო-იურიდიული მწერლობა ჰაგიოგრაფიული მწერლობის ცალკე დარგად არის მიჩნეული. X საუკუნეში ამ მწერლობის უდიდეს წამომადგენლებად ითვლებიან გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. მათ ქრისტიანული სამართლის მეცნიერების დიდ წარმომადგენლებს უწოდებენ, რადგან ისინი ცნობილი იყვნენ „რჩულის“ (რჯულის) კანონთა ცოდნითა და დიდი იურიდიული პრაქტიკით. მათი მჭევრმეტყველური ოსტატობის მაუწყებელი სიტყვიერი მასალა არ გაგვაჩნია, მაგრამ წერილობით ძეგლებში ამაზე მიმანიშნებელი ცნობები უხვად არის შემონახული. მაგალითად, გიორგი მთაწმინდელის ნაწარმოები „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“ სრულიად გარკვევით წარმოაჩენს ექვთიმეს დიდ ღვაწლს. ასევეა შემონახული ცნობები გიორგი მთაწმინდელის წვლილის თაობაზე სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში. თუმცა ბევრს ვერაფერს ვიგებთ, კონკრეტულად რა ღირსებებისა იყო მათი მჭევრმეტყველური ოსტატობა.

ქართული იურისპრუდენციის ისტორიის საინტერესო ფაქტები შემონახულია XII საუკუნის წყაროებში. ჩვენამდე მოღწეულია ნაირნაირი იურიდიული დოკუმენტი (მაგ-

ალითად, ცნობილი რუის-ურბნისის საეკლესიო ყრილობის „ძეგლისწერა“), მაგრამ უშუალოდ სამოსამართლო მჭევრმეტყველების ნიმუშები არც ამ პერიოდშია დაფიქსირებული. ამიტომ სამოსამართლო მჭევრმეტყველებაზე მსჯელობა კვლავ ვარაუდების სფეროს კუთვნილებად რჩება. მდგომარეობა არც შემდგომ საუკუნეებში შეცვლილა.

XIII საუკუნიდან განსაკუთრებით განვითარდა საერო სამართალი. ამას მოწმობს არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხასიათის კრებულის არსებობა, მაგალითად, „ხელმწიფის კარის გარიგება“ (XIII ს.), გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდება“ (XIV ს.) და სხვ. მიუხედავად ამისა, სამოსამართლო მჭევრმეტყველების ნიმუშები მაინც არ შემოგვრჩენია. სამართლებრივი ძეგლების სიუხვე გვაფიქრებინებს, რომ ყოფით პრაქტიკაში სამოსამართლო მჭევრმეტყველება უთუოდ არსებობდა. ამგვარი სურათი კიდევ უფრო გამოიკვეთა XVIII საუკუნეში.

XVIII საუკუნეში შეიქმნა ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული, შემდეგ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის საკანონმდებლო აქტები. ამ დროს ქართული მჭევრმეტყველების უდიდესი წარმომადგენელია სოლომონ ლიონიძე. მას, როგორც ცნობილია, სოლომონ მსაჯულსაც უწოდებდნენ. ეს ზეწოდება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ იგი სამოსამართლო მჭევრმეტყველების დიდი ოსტატიც იყო. ასევე იყო ცნობილი მზეჭაბუკ ორბელიანი. ისინი ერთად მოღვაწეობდნენ ერეკლე II-ის კარზე, მზეჭაბუკ ორბელიანი ცოტა ადრე, ხოლო სოლომონ ლიონიძე – მოგვიანებით.

მზეჭაბუკ ორბელიანი ერეკლე II-ის კარზე სახელმწიფო

მდივანი იყო და მართლმსაჯულებას განაგებდა. ამ თანამდებობაზე იგი სოლომონ ლიონიძემ შეცვალა. მზეჭაბუკ ორბელიანი თავისი დროის ცნობილი მჭევრმეტყველი იყო. მის ორატორულ სიტყვებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ შემონახულია მათი ფრაგმენტები ან მოკლე შინაარსობრივი ინტერპრეტაციები [7, 41].

სოლომონ ლიონიძე თავის წინამორბედზე უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. ჩვენამდე არა მარტო მისი მჭევრმეტყველური დიდოსტატობის ცნობებმა მოაღწია, არამედ მისმა რამდენიმე ორატორულმა სიტყვამაც. ქართული მჭევრმეტყველების მნიშვნელოვან ძეგლად ითვლება სოლომონ ლიონიძის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამ სიტყვას ჰქვია „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“. ცნობილია ს. ლიონიძის ისეთი ორატორული სიტყვები, რომლებიც სამოსამართლო მჭევრმეტყველების თვალსაზრისითაც არის საინტერესო.

ქართული იურისპრუდენცია სრულიად ახალ, ევროპული ყაიდის მეცნიერულ საფუძველზე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დადგა. ევროპული და რუსული სამართლის მეცნიერების შესაბამისად მჭევრმეტყველების ტრადიციები ჩვენში რუსეთის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში სწავლამიღებულმა თაობამ შემოიტანა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების სპეციფიკა განსაზღვრეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა, ნიკო

ნიკოლაძემ, ლუარსაბ ლოლუამ, დავით ლორთქიფანიძემ, მოსე ქიქოძემ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ილიასა და აკაკის ღვაწლი.

ილია პროფესიონალი იურისტი იყო. როგორც ცნობილია, იგი სხვადასხვა დროს მომრიგებელ მოსამართლედაც მუშაობდა გარეკახეთსა და დუშეთის მაზრაში. როგორც პრაქტიკოს, მოქმედ მოსამართლეს, მას მრავალი სიტყვის თქმა მოუწევდა და ამაზე მიმანიშნებელი არაერთი ცნობა-მოგონებაა შემორჩენილი. ილიას თანამედროვეთა მოწმობით, სამოსამართლო მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუში ყოფილა ილიას მიერ 1907 წელს რუსეთის სახელმწიფო დუმის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების თაობაზე. სამწუხაროა, რომ ეს სიტყვა, ისე როგორც ილიას სხვა სამართლებრივი შინაარსის სიტყვები, ვერ შემოგვრჩა.

უაღრესად საინტერესოდ მოჩანს აკაკის მოღვაწეობა სამართლის სფეროში. იგი პროფესიონალი იურისტი არ ყოფილა, თუმცა ერთხანს ადვოკატობდა და საკმაოდ წარმატებითაც.

აკაკი 1876 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე აქტიურ იურიდიულ მუშაობას ეწეოდა. იგი უფრო პოლიტიკური ხასიათის დამცველ-ადვოკატი იყო. თუმცა ადვოკატობა აკაკის პროფესიად არ გაუხდია. იგი სამოსამართლო მჭევრმეტყველების დიდოსტატადაც მოგვევლინა. საყოველთაოდ არის ცნობილი აკაკის მონაწილეობა თავისი დროის გახმაურებულ პროცესში, რომელიც 1876 წელს შედგა „სვანთა საქმის“ სახელწოდებით შემოგვრჩა. აკაკი აქ დამცვე-

ლად გამოვიდა და ვრცელი მჭევრმეტყველური სიტყვა წარმოთქვა. აკაკის ეს სიტყვა ნიკო ნიკოლაძემ ჩაიწერა და შემოუნახა შთამომავლობას. გარდა „სვანთა საქმისა“, აკაკის, როგორც ადვოკატს, სხვა საქმეთა განხილვებშიც მიუღია მონაწილეობა. ადვოკატობისადმი ინტერესი კი მას შემდეგ გასჩენია, რაც ჭიათურის მარგანეცის საქმის გამო გაუთავებელი სასამართლო პროცესები გაბმულა. აკაკის დიდი ღვაწლი მიუძღოდა ჭიათურის „შავი ქვის“ საქმის წამოწყებაში. მას შემდეგ კი, რაც საქმე საქმედ აქცია, მას მოცილენი გაუჩნდნენ და სამოსამართლო პროცესებიც იმის შედეგი იყო. ასე რომ, პირადმა ბედმა მიიყვანა აკაკი იურისპრუდენციამდე, გაეცნო მას და პრაქტიკული მოღვაწეობის სურვილიც გაუჩინა. ჭიათურის მარგანეცის საქმეზედაც შემდგომში თავის ინტერესებს აკაკი პირადად იცავდა. აკაკი ადვოკატობას სხვასაც უწევდა, მაგალითად, სერგო მესხს 1882 წელს, ზუგდიდის მაზრის აჯანყებულ გლეხობას, იმერეთის სოფელ კაცხის გლეხებს. ცნობილია, რომ აკაკიმ 1880 წელს სასტიკად გაილაშქრა გაზეთ „კავკასიაში“ კავკასიის იურიდიული საზოგადოების თავმჯდომარის ფრენკელის წერილის „ყაჩაღობის ისტორიისათვის კავკასიაში“ კავკასიაში ყაჩაღობის გამომწვევი მიზეზების არასწორი ინტერპრეტაციის გამო [7, 68-69].

ასევე ცნობილია აკაკის სიტყვები, რომლებიც მას სხვადასხვა დროს წარმოუთქვამს ისტორიული პირებისა და ლიტერატურული პერსონაჟების გასასამართლებლად ჩატარებულ „სასამართლო პროცესებზე“. ეს სიტყვები სა-

მოსამართლო მჭევრმეტყველების საინტერესო ნიმუშებია.[1]

XX საუკუნის დასაწყისში, მის პირველ ნახევარში, ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებად გვევლინებიან პროფესიონალი იურისტები, პიროვნებანი, რომელთაც XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღეს განათლება და პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევითსა და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდნენ. ამით მათ, ერთი მხრივ, ჩვენი სამართალმცოდნეობის თეორიულ-მეცნიერული საძირკველი გაამყარეს, მეორე მხრივ, თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობით ახალი ბრწყინვალე ნიმუშებით გაამდიდრეს ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველება. ასეთ პიროვნებებად წარმოდგებიან, უპირველესად, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ნანეიშვილი, იოსებ ბარათაშვილი, შალვა მესხიშვილი, ალექსანდრე ჯაფარიძე, დიმიტრი პოლუმორდვინოვი და სხვა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (1874-1939) ქართული იურისპრუდენციის სამყაროში განუზომლად დიდ პიროვნებას წარმოადგენს.

იგი პეტერბურგის იურიდიული სკოლის აღზრდილი იყო. იქვე, რუსეთში, გაიშალა მისი ნიჭი, რადგან უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ პეტერბურგშივე შევიდა ადვოკატურაში სამუშაოდ. მოკლე ხანში, რაღაც ხუთი-ექვსი

[1] სხვათა შორის აკაკის გამოკვეთილი ინტერესი სამართალმცოდნეობისადმი მის მხატვრულ შემოქმედებაში აისახა. არაერთ ფელეტონში, პამფლეტში გამოჩნდა მისი არა მარტო კრიტიკული დამოკიდებულება თავისი დროის სამართალწარმოებისადმი, არამედ მისი კარგი ცოდნაც.

წლის განმავლობაში, მან ნიჭიერი იურისტის სახელი მოიპოვა. სახელი მას მოუტანა თავისი დროისათვის პეტერბურგში გახმაურებულმა პროცესმა, რომელსაც „კუზიანის საქმე“ შეერქვა. ლ. ანდრონიკაშვილი ამ საქმეში დამნაშავის დამცველი იყო. სწორედ დაცვის სიტყვის დიდი მჭევრმეტყველებით წარმართვამ მოაგებინა მას თავიდანვე წასაგებად განწირული საქმე. აქ გამომჟღავნდა მისი უზადო ორატორული ოსტატობა [7, 77-98].

„კუზიანი“-ებრაელი მოსამსახურე იყო საოლქო სასამართლოს დიდმოხელის ოჯახში. მას დღენიადაგ აბუჩად იგდებდნენ, დასცინოდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ, „ტილიან კუზიანს“, „ქეციან ურიას“ უწოდებდნენ. ერთ დღესაც მან ვერ გაუძლო ძაღლუმადურ ცხოვრებას და დიდმოხელე სამზარეულოს დანით დაჭრა. ამის შედეგად იგი გარდაიცვალა. გასაგებია, რომ სასამართლო ვკერ კოლეგიალობის ინტერესებიდან გამომდინარე გაიმეტებდა დამნაშავეს და მერე იმის გამოც, რომ იგი უგვარტომო ებრაელი იყო. მისი დაცვა თითქმის უაზრობად იქცა. ლ. ანდრონიკაშვილმა სასწაულად ააგო თავისი სიტყვა. მან სიტყვა პაუზით დაიწყო, ისეთი ხანგრძლივი პაუზით, რომ სასამართლოს თავმჯდომარე უკვე დუმილით გააღიზიანა. ნათელია, რომ ლ. ანდრონიკაშვილმა პაუზის, როგორც მჭევრმეტყველური მხატვრული ხერხის, გამოყენებით სცადა თავად თავმჯდომარე ჩაეყენებინა გაუსაძლის, ნერვების მომშლელ სიტუაციაში, რათა ეჩვენებინა დამნაშავის („კუზიანი“) მდგომარეობა დიდმოხელის ოჯახში და აეხსნა მისი ქცევის მოტივაცია. ამავე მიზნით მან მჭევრმეტყველების კიდევ ერთი ხერხიც გამოი-

ყენა, ეს იყო ერთი და იმავე ფრაზის რამდენიმეჯერმე გამოყენება (16-ჯერ!) ისევ ხანგრძლივი პაუზის მონაცვლეობით. ამას მიაყოლა გაცოფებული თავმჯდომარის ქება-დიდების შემცველი ტექსტი. ამ გარემოებამ თავმჯდომარეს საბოლოოდ დააკარგვინა წონასწორობა. იგი ადვოკატის (ლ. ანდრონიკაშვილის) ლანძღვა-გინებასა და სამსახურიდან გაგდების მუქარაზე გადავიდა. ლ. ანდრონიკაშილმა მიზანს მიაღწია. თავისი სიტყვა ამ ფსიქოლოგიურ მომენტზე ააგო. თუ ადამიანს სასამართლო პროცესზე, სადაც იგი მსაჯულია, სხვის ბედს განაგებს, თავშეკავება, ობიექტურობა და პირუთვნელობა მართებს, ქებით მიმართავენ და ეს ქება აღიზიანებს, ქებას გამოჰყავს წონასწორობიდან, როგორ იგრძნობოდა თავს „კუზიანი“ ყოველდღიური დამცირებისა და აბუჩად აგდების ვითარებაში? განა არ გამოიყვანდა წონასწორობიდან და ჩადენილი დანაშაული განა არ იქნებოდა სრულიად ბუნებრივი რეაქცია, იძულებით ნაბიჯი? ასე მიაღწია მიზანს ადვოკატმა ლ. ანდრონიკაშვილმა და „კუზიანი“ სიკვდილით დასჯა-ჩამოხრჩობას გადააჩინა.

ლ. ანდრონიკაშვილმა თავისი მჭევრმეტყველების წყალობით ბევრჯერ გამოსულა გამარჯვებული უიმედო სასამართლო საქმეში. ერთი ასეთი საქმე იყო, მაგალითად, ბათუმში 1902 წელს მუშათა დემონსტრაციის მონაწილეთა დაცვა, როცა მუშებმა დიდი პატივისცემის ნიშნად იგი ხელში აიყვანეს და ისე ატარებდნენ. განსაკუთრებით დიდი რეზონანსი ჰქონდა ლურასაბ ანდრონიკაშვილის მონაწილეობას ე. წ. ჰარიმანის საქმეში, ნიუ-იორკის საერთაშორისო სასამართლოში, სადაც იგი საქართველოს ინტერესებს

იცავდა ამერიკელ მრეწველ ჰარიმანთან დავაში ჭიათურის მარგანეცის გამო. ლ. ანდრონიკაშვილმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ერთიანად აალაპარაკა საბჭოთა და უცხოური პრესა. მან შესანიშნავად დაიცვა ჭიათურისა და ფოთის მუშათა პროფკავშირების ინტერესები და ნათელყო ჰარიმანის მოქმედების უკანონობა. სამწუხარო ის არის, რომ ლ. ანდრონიკაშვილის დაცვითი სიტყვის ჩანაწერები უცნობია, ჩვენამდე არ მოუღწევია.

ლ. ანდონიკაშვილი რუსეთში სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. იყო პეტერბურგის იურიდიული სამეცნიერო წრის „კონფერენციის“ ხელმძღვანელი (1906-1918), ქ. ტულის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის პედაგოგი (1919-1920), მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი (1920-1921), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1921-1925), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიჰყავდა მიჰყავდა სალექციო კურსები სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სავაჭრო სამართლის, კრიმინალისტიკის, სამართლის თეორიაში და ა. შ. მანვე შექმნა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მოკლე კურსები, უცხო ენებიდან თარგმნა კუნო-ფიშერის „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, დეკარტე, ენეკეცერუსის „გერმანული სამოქალაქო სამართალი“ (ორტომეული), მაიერი „გერმანული ადამიანის ტრადიციული სამართალი“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გარდა სპეციალური საგნებისა, ლ. ანდრონიკაშვილი ლექციების კურსებსაც კითხულობდა სიტყვის კულტურის, მხატვრული ენის, ორა-

ტორული ხელოვნების დისციპლინებში, მიჰყავდა სპექტაკლისი – დამნაშავის ფსიქოლოგია შექსპირის დრამატურგიაში.

ლ. ანდრონიკაშვილი მრავალმხრივ განათლებული, ერუდირებული და მჭევრმეტყველი პიროვნება იყო. იყო ბრწყინვალე შექსპიროლოგი, რაც მის მეცნიერულ-იურისპრუდენციულ ინტერესებშიც გამოჩნდა. ამას გარდა, იგი ღრმად იცნობდა ქართულსა და ევროპულ მწერლობას, თეატრს, სათეატრო ხელოვნებას. იყო არა მარტო სამოსამართლო მჭევრმეტყველების დიდი ოსტატი, არამედ თეორეტიკოსიც.

XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების მნიშვნელოვანი წარმომადგენელია იოსებ ბარათაშვილი (1874-1937). იგი პროფესიონალი იურისტი იყო. მას კარგად იცნობდნენ არა მარტო როგორც ბრწყინვალე ადვოკატს, არამედ როგორც ერუდირებულ, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას, რომელიც თავისი ცხოვრების წესითა და სულიერებით იყო მშვენიერის, ამაღლებულის, არტისტულის ტრფიალი. ეს, სხვათა შორის, იმაშიც გამოვლინდა, რომ აქტიურ საადვოკატო საქმიანობასთან ერთად, უდიდესი სცენისმოყვარეც იყო. შესანიშნავი ხმა ჰქონია. 1928 წელს მას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ლეონკოვალოს ოპერა „ვაჭრებში“ ტონიოს პარტია შეუსრულებია და დიდი მოწონება დაუმსახურებია. ბუნებრივია, ასეთი ბუნების კაცი თავისი პროფესიული მოღვაწეობის სფეროშიც გამოავლენდა ამ ნიჭსა და მისი მჭევრმეტყველების ეფექტურობაც უაღრესად შთამბეჭდავი იქნებოდა.

მართლაც, არაერთი ფაქტია ცნობილი ი. ბარათაშვილის

საადვოკატო პრაქტიკიდან, რომელიც მის მაღალ მჭევრმეტყველურ ოსტატობაზე მიუთითებს. ადვოკატობას იგი 1893 წლიდან, იურევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1937 წლამდე ეწეოდა. აღიარება მას მოუტანა 1907 წელს ე. წ. „ვიბორგის მოწოდების“ სასამართლოს პროცესზე დაცვითი სიტყვის წარმოთქმამ. ჩვენამდე მოღწეულია ამ სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ი. ბარათაშვილის მჭევრმეტყველურ ოსტატობას.

ერთი წლით ადრე ი. ბარათაშვილმა ადვოკატ მიხეილ კლანკთან ერთად კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოზე დაიცვა ქართველი ტერორისტი არსენა ჯორჯიაშვილი, რომელმაც ყუმბარით ააფეთქა კავკასიის არმიის შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი. ამ პროცესზე თავის დროზეც ბევრი ითქვა და დაიწერა და მის შემდეგაც. დაცვა უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან ა. ჯორჯიაშვილი ცნობილი დიდმოხელის მკვლელობისთვის იმთავითვე იყო განწირული სიკვდილით დასჯისათვის. მიუხედავად ამისა, ი. ბარათაშვილმა მაინც შთამბეჭდავად შეძლო დაცვის წარმართვა.

სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ი. ბარათაშვილი დიდი განცდებისა და მაღალი გრძნობების გამომხატველი პიროვნება იყო. ამის გამო მსმენელებზე დიდ ემოციურ და ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენდა. ამაში მას ხელს უწყობდა არტისტული ნიჭი, რაც მის გამოსვლებს პათეტიკურ ელფერს ანიჭებდა. დაცვითს სიტყვებში იგი მძაფრ ფსიქოლოგიურ ელემენტებს იყენებდა. ეს კი ეფექ-

ტურს ხდიდა მათ. გარეგნულ ეფექტურობას კი დიდი შედეგის მოტანა შეეძლო სასამართლოებში [6, 115]. ამის ერთი მაგალითია ი. ბარათაშვილის მიერ მენშევიკების ხელისუფლებისდროინდელი ერთი მკვლელობის საქმეში დამცველად მონაწილეობა. იგი ახალგაზრდა კაცს იცავდა, რომელმაც თავისი სატრფოს და მოკლა იმის გამო, რომ იგი სიყვარულში ხელისშემშლელად მიიჩნია. ი. ბარათაშვილს ისეთი ამაღელვებელი სიტყვა წარმოუთქვამს, რომ ღრმა სიმპათიით განუწყვია მსაჯულები ახალგაზრდა კაცის მიმართ, აუტირებია და მათ დამნაშავე გაუმართლებიათ.

ი. ბარათაშვილის მჭევრმეტყველური ოსტატობის საფუძველი მსმენელზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენას ემყარებოდა. მან საზოგადოებას განუმტკიცა აზრი, რომ ერთი უბედურების არსებობაც საკმარისი იყო და გამართლება არ ჰქონდა მეორე, მართლმსაჯულების მიერ გამოწვეული, უბედურების დამატებას.

XX საუკუნის ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების რაობის გამოკვეთაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გიორგი (ზოზო) ნანეიშვილმა (1894-1937). იგი განათლებული და თავისი დროის კოლორიტული ოჯახის შვილი იყო. მისი მამა, ალექსანდრე, ცნობილი მოღვაწე იყო, მწერლობდა. მწერლობაში „ნალის" ფსევდონიმით იყო ცნობილი, მეგობრობდა ილიასა და აკაკისთან. უმაღლესი იურიდიული განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. სტუდენტობის წლებში აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, კითხულობდა მოხსენებებს სამართლის ფილოსოფიის, სახელმწიფოს სამართლის საკითხებზე.

1917 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფებოდა საპროფესოროდ მოსამზადებლად (თანამედროვე გააზრებით - ასპირანტურაში). 1919 წელს იგი საზღვარგარეთ გაიგზავნა სამართლის ფილოსოფიისა და თეორიის შესასწავლად. სწავლობდა ქალაქ ფრაიბურგში, ბერლინში, 1926 წელს თბილისში დაბრუნდა, თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა. კითხულობდა ლექციების კურსებს სპეციალურ იურიდიულ საგნებში. პარალელურად ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევა-ძიებასაც აწარმოებდა. უამრავ სამეცნიერო ნაშრომთა შორის, რომლებმაც მას აღიარება მოუტანა, გამოირჩევა მისი კაპიტალური ნაშრომი „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული აქტების დასაბუთებისა“ (1929). ამ ნაშრომისათვის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. მაღალი შეფასება მისცეს ამ ნაშრომს ლ. ანდრონიკაშვილმა და აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ.

გიორგი ნანეიშვილი ფართო განათლებისა და ღრმა ერუდიციის მქონე პიროვნება იყო, შესანიშნავად იცნობდა ეროვნულ მწერლობას, მხატვრობას, მუსიკას. ამ დიდ ცოდნას იგი შესანიშნავად იყენებდა თავის ლექციებში. მისი ოჯახი ქართული კულტურის თავისებური სალონის როლს ასრულებდა. იქ ხშირად იკრიბებოდნენ გამოჩენილი ადამიანები: მეცნიერები, მუსიკოსები, მწერლები. ხშირად სტუმრობდნენ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, სანდრო ახმეტელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და სხვები.

გ. ნანეიშვილი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული მწერლობით, ფილოსოფიით. ამ ინტერესის გამოხატულე-

ბად წარმოდგა მისი ნაშრომი შოთა რუსთაველის ფილოსოფიურ და იურდიულ შეხედულებათა შესახებ, სადაც ფილოსოფიური დასაბუთება ეძებნება „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებ სამართლის საკითხებს.

სამართლის თეორეტიკოსი მეცნიერ-მკვლევარი, პედაგოგი გ. ნანეიშვილი ის პიროვნება იყო, რომელმაც ღრმა კვალი ქართულ სამოსამართლო მჭევრმეტყველებასაც დააჩნია.

ამავე პერიოდის სამოსამართლო ორატორული ხელოვნების კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია შალვა მესხიშვილი (1882-1960).

შალვა მესხიშვილი გამოჩენილი მსახიობის ლადო მესხიშვილის ვაჟი იყო. ბუნებრივია, რომ ასეთ ოჯახში აღზრდამ განსაზღვრა მისი პიროვნული სულიერება. შალვა მესხიშვილმა უმაღლესი იურიდიული განათლება ოდესისა და ხარკოვის უნივერსიტეტებში მიიღო. პროფესიული საადვოკატო მუშაობა მან 1910 წლიდან დაიწყო. მან იმთავითვე გამოიჩინა თავი, როცა წარმატებით დაიცვა სასამართლოში ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემლები, რომლებიც პასუხისგებაში მიცემული იყვნენ რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მიერ. მათ შორის იყვნენ „გლეხის“ რედაქტორი, ცნობილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, გაზეთ „ხალხის“ რედაქტორი ზაქარია საფაროვი, „სახალხო ფურცლის“ გამომცემელი დავით ჯორჯაძე და სხვანი.

მოღვაწეობის პირველ პერიოდში შალვა მესხიშვილი უმთავრესად პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობდა. მან, როგორც პოლიტიკურ საქმეთა შესანიშნავმა დამცველმა,

დიდი სახელი და ნდობა მოიხვეჭა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას შორის. ასე, მაგალითად, 1912 წელს იგი იცავდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების სიმონ (შამშე) ლეჟავას და ი. ბადრიძეს, რომელთაც ხელისუფლების ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდება ჰქონოდათ წაყენებული. შალვა მესხიშვილი იცავდა აგრეთვე ამ პერიოდის სხვა ანალოგიურ საქმეებსაც.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური რეაქცია ენდობოდა შალვა მესხიშვილს, როგორც ადვოკატს. ამის გამოხატულება იყო ის გარემოება, რომ მას მიანდეს ცნობილი რევოლუციონერის კამოს დაცვა 1916-1917 წლებში: ერთხელ კამოს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაქცევის საქმეში, ხოლო მეორედ კოვზრის ქუჩაზე ფოსტის თავდასხმისა და ფულის გატაცებაში დადანაშაულების გამო. კოვზრის ქუჩაზე ჩადენილ დანაშაულში დაპატიმრებული იყო კამოს კონსპირაციული ბინის პატრონი ნინო მაისურაძეც. ეს ქალი შალვა მესხიშვილმა უჩვეულო ხერხით იხსნა და მის გათავისუფლებას მიაღწია. იგი ქალს შეუთანხმდა და განაცხადა, თითქოს მამაკაცები მის ბინაზე სექსის გამო იკრიბებოდნენ.

შალვა მესხიშვილის რაშდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეწეოდა ადვოკატობას, იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი. მან დიდი წვლილი შეიტანა სამოსამართლო მჭევრმეტყველების განვითარებაში.

XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში კუთვნილი ადგილი უკავია ალე-

ქსანდრე ჯაფარიძეს (1901-1944). იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილი იყო. მან იურიდიული ფაკულტეტი 1928 წელს დაასრულა, პრაქტიკული საადვოკატო მოღვაწეობა კი 1937 წლიდან დაიწყო და იმთავითვე მიიქცია ყურადღება.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლისა და, შესაბამისად, იურიდიული პრაქტიკის მიუხედავად, ა. ჯაფარიძემ მრავალ სასამართლო პროცესში მიიღო მონაწილეობა. იგი განსაკუთრებით ისეთი საქმეების დაცვებში მონაწილეობდა, რომლებიც სამეურნეო ხასიათის დანაშაულებთან იყო დაკავშირებული. მისი დაცვითი სიტყვები მჭევრმეტყველებით, ანალიზის სიღრმით, ლოგიკურობით გამოირჩეოდა. იგი მნიშვნელობას ანიჭებდა დამნაშავის პიროვნებას, მის ბუნებას და მის სულში სიკეთის მარცვლის საზოგადოების სასიკეთოდ მოქცევის პერსპექტივის არსებობას. ამ პლანში წარმართა მან, მაგალითად, ბრ. ანთაძისა და ე. ოგანეზოვის დასაცავი სიტყვები. განსაკუთრებით საინტერესო იყო ა. ჯაფარიძის სიტყვა ე. ოგანეზოვის პროცესზე. ე. ოგანეზოვს შემთხვევით გაუვარდა იარაღი და თავისი სიყრმის მეგობარი შემოაკვდა. ა. ჯაფარიძემ დამნაშავისათვის ისეთი სასჯელის შეფარდება მოითხოვა, რომელიც ზნეობრივი უფრო იქნებოდა და არა პატიმრობა. ეს სიტყვა სამოსამართლო მჭევრმეტყველების თვალსაჩინო ნიმუშს წარმოდგენს და საილუსტრაციოდ მისი ნაწყვეტის გაცნობაც იკმარებდა. აი, როგორ დაასაბუთა თავისი მოსაზრება ა. ჯაფარიძემ:

„მოსამართლენო, რაც არ უნდა მიუსაჯოთ თქვენ ოგანეზოვს, თუნდაც წარდგენილი მუხლის სანქციით გათ-

ვალისწინებული მაქსიმუმი, მაინც ეს ვერ შეცვლის, ვერ შეამსუბუქებს, ვერ განკურნავს მის სულიერ ტანჯვას...

მე წარმოდგენილი მაქვს, რომ უზარმაზარი ლოდი მწარე განცდებისა აწევს მის გულს. რა უდიდესი სასჯელია მისთვის ასეთი ბრძა და უაზრო შემთხვევის შედეგად, თავისივე ხელით მოსპობა განუსაზღვრელად საყვარელი მეგობრისა?!

მე დარწმუნებული ვარ, რომ მის გულსა და მეხსიერებას სამუდამოდ დაეუფლა 1938 წლის 25 ოქტომბრის ტრაგედია. დარწმუნებული ვარ, რომ ე. ოგანეზოვის სევდიან თვალებს აჩრდილივით თან სდევს საყვარელი ვაჟკაცური იერი გამარჯვებული მეგობრისა, რომელსაც ამოფარებია სიკვდილის სიმბოლო-შესაზარი ჩონჩხი...

მოგახსენებთ, რომ დრო ყველაფერსა ღრღნის, სჭამს, არარად აქცევსო... ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს ნათქვამია ისეთ მოვლენებზე, რომლებიც საუკუნეებსა სწვდებიან. ადამიანის სიცოცხლე კი ესოდენ მოკლეა, რომ ოგანეზოვის სულიერი ტანჯვა შენელდება შეიძლება, მაგრამ მის სიცოცხლეში მაინც არ გაქრება, არ წაიშლება...

უგულო, უტვინო და არარაობა უნდა იყოს ის ადამიანი, რომელმაც უდიდესი მწუხარებით არ მოიგონოს, ჩვენი ქვეყნის ახალი თაობის სიყვარული, უკვე დავაჟკაცებული მამიკონიანი და არ ინანოს ასე უმართებულოდ და ბრმა შემთხვევის შედეგად მისი დაკარგვა...

მაგრამ უძლურნი ვართ სიკვდილის წინაშე და მისდამი სიძულვილში დაბადებულია ადამიანთა სურვილი, რომ იქ, სადაც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის დავაა, იქ სიცოცხლემ უნდა გაიმარჯვოს!“

მოტანილი ნაწყვეტი სრულიად აშკარად წარმოაჩენს ა. ჯაფარიძის მჭევრმეტყველური ოსტატობის მაღალ დონეს.

ა. ჯაფარიძეს, ახალგაზრდობის მიუხედავად, უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. მას რჩევას ეკითხებოდნენ, მისი სწამდათ. ამის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის ამბავი, რომ 1941 წელს, როცა დიდი ილიას მკვლელის ბერბიჭაშვილის პროცესი მზადდებოდა, საქმის მნიშვნელობისა და პროცესუალური სიწმინდის ინტერესებიდან გამომდინარე, დამნაშავის დაცვა მხოლოდ ა. ჯაფარიძეს ანდეს. იოლი წარმოსადგენია იმ ვითარების სირთულე, რომელშიც ადვოკატი აღმოჩნდა. მას, როგორც პროფესიონალს, დამნაშავე უნდა დაეცვა, მაგრამ დამნაშავე ხომ ერის თავკაცის, წინამძღოლის მკვლელი იყო და ამდენად მთელი ერის მტერიც. მისი პირადი მტერიც ხომ იყო, როგორც მამულიშვილისა?

ა. ჯაფარიძემ ბრწყინვალედ ააგო დაცვითი სიტყვა, აქცენტი ადამიანის უფლებაზე ააგო, იმაზე, რაც კანონით ადვოკატის დაცვის აუცილებლობას ქადაგებდა. ამით მან სასამართლო პროცესის ცივილიზებულობაც დაიცვა და განაჩენის კანონიერებაც უზრუნველყო.

ეს ყველაფერი დიდ პროფესიონალიზმსაც საჭიროებდა და ბრწყინვალე მჭევრმეტყველურ ოსტატობასაც. ა. ჯაფარიძემ ყველა ასპექტით გამოიჩინა თავი. ამ ღირსებათა გამო მიიჩნევდნენ მას ადვოკატთა უფროსსა და ახალგაზრდა თაობებს შორის შემაერთებელ ხიდად.

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების თუნდაც ზოგადი მიმოხ-

ილვა შეუძლებელია პროფესიონალი იურისტის დიმიტრი პოლუმორდვინოვის (1906-1952) გარეშე.

დიმიტრი პოლუმორდვინოვი ცნობილი ქართველი მწერლისა და იურისტის ივანე პოლუმროდვინოვის შვილი იყო. ივანე პოლუმორდვინოვი თბილისში პედაგოგობდა, ლიტერატურულ საქმიანობას, ადვოკატობას ეწეოდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან. ივანე პოლუმორდვინოვმა ქართულად თარგმნა ჩეხოვის მოთხრობები და რუსული მწერლობის სხვა მრავალი ნიმუში. ბუნებრივია, რომ დიმიტრი პოლუმორდვინოვის პიროვნების აღზრდაზე დიდი გავლენა ოჯახურმა გარემომ და ტრადიციებმა იქონია.

დიმიტრი პოლუმორდვინოვმა 1928 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და აქედან მოყოლებული ათი წლის განმავლობაში ადვოკატობდა. იგი იყო ადვოკატთა კოლეგიის წევრი. 1938 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტში და პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. მან 1940 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1948 წელს – სადოქტორო დისერტაციები. იგი იურიდიულ მეცნიერებათა აღიარებული მკვლევარი იყო. მან ისეთი ფუნდამენტური ნაშრომები შექმნა, როგორებიცაა: „დისპოზიტიურობა და შეჯიბრების პრინციპი, როგორც სოციალისტური სამოქალაქო პროცესის საფუძველი“, „სასამართლო გადაწყვეტილების მოტივები“ და სხვა.

დიმიტრი პოლუმორდვინოვის ლექციები სამოქალაქო სამართლის პროცესში თეორიული საკითხების პრაქტი-

კასთან მისადაგების ტენდენციით, ნათელი და გასაგები სტილით გამოირჩეოდა [6, 119]. სამოსამართლო პრაქტიკის მასალებს ემყარება მისი სამეცნიერო ნაშრომებიც.

ასეთია უზოგადეს შტრიხებში XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების სურათი. სრულიად ნათელია, რომ ამ დროს ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველება უმთავრესად იმ ტრადიციებით საზრდოობდა, რომელთა შინაარსიც XIX საუკუნის მიწურულს გამოიკვეთა. ქართველმა იურისტებმა, რომელთაც ქართული იურისპრუდენციის ასპარეზზე XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში შეაბიჯეს, XIX საუკუნის პირველ ნახევარში წარმატებით განაგრძეს პრაქტიკული მოღვაწეობა. სწორედ მათ „გამოიტანეს“ წინა საუკუნის სამოსამართლო მჭევრმეტყველების ტრადიციები. მათს ნაღვაწზე აღიზარდა ქართველ იურისტთა შემდეგი თაობები.

მიუხედავად საბჭოური, ზედმეტად იდეოლოგიზებული, ცხოვრების სტილისა, იურისპრუდენციის სფეროს განსაკუთრებულად რომ დაემჩნა, სამოსამართლო მჭევრმეტყველება მეტ-ნაკლებად მაინც დარჩა და გადარჩა იმ ტრადიციის ძალით, რომელიც ქართველ იურისტთა უფროსმა თაობამ შეინარჩუნა. საშუალო და უმცროს თაობებს ამ თვალსაზრისით ჰყავდათ მასწავლებლები, ჰყავდათ ის პიროვნებანი, რომელნიც ერთგვარი მეტრისა და კანონმდებლის ძალის მქონენი იყვნენ. ისინი თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობით უჩვენებდნენ, როგორი და რა რიგისა უნდა ყოფილიყო სამოსამართლო მჭევრმეტყველება. ამასთან ერთად, ამ უფროსი თაობის მოღვაწეობა სამო-

სამართლო მჭევრმეტყველების საჭიროებასაც ათვალსაჩინოებდა. ამით მჭევრმეტყველებას საზოგადოებრივ ღირებულებასაც უნარჩუნებდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედმეტი იდეოლოგიზების პირობებშიც კი, თუნდაც ე. წ. საბჭოური დემოკრატიზმის რენომეს დასაცავად, XX საუკუნის პირველ და განსაკუთრებით მეორე ნახევარში სამართალწარმოების პრაქტიკული საჭიროებაც განაპირობებდა სამოსამართლო მჭევრმეტყველების გარკვეული დონით შენარჩუნებას. ამაზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ იურისპრუდენციის სფეროში იგრძნობა ორატორული სიტყვების ისეთი კრებულების მოთხოვნილება, რომლებშიც მჭევრმეტყველებით გამორჩეულ ქართველ იურისტთა ნაღვაწი იქნებოდა შეტანილი და ახალგაზრდა თაობისათვის მაგალითის, სახელმძღვანელოს ფუნქციას შეასრულებდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ აზრს შეიცავს ერთი ასეთი კრებულის წინასიტყვაობაში საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. პაიჭაძის სიტყვები: „ქართველი საბჭოთა ადვოკატების დაცვითი სიტყვების გამოქვეყნება მნიშნელოვანი საქმეა. ამით თეორიული და პრაქტიკული“ მართლმსაჯულების მუშაკები და ფართო საზოგადოება პირველად გაეცნობა ჩვენი იურიდიული აზროვნების ერთ მხარეს...

...ამ კრებულის გამოცემის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ადვოკატთა ახალგაზრდა კადრების სწორად აღზრდასა და განსწავლას, რათა ისინი ნათლად გაერკვნენ იმ რთულსა და სადავო საკითხებში, რომლებიც სამოსამართლო ორგა-

ნოებში ხშირად წარმოიჭრება ხოლმე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს“ (8, 4).

როგორც ცნობილია, საბჭოური მართლმსაჯულების „დემოკრატიზაციის“ მაუწყებელი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სამართალწარმოებაში ადვოკატის როლისა და მისი აუცილებლობის დაკანონება, რაც საბჭოთა საქართველოში 1961 წელს განხორციელდა. ამ წლის 27 დეკემბერს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის დებულება. ამით აღდგა სამართალწარმოების ერთ-ერთი აქტიური მოქმედი პირის ადვოკატის უფლებამოსილება და, შესაბამისად, სამოსამართლო მჭევრმეტყველების საჭიროებაც. ამ საჭიროების სახელდახელო დაკმაყოფილების გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ 1963 წელს „ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვების“ კრებულის გამოცემაც, რომლის წინასიტყვაობის ნაწყვეტიც ზემოთ წარმოვადგინეთ. ამ კრებულს მართლაც მრავალნაირი მნიშვნელობა დაეკისრა. ჯერ ერთი, მას ერთგვარი სახელმძღვანელოს, უფრო სწორედ, გზამკვლევის როლი უნდა შეესრულებინა ახალგაზრდა ქართველი ადვოკატების თრატორული დახელოვნების თვალსაზრისით, მეორეც, მას XX საუკუნის დასაწყისიდან 60-იანი წლების ჩათვლით დროითი მონაკვეთის ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების რაგვარობის სურათიც უნდა წარმოედგინა.

სწორედ ამის გამოა, რომ ამ კრებულში XX საუკუნის ქართველ ადვოკატთა სხვადასხვა თაობის სამოსამართლო სიტყვებია შეტანილი, ანუ, უფროსი თაობის წარმომადგენლების – შალვა მესხიშვილის, ბიძინა ბარათაშვილის

სიტყვებთან ერთად, ამ კრებულში შეტანილია ვ. ბაქრაძის, ა. გელოვანის, შ. გვათუას, ა. დოლიძის, პ. ინასარიძის, კ. კალანდაძის, ი. კაშიას, ვ. კაჭახიძის, ნ. კევლიშვილის, ვ. კეკელიას, გ. ლეჟავას, ა. ლომინაძის ა. საგინაშვილის, ვ. სიდამონიძის, მ. უგრეხელიძის, ვ. ურატაძის, ზ. ხომერიკის, ა. ჭიჭინაძისა და ვ. კეკელიძის სამოსამართლო სიტყვები.

აღნიშნული კრებული XX საუკუნის ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების დონეს გვიჩვენებს. კრებულში შეტანილი ყველა სიტყვა მჭევრმეტყველების თვალსაზრისით, რასაკვირველია, ერთნაირი ღირებულებისა არ არის და არც შეიძლება იყოს, მაგრამ მთლიანობაში გვარწმუნებს, რომ ამ თავისებურად რთულ ეპოქაშიც ჩვენს სამოსამართლოს მჭევრმეტყველებას კარგად შემოუნახავს თავი.

უნდა ვიყვარაუდოთ, რომ XX საუკუნის მიწურულს ე. წ. პოსტსაბჭოურ სინამდვილეში, როცა ჩვენს მართლმსაჯულებაში ჭეშმარიტი დემოკრატიული პრინციპები დამკვიდრდა, ახალი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა და დემოკრატიული სასამართლო რეფორმა განხორციელდა, ქართულ სამოსამართლო მჭევრმეტყველების განვითარების ახალი ასპარეზი გადაეშალა.

თავი V. ორატორული მეტყველების (მჭევრმეტყველების) კულტურის ბუნება

ორატორული მეტყველება ზეპირი მეტყველების სახეობაა. მისი არსებითი მახასიათებელია მეტყველების მიზნობრიობა და მიზნობრიობიდან გამომდინარე შთამბეჭდაობა, ინტონაციურობის გამოკვეთილობა, სხეულის ენის განსაკუთრებული აქტიურობა: გამომეტყველების, როგორც შინაგანი „მეტყველების“, მიმიკის, ჟესტიკულაციის, თავის დაჭერის როლებრივი მონაწილეობა ვერბალურ კომუნიკაციაში. სწორედ ამ მოცემულობებით არის განსაზღვრული ორატორული მეტყველების კულტურის ბუნება, რომელიც ლინგვისტიკისა და პარალინგვისტიკის მოვლენებს ემყარება.

• **ორატორული მეტყველების სტილის ლინგვისტიკა**

უკვე ცნობილია, რომ ორატორული მეტყველების სტილი ჯერ კიდევ ძველ ეპოქებში, განსაკუთრებით ანტიკურ ხანაში, შეისწავლებოდა აქტიურად. ამ სტილის ბუნების კვლევები მას შემდეგ თითქმის ყველა ეპოქაში გრძელდებოდა და გრძელდება. ორატორული მეტყველების სტილის საერთო ბუნების კვლევას, მისი სპეციფიკის დადგენას ის გარემოებაც ართულებს, რომ ზოგად კანონზომიერებებს ემატება კონკრეტული ორატორების იდეო სტილების თავისებურებები.

ორატორული მეტყველების სტილის უზოგადეს თავისებურებად სწორმეტყველებაა მიჩნეული, ანუ სტანდარტიზებული, სალიტერატურო ენის ნორმათა შესატყვისი მეტყველება. ისეთი აზრიც არის გავრცელებული, რომელიც უარყოფს

ორატორული მეტყველების სტილის არსებობას, რადგან არ არსებობს მხოლოდ ერთი სტილის საშუალებები და ელემენტები. თანამედროვე ორატორული მეტყველების სტილი სხვადასხვა სტილების სიმბიოზია. და მაინც, ამჟამად გარკვეულია, რომ ორატორული მეტყველების სტილი ფუნქციური სტილის კონკრეტული სახეობაა.

ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის არსებით მახასიათებლებად მიჩნეულია:

1. ენის სიწმინდე;
2. ენის სიმდიდრე;
3. მეტყველების სისადავე, სიმოკლე, ძალმოსილება;
4. მეტყველების სიცხადე, სიზუსტე;
5. მეტყველების კეთილხმოვანება;
6. მეტყველების ემოციურობა, ექსპრესიულობა, შთამბეჭდაობა.

1. **ენის სიწმინდე.** ენის სიწმინდის ტერმინოლოგიური შინაარსი მოიცავს სტანდარტიზებული (სალიტერატურო) ენის ნორმათა დაცვას. ტრადიციული აზრი ორატორისაგან, პირველ რიგში, სტანდარტიზებული ენის სიწმინდის ზედმიწევნით დაცვას მოითხოვდა, რადგან ორატორული მეტყველების პრაქტიკა ცხადყოფდა, რომ ენის სიწმინდე (სტანდარტიზებული ენის სტილისტიკურ ნორმათა დაცვა) უზრუნველყოფდა მსმენელთა ნდობას ორატორისადმი და მეტყველების მიზნის რეალიზებას.

ენის სიწმინდე, როგორც სამეტყველო მოვლენა, სამი მომენტით განისაზღვრება. ესენია:

1. ლინგვისტიკური სტილისტიკის ნორმათა დაცვა;

2. სიტყვათხმარება;
3. წარმოთქმის სისწორე.

1. ლინგვისტური სტილისტიკის ნორმათა დაცვა, უპირველესად და უმთავრესად, **მორფოლოგიისა და სინტაქსის** წესებისა და მოთხოვნების შესრულებას გულისხმობს. ერთიცაა, რომ მორფოლოგიაზე უფრო მნიშვნელოვანი სინტაქსური წესებია, რადგან მორფოლოგიის წესები სასკოლო განათლების საგანგებო ინტერესის საგანია და მათი ცოდნის ტრადიციები უფრო ღრმად არის აღბეჭდილი ენის ნებისმიერი მომხმარებლის ენობრივ ცნობიერებაში. სინტაქსის გრამატიკული წესების, მოთხოვნების, ნორმების დაცვა კი უფრო რთულია, რადგან მათ, როგორც წესი, იდეოსტილის თავისებურებების თანაარსებობაც აჩნევს კვალს.

ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის სინტაქსის თავისებურებათაგან უპირველესად წინადადების აგებულებას (კონსტრუქციას) ასახელებენ. ორატორულ მეტყველებაში, ისევე, როგორც საზოგადოდ ქართულ სტანდარტიზებულ (სალიტერატურო) მეტყველებაში, არ არის გამოვლენილი და დაკანონებული წინადადების „ოპტიმალური“, სტანდარტული ტიპი.

ამ ენობრივი მოვლენის მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ შეუძლებელი და გაუმართლებელია ერთგვაროვანი წინადადებებით მეტყველება, რადგან ასეთი მეტყველება მონოტონური, მოსაწყენი იქნება. ამ ხიფათისაგან თავის დაღწევის გზა სხვადასხვა კონსტრუქციის მქონე წინადადებებით მეტყველებაა.

• ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის ერთი

თავისებურება პერიოდის ხერხის გამოყენებაში მდგომარეობს. პერიოდის ხერხი გამონათქვამის (წინადადების) ორ საპირისპირო ნაწილად დაყოფას გულისხმობს. პირველი ნაწილი აღმავალი ინტონაციითა და ექსპრესიით წარმოითქმება, მეორე – დამავალით. პირველი ნაწილი მსმენელის ყურადღებას ნათქვამის მნიშვნელობას მიაქცევს, მეორე – ნათქვამის აზრობრივი სისრულის განცდას გამოკვეთს.

პერიოდი ხშირად რთულ წინადადებაში დამატებითი წინადადების საფუძველზე გამოიყოფა. სტილისტურად ფიქსირებული ფორმის გამეორებას წარმოადგენს.

მაგალითად:

1. ჩვენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის შვილებს წარმოვადგენთ,

2. **რომლებსაც გული შესტკივათ ჩვენი ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობის გამო,**

3. არამედ ამ უმძიმესი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად ბრძოლის მონაწილეებსაც წარმოვადგენთ.

• პერიოდის გამოყოფას ემსახურება განკერძოებულ გამოთქმათა გამოყენება. მაგალითად, „უსაშინლესი სენი, ადამიანთა ვაჭრობა, ღრღნიდა საქართველოს ეროვნულ სულს“ (აკაკი ბაქრაძე). აქ განკერძოებული გამოთქმაა „ადამიანთა ვაჭრობა“ და იგი აზუსტებს ქვემდებარეს, განკერძოებული გამოთქმა ხმის დაწევით (დაღმავალი ინტონაციით) წარმოითქმის და მეტყველებას უშუალობასა და ბუნებრიობას ანიჭებს.

• ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის ერთ თავისებურებას ქმნის ისეთი ენობრივი მოვლენის ხშირი გამოყენება, როგორიც არის გრამატიკაში ცნობილი **ჩართული**. იგი ისეთი სიტყვაა, რომელიც გამონათქვამში სხვა

წევრებთან გრამატიკულად არ არის დაკავშირებულ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, განსაკუთრებით რიტორიკის თეორეტიკის თვალსაზრისით, რადგან **ჩართული** ცხადყოფს, თუ როგორ უყურებს ორატორი საკუთარ ნათქვამს, თქმის ფორმას, ან შეიცავს მითითებას აზრის წყაროზე და ა. შ.

ჩართულის სიტყვიერი ფაქტურა უაღრესად მრავალფეროვანია. იგი გამოხატავს:

- ნათქვამისადმი ორატორის დადებით დამოკიდებულებას: „ცხადია“, „რასაკვირველია“, „ეჭვსგარეშეა“, „აშკარაა“, „მართალია“ და ა. შ.
- ნათქვამისადმი ორატორის უარყოფით დამოკიდებულებას: სკეპსისს, დაეჭვებას: „მგონია“, „როგორც ეტყობა“, „ალბათ“, „როგორც ჩანს“ და ა. შ.;
- ნათქვამის წყაროზე მითითებას (ვის ეკუთვნის ნათქვამი): „როგორც ამბობს“, „როგორც გადმოგვცემს“, „მისი აზრით“, „მისი ფიქრით“ „მისი ვარაუდით“ და ა. შ.;
- ორატორის დამოკიდებულებას საკუთარი აზრის გამოხატვის ფორმისა და სტილისადმი: „უკეთ რომ ვთქვათ“, „სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ“, „ასე რომ ვთქვათ“, „სიმარტლით რომ ვთქვათ“, „მოდით, ასე ვთქვათ“;
- ორატორის მიმართვას მსმენელისადმი: „წარმოიდგინეთ“, „მერწმუნეთ“, „ნუ გაგიკვირდებათ“, „დამეთანხმებით“, „ნუ დაივიწყებთ“, „როგორც თავად მიხვდებით“ და ა. შ.
- ორატორის აზრთა თანმიმდევრობას, ან დამოკიდებულებას წინარე აზრთან: „ერთი“, „მეორე“, „ვკერ ერთი“, „ერთი სიტყვით“, „მაშასადამე“ და ა. შ.

• ორატორული მეტყველების სტილის თავისებურება ისიც არის, გამონათქვამის (წინადადების) აგებულება (სიტყვა რიგი) სიტუაციურია. არაერთი ნიუანსი მსმენელის რეაქციით, სიტუაციის შესაბამისად ივსება, ზოგიერთი უთქმელი რჩება, ნაგულისხმევის რიგში გადადის, იცვლება სიტყვათა რიგი და სხვა. ამგვარი სტილური მოვლენები კი აძლიერებს ორატორის ნათქვამის შთამბეჭდაობას, ექსპრესიულობას, ემოციურობას.

• ორატორული მეტყველების სტილის შთამბეჭდაობას და ეფექტურობას უზრუნველყოფს სიტყვის სწორი შერჩევა, გამოსათქმელი აზრისადმი მისი ზუსტი შესაბამისობა. სიტყვა მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, როდესაც ზუსტად გამოხატავს სათქმელს, არასწორად შერჩეულმა სიტყვამ კი, შესაძლოა, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს ორატორი. მაგალითად, სრულიად გააბუნდოვანებს აზრს, თუ სიტყვა „მოკვდავის“ ნაცვლად გამოიყენებთ სიტყვას „მომაკვდავი“ და ვიტყვით: „ბატონებო, გავიცნობიეროთ ჩვენი გადაწყვეტილების ისტორიული მნიშვნელობა და გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ მომაკვდავნი ვართ“ (ნაცვლად სიტყვისა „მოკვდავნი“).

მეტყველების მიზანი ისაა, რომ ნათქვამის შინაარსი მსმენელმა ზუსტად ისე გაიგოს, როგორც ორატორს აქვს მოაზრებული, ანუ ორატორის სიტყვა მსმენელმა ზუსტად ისე უნდა გაიგოს, როგორც თავად ორატორს ესმის.

2. ენის სიმდიდრე

ენის სიმდიდრე ლექსიკის მარაგს აღნიშნავს. ადამიანების ლექსიკური მარაგი განსხვავებულია, ალბათ, სჭირდება ორი ისეთი ადამიანის მოძებნა, ერთნაირი რაოდენობის სიტყვებს

რომ გამოიყენებენ ენობრივ პრაქტიკაში. მეტყველების შთამბეჭდაობა კი სწორედ სიტყვათა მარაგის სიდიდეზეა დამოკიდებული, რაც მეტი სიტყვა იცის მოლაპარაკე სუბიექტმა, მით უფრო ზუსტად გამოხატავს განზრახულ აზრს და მით უფრო ადეკვატურად ახერხებს მსმენელისათვის მიწოდებას.

თუ სიტყვების მარაგი მწირია, ორატორი მოარული ფრაზებითა და გამოთქმებით მეტყველებს და მისი მეტყველება დაშტამპული ხდება.

• **შტამპი** გაცვეთილ გამოთქმაა. იგი ერთფეროვანს ხდის მეტყველებას, ეფექტურობას უკარგავს გამოსათქმელ აზრს. შტამპი განსაკუთრებით ზიანის მომტანი ორატორულ მეტყველებაშია, თორემ მას თავისებური სტილისტური ფუნქცია მაინც აქვს, მაგალითად, საკანცელარიო ენის ფუნქციური სტილისათვის.

ადამიანის ლექსიკური (სიტყვიერი) მარაგი ორი სახეობის სიტყვებისაგან შედგება. ერთ სახეობას ქმნის ის სიტყვები, რომლებსაც ხშირად, თითქმის ყოველდღიურად გამოიყენებს ადამიანი. ამგვარი სიტყვები აქტიურ მარაგს ქმნიან, ხოლო ის სიტყვები, რომელთაც იშვიათად გამოიყენებს, იცის, მაგრამ აღარ ახსოვს, პასიურ მარაგს განეკუთვნება.

ორატორულ მეტყველებაში მშობლიური ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ღრმა ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ამ ცოდნის საფუძველია ეროვნული მწერლობა და, საერთოდ, წიგნიერება.

3. მეტყველების სისადავე, სიმოკლე, ძალმოსილება

ორატორული ფუნქციური სტილის ერთ-ერთი ნიშანია სათქმელის სისადავე (გამჭვირვალობა) და მოკლედ თქმა.

სისადავე და მოკლედ თქმა აზრის ლაკონიურად, ზუსტად და ნათლად გამოხატვის მოთხოვნაა. ამ მოვლენას ყურადღება ჯერ კიდევ რიტორიკის დიდოსტატმა ციცერონმა მიაქცია და აღნიშნა:

ორატორის ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ არა მარტო ისა თქვას, რაც სათქმელია, არამედ არც ისა თქვას, რისი თქმაც საჭირო არ არის.

ნათელია, რომ ციცერონის აზრით, ორატორმა არა მარტო სათქმელი უნდა იცოდეს კარგად, არამედ ისიც უნდა იცოდეს, როგორ უნდა თქვას ეს სათქმელი: არც არაფერი დააკლოს, არც დაამძიმოს, გადატვირთოს უფუნქციო, ფუჭი სიტყვებით. გრძელი სიტყვის მოკლედ თქმაზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ და ანტიკური რიტორიკის ღრმა ცოდნა გამოავლინა: მელექსემ სიტყვებს არ უნდა დაუწყოს ძებნა და სიტყვის მარაგის სიმწირის გამო არ დაამახინჯოს (აზრი არ დაუკარგოს) სათქმელი. გამოდის, რომ მოკლედ თქმა ხელოვნებაა, ოსტატობაა.

დადგენილია, რომ ადამიანი ვრცლად და დაუსრულებლად, თანაც უთავბოლოდ მაშინ ლაპარაკობს, როცა ცუდად იცის სათქმელი, ანუ ის, რაზედაც საუბრობს. უთავბოლო საუბარი სიტყვამრავლობას იწვევს. სიტყვამრავლობაში, როგორც წესი, სათქმელის აზრი იკარგება, მსმენელი ვეღარ იჭერს მთავარს, ორატორის მსჯელობის პროცესს.

თუმცა ისიც არის ანგარიშგასაწევი, რომ არცთუ იშვიათად სიტყვამრავლობა ორატორული მეტყველების სტილისტიკური ხერხის ფუნქციას იძენს, განსაკუთრებით მაშინ,

როდესაც ორატორი სამეტყველო განზრახულობის დაფარვას (შეფუთვას) ცდილობს.

მრავალსიტყვაობის მიზეზი ზოგჯერ ტავტოლოგიის მოვლენაა, რასაც გამონათქვამში მსგავსი სიტყვების განმეორებით გამოიყენება იწვევს. მაგალითად, „პრეზიდენტის კორტეჟის სამოძრაო ტრასაზე ფუგასურმა ნაღმმა კორტეჟის პირველი მანქანა მთლიანად გაანადგურა“. აქ ტავტოლოგიას ქმნის სიტყვა „კორტეჟი“. ტავტოლოგიის აცილება განმეორებული სიტყვის სინონიმური სიტყვით ჩანაცვლებითაც შეიძლება.

მრავალსიტყვაობის კიდევ ერთი მიზეზი **პლეონაზმის** მოვლენაა. პლეონაზმი ბერძნული სიტყვაა და ზედმეტობას, სიჭარბეს ნიშნავს. პლეონაზმში სიტყვები აზრობრივად ერთმანეთს ჰგვანან. ამის გამო ერთი ყოველთვის ზედმეტია იმის გამო, რომ მისი ამოღებით გამონათქვამის (წინადადების) აზრი არ იცვლება. მაგალითად, განვიხილოთ წინადადება „პლატონი უკან გახარებული დაბრუნდა“. აქ სიტყვა „უკან“ ზედმეტია, რადგან ზმნა „დაბრუნდა“ ისედაც აქედან წასულის უკან მოსვლას გამოხატავს.

მიუხედავად პლეონაზმის ამგვარი ბუნებისა, მხატვრულ და ორატორულ მეტყველებაში ზოგჯერ ფუნქციური სტილის საინტერესო ელემენტის ფუნქციას იძენს. იგი აზრის დამაზუსტებელ, დამაკონკრეტებელ ფუნქციას იძენს. მაგალითად, წინადადებაში „პეტრემ ძმების შესახებ სრულიად არაფერი იცოდა“, ერთი შეხედვით, სიტყვა „სრულიად“ პლეონაზმურია, თუმცა გარკვეულ ფუნქციას მაინც ასრულებს - აზრს აზუსტებს და მთელ წინადადებას თავისებურ ექსპერესიას ანიჭებს.

პლეონაზმი, არსებითად, ტავტოლოგიაა, რადგან აზრობრივად მსგავსი სიტყვების არსებობას ცხადყოფს. ამის გამო ზედმეტად გატაცება პლეონაზმებით სტილისტურ ღვარჭნილობაში გადაიზრდება.

ორატორული მეტყველების სტილისათვის შეუფერებელია ვრცელი მსჯელობით გადატვირთული გამონათქვამები, საყოველთადო ცნობილი აზრის შემცველი ფრაზეოლოგიის სიჭარბე, რაც კარგად ცნობილის „გადაღეჭვის“ ფაქტს იწვევს, ეს კი ღლის მსმენელს და ორატორისადმი ინტერესს უკარგავს.

სიტყვამრავლობის დასაძლევად მეტყველების სტილზე განუწყვეტელი მუშაობაა საჭირო.

4. მეტყველების სიცხადე, სიზუსტე

ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის სივრცეში მეტყველების სიცხადესა და სიზუსტეში იგულისხმება გასაგებობა. გასაგებობა, საზოგადოდ, ნებისმიერი მეტყველების უმთავრეს მიზანს შეადგენს, მაგრამ ორატორის მეტყველებაში ამ მოთხოვნას სიტყვა ზედმიწევნით ზუსტად უნდა აკმაყოფილებდეს, თითოეული სიტყვა, ფრაზა, თქმა აზრით უნდა იყოს დატვირთული, არ უნდა იყოს გაჯერებული მხოლოდ ვიწრო წრისათვის გასაგები სპეციფიკური ტერმინოლოგიით ან სხვა რიგის უცხოური წარმომავლობის სიტყვებით, მაშინაც კი, თუ ორატორის თემა მოითხოვს ასეთ ტერმინოლოგიას, ყოველი ტერმინი ყველასათვის გასაგები ახსნა-განმარტებით უნდა იქნეს გამოყენებული. მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ახსნა-განმარტება აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მსმენელის, ფართო აუდიტორიის შემეცნებითს უნარებს.

ახსნა-განმარტების წარდგენა სხვადასხვა გზით შეიძლება. ერთ შემთხვევაში ვრცელი განმარტებებით, მეორე შემთხვევაში – ტერმინების შეცვლით ქართული სინონიმებით. სინონიმური ქართული სიტყვების დაძებნა ორატორის მეტყველებას უფრო ემოციებით აღავსებს, ამით კი გაიზრდება შთამბეჭდაობის ძალმოსილებაც და ელფერიც. ფსიქოლოგებიც ირწმუნებიან, რომ მსმენელს უაღრესად სიამოვნებს ორატორის მიერ ეროვნული ლექსიკური მარაგიდან მოვიწყებული სიტყვის „აღმოჩენა“, „პოვნა“, „გახსენება“, რომელიც უცხოურის ბადალია აზრობრივად და ქართული ენობრივი ცნობიერების სისავსეს ცხადყოფს.

უცხოური წარმომავლობის სიტყვით გატაცება, როგორც ჩანს, ადამიანის კულტურული ცნობიერების სენია, რადგან ეს მოვლენა ჯერ კიდევ ანტიკურ რიტორიკებშია დაფიქსირებული. მაგალითად, უცხოური სიტყვებით გატაცებისაგან თავშეკავების აუცილებლობაზე ყურადღებას ჯერ კიდევ არისტოტელე ამახვილებდა.

5. მეტყველების კეთილხმოვანება

დადგენილია, რომ მეტყველების კეთილხმოვანება მჭევრმეტყველებასა და მხატვრული ენის, განსაკუთრებით პოეზიის ენაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

ზოგიერთი მკვლევარი ამ მოვლენას ზედმეტად მიიჩნევს სამართალმცოდნეობის სფეროში. არგუმენტად კი ის მოაქვთ, რომ სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში ნერვული და დაძაბული ელფერი ჭარბობსო. მიუხედავად ამისა, ამნაირი თვალსაზრისის მკვლევრებიც აღიარებენ, რომ ორატორებმა მაინც არ უნდა უგულებელყონ გამოთქმა-

თა კეთილხმოვანება. ამ დასკვნის საფუძველს კი ენობრივი სასამართლო მჭევრმეტყველებისა და, საერთოდ, სამართალწარმოების ფუნქციური სტილის პრაქტიკა ცხადყოფს. ამას გარდა, მიზეზი ისიც არის, რომ სიტყვის კეთილხმოვანებისაკენ მიდრეკა და მისი უზრუნველყოფა ადამიანის შემეცნების თვისებაა და მას მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი კვებავს, რაც ასევე ბუნებრივია. ამას ადასტურებს პოეზიის სიყვარული, ლამაზად და შთამბეჭდავად მეტყველების მოთხოვნილება.

მეტყველების კეთილხმოვანების ძალმოსილება იმაშიც მდგომარეობს, რომ მხედველობისა თუ სმენისათვის მიუღწეველ სფეროებს სწვდება. ამ მოვლენის ერთი გამოვლინება წარმოდგენილი აქვს მხატვრული მეტყველების სტილის აღიარებულ მკვლევარს გრ. კიკნაძეს გიორგი ლეონიძის პოეზიიდან, რომელიც „გემოსა და სუნის შეგრძნებათა ფართო გამოყენებაში მდგომარეობს“. დასტურად მოჰყავს პოეტის თქმა: **„გადეყარა ნარიყალას ნაცრისფერი ბური, ხაში, ხილი და თონიდან ამოყრილი პურიო“.** აქ მეტყველების კეთილხმოვანებას ქმნის ბგერობრივად მსგავსი სიტყვების გამოყენებაც: **„გადეყარა ნარიყალას“.**

დადგენილია, რომ მეტყველების კეთილხმოვანებას ხელშესახებად რიტმის მოვლენა წარმოაჩენს. რიტმი შინაგანად აწესრიგებს მეტყველებას, თანაც ისე და იმდენად, რომ პროზაულ მეტყველებას ლექსს ამსგავსებს. ამგვარი მეტყველებით გამოირჩევა, მაგალითად, მწერალი ვასილ ბარნოვი, რომლის მხატვრული ტექსტები რიტმული პროზის ბრწყინვალე ნიმუშებია. მისი მხატვრული მეტყველება

იმდენად რიტმულია, რომ პროზაული ტექსტი ემოციების შესატყვისად რომ გავშალოთ, ლექსად მოგვეჩვენება. მაგალითად, დავაკვირდეთ ასეთ გამონათქვამებს:

„განიხვნენ კარნი და
გამობრძანდა მზე თამარი,
მეფეთა სრული სამოსელით
დამშვენებული“.

• მეტყველების კეთილხმოვანებას ანიჭებს **ხმის ტემბრიც**, ანუ ხმის მუსიკა, თუმცა მას ნაკლები ყურადღება ეთმობა სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში. მეტყველების კეთილხმოვანება უზუსტესად ასახავს ორატორის სულიერ ლტოლვა – მოსწრაფებებს და არა მარტო მისი სათქმელი (აზრი) უნდა გამოიხატოს, არამედ გრძნობაც, სათქმელისადმი დამოკიდებულებაც და ისიც, თუ როგორ აფასებს ორატორი მსმენელს.

6. მეტყველების ემოციურობა

ორატორული ფუნქციური სტილის მთავარი მახასიათებელია ემოციურობა. ემოციისაგან დაცლილი მეტყველების შინაარსი მსმენელამდე ადეკვატურად თითქმის ვერ აღწევს, რადგან ასეთი მეტყველებისადმი მსმენელი გულგრილობას იჩენს. აზრი ემოციის თანხლებით ხდება გასაგები, რადგან მეტყველების აღქმის მთელ სქემას ცვლის მეხსიერების და ყურადღების მექანიზმებზე აქტიური ზემოქმედების საფუძველზე.

ორატორი მსმენელს მხოლოდ ინფორმაციას არ აწვდის. ნათქვამისადმი საკუთარ ემოციურ დამოკიდებულებასაც ამცნობს, თანამოაზრედ გადაქცევას ისახავს მიზნად და გარკვეულწილად ახერხებს კიდევაც, რადგან საკუთარ

ემოციას გადასდებს მსმენელს, ხოლო ემოცია გამორჩეულად გადამდები თვისებისაა.

მეტყველების ემოციურობის განმსაზღვრელ ენობრივ საშუალებებს, ჩვეულებრივ, ორად აჯგუფებენ. ერთ ჯგუფში აერთიანებენ სტილისტიკური სინტაქსის ტენდენციებს, მეორეში – გამოსახვის ლექსიკურ საშუალებებს, ანუ ტროპებს.

ემოციურობის განმსაზღვრელი სტილისტიკური სინტაქსის ტენდენციებს ფიგურებადაც მოიხსენიებენ. ასეთ ფიგურებს უწოდებენ: **ანაფორას, ინვერსიას, გრადაციას, ანტითეზას, რიტორიკულ მიმართვას, რიტორიკულ შეკითხვას, რიტორიკულ შეძახებას, რიტორიკულ შეწყვეტას, რიტორიკულ გაჩუმებას, რიტორიკულ შეჩერებას.**

• **ანაფორა** ბერძნული სიტყვაა, გამოტანას ნიშნავს. მხატვრულ მეტყველებაში სტრიქონების დასაწყისში ერთი და იგივე ბგერის, სიტყვის გატანით გამოიხატება, მაგალითად:

„სიჩუმეა...
მხოლოდ წყნარად თუ ირხევა დაფნის ტოტი...
მხოლოდ ნაძვი თუ ირხევა, თორემ ისე სდუმს წალკოტი–
სიჩუმეა“ (გალაკტიონი).

კიდევ ერთი მაგალითი ვნახოთ:

„და სევდა მიპყრობს ისევ და ისევ,
დაბნელდა ჩემი ოცნების მხარე,
არყოფნის ღამევ, შენსკენ მოვიწევ!
არყოფნის ღამევ, შენ დამიფარე“!

(ტერენტი გრანელი)

აქ სიტყვებისა და გამოთქმების გამეორებები ემოციურობით აღავსებს ნათქვამს.

სათქმელის ემოციური იერით გაჯერების მცდელობის დროს ანაფორის სიჭარბე, მის გრძელი რიგი მსმენელის გადაღლას იწვევს, რადგან ადამიანის ფსიქიკა ვერ უძლებს ხანგრძლივ ემოციურ დაძაბულობას.

• **ინვერსია** ლათინური სიტყვაა, ნიშნავს გადასმას, გადაადგილებას, აღნიშნავს გამონათქვამში (წინადადებაში) სიტყვათა ჩვეულებრივი რიგის შეცვლას. ორატორულ მეტყველებაში ინვერსია ხორციელდება მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილების შეცვლით. გრამატიკული სტილისტიკის მიხედვით, პირველ ადგილზეა მსაზღვრელი, მეორეზე – საზღვრული. მაგალითად, წითელი ვაშლი. ასეთ დროს შესიტყვება აქცენტირებულია მხოლოდ შინააარსზე, ემოციისაგან დაცლილია, მაგრამ ამ შესიტყვების ემოციური იერი მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი მასში შემავალ სიტყვებს ადგილებს შევუნაცვლებთ: „ვაშლი წითელი". ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გახდება ვაშლის სიწითლე და წითელი ფერის ასოციაციების გაცოცხლება ყურადღებას ემოციაზე გადაანაცვლებს.

• **გრადაცია** ლათინური წარმომავლობისაა და ამაღლებას, გაძლიერებას ნიშნავს. დავაკვირდეთ გრადაციის ასეთნაირ მაგალითს:

„გალაკტიონმა არა მხოლოდ უკვდავყო ჭყვიში, არამედ თითქოს გაალეგენდა. პოეტური სურნელით გაჟღინთა მისი ჰაერი, რომანტიკული ფერებით გაულამაზა პეიზაჟი, უცნაურ-ამაღლებული ხილვები და ასოციაციები შეუწყვილა სინამდვილეს...

...აქ ღამღამობით დგება წაქცეული ცამეტი სვეტი და ცეკვავს სამეფოდ ნაქარგი ქოში...

...აქ ვარსკვლავების თოვლი ცას შელევია და ნანაობს ატმის შტოზე მთვარის ჩრდილი...

...აქ ქარი ხეთა რიგს, ხეთა ჯაჭვს რკალად ხრის და ზამთარს ბილიკი დაუტანია..." [9, 4].

წარმოდგენილ ფრაგმენტში გრადაციას ქმნის გალაკტიონის მიერ მშობლიური სოფლის ჭყვიშის სანახების გალეგენდების ნ. ტაბიძისეული აღქმა და განცდა.

გრადაციებით ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის ორი ტენდენცია ვლინდება. ერთია ორატორის განწყობილების გაძლიერების, მაღალი რეგისტრებში თანდათანობით გადაზრდის ჩვენება, მეორეა მისი ემოციების თანდათანობით დაცხრომა-შესუსტების გამოხატვა.

• **ანტითეზა** ფაქტს ან მოვლენას საპირისპირო დებულებებით, ცნებებით გამოხატავს. ეს კი ნიშნავს, რომ ანტითეზა მსგავსება-განსხვავების პრინციპით ასახავს მოვლენას. იგი ამით ემსგავსება შედარებასაც და კონტრასტსაც. ანტითეზის მაგალითია: „ადამიანთა ვაჭრობასთან თავგამოდებული მებრძოლი სოლომონ I მაინც ადამიანებს უგზავნიდა საჩუქრად რუსეთის იმპერატრიცას" (აკაკი ბაქრაძე).

• **რიტორიკული მიმართვა** მსმენელის გონებასა და გრძნობებზე აპელირებს. რიტორიკული მიმართვა სხვადასხვაგვარია და ამ ნაირგვარობას მისი ფუნქციები განაპირობებს. ყველა შემთხვევაში, ორატორი რიტორიკულ მიმართვას იმ მიზნით გამოიყენებს, რომ შეცვალოს მსმენელის განწყობილება. მაგალითად, „...ღირს ამ წერილის ხელმეორედ გადაკითხვა და წარმოსახვისათვის სადავეების მიშვება" [9, 31].

• **რიტორიკული შეკითხვა** მსმენელისადმი არის მიმართული, თუმცა პასუხს არ გულისხმობს. ეს შეკითხვა ამაღლებული ტონალობითა და მტკიცებითი ფორმით გამოირჩევა. იგი უცაბედად იქცევს მსმენელის ყურადღებას. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ენობრივი ცნობიერების კარნახით მკითხველი ხვდება, რომ შეკითხვაზე პასუხი მას კი არ მოეთხოვება, არამედ თავად ორატორს. ამასთან, მან ორატორის გარეშეც იცის პასუხი, მაგრამ ისიც იცის, რომ პასუხს ორატორი თავადვე იტყვის, ელოდება ამ პასუხს, ყურადღებას ძაბავს, ორატორის აზროვნებაში ჩაერთვება. ორატორული შეკითხვის მიზანიც ამაშია.

• **რიტორიკული შეძახება** ორატორს მსმენელზე უფრო ძლიერი ზემოქმედების საშუალებას აძლევს. ეს გამოიხატება ასევე გამონათქვამის შთამბეჭდაობის გაძლიერებაში, მსმენელის ფიქრისა და გონების მიმხრობაში. რიტორიკული შეძახება რიტორიკულ მიმართვას წააგავს. ამგვარი მიმართვის ერთ ნიმუშად გალაკტიონ ტაბიძის ერთი ასეთი თქმაც გამოდგება:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა,
არ გავიარე – რაა მამული?!“

• **რიტორიკული შეწყვეტა, რიტორიკული გაჩუმება, რიტორიკული შეჩერება** ორატორის საკუთარი ნათქვამისადმი დამოკიდებულების, ემოციების გამოხატვის ფორმებია.

რიტორიკული შეწყვეტა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ორატორი მოზღვავებული განცდების ტყვეობაში ექცევა, ვეღარ ერევა საკუთარ გრძნობებს, თითქოს ლაპარაკიც კი აღარ შეუძლიათ და ამის გამო სათქმელს ვეღარ ამთავრებსო. არადა, სინამდვილეში, სათქმელი უკვე

თქმულია. აღნიშნულის გამო ორატორის განცდები მსმენელს გადაეცემა და ორატორის განზრახვის გავლენაში მოექცევა. ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის ერთი ხერხია საუბრის წარმართვა კითხვა-პასუხის ფორმით. ეს ხერხი, ფაქტობრივ, დიალოგის შემოტანას ნიშნავს. გარდა ემოცია-ექსპრესიის გაძლიერებისა, მისი მიზანია მსმენელის შემზადება და გადაყვანა ახალ თემაზე. დიალოგის მონაწილეები, ბუნებრივია, ორატორი და მისი მსმენელები არიან.

ორატორის მეტყველებას ემოციურ იერს უძლიერებს აგრეთვე პირდაპირი და ირიბი ნათქვამის კომბინაციური პრინციპით გამოყენება. ეს სტილისტიკური ხერხი განსაკუთრებით ეფექტურია სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში. განვიხილოთ ერთი ფრაგმენტი ცნობილი ქართველი ადვოკატის შალვა მესხიშვილის სამოსამართლო სიტყვიდან:

„მინდა მოგაგონოთ სტოლერმანის ჩვენება გამოძახებაზე: როცა ვუთხარი, რომ ჩვენ პატივისცემით უნდა მოვეპყრათ ქართველ ხალხს, ცოლმა ირონიით მიპასუხა: ჩქარა მოვლენ დენიკინელები და გასწმენდენ მთელ საქართველოსო. საერთოდ, იგი რეაქციონერი იყო“ (8, 33).

ამ ფრაგმენტში წარმოდგენილია ბრალდებულ სტოლერმანის პირდაპირი ნათქვამი. იგი მისი ცოლის ირიბ ნათქვამსაც შეიცავს. ამ ფრაგმენტს ორატორის მეტყველებისათვის ემოციური ელფერის მინიჭების ფუნქცია აქვს დაკისრებული.

რიტორიკული შეწყვეტა, რიტორიკული მიმართვა, რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული შეჩერება ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილისათვის „პერ-

სონიფიცირების“ საშუალებებია. ამგვარი მეტყველება კი მსმენელისათვის ბევრად უფრო საინტერესოა და შთამბეჭდავი, ვიდრე ჩვეულებრივი თხრობა.

როგორც აღინიშნა, ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის სივრცეში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე გამოსახვის ლექსიკური საშუალებები, ანუ ტროპები. **ტროპი** ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და **მოხვევას** ნიშნავს. ორატორულ მეტყველებაში ამ ტერმინით ერთი სიტყვის მნიშვნელობის სხვაზე გადატანას აღნიშნავენ. ყველაზე მარტივი ტროპია შედარება – ერთმანეთს უდარებენ ორი საგნის (მოვლენის) მსგავს ნიშან-თვისებას, იმ მიზნით, რომ უფრო შთამბეჭდავად გამოსახონ მეორე საგანი (მოვლენა). ორატორულ მეტყველებაში შედარების ეფექტურობა მოულოდნელ თავჩენას ემყარება, ანუ ისეთ ნიშან-თვისებათა შედარებას, რომელიც მანამდე არავის შეუნიშნავს.

ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის თავისებურებებს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ისეთი ტროპების მიზნობრივი გამოყენება, როგორებიცაა: მეტაფორა, მეტონიმია, ეპითეტი, ჰიპერბოლა, ევფემიზმი, სინეკდოქე და მრავალი სხვა. ტროპების ტერმინოლოგიური შინაარსები და ბუნება კარგადაა ცნობილი სპეციალური დანიშნულების ლექსიკონებიდან. ამიტომ მათი ვრცელი და სრული აღწერა-დახასიათების წარმოდგენის არანაირი საჭიროება არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მათი ფუნქციონირების იმ თავისებურებათა წარმოჩენა, რომლებიც ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილისათვის იძენს მნიშვნელობას.

მეტაფორა, როგორც ტროპის სახეობა, ბევრი ნიშნით ჰგავს შედარებას, თუმცა განსახვავდება კიდევაც. მეტაფორა ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა, გადატანას ნიშნავს. მეტაფორიზების დროსაც ერთი საგნის ან მოვლენის თვისება მეორეზე გადაიტანება. ეს თვისება ანალოგიით ან ასოციაციით ახალი საგნის თუ მოვლენის ახალ თვისებას ან სახეს ქმნის.

მეტაფორა რამდენიმეგვარია: მარტივი და რთული, უზუალური (საერთო გავრცელების და კონკრეტული ენობრივი ცნობიერების ყველა წარმომადგენლისათვის გასაგები) და ინდივიდუალური-საავტორო, გაშლილი, ზმნური, ეპითეტური და ა. შ.

მარტივია მეტაფორა, თუ ახალი საგნის თვისებას ერთი სიტყვა ქმნის. მაგალითად, „მხოლოდ ნაძვი თუ ირხევა, თორემ ისე სდუმს წალკოტი“ (გალაკტიონი, „სიჩუმეა“). აქ მეტაფორას ქმნის ერთი სიტყვა („სდუმს“) და ეს მეტაფორა მარტივია. რთული მეტაფორა რამდენიმე სიტყვით იქმნება. მაგალითი ისევ გალაკტიონს დავესესხოთ:

„მხოლოდ თეთრი შადრევნებით მოკისკისე ბროლი,
მაცდურ თვალის გადევნებით, მტანჯავს მსუბუქ მჭროლი“.

აქ რთული მეტაფორა ინდივიდუალურ-საავტოროცაა და გაშლილიც. იგი შექმნილია სიტყვებით: „მოკისკისე ბროლი“-ს „თეთრი შადრევნებით“ „მაცდური თვალის გადევნებით“, „მტანჯავს მსუბუქ მჭროლი“.

მეტაფორის დეშიფრირება მთლიანად მსმენელის ინტელექტსა და მიხვედრილობაზეა დამოკიდებული. მეტაფორაზე შედარებით რთული გასაშიფრია მეტონიმია,

რომელიც ნაგულისხმევი საგნის სხვა ისეთი საგნის სახელწოდებით მოხსენიებაა, რომელიც რაიმეთი ახლოსაა მასთან. ამას გარდა, მეტონიმია ფრაზიდან სიტყვის ამოგდებით და მისი ფუნქციის სხვა სიტყვისათვის დაკისრებით იქმნება. მაგალითად, „თბილისს ეს გადაწყვეტილება არ მოეწონა“. აქ მეტონიმიას ქმნის სიტყვა **„მთავრობის“** ამოგდება. მისი ფუნქცია დაკისრებული აქვს სიტყვა **„თბილისს“.**

მეტონიმია ჰგავს მეტაფორას, თუმცა განსხვავებას ქმნის ნიშან-თვისების საგნიდან საგანზე გადატანის შედარებით რეალური საფუძვლიანობა.

მეტონიმიის ერთი სახეობაა **სინეკდოქე**, რომელიც მთლიანი საგნის ნაცვლად მის ნაწილს მოიხსენიებს ან ნაწილის ნაცვლად – მთელს. ორატორულ მეტყველებაში სინეკდოქე დაცინვის მიზნითაც გამოიყენება, თუმცა ყველაზე გავრცელებული ემოციურობის გამომწვევი ტროპი – ეპითეტი, ძველ ბერძნულ ენაზე **დამატებულს** რომ ნიშნავს. ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილისათვის საკუთარი ნათქვამისადმი ორატორის დამოკიდებულების გამოხატვის საშუალებაა. მაგალითად, წინადადებაში „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი“ ეპითეტია **„დიდებული“** და ასახავს მწერლის დამოკიდებულებას მყინვარისადმი.

ორატორული მეტყველების პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება **ალეგორიაც**. ალეგორია ძველბერძნული სიტყვაა და გადაკრულად თქმას ნიშნავს. იგი მიზნად ისახავს აზრის შენიღბვას. ალეგორიას წარმოადგენს ანდაზა, იგავი, გამოცანა.

ორატორული მეტყველებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ევფემიზმის გამოყენებას, რაც უხეში, სკაბრეზული, როყიო სიტყვისა თუ გამოთქმის რბილი, მორიდებული გამოთქმით შეცვლას გულისხმობს. ევფემიზს უფრო ხშირად დიპლომატიურ მჭევრმეტყველებაში გამოიყენებენ. მისი საპირისპირო ტროპია **დისფეიზმი** – საგნის ან მოვლენის შეგნებულად უხეში გამოხატვა.

ორატორულ მეტყველებაში ასევე მნიშნელოვან როლს ასრულებს **ჰიპერბოლა** – საგნისა თუ მოვლენის გაზვიადებული წარმოსახვა. ჰიპერბოლური შესაძლოა იყოს შედარება, ეპითეტი, მეტაფორა... ამას გარდა, ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის ეფექტურობას დიდად განსაზღვრავს **ფრაზეოლოგიზმი** – მყარი, უცვლელი გამოთქმა, რომელსაც ნაწილობრივ ან მთლიანად გადაზრებული მნიშვნელობა აქვს.

ფრაზეოლოგიზმი ორატორულ მეტყველებას ემოციურობას, ექსპრესიულობასაც სძენს და სისხარტესა და ლაკონურობასაც.

რიტორიკის თეორეტიკოსები დაუშვებლად მიიჩნევენ ფრაზეოლოგიზმების დარღვევას, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ეს მსმენელს გააღიზიანებს.

თუმცა ფრაზეოლოგიზმში ჩარევა, მისი სტრუქტურის დარღვევა ახალ სიტუაციასთან მისადაგების შთაბეჭდილებას ქმნის. მაგალითად, თუ ორატორი ადამიანის მიერ მიზნის მიღწევის წარუმატებელი მცდელობის აღწერისათვის ანდაზურ ფრაზეოლოგიზმს „არა შეჯდა მწყერი ხესა“ ასეთნაირად დაარღვევს: „არა შეჯდა მწყერი ხესა, რადგან ხე

ძალიან მაღალი შეხვდა“, ფრაზეოლოგიზმის ემოციურობის დონე საგრძნობლად გაიზრდება.

ასეთია, ზოგადად, სტილისტიკური სინტაქსისა და ლექსიკურ საშუალებათა ის უმთავრესი სახეობები, რომლებიც ორატორულ მეტყველებაში ემოციური ეფექტის შექმნას ემსახურება.

ორატორული მეტყველების შთამბეჭდაობისა და ემოციურობის უზრუნველყოფის ფუნქციას ასრულებს **სატირა** და **იუმორი**.

ტრადიციული აზრის თანახმად, სატირასა და იუმორს შორის განსხვავება არ არსებობდა. სატირას უწოდებდნენ მწარე დაცინვას, იუმორს კი – ლმობიერს, თანაგრძნობიერს. ძალიან ბევრის აზრით, სატირა და იუმორი ერთმანეთისაგან დაცინვის ხარისხით განსხვავდება. თუმცა ამჟამად ისიც არის გარკვეული, რომ სასაცილოს ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ და აფასებენ. ერთი და იგივე მოვლენა ერთისათვის სატირის ღირსია, მეორისათვის – იუმორის. სინამდვილეშიც სატირასა და იუმორს განასხვავებს დამცინავის დამოკიდებულება სასაცილო მოვლენისადმი.

სატირიკოსი დაცინვის ობიექტს თავისი იდეალის პოზიციიდან დასცინის (ამხელს მის ნაკლს, მანკიერებას და დასცინის). მთავარი კი ის არის, რომ დაცინვა უშეღავათოა, დაუნდობელი და დაცინვის ობიექტია მთლიანად ადამიანი, როგორც სიცილით გასაკიცხის ჩამდენი და არა მის მიერ ჩადენილი სასაცილო საქციელი. ეს იმიტომ, რომ შესაძლოა ადამიანის საქციელში არაფერი იყოს სასაცილო, კეთილშობილიც კი იყოს, მაგრამ ადამიანი იყოს უღირსი

და ამის გამო ღირსეული საქციელი მისი ბუნებისათვის იყოს შეუფერებელი. სატირის მიზანი ასეთი ადამიანის გამოაშკარავებაა, მისთვის ნიღბის ჩამოხსნაა.

იუმორი ადამიანის საქციელს დასცინის, მის ერთ, კონკრეტულ საქციელს და არა მთლიანად ადამიანს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგჯერ ადამიანი თავის თავს იგდებს სასაცილოდ, დასცინის თავის კონკრეტულ საქციელს. მთავარი კი ის არის, რომ იუმორისათვის ადამიანში მხოლოდ ნაკლის ძიება და წარმოჩენა არ არის. ნაკლის სასაცილოდ აგდება მისი ღირსების წარმოჩენასაც არ გამორიცხავს, ამით კი ადამიანის გარდაქმნის, გამოსწორების რწმენასაც ავლენს (გრ. კიკნაძე).

ორატორულ მეტყველებას ემოციურობას სძენს აგრეთვე ფარული დაცინვა – **ირონია.** ირონია, დაცინვის მიზნით, ადამიანს ისეთ თვისებას მიაწერს, რომელიც მას არა აქვს. ირონიული იქნება თქმა, ყვავმა გალობით დაგვატკბოო, რადგან ყვავი გალობის უნარს ბიოლოგიურად არის მოკლებული.

ორატორული მეტყველების პრაქტიკაში გამოიყენებენ მწვავე, გესლიან დაცინვასაც, რომელსაც სარკაზმი ეწოდება. სარკაზმი პაექრობაში ოპონენტისათვის ნიღბის ჩამოსახსნელად გამოიყენება.

ორატორულ მეტყველებაში სატირის, ირონიის, იუმორის გამოყენება სიფრთხილეს საჭიროებს. როგორც ითქვა, კონკრეტული საქციელი ზოგში სიცილს იწვევს, სხვებისათვის შეიძლება არაფერი აღმოჩნდეს სასაცილო. და ეს იმიტომ, რომ ადამიანებს, საერთოდ, იუმორი სხვადასხვა-

ნაირად ესმით. ამიტომ ორატორმა უდა გაითვალისწინოს მსმენელის წიგნიერება, ინტელექტი, გემოვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცილის გამოწვევის მცდელობამ, შესაძლოა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს. სასაცილოს დროული, მოხდენილი და ზომიერი გამოყენება უხდება. ეს გარემოება მსმენელს ორატორის მომხრედ აქცევს, ორატორის მეტყველებას კი ემოციით აღავსებს.

ასეთია ორატორული მეტყველების ფუნქციური სტილის ძირითადი თავისებურებები, რომელთა შემოქმედებითად გამოიყენება ორატორის პროფესიული წარმატების საწინდარია.

- **ორატორული მეტყველების პარალინგვისტური ფაქტორები და ელემენტები**

ორატორული მეტყველების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვის, სათქმელის შინაარსს, გარდა საკუთრივ ტექსტისა, ორატორის პიროვნულობაც განსაზღვრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტის შინაარსს მნიშვნელოვანწილად ავსებს ორატორის დამოკიდებულება საკუთარი ტექსტისადმი. ეს დამოკიდებულება გამოიხატება მის გრძნობა-განწყობილებებში, გზნებასა და ემოციებში, სათქმელის თქმის მანერაში, ინტონაციური მოდელების მომარჯვებაში, თავის დაჭერაში მსმენელის წინაშე. ამიტომაც არის, რომ ორატორულ მეტყველებაში მნიშნელოვანია არა მარტო ორატორის სათქმელი (ტექსტი), არამედ მეტყველების არაენობრივი ელემენტები და თანმხლები ფაქტორები. ამ ელემენტებისა და ფაქტორების როლი მეტყველებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერთი და იმავე ტექსტის წარმოთქმაც

კი სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი და, შესაბამისად, ამ ტექსტის შინაარსის სხვადასხვა ვარიანტების შექმნაც სიტყვიერი ფაქტურის შეუცვლელად. მაგალითად, სიტყვა „გენაცვალე“ მოლაპარაკე სუბიექტის მიერ შესაძლებელია სრულიად განსხვავებულად წარმოითქვას: ერთ შემთხვევაში სითბო, სიყვარული გამოიხატოს, მეორე შემთხვევაში – გაბრაზება, მესამე შემთხვევაში – ირონია და ა. შ.

• **ინტონაცია**

ორატორულ მეტყველებაში ისევე, როგორც საერთოდ ზეპირმეტყველებაში, განუზომელია ინტონაციის მნიშვნელობა. ინტონაცია რთული სამეტყველო მოვლენაა. მისი ბუნება ბოლომდე ჯერაც ამოუცნობია.

ორატორული მეტყველების პრაქტიკაში ინტონაციის განუზომელი მნიშვნელობა ორატორისაგან სათქმელის შესატყვისი ინტონაციური მოდელის შერჩევას ითხოვს. ინტონაციის მიზნობრივად ზუსტი შერჩევისათვის კი აუცილებელია იმ ურთიერთობის პროცესუალური ნიუანსების ცოდნა, რაც ორატორსა და მსმენელს შორის მყარდება.

ორატორული მეტყველების პრაქტიკაში აღნიშნულ ურთიერთობას ერთგვარი ორწევრა სისტემის სახით წარმოიდგენენ: „ორატორი – აუდიტორია“. აქ იგულისხმება ჩვეულებრივი ვერბალური (სამეტყველო) კომუნიკაციური პროცესი, ანუ ინფორმაციის მიწოდება აუდიტორიისათვის და მსმენელებისაგან ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ რამდენად გასაგებია და როგორ მოქმედებს მსმენელებზე ორატორის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. მსმენელებისაგან წამოსული ინფორმაციის შესაბამისად, ორატორი ახ-

დენს საკუთარი ინფორმაციის კორექტირებას. ერთი სიტყვით, ორატორსა და მსმენელებს შორის უკუკავშირი მყარდება. უკუკავშირი კი სხვადასხვაგვარად მყარდება. თეორეტიკოსები მიუთითებენ სწორხაზობრივი და არასწორხაზობრივი და გარეგანი და შინაგანი უკუკავშირების არსებობაზე. გარკვეულია, რომ სწორხაზობრივი უკუკავშირის დროს ორატორი ინფორმაციას მსმენელებისაგან იღებს სმენით – მსმენელთა რეპლიკებით და ხმაურით, ხოლო არასწორხაზობრივი უკუკავშირის დროს – მსმენელების საქციელითა და მიმიკა – ჟესტიკულაციებით. მსმენელების ქცევა, მიმიკა-ჟესტიკულაციები კომუნიკაციის გარეგანი ფორმაა. შინაგანი ფორმა უკუკავშირისა ორატორის მიერ საკუთარი სათქმელის ანალიზს – უკვე თქმულის სათქმელთან შედარებას და მის კორექტირებას ემყარება.

• ჟესტიკულაცია ორატორულ მეტყველებაში რთული საკომუნიკაციო საშუალებაა. ამ სირთულეს კი ის განაპირობებს, რომ ენობრივი ცნობიერებისათვის ჟესტები ენობრივ ჩავარდნას უკავშირდება, მეტყველებაში ხარვეზების შევსების საშუალებად აღიქმება.

ჟესტები მრავალგვარია და, შესაბამისად, განსხვავებულია მათით გამოხატული შინაარსებიც. ზოგი საყოველთაო გავრცელებისაა, ზოგიც ინდივიდუალურია, კონკრეტული ორატორის ფიქრის, განცდის, ემოციის, გზნების (ტემპერამენტის) შესაბამისი. ჟესტი გარკვეული ინტონაციური მოდელის თანმხლებია, იგი მეტყველებაში უნებლიეთ იჩენს თავს.

ჟესტები რიტმულად ეთანადება ინტონაციებს, მახვილებს. ჟესტი მსმენელის ყურადღებას წარმართავს ორა-

ტორის სიტყვის მნიშვნელოვანი ადგილისაკენ. ამასთან, ცხადყოფს ორატორის ემოციურ დამოკიდებულებას საკუთარი ნათქვამისადმი, ამით კი მკითხველზე მისი ზემოქმედების გაძლიერებას უწყობს ხელს.

მეტყველების რიტმის შეუსაბამო, უადგილო ჟესტები მსმენელზე უარყოფითად მოქმედებს, აღიზიანებს, ყურადღებას ადუნებს, ფანტავს. ამას განაპირობებს ეგრეთ წოდებული „პარაზიტი ჟესტები“ – თავის ქიცინი, თმების სწორება, კეფის ფხანა, სამოსის რაიმე ნაწილის (ღილის, ჰალსტუხის,...) „წვალება“ და ა. შ.

აუდიტორიაზე უდიდეს გავლენას ახდენს მიმიკა. მიმიკა მეტყველების ხასიათს შეესაბამება. იგი მსმენელის მხედველობით აღქმაზე მოქმედებს.

მიმიკა, ერთი მხრივ, ემოციურობას აძლიერებს, მეორე მხრივ, ნათქვამის უკეთ გაგებას უწყობს ხელს.

უძრავად მდგომი, სახეგაქვავებული ორატორი უსიამო შთაბეჭდილებას ქმნის და მსმენელის გაუცხოებას იწვევს. მსმენელს ორატორის მიერ წამდაუწუმ მდგომარეობის ცვლაც – ცქმუტვაც ღლის.

აუდიტორიას, როგორც წესი, ორატორი მართავს, ამ მართვის უმთავრესი ბერკეტი მისი ნიჭიერება და ცოდნა – განათლებაა. მათგან მთავარი მაინც განათლებაა, რადგან ორატორის მიზანი – მსმენელის დარწმუნება მისთვის ახალი ინფორმაციის მიწოდებით – მხოლოდ სათქმელის ღრმა ცოდნის საფუძველზე მიიღწევა. მნიშვნელოვანი ისიც არის, რომ ორატორი საუბრის თემის მსმენელზე გაცილებით მეტ

ცოდნას უნდა ამჟღავნებდეს, სხვა შემთხვევაში მსმენელის თვალში ნდობას დაკარგავს.

ორატორულ მეტყველებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **იმპროვიზაციას.** იგი, ერთი შეხედვით, გამორიცხავს სათქმელზე წინასწარ მუშობას, რადგან სათქმელის გამოკვეთას უშუალოდ მეტყველების პროცესში გულისხმობს. თუმცა იმპროვიზაცია არ ნიშნავს დაუფიქრებელ ლაპარაკს. იგი წინასწარ მოფიქრებული სათქმელის – ღრმად გააზრებული თემის დეტალების, პასაჟების გადაწყობა-გადალაგებას გულისხმობს. იმპროვიზაცია განსაკუთრებულ ნიჭს საჭიროებს. მისი ემოციური ზემოქმედების ძალა გაცილებით დიდია და შედეგიანი.

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ორატორის **თავის დაჭერას** აუდიტორიის წინაშე. აუდიტორიაში ორატორი ბუნებრივი, ძალდაუტანებელი, შეუბოჭავი უნდა იყოს, მსმენელის წინაშე გაშეშებული არ უნდა იდგეს. სრულყოფილად უნდა ფლობდეს საკუთარ ხმას, ჟესტებს, მიმიკას. მსმენელი ინტელექტით უნდა მონუსხოს და კეთილად განაწყოს თავისი თავისადმი. თავის დაჭერა აუდიტორიის მართვის ერთი ბერკეტია.

ორატორული მეტყველების პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს **ლაპარაკის დაწყების მომენტს.**

ორატორი საჭირო გამოსვლისათვის წინასწარ ემზადება: გაიაზრებს ტექსტის დეტალებს, პასაჟებს. სიტყვით გამოსვლისათვის მზადება მნიშვნელოვანი მომენტია. მაგალითად, სამართალწარმოების სფეროში რამდენიმე ორატორს უწევს რიგრიგობით გამოსვლა. სიტყვით გამოსვლის მოლოდინში ორატორი დაუძაბავად უნდა იჯდეს და გულისყუ-

რით უსმენდეს მოლაპარაკე ორატორს, სიტყვით გამოსვლის მოუთმენლობა არ უნდა ჰქონდეს აღბეჭდილი სახეზე.

სიტყვის აღებისთანავე მთელი თავისი არსებით ენერგიულობას და ვერბალური კომუნიკაციისათვის მზაობას უნდა გამოხატავდეს.

თუ აუდიტორიაში სიტყვის წარმოსათქმელად სპეციალური ადგილი არ არსებობს, ორატორი მსმენელებისაგან 2-3 მეტრის დაშორებით, შუა ადგილზე უნდა დადგეს.

ლაპარაკის დაწყება სიტყვის აღებისთანავე არ არის გამართლებული. აუცილებელია „საწყისი პაუზის" პრინციპის დაცვა, რომლის თანახმად მიზანშეწონილია პირველი 10-15 წამის განმავლობაში ჩუმად დგომა, ამით მსმენელისათვის საკუთარი პერსონის „გაცნობა", ამასთან ორატორის მიერ მსმენელის გაცნობაც. საწყისი პაუზის დროს ორატორი მღელვარებასაც იოკებს, მშვიდდება და სამეტყველო როლში შედის.

საუბრის (ლაპარაკის) დაწყება ხმადაბლა ჯობს, ოღონდ ისე, რომ აუდიტორიის ხმაურზე – გადაჩურჩულებებზე ოდნავ ხმამაღალი იყოს. მეტყველების ასეთი დინება მსმენელსაც გადაედება და ამშვიდებს. ამ მოვლენას მეტყველების ტექნიკის სფეროს მიაკუთვნებენ. მეტყველების ტექნიკა, საზოგადოდ, ხმას ემყარება. მეტყველებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა, ბუნებრივია, ხმას აქვს. ორატორის ხმის სისუსტე მსმენელის ყურადღების დაძაბვას იწვევს. ეს კი სმენას ღლის და მოსმენის ხალისს უკარგავს. ხმის ძალა სუნთქვასთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, სამეტყველო აპარატი ფილტვების, ხორხის, სახმო სიმების, სახ-

ის, ცხვირის, პირის ღრუს, ენისა და ბაგეებისაგან შედგება. ცნობილია, რომ ხორხში წარმოშობილი ხმოვანი ენერგიის მცირე ნაწილი გამოდის პირიდან, დანარჩენს ორგანიზმი შთანთქავს.

ხმის დაყენება ხმოვანი ენერგიის შემცირებაზეა დამოკიდებული. დანაკარგის შემცირებით ხმაც ძლიერდება. ხმის მახასიათებლებია „ხმის დიაპაზონი“ და „ხმის ძალა“.

ხმის დიაპაზონს სხვადასხვა სიმაღლის ბგერათა ერთობლიობას უწოდებენ, ანუ ბგერები სიმაღლის მიხედვით ჯგუფდებიან და სხვადასხვა დიაპაზონებს ქმნიან. დიაპაზონის სინონიმია რეგისტრი. ორატორმა თავისუფლად უნდა შეძლოს ერთი დიაპაზონიდან საკუთარი ხმის სხვაში გადაყვანა.

ხმის ძალა დარწმუნების უნარს გულისხმობს. მეტყველების ტექნიკას ქმნის მეტყველების სიხშირე. იგი ინდივიდუალური მოვლენაა, თუმცა დამოკიდებულია ორატორული სიტყვის შინაარსზედაც და ორატორული გამოსვლის გარემოზეც. დადგენილია, რომ მეტყველების ნორმალური სიხშირე A-4 ფორმატის ერთი გვერდის ორი ინტერვალით ნაბეჭდი ტექსტის 2,5 წუთის განმავლობაში წაკითხვაა.

ორატორული მეტყველების ტექნიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს დიქციას. დიქცია სიტყვის ნათლად, გამომეტყველებით წარმოთქმას ეწოდება. დიქციის გამომუშავება სამეტყველო აპარატის მიზნობრივი ვარჯიშით შეიძლება.

• **აუდიტორია**

აუდიტორია ორატორულ ხელოვნებაში მსმენელთა ჯგუფს აღნიშნავს და არა შენობა-ნაგებობის სივრცეს.

ამ გაგებით, აუდიტორიის ცოდნა აუცილებელია, ვერ-

ბალურ კომუნიკაციას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მსმენელთა ინტელექტის, ინტერესების ცოდნა, რადგან ორატორი იოლად უძებნის სათქმელს შესაბამის ფორმას.

გასათვალისწინებელი ისიც არის, რომ აუდიტორმა უბრალო მსმენელებისაგან კი არ შედგება, არამედ ერთი საგნით ან მოვლენით დაინტერესებული ადამიანების ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც ერთნაირად აღქმა-გათავისების მოლოდინშია. ამ აღქმა-გათავისების რაობა მსმენელთა რაოდენობაზედაც არის დამოკიდებული. მცირე რაოდენობის მსმენელთა ჯგუფი უფრო მოტივირებულია და მისი აღქმის დონე უფრო მაღალია. დიდი, მრავალრიცხოვანი აუდიტორია უფრო საზეიმო ვითარებას ქმნის, ერთგვარად აშორებს ორატორს, აუცხოებს, თავისებურ დაძაბულობას განაპირობებს.

ორატორული მეტყველების სპეციფიკა ისიც არის, რომ მსმენელი, ნათქვამის უკეთ გაგების მოთხოვნილების შესაბამისად, აუდიტორიაში ადგილს ორატორულის სიახლოვეს იკავებს, სახით ორატორისაკენ არის მიმართული. ორატორისაკენ მსმენელთა ყურადღების კონცენტრირება იმდენად დიდია, რომ იქმნება მოვლენა – საერთო ობიექტზე ყურადღების ფოკუსირება, – რაც აუდიტორიის პოლარიზების სახელწოდებით არის ცნობილი.

აუდიტორიის შემადგენლობაში მოხვედრა თითოეულ წევრში ერთიანობის განცდას იწვევს, ეს კი განსხვავებულად ფიქრს და აზროვნებას აწყებინებს, რადგან აუდიტორის წევრობა, ჯგუფში ყოფნა ააქტიურებს ადამიანის აზროვნებას, შეგრძნებას, აღქმას, ცნობიერებას; რაც მთავარია, ადა-

მიანი კომფორმიზმის გავლენაში ექცევა, რადგან ნაკლებად კრიტიკული ხება ორატორისადმი იმის გამო, რომ აუდიტორიის საერთო განწყობა გადაედება და ფიქრსაც თუ განცდებსაც აუდიტორიას უთანხმებს. ამის ყველაზე აშკარა გამოხატულებაა საერთო სიცილი, აღტაცება ან აღშფოთება, მთელი აუდიტორია ერთნაირად რომ გამოხატავს თავის რეაგირებას. ამის მიზეზი, ცხადია, თანაგანცდისა და თანაგრძნობის წარმოშობაა, რაც აუდიტორიის ყველაზე საინტერესო თვისებაა. ორატორის მეტყველების იდეოსტილი, ჟესტები, მიმიკა, ხმის მოდულაცია როგორც კი ერთ მსმენელზე იმოქმედებს, მყისიერად მთელ აუდიტორიას გადაედება, გადამდებობა კი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ახლოს სხედან მსმენელები.

საინტერესო ისიც არის, რომ თანაგანცდაზე უარყოფითად მოქმედებს აუდიტორიის განათლებისა და ინტელექტის დონე. რაც უფრო მაღალია ეს დონე, მით დაბალია (ნაკლებია) თანაგრძნობა – თანაგანცდა. განათლებულ ადამიანს აღქმა-გააზრებისა და გაცნობიერების საკუთარი კრიტერიუმები აქვს. სხვების განცდებს ნაკლებ ანგარიშს უწევს, პიროვნულად შეკრულია, შეუვალი და სხვის გავლენის ქვეშაც ნაკლებად ექცევა.

აუდიტორიის მიერ ორატორის მეტყველების, სათქმელის აღქმის დონე დამოკიდებულია მოსმენის მიზნებზე, მოტივებზე, ინტერესებზე, განწყობილებაზე. მოსმენის მოტივებში მნიშვნელოვანია ინტელექტუალური, მორალური და ესთეტიკური მდგენელები. მოსმენის მზაობა ისეთი ტიპის

მსმენელებშია უფრო საგრძნობი, რომელთაც ინტელექტუალური მოტივი ამოძრავებთ.

• **აუდიტორიის მართვა**

ორატორულ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ელემენტია აუდიტორიის მართვა. აქ უპირველესი საფეხურია აუდიტორიის შექმნა, ანუ აუდიტორიაში შეკრებილი ადამიანების ერთი თემის ირგვლივ გაერთიანება, მათი ფიქრისა და განსჯის ამ თემაზე კონცენტრირება, აუდიტორიის წევრების ინდივიდუალურობის (ხასიათის, ინტელექტის) ნიველირება, მათი ყურადღების სრულად დაპყრობა, შენარჩუნება. ეს არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის მთავარი ორატორის სიტყვაა. ორატორის სიტყვა სიახლეს უნდა შეიცავდეს. სიახლეს აუდიტორია უფრო დიდი ინტერესით ეკიდება.

აუდიტორიაზე შთაბეჭდილებას ახდენს ორატორის მიერ გამოყენებული ფაქტობრივი მასალა. მსმენელი გამორჩეული ყურადღებით ეკიდება ორატორის მიერ ხაზგასმულ საკვანძო სიტყვებს. ამიტომ მიზანშეწონილია ამგვარი სიტყვების, აზრების, დებულებების გამეორებები. მნიშვნელოვანია ამგვარი გამეორებებისათვის შესაბამისი ნაირფეროვანი სტილისტური თუ სიტყვიერი ფორმის გამოძებნა საუბრის ერთფეროვნების თავიდან აცილების მიზნით.

აუდიტორიის მართვაში მნიშვნელოვანი მომენტია მსმენელთან მუდმივი მხედველობითი კონტრაქტის შენარჩუნება. მიზანშეწონილია განუწყვეტელი თვალის მიდევნება მსმენელის მოსმენის პროცესისათვის და სწრაფი რეაგირება

მის ყოველ რეაქციაზე. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ორატორის მზერას. ორატორმა აუდიტორიას უნდა უმზიროს, თუმცა მზერა უძრავად არ უნდა მიაპყროს რომელიმე მსმენელს, განსაკუთრებით იმას, ვინც ასევე მზერით ან რეპლიკებით აგრძნობინებს, მე ერთი გისმენო. მსმენელი ვიზუალურ კონტექსტს მაშინ ირწმუნებს, როდესაც ორატორი მზერას დროდადრო დარბაზის ერთი კუთხიდან მეორეზე გადაიტანს და თანდათან მთელ აუდიტორიას მოავლებს.

ამასთან, შიგადაშიგ ყურს დაუგდებს საკუთრ მეტყველებას, შეამოწმებს ხმას – ხომ არა ლაპარაკობს ხმამაღლა, ან პირიქით, ხომ არ გამოსდის ხმადაბლა.

ორატორმა მსმენელს უნდა აგრძნობინოს, რომ მასთან სიახლოვეს ცდილობს, მსჯელობის თანამონაწილედ მიიჩნევს, აზრს უზიარებს, ეთათბირება.

ორატორი აუდიტორიასთან ნამდვილ კონტაქტს მაშინ დაამყარებს, როდესაც მსმენელს მოკავშირედ გაიხდის და მასთან აზრითა და განცდით გაერთიანდება.

თუ მსმენელებმა ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს, აქეთიქით დაიწყეს ყურება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ აუდიტორია დაიღალა. ორატორმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს და მსმენელის ყურადღება თემისაკენ უნდა შეაბრუნოს. ამ მიზნით, მან ორატორულ ხელოვნებაში ცნობილი ისეთი ხერხები უნდა გამოიყენოს, როგორიცაა:

➢ მსმენელი „გამოაფხიზლოს“ ხმის აწევით, ამასთან ისე, რომ ხმის აწევა ყვირილში არ გადაზარდოს; ზოგ შემთხვევაში უფრო ეფექტურია ხმის დაწევა (ცხადია, არა ჩურჩულამდე). ხმის დაწევას, მეტყველების ტემპის შეცვლას

ყურადღებისა და სმენის გააქტიურება შეუძლია.

➢ ორატორულ მეტყველებაში მსმენელის ყურადღების გააქტიურების საშუალებაა პაუზაც. რამდენიმე წამით მეტყველების შეჩერება ძლიერად მოქმედებს მსმენელის ყურადღებაზე.

➢ მსმენელის ყურადღებაზე ძლიერ მოქმედებს მიმართვა და მისი ხშირი გამეორება, ასევე მსმენელისათვის კითხვის დასმა, აბსტრაქტული მსჯელობიდან კონკრეტულ მაგალითებზე გადასვლა.

➢ მიზანშეწონილია აზრის შეწყვეტა, სხვაზე გადასვლა და შეწყვეტილი აზრისაკენ მოგვიანებით შებრუნება.

➢ ყურადღების გამოფხიზლებას ხელს უწყობს თვალსაჩინოების მასალის გამოყენება.

➢ ეფექტური საშუალებაა იუმორის გამოყენებაც. მისი ემოციური მუხტი უცებ და სიცილი აქრობს დაღლილობას.

ასეთია სისტემა „ორატორი – აუდიტორიის“ შინაარსი.

თავი VI. რამდენიმე სიტყვა სამოსამართლო მჭევრმეტყველების სტილის შესახებ

მეტყველებას და მით უფრო, მჭევრმეტყველებას უპირველესად მოთხოვნად სიცხადე და სიზუსტე წაეყენება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მეტყველების მიზანი მსმენელისათვის სათქმელის გაგებინებაა. ადამიანი იმიტომ მეტყველებს, რომ თავისი აზრი სხვას ააგებინოს. აქედან გამომდინარე, მან ისე უნდა იმეტყველოს, სათქმელი ცხადად და ზუსტად გამოთქვას. ეს, ერთი შეხედვით, უბრალო „მოთხოვნა“, სამწუხაროდ, ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა. ადამიანს იმთავითვე რაღაცნაირი დაბრკოლება გადაეღობა ნააზრევის გამოთქმაში, გონებაში გაჩენილი აზრისათვის სიტყვიერი სამოსის მოძებნაში. ამ მიზეზით ბევრი ვერ ახერხებს იმის თქმას, რასაც გრძნობს, განიცდის ან რისი თქმაც სურს; ლაპარაკით კი ლაპარაკობს, მაგრამ საუბარი ნაკლებად გამოსდის. ამიტომ კაცი ძნელად გაიგებს, რა უნდათ, რისი თქმა სურთ ამნაირ ადამიანებს.

ასეთი ვითარება განსაკუთრებით ცხადი იმ შემთხვევაში ხდება, როცა სიტყვა სავალდებულოდ უნდა ითქვას. ალბათ, ნებისმიერი ჩვენგანი გამხდარა მოწმე იმ უმწეო მდგომარეობისა, რომელშიც არაერთი ჩვენი თანამედროვე ჩავარდნილა ტელევიზიით ან რადიოთი გამოსვლისას; ალბათ, გვახსოვს, როგორ წამიერად გამქრალა ზოგიერთის სახიდან თვითკმაყოფილი, ერთგვარად მედიდური გამომეტყველება, როცა ქუჩაში მიმავალი უცებ შეუჩერებიათ ჟურნალისტებს, კითხვით მიუმართავთ და მიკროფონი მიუწვდიათ აზრის გამოსათქმელად.

ასეთი მდგომარეობის მიზეზი ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ჩვენ არ ვიცით მეტყველება და არცა ვსწავლობთ. აქ ამის თაობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ, რომ ადამიანი კარგია მეტყველების უნარის გარეშე ვერც კარგი მოსამართლე გახდება და ვერც კარგი დამცველი ანუ ადვოკატი.

ვფიქრობთ, სრულიად ნათელია, რომ იურისპრუდენციის სფერო ის სამყაროა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეტყველების უნარს, სიცხადესა და სიზუსტეს. აქ ხომ სიტყვა გვამცნობს კანონის შინაარსს, იგი წყვეტს ადამიანს ბედს. არასწორად ან არაზუსტად ნათქვამმა შეიძლება საბედისწერო შეცდომა გამოიწვიოს. არა გვგონია, ვინმე არ დაგვეთანხმოს ამაში, უარყოს გამართული, სწორი მეტყველების აუცილებლობა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: თეორიულად ყველა აღიარებს სწორმეტყველების, ლამაზად, მჭევრად მეტყველების საჭიროებას, მხარს უჭერს საამისოდ აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელებას. პრაქტიკულად, რეალურ ყოფაში კი ამ აზრის თავგამოდებული დამცველებიც საოცარ გულგრილობას ვიჩენთ. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ყოვლად უდიერი დამოკიდებულება საკუთარი მეტყველების კულტურისადმი, რისი მოწმენი და მონაწილენიც დღეს თავადვე გავმხდარვართ? გამონაკლისს ამ მხრივ არც ჩვენი სამოსამართლო ენა წარმოადგენს.

დემოკრატიისა და, აქედან გამომდინარე, საჯაროობის ვითარებაში საკმაოდ გახშირდა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების წარმომად-

გენელთა სატელევიზიო თუ სხვა სახის საჯარო გამოსვლა. როცა ზოგიერთ მათგანს ვუსმენთ, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს რაღაც სხვა ენაზე მეტყველებენო, იმდენად გაურკვევლად და უცხოდ გვესმის მათი საუბარი.

და განა მარტო ქართველ სამართალდამცავთა ერთგვარად იმპროვიზირებული მეტყველება ტოვებს ასეთ შთაბეჭდილებას? სამწუხაროდ, არა! ენობრივი გაუმართაობისა თუ სტილური ხარვეზების უამრავ ფაქტს შეხვდება კაცი მათს ბეჭდურ „პროდუქციაში“ – საჟურნალგაზეთო წერილებში, პუბლიცისტურსა თუ სამეცნიერო ნარკვევებში და ა. შ.

ერთ პერიოდულ გამოცემაში, რომელიც სპეციალურად იურისტებისა და სამართალმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის არის განკუთვნილი, ასეთ ფრაზას ვხვდებით:

„ეს გახლავთ იმ მეცნიერთა და პრაქტიკოს მუშაკთა არასრული სია, რომელთა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ჟურნალს საკმაო ავტორიტეტი მოუპოვა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. აბა სხვა რითი შეიძლება აიხსნას **მსოფლიოში აღიარებული ისეთი პირების ჟურნალთან თანამშრომლობა როგორიცაა** (ხაზგასმა ჩვენია): მ. სტრორგოვიჩი, ვ. ანიშკინი, ნ. დუმანოვი (რუსეთი), ს. ზავადსკი და ი. სკუპინსკი (პოლონეთი), დევიდ კოენი (ინგლისი), ლაური უიმენი (აშშ), ჰანს შნაიდერი, რალფ დრაიერი, აინჰარდ შტაიგერი, ბერნდ გუგენბერგი (გერმანია) და სხვა [10, 4].

ეს მოზრდილი ნაწყვეტი საგანგებოდ ამოვწერეთ, რათა ის ადგილი, სადაც დარღვეულია, ერთი მხრივ, ენობრივი

ნორმა, ხოლო, მეორე მხრივ, სტილი, მთელ კონტექსტში გვეჩვენებინა. რა სახის შეცდომას ვხედავთ აქ?

ხაზგასმული სიტყვებით, ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ ჟურნალმა „სამართალმა“ „საკმაო ავტორიტეტი“ მოიპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხოეთში და ამის ნიშანია მსოფლიოში აღიარებულ იმ პიროვნებათა თანამშრომლობა ამ ჟურნალთან, რომელთა გვარებიც ჩამოთვლილია ქვემოთ. მაგრამ ხაზგასმული სიტყვები სხვა აზრს გამოხატავს. ავტორს ეს გამოუვიდა: „სამართალი“ მსოფლიო აღიარებული იმ პირების ჟურნალიაო,... ვინც მერე ჰყავს ნახსენები.

რატომ მოუვიდა ასეთი შეცდომა? იმიტომ, რომ დაარღვია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთკავშირის წესი. ეს ფრაზა მას ასე უნდა გაემართა:

„აბა, სხვა რითი უნდა აიხსნას ჟურნალთან მსოფლიოში აღიარებული ისეთი პირების თანამშრომლობა...“. ამით ნათელი გახდებოდა, რომ ავტორი ჟურნალთან მსოფლიოში აღიარებული პიროვნებების თანამშრომლობის ფაქტზე მიუთითებდა და არა ჟურნალის ამ პიროვნებებისადმი კუთვნილებაზე.

ამის გარდა, საანალიზოდ მოყვანილ ამ ნაწყვეტში ერთ უზუსტობასა და ერთ გრამატიკულ შეცდომასაც ვხვდებით.

უზუსტობაა: „საკმაო ავტორიტეტი“. ავტორიტეტი ლათინურიდან მომდინარე და გერმანული ენის მეშვეობით გავრცელებული სიტყვაა და ნიშნავს:

1. საყოველთაოდ აღიარებულ გავლენას, მნიშვნელობას;
2. პირს, რომელსაც ასეთი გავლენა აქვს მოპოვებული [11, 12].

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვას უკვე იმთავითვე აქვს ის შინაარსი, რომლის გამოხატვას ავტორი ჟურნალთან მიმართებაში ცდილობს. ამიტომ სიტყვა „საკმაო“ აქ სრულიად ზედმეტია.

აშკარა ენობრივი შეცდომაა ბოლო ხაზგასმული სიტყვის ფორმა – „როგორიცაა“. ცნობილია, რომ იგი შეკუმშული ფორმისაა (შეკვეცილი ზმნა „არის“, მისი საწყისი ხმოვანი ბმულია წინა სიტყვაზე და ასეთი შინაარსისაა: „როგორიც არის“. მოცემულ კონტექსტში ამ სიტყვას მოსდევს ადამიანთა გვარების ჩამოთვლა. ავტორი სულ თერთმეტ პიროვნებას ასახელებს. სასკოლო გრამატიკიდანაც კი კარგად არის ცნობილი, რომ ასეთ შემთხვევაში სიტყვა „როგორიცაა“ არ გამოდგება და უნდა ვწეროთ, „როგორებიც არიან, რადგან ადამიანთა სახელებს (როგორც სულიერ არსებით სახელებს) ზმნა მრავლობითის რიცხვში უნდა შეეწყოს.

სამწუხაროდ, ეს ენობრივი დარღვევა ერთადერთი არაა. იქვე ასეთ ფრაზასაც ვხვდებით:

„73 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჟურნალ „სამართალმა“ ამცნო ქვეყანას თავისი დაბადების შესახებ“ [10, 4]. აქ შეცდომაა „ჟურნალ “სამართალმა“. უნდა იყოს „ჟურნალმა „სამართალმა“.

თვალსაჩინოებისათვის ენობრივი დარღვევისა თუ სტილური უზუსტობის კიდევ რამდენიმე შემთხვევაზე შევჩერდებით.

ამავე ჟურნალში 52-ე გვერდზე ასეთ წინადადებას ვკითხულობთ:

„ადამიანის მოტაცება კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მიეკუთვნება ისეთ დანაშაულთა რიცხვს, რომელსაც დამ-

ნაშავე, **როგორც წესი** (ხაზგასმა ჩვენია), იყენებს ხერხის სახით ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, ან ფულის გამოძალვის მიზნით, რასაც, როგორც წესი (ხაზგასმა ჩვენია), თან სდევს უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა.

ამ წინადადებაში ერთი კონკრეტული აზრის გამოსათქმად 31 სიტყვაა გამოყენებული და აზრის გაგება მაინც ჭირს. აქ აზრს რამდენიმე გარემოება აბუნდოვანებს. ერთია – სიტყვათა გაუმართლებელი სიჭარბე; მეორეა გამოთქმათა განმეორება, რასაც ტავტოლოგია ეწოდება; მესამეა სიტყვათა არასწორი გამოყენება.

სიტყვათა გაუმართლებელი სიჭარბე დასტურდება თუნდაც ამ ვეებერთელა წინადადების დასაწყისში: „ადამიანის მოტაცება კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მიეკუთვნება ისეთ დანაშაულთა რიცხვს...“ აქ ნაგულისხმევი აზრი ხომ შეიძლებოდა ასეც გადმოგვეცა: „ადამიანის მოტაცება ისეთი კრიმინალური დანაშაულია“. ავტორის მიერ ნაგულისხმევი აზრი, ვფიქრობთ, ამით არ შეიცვლებოდა. ფრაზა გამარტივდებოდა, ნაცვლად რვა (8) სიტყვისა, ხუთი (5) გვექნებოდა, მკითხველის გონება ამ აზრის აღსაქმელად ნაკლებად დაიძაბებოდა, ენერგიაც ნაკლები დაეხარჯებოდა და მას ფრაზის მომდევნო ნაწილის უკეთ შესამეცნებლად გამოიყენებოდა.

გამოთქმათა განმეორების ანუ ტავტოლოგიის, როგორც უხეში სტილური შეცდომის, ფაქტია ამ წინადადებაში ორჯერ გამოყენება შესიტყვებისა „როგორც წესი“. აქ ავტორის მიერ ნაგულისხმევი აზრის გადმოსაცემისათვის ამ სიტყვების გამეორება საჭირო არ იყო. ასევე ტავტოლოგიაა სიტყვა

„მიზნის“ ორჯერ გამოყენება: „პოლიტიკური მიზნის მისაღწევად“, „ფულის გამოძალვის მიზნით“.

სიტყვის არასწორ (არადანიშნულებით) გამოყენებას ნათელყოფს აღნიშნული წინადადების ადგილი:

„ადამიანის მოტაცება კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მიეკუთვნება ისეთ დანაშაულთა რიცხვს, რომელსაც დამნაშავე, როგორც წესი, იყენებს (ხაზგასმა ჩვენია) ხერხის სახით ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად...“

ვფიქრობთ, აქ უადგილოდ არის გამოყენებული სიტყვა „იყენებს“. ადამიანი დანაშაულს კი არ იყენებს, „სჩადის“ (ჩაიდენს), ხოლო რა მიზნით, ეს სხვა საკითხია.

ზემოაღნიშნული შეცდომების გათვალისწინებით ეს წინადადება შეიძლება ასე დაწერილიყო:

„ადამიანის მოტაცება კრიმინალური დანაშაულია. იგი დამნაშავისათვის პოლიტიკური მიზნის მიღწევის ან ფულის გამოძალვის ხერხია. ასეთ დანაშაულს თავისუფლების უკანონო აღკვეთა მოჰყვება“.

თუ არ ვცდებით, შემოთავაზებული ვარიანტი იმავე შინაარსს შეიცავს, რასაც ავტორი გულისხმობდა, ოღონდ უფრო სადად, ნათლად და გასაგებად არის ნათქვამი, თუნდაც იმიტომ, რომ ავტორისეული 31 სიტყვის ნაცვლად სათქმელი 19 სიტყვაა გადმოცემული.

გავრცელებულ შეცდომათა შორის ენობრივი ნორმებისა და სტილის დარღვევა-გაუმართაობაა თვალში საცემი. ნათქვამის ნათელსაყოფად კვლავ კონკრეტულ ფაქტებს მოვიხმობთ. აღნიშნული ჟურნალის ფურცლებზე ენობრივი ნორმების ასეთი დარღვევებიც გვხვდება:

ა) დარღვეულია მსაზღვრელ-საზღვრულის შესიტყვების წესი, როცა მსაზღვრელი განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელია:

„...ასპირანტურაში სწავლების პერიოდი მოიცავს არა ორს, არამედ სამ წელიწადს, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას ითვალისწინებს, იურიდიულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ზოგიერთი ფუნდამენტური დისციპლინების შესწავლის (ხაზგასმა ჩვენია) – შემდეგ...“ [8, 8] შეცდომითაა დაწერილი ხაზგასმული სიტყვები. უნდა იყოს:

„...იურიდიული და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ზოგიერთი ფუნდამენტური დისციპლინის შესწავლის შემდეგ...“, რადგან სიტყვა „ზოგიერთი“, როგორც მსაზღვრელი, სიტყვა „დისციპლინას“, როგორც საზღვრულს, მხოლობითს რიცხვში მოითხოვს. ასეთია წესი.

ახლა ვნახოთ შემთხვევა, სადაც ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების წესი დარღვეულია:

„როგორც ცნობილია, აქამდე არსებულ ქუთაისსა და ბათუმის სახელმწიფო უნივერისტეტებს მიემატა თელავისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტები, **სადაც იურიდიული ფაკულტეტები არიან** ყველაზე პრესტიჟულები“ [10, 9].

ეს წინადადება მეტ-ნაკლებად სწორად არის შედგენილი იმ ადგილამდე, საიდანაც ხაზგასმული სიტყვები იწყება. ხაზგასმულ სიტყვებში კი უსულო საგნით გამოხატული ქვემდებარე („ფაკულტეტები“) რატომღაც რიცხვში „ითანხმებს“ შემასმენელს („არიან“). და ეს მაშინ, როცა თვით სასკოლო გრამატიკაც კი გვაუწყებს, რომ უსულო საგნით გა-

მოხატულ ქვემდებარეს (თუნდაც იგი მრავლობითს რიცხვში იდგეს) შემასმენელი მხოლობითს რიცხვში უნდა ახლდეს. ე. ი. ავტორს უნდა ეთქვა და დაეწერა: „სადაც იურიდიული ფაკულტეტებია (ან „ფაკულტეტები არის“) ყველაზე პრესტიჟული“.

შეიძლება შეგვედავონ, ავტორმა ფაკულტეტში აქ გასულიერების შინაარსი ჩადო. ამ ლოგიკით რატომღა თქვა და დაწერა ამავე წინადადებაში „აქამდე არსებული ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებს მიემატა თელავისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტები“? რატომ არ თქვა და არ დაწერა „მიემატნენ“? იმიტომ, რომ გრამატიკის წესი მტკიცედ არ ჰქონდა გააზრებული და შეცდომა მოუვიდა.

ძალიან არის გავრცელებული ისეთი შეცდომები, სადაც ესა თუ ის სიტყვა სრულიად ზედმეტია, წინადადებას არაფერს სძენს და პლეონაზმად არის ქცეული. მაგალითად:

„...თეორიულ მომზადებასთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გამახვილებულიყო პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებაზე“ [10, 8]. ამ წინადადებაში ზედმეტია სიტყვა „მნიშვნელოვანი“, რადგან „ყურადღება“ თავისთავად გულისხმობს მნიშვნელობის მინიჭებას, მიცემას.

„თანამედროვე საზოგადოების **ერთ-ერთი ცენტრალური** პრობლემაა დანაშაულის ევოლუციის გააზრება...“ [10, 62].

აქ ზედმეტია და უადგილო „ერთ-ერთი“, რადგან იგი განსაზღვრავს „სიტყვა“ „ცენტრალურს“. „ცენტრალური“ ერთერთს კი არ გულისხმობს, არამედ ერთადერთს, სხვებისაგან გამორჩეულს თავისი მნიშვნელობით.

ანალოგიური შეცდომაა წინადადებაში: „ორი წელიც კი არ გასულა იმ დღიდან, რაც ჩვენს გვერდით აღარაა, ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქართველი იურისტი...“ [8, 93]. სრულიად ამკარაა, რომ ამ წინადადებაში სიტყვა „ერთ-ერთი“ ზედმეტია და აზრს მოკლებული.

ასეთივე შეცდომას შეიცავს წინადადება „საინტერესოა, როგორია ფაკულტეტის სტრუქტურა და მისი პოტენციალის **შესაძლებლობები**“ [10, 9].

ამ წინადადებაში ორიდან ერთი სიტყვა ზედმეტია. ეს სიტყვებია „პოტენციალის“ და „შესაძლებლობები“. რატომ?

იმიტომ, რომ სიტყვა „პოტენციალი“ ლათინური ენიდან მომდინარეობს და რისამე განხორციელებისათვის საჭიროა შესაძლებლობათა ერთობლიობას“ [9, 328] ანუ შესაძლებლობებს ნიშნავს. ე. ი. რა გამოუვიდა ამ წინადადების ავტორს? რა და როგორია ფაკულტეტის სტრუქტურა და მისი მეცნიერული შესაძლებლობების შესაძლებლობებიო.

მსგავსი შეცდომაა ამ წინადადებაშიც:

„1999 წლის 17 მარტს კოლეგიის ერთობლივ სხდომაზე შემუშავდა ურთიერთკოორდინირებულ ღონისძიებათა გეგმა...“ [10, 54] აქ შეცდომების მიზეზად სიტყვა „კოორდინირების“ შინაარსის უცოდინარობაა ქცეული. ავტორს არ სცოდნია, რომ სიტყვა „კოორდინირება“ ლათინურია და „რაიმე მოქმედების, საქმიანობის შეთანხმებას, ურთიერთშეფარდებას“ ნიშნავს [11, 222]. მაშ რაღა საჭირო იყო ამ უცხო სიტყვაზე კიდევ ერთი „ურთიერთის“ მიმატება, როცა ამ ურთიერთის შინაარსს იგი ისედაც შეიცავს?..

თუ აღნიშნულ წინადადებებში შეცდომის მიზეზი უცხო

სიტყვათა შინაარსის უცოდინარობაა, იმ წინადადებაში, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, შეცდომის საფუძველი ქართული სიტყვის უმართებულო ფორმით გამოყენებაა. აი, ეს წინადადებაც:

„დანაშაულთა **გამოვლინების,** გახსნისა და გამოძიების [მოკვლევითურთ, რომელიც ამიერიდან გამოძიების თავდაპირველი ეტაპია – კანონით განსაზღვრულ თავდაპირველ საგამოძიებო მოქმედებათა ერთობლიობა...“ [10, 16]. აქ არასწორადაა გამოყენებული სიტყვა „გამოვლინების“. უნდა იყოს „გამოვლენის“. ამ სიტყვის საწყისი არის „გამოვლენა“. მისი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იქნება „გამოვლენის“ [12, 110].

უაღრესად ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც უცხოენოვანი (განსაკუთრებით რუსულენოვანი) სიტყვათშეთანხმებათა პრინციპები მექანიკურადაა გადმოტანილი ჩვენს ენაში, ე. წ. „კალკების“ სახით. ამით კი დარღვეულია ქართული მეტყველების ბუნებრივი დინება, წინადადებაში ჩნდება მსგავს სიტყვათა გამეორებანი და გაბუნდოვანებულია აზრი: ამგვარ შეცდომათა კვალი აშკარად ატყვია შემდეგ წინადადებას: „საქართველოში უმაღლესი განათლების შესახებ კონცეფციის შემუშავება, რომელიც, თავის მხრივ, **განათლების შესახებ** კანონიდან გამომდინარეობდა, იურიდიული განათლების სრულყოფასაც ისახავდა მიზნად“ [10, 8]. ამ წინადადების სტილური გაუმართაობა აშკარაა. აზრის სინათლეს განსაკუთრებით უშლის ხელს რუსული კალკების გამოყენება, თანაც არაერთხელ. კალკებია „განათლების შესახებ კონცეფცია“ და „განათლების შესახებ კანონიდან“.

ისინი რუსულის „Концепция об образовании“ და „Закон об образовании“-ს სიტყვასიტყვით გადმოღებაა. ეს აკვიატებული სიტყვა „შესახებ“ სრულიად ზედმეტი და არაფრის მაქნისია. ავტორს ქართულად რომ ეაზროვნა, ამ წინადადებას ასე მაინც გამართავდა:

„საქართველოში უმაღლესი განათლების კონცეფციის შემუშავება, რაც განათლების კანონიდან გამომდინარეობდა, მიზნად ეურიდიული განათლების სრულყოფასაც ისახავდა“.

რასაკვირველია, თქმაც შეეძლო, ხელი ცუდმოქართულობამ შეუშალა.

თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული მსგავსი სიტყვების გამეორება ერთსა და იმავე წინადადებაში. ამ გარემოებათა გამოყენებაში არც „იძულებითობა“ შეინიშნება და არც უნებლიობა.

აი, ამის რამდენიმე მაგალითიც:

„ჟურნალ „სამართლის“ რედაქციის ახალი შემადგენლობა ყველაფერს იღონებს, რათა ჟურნალმა დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული და მისი ერთგული მკითხველის მკაცრი მოთხოვნები“ [8, 5].

ამ წინადადებაში სიტყვის გამეორებას – ტავტოლოგიას ქმნის სიტყვა „ჟურნალი“. მის დამწერს ოდნავ მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა, ერთ-ერთ ადგილას სიტყვა „ჟურნალს“ ამოიღებდა (ალბათ, დასაწყისში!) და წინადადებაც ასე თუ ისე გაიმართებოდა.

ასეთივე ხასიათის შეცდომას ვხვდებით წინადადებაში:

„ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მოითხოვს ფულადი მიმო-

ქცევის მიმართ სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს“ [10, 40].

ამ წინადადებაში ტავტოლოგიას ქმნის სიტყვა „ეკონომიკა“. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს წინადადების შინაარსი ობიექტურად მოითხოვს ამ სიტყვის გამეორებით გამოყენებას, რადგან ერთ შემთხვევაში ეკონომიკურ მექანიზმებზეა საუბარი, მეორეში – საბაზრო ეკონომიკაზე.

ორივე შესიტყვება სპეციფიკურ ტერმინოლოგიურ გამოთქმად მოჩანს. ამის მიუხედავად, მაინც შეიძლებოდა ამ ტავტოლოგიის თავიდან აცილება. მაგალითად, შეიძლებოდა „საბაზრო ეკონომიკის“ შინაარსი ამ სიტყვათა ტოლფარდი გამოთქმით შეცვლილიყო. ვთქვათ, ავტორს რომ ეთქვა „თანამედროვე პირობებშიო“, განა შინაარსი ამით შეიცვლებოდა? როცა ეკონომიკაზე საუბრისას თანამედროვე პირობებს ვახსენებთ (ვიმეორებთ, ეკონომიკის კონტექსტში), განა საბაზრო ეკონომიკა არ იგულისხმება? საბაზროს გარდა, სხვა რა ეკონომიკა გაგვაჩნია? ეს შეცდომა არაა ისეთი რიგისა, როგორც ზემოთ განხილულ წინადადებაში მითითებული დარღვევა, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც შეცდომაა.

ანალოგიური ხასიათის შეცდომაა შემდეგ წინადადებაში:

„... იუსტიციის სამინისტროში ყოველდღიური მუშაობა მიმდინარეობს მრავალი ახალი საკანონმდებლო აქტის **შესამუშავებლად**“ [13, 7].

აქ სტილურ ხარვეზს ქმნის ხაზგასმული სიტყვები „მუშაობა“, „შესამუშავებლად“. შეიძლებოდა ერთ-ერთი სიტყვისათვის ტოლფარდის მოძებნა და წინადადებაც გაიმართებოდა (ვთქვათ, „აქტის შესაქმნელად“ ან სხვა).

ამჟამად არ არის უადგილო ენამჭევრობით თავმოწონების ცდებიც. ამის ნათელსაყოფად ამჯერად მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანით შემოვიფარგლებით. ჟურნალ „სამართლის“ საანალიზოს მოხმობილ ამავე, მეოთხე ნომერში, მე-4 გვერდზე, ასეთ ფრაზას ვხვდებით:

„ეს იყო გზა დახუნძლული იდეოლოგიური, ფინანსური თუ სხვა სახის წინააღმდეგობებით“...

დამეთანხმებით, აქ სიტყვა „დახუნძლული“ არცთუ ისე მოხერხებულად არის შერჩეული, რადგან მასში ნაგულისხმევი შინაარსი (ნაყოფით, ხვავით სავსე, სიუხვის დამშვენების ქვეტექსტით) ვერ შეესატყვისება იმას, რასაც ავტორი გულისხმობდა. მან თავი აარიდა მეტ-ნაკლებად გაცვეთილ, გაუფერულებულ სიტყვას, ამ კონტექსტში ჩვეულებრივ ათასგზის რომ გამოუყენებიათ („აღსავსე“), აზრის მჭევრად გამოთქმა სცადა, უადგილოდ გამოყენებულმა სიტყვამ კი უკუეფექტი გამოიწვია.

ჟურნალ „სამართლის“ საანალიზოდ აღებულ ამ ნომრებში (1999 წლის მე-4, მე-5 ნომრები), რასაკვირველია, უამრავ სხვა შეცდომასა თუ უზუსტობაზე მითითებაც შეიძლებოდა. მაგრამ ამ შეცდომათა აღნუსხვა და ანალიზი ამ შემთხვევაში არც ჩვენს მიზანს შეადგენს და მთავარ საკითხსაც დაგვაშორებს. მთავარი საკითხი კი, თუ იგი წარმოდგენილი შეცდომების განხილვა-ანალიზმა არ დაგვიწყათ, იმის ჩვენება იყო, რომ დღეს ჩვენი იურისპრუდენციის ენა შესამჩნევად მოიკოჭლებს. მშობლიური ენისადმი უდიერი დამოკიდებულება სრულიად აშკარაა. ამას ზემოთ განხილული, სერიოზული იურიდიული ჟურნალის – „სამარ-

თლის“ ზერელე მიმოხილვაც ნათელყოფს. ეს ჟურნალი საანალიზოდ იმიტომ მოვიხმეთ, რომ გვეჩვენებინა, რა მდგომარეობაა ქართული მართლმეტყველებისა და მართლწერის თვალსაზრისით ჩვენს იურიდიულ მეცნიერებასა და პუბლიცისტიკაში. მისი ნორმებიც სრულიად პირობითად იყო შერჩეული. განხილვამ, როგორც დავინახეთ, ამ მხრივ არცთუ სახარბიელო სურათი გვიჩვენა.[1]

ეს ვითარება, ბუნებრივია, პირდაპირ კავშირშია ქართულ სამოსამართლო მჭევრმეტყველებასთან, რადგან თუ კაცი გამართული, სწორი ქართულით ვერ მეტყველებს და ვერ წერს, მის ორატორობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მით უფრო, რომ მჭევრმეტყველებაშიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მთავარი მეტყველების სტილის სიცხადე და სიზუსტეა. საინტერესო უნდა იყოს, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში?

XX საუკუნეში ქართულ სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში, საბჭოური იდეოლოგიური ცხოვრების წესის გამო, არცთუ სახარბიელო მდგომარეობა სუფევდა. სამოსამართლო მჭევრმეტყველების ძველისძველი ტრადიციები მიინავლა და გაფერმკრთალდა... და მაინც ამ პერიოდში ქართველ იურისტთა სამოსამართლო სიტყვების რამდენიმე კრებული გამოიცა. ამ კრებულებში შევიდა, როგორც იმ იურისტთა სიტყვები, რომლებიც ასპარეზზე საუკუნის

[1] რასაკვირველია, დღეს ამ სენით მარტო ჩვენი იურისპრუდენციის სფერო არ არის დაავადებული. ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების წინაშე ყველა საცოდაგს. მსგავს და უფრო უხეშ დარღვევებსაც უხვად შეხვდებით ჩვენი მასმედიის, პუბლიცისტების, მეცნიერების... ნაწერებში. განსაკუთრებით თვალში საცემია ჩვენი ტელეჟურნალისტების ენობრივი დაუდევრობა, სტილური გაუმართაობა, უხეში შეცდომები, რისი ყოველდღიური მოწმეც მთელი საქართველოა.

დასაწყისში გამოვიდნენ და XIX საუკუნის ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილი, ასევე, შემდგომი თაობის იურისტთა ნაღვაწიც. ამდენად, ამ კრებულში წარმოდგენილი სამოსამართლო სიტყვები იმის დანახვა-გააზრების საშუალებას იძლევა, თუ როგორი იყო ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველება XX საუკუნეში. ამიტომ ერთ-ერთი ასეთი კრებულის მიმოხილვით გავეცნოთ ჩვენი იურისტების სამოსამართლო სიტყვებს და ვნახოთ, რა ღირსება-ნაკლოვანებებს შეიცავს მათი მჭევრმეტყველება (ეს კრებულია: „ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები, შემდგენელი ნიკოლოზ დავითაია, თბილისი, 1963 წელი).

ნაკლის მხილება, რასაკვირველია, თვითმიზანი არ არის. შეცდომაზე მითითება, მისი ანალიზი, იმაზე მინიშნება, თუ რა არის დარღვეული, რამ განაპირობა ენობრივი ნორმიდან გადაცდენა და ან სად, როგორ, რანაირად არის ნაცადი ორატორული ეფექტის შექმნა და რატომ ვერ მოხერხდა, ვფიქრობთ, დიდად დაგეხმარებათ. შეცდომის გაცნობიერება ხომ შემდგომში მისი თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური საშუალებაა?! ბრძენ კაცსაც შემთხვევით არ უთქვამს, ჭკვიანი სხვათა შეცდომებზე სწავლობსო.

ამდენად, ჩვენ მიერ მოყვანილი ყოველი კონკრეტული შეცდომის განხილვას თვალსაჩინოების დანიშნულება აქვს. გაეცანით შეცდომას, დარღვევას, გადაცდენას, ცდომილებას, რათა მერე თქვენ აღარ გაიმეოროთ, ხოლო თუ ორატორთა ნააზრევში თავჩენილი შეცდომათა არსს გაიცნობიერებთ და ისწავლით მათს თავიდან აცილებას, იმ ორატორებზე

უკეთესი გამოგივათ ის სამოსამართლო სიტყვები, რომელთა წარმოთქმა მრავალჯერ მოგიწევთ თქვენი პრაქტიკული მოღვაწეობის ჟამს.

ჯერ ის შემთხვევები ვნახოთ, სადაც მეტყველების სტილი ისეა დარღვეული, რომ აზრის გაგება გაძნელებულია, სათქმელი ბუნდოვნადაა გადმოცემული.

მითითებული კრებულის 93-ე გვერდზე ასეთ წინადადებას ვხვდებით:

„ერთი სიტყვით, პირველი შეხედვით ყველაფერი ისეა, როგორც ცნობილ ქართულ ხალხურ ზღაპარში: „რწყილი და ჭიანჭველა“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იმ დროს, როდესაც რწყილი ამოძრავებულია კეთილშობილური მეგობრული გრძნობით, მოწმე ტერტეროვა მოკლებულია შესაძლებლობას თავისი როლი ამ საქმეში ასეთივე მაღალი მოწოდებით ითამაშოს“.

ამ წინადადების გაცნობისას უპირველესად თვალში მისი სტილური გაუმართაობა გვხვდება. რით არის ეს გამოწვეული? უმთავრესად, ქართული ენის ბუნებისათვის უცხო სინტაქსური ერთეულებით, შესიტყვებებით, ფრაზის აგების პრინციპით დავაკვირდეთ!

წინადადების დასაწყისშივე რუსული კალკი გხვდება: „ერთი სიტყვით, პირველი შეხედვით, ყველაფერი ისეა...“. ქართველი კაცი არ იტყვის „პირველი შეხედვითო“, იმიტომ, რომ ეს გამოთქმა ჩვენი ენის ბუნებისათვის უცხოა. ამ გამოთქმის ქართული შესატყვისია „ერთი შეხედვით“, „თვალის ერთი გადავლებით“ და ა. შ. ამასთან, ამ წინადადების ავტორს ეს სიტყვები შეეძლო საერთოდ არ ეთქვა, რადგან

მათ წინა ორი სიტყვა - „ერთი სიტყვით" ცვლის.

„პირველი შეხედვით ყველაფერი ისეა" ზუსტი კოპირებაა რუსული გამოთქმისა „На первый взгляд все так...", ასევე, რუსულის კოპირებაა ფრაზა „... იმ დროს, როდესაც რწყილი ამოძრავებულია კეთილშობილური მეგობრული გრძნობით, მოწმე ტერტეროვა მოკლებულია შესაძლებლობას თავისი როლი ამ საქმეში ასევე მაღალი მოწოდებით ითამაშოს".

კითხულობ ამ ფრაზას და მყისიერად მისი რუსული „დედანი" წარმოგიდგება თვალწინ - „...Вто время, как Блоху двиголо чувство благородной дружбы, свидетель Тертерова была лишена возможности сыграть свою роль в этом деле с таким-же высоким призванием".

ავტორს ეს ფრაზა ქართულად რომ აეგო, ალბათ, ასე იტყოდა: „ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც ქართულ ხალხურ ზღაპარში „რწყილი და ჭიანჭველა". ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ რწყილი კეთილშობილური მეგობრული გრძნობა ამოძრავებს, მოწმე ტერტეროვა კი ამის საშუალებას მოკლებულია", ან „მოწმე ტერტეროვას არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ ასეთივე კეთილშობილის როლი შეესრულებინაო".

ამას გარდა, შეცდომითაა დაწერილი სიტყვა „კეთილშობილური", „კეთილშობილის" უნდა იყოს.

შესაძლოა ვინმე შემოგვედავოს, მჭევრმეტყველების სტილს თავისი ბუნება აქვს, მართლმეტყველებისა და მართლწერის კანონებს ანგარიშს ნაკლებად უწევსო. დიახ, ეს გარკვეულწილად ასეცაა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ მჭევრმეტყველების მიზანი სათქმელის ისე (თუნდაც

ლამაზად, მჭევრად) თქმაა, რომ სხვისთვის მაქსიმალურად გასაგები იყოს. ამიტომ მეტყველება მშობლიური ენის ბუნებას უნდა ემყარებოდეს. ზემოთ მოყვანილი წინადადება კი ქართული ენისათვის უცხო წყობითაა აგებული და მჭევრმეტყველებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აზრი გაბუნდოვანებულია?!

ვნახოთ კიდევ რამდენიმე ანალოგიური წინადადება.

ჩვენი განსახილველი კრებულის 190-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„ახლა იურიდიულად გავშიფროთ ის, თუ რამდენად შეიძლება ბრალეული ხასიათის მიზეზობრივ კავშირში იყოს მშობლების შერიგების ფაქტი მომხდარ შედეგთან, დაზარალებულის მიერ თავის დახრჩობის ცდასთან“.

ეს წინადადება, არა გვგონია, კარგი ქართულით იყოს დაწერილი. დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ გაიგო, რას ამბობს მისი ავტორი. ისიც გაუგებარია, რას ნიშნავს „იურიდიული გაშიფვრა“. ნუთუ არ შეიძლებოდა ავტორს, მართლაც, „გაეშიფრა“ სათქმელი და ცოტა გასაგებად, თუნდაც ასე, ეთქვა:

„ახლა იურიდიული კუთხით შევხედოთ მომხდარს და ვნახოთ, მშობლების შერიგების ფაქტი რამდენად შეიძლება იყოს დაზარალებულის მიერ თავის დახრჩობის მიზეზი“.

ამ წინადადების დაწერა, რასაკვირველია, კიდევ უფრო მარტივად და გასაგებადაც შეიძლება, თანაც მჭევრმეტყველების იერის შენარჩუნებით.

კიდევ ერთი მაგალითი ვნახოთ: ჩვენთვის უკვე ცნობილი კრებულის 185-186-ე გვერდებზე ასეთი ტექსტია დაბეჭდილი:

„...თუ არ არის დადგენილი განზრახვითი ან გაუფრთხილებლობით ხასიათის ფსიქიკური დამოკიდებულება სუბიექტისა მომხდარ ფაქტთან, მაშინ ჩვენ არა გვაქვს საქმე რაიმე კრიმინალთან. ამ უდავო კრიტერიუმით არ არის ეს საქმე ნაკვლევი და განსჯით წარმართული. ამიტომ არ ჩანს ამ საქმის ჭეშმარიტი იურიდიული მხარე არც ბრალდების დასკვნაში და არც ბრალმდებლის სიტყვაში... ეს იქნება სავალალო და სამწუხარო არა მარტო ბრალდებულის ინტერესების თვალსაზრისით, არამედ მაღალი და მართებული მართლმსაჯულების სიწმინდისა და ხელუხლებლობის თვალსაზრისითაც“.

მჭევრმეტყველების როგორი ნიმუშია? ჩვენი აზრით, არცთუ შთამბეჭდავი. რატომ? იმიტომ, რომ... ვკერ ერთი, უადგილოდ და გაუმართლებლად დახვავებულია ისეთი სიტყვები, სპეციალურ იურიდიულ ნიუანსებს რომ შეიცავს; მეორე, მჭევრმეტყველების ეფექტის შესაქმნელად გამოყენებულია არაფრისმთქმელი განსაზღვრებები. აღნიშნულის ნათელსაყოფად ამ ტექსტის უფრო დეტალურ ანალიზს მივმართოთ.

განა გაუმართლებლად არ არის დამძიმებული ამ ტექსტის პირველი წინადადება:

„თუ არ არის დადგენილი განზრახვითი ან გაუფრთხილებლობითი ხასიათის ფსიქიკური დამოკიდებულება სუბიექტისა მომხდარ ფაქტთან, მაშინ ჩვენ არა გვაქვს საქმე რაიმე კრიმინალთან“.

რას გვაუწყებს ავტორი ამ წინადადებაში? – ვფიქრობთ, ამის გაგება მთლად ადვილი არ უნდა იყოს! თუ შევეცდებით,

შეიძლება გავარკვიოთ (ისიც დიდი ალბათობით), რომ ავტორი აქ შემდეგზე ლაპარაკობს:

თუ დანაშაული მოხდა, მაგრამ დადგენილი არ არის, რომ სუბიექტს ამ დანაშაულთან რაიმე კავშირი აქვს, ან განზრახვითი, ან უნებლიე, მას დამნაშავედ ვერ ვცნობთო.

ჩვენი დიდი წვალების შემდეგ ეს აზრი გამოვიტანეთ ამ „თავსატეხიდან“, სხვამ შეიძლება სხვა შინაარსი ამოიკითხოს. ეს სხვაობაც სრულიად ბუნებრივი იქნება. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ დაწერილი წინადადების „გაშიფვრას“ ასეთივე წერილობით დიდი დრო მოვანდომეთ. მისი რამდენიმე ვარიანტის შედგენის შემდეგ მივედით საბოლოო „რედაქციამდე. ჰოდა, თუ წერითი ასეთი დრო დასჭირდა მისი აზრის გაგებას, მსმენელი ერთი მოსმენით განა გაიგებდა რამეს?

ახლა ამ ტექსტის წმინდა ორატორულ მხარეს მივაქციოთ ყურადღება. ავტორს მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენა „მაღალფარდოვანი“ სიტყვების მომარჯვებით უცდია. დავაკვირდეთ:

„ამ უდავო კრიტერიუმით არ არის საქმე ნაკვლევი და განსჯით წარმართული...

„... ეს იქნება სავალალო და სამწუხარო არა მარტო ბრალდებულის ინტერესების თვალსაზრისით, არამედ მაღალი და მართებული მართლმსაჯულების სიწმინდისა და ხელუხლებლობის თვალსაზრისითაც“.

მჭევრმეტყველების ეფექტის შექმნა ამ ნაწყვეტში შემდეგ სიტყვებს აკისრია: „განსჯით წარმართული“, „სავალალო“, „სამწუხარო“, „მაღალი“, „მართებული“, „სიწმინდისა“, „ხე-

ლუხლებლობის“. თუ ამ ნაწყვეტის ტექსტს კარგად დავაკვირდებით, აშკარა გახდება, რომ მათი უმეტესობა მაინც ვერ ქმნის მჭევრმეტყველების ატმოსფეროს და დილეტანტი თამადის ლექსიკას უფრო მოგვაგონებს. ეს განსაკუთრებით „განსჯით წარმართულზე“, „მართლმსაჯულების სიწმინდისა და ხელუხლებლობის თვალსაზრისზე“ ითქმის. „მართლმსაჯულების სიწმინდე“ გასაგებია და მას გარკვეული აზრობრივი დატვირთვა უდავოდ აქვს, მაგრამ რას ნიშნავს „მართლმსაჯულების ხელუხლებლობა“?!.. ასე იცის სიტყვის დაუფიქრებელმა გამოყენებამ.

სხვათა შორის, სიტყვის ასეთი დაუფიქრებელი გამოყენების ერთი აშკარა მაგალითია საანალიზო კრებულის 129-ე გვერდზე დასტამბული წინადადება:

„დააკვირდით მოსამართლენო, სრულიად ახალგაზრდის, ჯერ კიდევ ბავშვის გაუხარელ ცხოვრებას...“

სრულიად აშკარაა, რომ ამ წინადადებაში უადგილოდ არის გამოყენებული სიტყვები „ჯერ კიდევ ბავშვის“.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ უფრო აშკარას გახდის ჩვენს სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში ამ არასასურველი ტენდენციის ფესვგადგმულობას. საანალიზო კრებულში შეტანილ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვებში ასეთ წინადადებებს შევხვდებით:

„იყო მსაჯული და შეგეძლოს „ქმნა მართლისა სიმართლისა...“ (8, 149).

„აბა, წარმოიდგინეთ თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტორთა პერიპეტიები! ისინი **უსაზღვრო თვალსაწიერის და განუსჯელი ზრახვების სამყაროს** მიეკუთვნებიან“ (11, 127).

„მთელი რწმენით, მტკიცე დაჯერებით და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ხსენებულ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია“ (8, 130).

„...მღელვარების ზეგავლენით გაიმეორა საბრალდებო დასკვნის... ტექსტი“ (8, 76).

პირველ წინადადებაში ავტორს უხეში ფაქტობრივი შეცდომა მოსვლია. „ვეფხისტყაოსნისეული“ აფორიზმი მოუმარჯვებია მჭევრსიტყვაობის უნარის გამოსავლენად და „სამართალი“ რატომღაც „სიმართლით“ შეუცვლია.

ორატორულ ხელოვნებაში დიახაც რომ საჭიროა ხატოვანი თქმების, აფორიზმების გამოყენება. ისინი მეტყველებას დიდ ემოციურ დატვირთვას სძენს, მაგრამ აქ ორატორს სიფრთხილე მართებს. ხატოვანი თქმა, ანდაზა, აფორიზმი ზუსტად უნდა ახსოვდეს, თორემ სასაცილო მდგომარეობაში ჩაიყენებს თავს.

მეორე წინადადებაში კონტექსტისათვის მაინცდამაინც შესაფერისად არ ჟღერს სიტყვები „უსაზღვრო თვალსაწიერი“ და „განუსჯელი ზრახვების სამყარო“.

ასევეა მესამე და მეოთხე წინადადებებშიც. მოუხერხებლად შერჩეული განსაზღვრებები კი არ აძლიერებს, პირიქით, ამდარებს მჭევრმეტყველების ეფექტს, წინადადებათა ემოციურ დატვირთულობას. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რაოდენ დიდი სიფრთხილეა საჭირო ფრაზის „მხატვრული სამკაულებით“ შემკობის ჟამს.

მეტყველების მჭევრობა ანუ ლამაზად, შთამბეჭდავად საუბარი ორატორული ხელოვნების უმთავრესი მიზანია. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება ყველაფერი, რაც

მჭევრმეტყველების არსენალსა და შინაარსს შეადგენს. მათ შორისაა ე. წ. „მხატვრული სამკაულები“, ანუ მხატვრული ხერხები (მეტაფორა, შედარება, ანაფორა, გრადაცია და ა. შ.). ამის გამოა, რომ მჭევრმეტყველების მხატვრული სიტყვიერების ერთ სფეროს უწოდებენ.

სამოსამართლო მჭევრმეტყველების ზოგიერთი თეორეტიკოსი ამ ფაქტის გათვალისწინებით სამოსამართლო სიტყვას სრულიად სამართლიანად მხატვრულ ნაწარმოებად მიიჩნევს [14, 127]. ამ თვალსაზრისზე მდგომნი ამტკიცებენ, რომ ორატორული შემოქმედება თავისი ბუნებით ისეთივეა, როგორიც, საერთოდ, ხელოვნების სფეროში ადამიანის მოღვაწეობაო.

ამ აზრს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ისინი თვლიან, რომ სამოსამართლო სიტყვა მკაცრი ლოგიკურია განსჯაა და არა ესთეტიკა, მაგრამ მართლები არ არიან. არ არიან თუნდაც იმიტომ, რომ ლოგიკური განსჯა არც მხატვრული ნაწარმოებებისათვის არის უცხო. თანაც ასეთი განსჯა-ანალიზი მწერლობაშიც საკმაოდ ღრმა და ყოვლისმომცველია ხოლმე. ამას რომ თავი დავანებოთ, თუ სამოსამართლო პრაქტიკაში წვრილმანი, ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ფაქტებია ორატორული განხილვის საგანი, ხელოვნებაშიც დაახლოებით ასეა. აქაც კონკრეტული საგანი ან მოვლენაა გადაქცეული მხატვრული ასახვის საგნად, ხოლო ეს საგანი თუ მოვლენა მისი მსგავსი საგნებიდან მოვლენებიდანაა აღებული და გამოცალკევებული. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ამ გამოცალკევების ფაქტის გარეშე არც ხელოვნება არსებობს [14, 131].

სადღეისოდ უფრო ის აზრია გაზიარებული, რომ განსახილველი ფაქტის მხატვრული სურათის შექმნას სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში დარწმუნების დიდი ძალა აქვს. მხატვრულ სურათში, ერთი შეხედვით, მიუღებელიც კი თანაგრძნობის ელფერით იმოსება. ამის მაგალითები სამოსამართლო მჭევრმეტყველების პრაქტიკაში მრავლადაა ცნობილი [14, 134-141].

ეს კანონი, როგორიც ჩანს, კარგად იციან ქართველმა იურიტებმაც. ამის არაერთ ფაქტს ვხვდებით ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ნიმუშთა იმ კრებულებში, რომლებიც ჩვენი ქრესტომათიის საყრდენს წარმოადგენს. მხატვრული სურათის შექმნის ცდას არაერთი ქართველი ბრალმდებელისა და ადვოკატის სამოსამართლო სიტყვაში ვხვდებით. მაგრამ ერთია ცდა, მეორე და უმთავრესი კი – განხორციელებაა.

რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით მითითებულ კრებულებში?

ჩვენი სამოსამართლო მჭევრმეტყველების სისუსტეები მხატვრული სურათის დახატვის ფონზე ყველაზე ხელშესახებად მოჩანს. ლექსიკის სიმწირე, ფრაზის, სტილის გრძნობის უქონლობა, მჭევრად მეტყველების სურვილის შეუთავსებლობა ცალკეული სამოსამართლო სიტყვის ავტორის მხატვრულ, ორატორულ შესაძლებლობებთან მოწაფეობის სენით არის დაღდასმული. სურვილი ორატორისა სურვილადვე რჩება, გაუწაფავი და გაურანდავი „მჭევრსიტყვაობა“ კი უხერხულობას შობს.

ერთ სამოსამართლო სიტყვაში ასეთი მხატვრული სურათია დახატული: ავტორი ჯერ სვებედნიერი სოციალისტუ-

რი ცხოვრების იდეოლოგიურ სინამდვილეს ხატავს, შემდეგ ამ ფონზე ამბობს:

„მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ გარემოში ზოგჯერ სიკვდილის ცელით აღიმართება ადამიანის შავი სილუეტი. მხეცად ქცეული მკვლელი გაურბის ნათელს, უკანასკნელ ბილიკებს ტოვებს და ხალხის მკაცრი განაჩენის მოლოდინში დგას უფსკრულის სანაპიროზე“ [14, 148].

მეტ-ნაკლებად მისაღები და გარკვეული შთაბეჭდილების მომხდენი ეს მხატვრული სურათი ერთი სიტყვით არის „გაფუჭებული“. უადგილოდ არის გამოყენებული სიტყვა „სანაპიროზე“. „უფსკრულის სანაპირო“ ცოტა გაუგებარია. ადამიანის ცნობიერებაში სანაპირო ფართო ზოლია მიწისა (ჩვეულებრივ ზღვის, მდინარის... სანაპირო).

უფსკრულის დასაწყისს ქართველი კაცი „უფსკრულის პირს“ უწოდეს და ამ ცნებაში პირდაპირის გარდა, გადატანითი მნიშვნელობაც აქვს ჩადებული, ისეთი, როგორც ამ ნაწყვეტის ავტორს ჰქონდა ნაგულისხმევი (დიდი საშიშროება).

მსგავსი ვითარებაა შემდეგ მაგალითებშიც. ავტორი ამ შემთხვევაში სიტყვათა არასწორი შერჩევით ამდარებს საკუთარ ნააზრევს, როცა ასე წერს:

„...ცალკეულ ადამიანთა შორის თუ ოდესმე რაიმე პირობის შესრულებას ჰქონდა მნიშვნელობა, ეს, პირველ რიგში, შეყვარებულთა შორის არსებულ პირობაზე შეიძლება ითქვას. ეს მოსაწყენი ჭეშმარიტება როდია, პირიქით, მიმზიდველი სინამდვილეა ყოველი დროის ადამიანისათვის“ [12, 235].

აქ აზრიც და მხატვრულობაც დაარღვია გამოთქმებმა „მოსაწყენი ჭეშმარიტება“, „მიმზიდველი სინამდვილე“, რომ-

ლებიც სიყვარულის ყოვლისშემძლეობასთან მიმართებაშია გამოყენებული. რა შუაშია „მოსაწყენი ჭეშმარიტება“? არამოსაწყენი ჭეშმარიტება რაღაა?

სხვა ასეთი მაგალითების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, აღნიშნულიც ნათელყოფს, რომ სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში დღეს ისეთი ტენდენციები „შემოგვპარვია“, რომლებსაც სერიოზული ყურადღების მიქცევა სჭირდება.

მჭევრმეტყველების ტრადიციებს, რითაც ქართველი იურისტები საუკუნეთა განმავლობაში გამოირჩეოდნენ, ბზარი შეჰპარვია, მინავლებულია... რატომ? – მიზეზები ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი. საბჭოურმა სინამდვილემ არა მარტო ისეთი ცხოვრების წესი დაამკვიდრა, რომელმაც სამოსამართლო მჭევრმეტყველების პრაქტიკული საჭიროება მოსპო, არამედ მისი სწავლების საუკუნოვანი ტრადიციებიც დავიწყებას მისცა. XX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულსღა მიიხედეს მჭევრმეტყველებისაკენ. რუსეთში, მაგალითად, უმაღლეს სკოლებში ცალკეულ სპეციალობებზე მისი სწავლება განაახლეს, ცალკეულ შემთხვევებში ახალი, კომუნისტური სულისკვეთების სახელმძღვანელოებიც შექმნეს, ძველი ე. წ. რევოლუციამდელი დროის ცნობილ ავტორთა შრომები და, მართლაც, კარგი სახელმძღვანელოებიც გამოსცეს ხელახლა, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა დაგვიანებული აღმოჩნდა. დაგვიანებული აღმოჩნდა იმიტომ, რომ მანამდე მჭევრმეტყველების სწავლისა და სწავლების ტრადიციები მოიშალა, დავიწყებას მიეცა. მჭევრმეტყველება მხოლოდ ნიჭიერი ადამიანების ამარა დარჩა, რომლებიც ან

პირუთვნელად, როგორც იტყვიან, „პირადი ინიციატივით“ ეცნობოდნენ მჭევრმეტყველების „საიდუმლოებებს“, ან მჭევრად მეტყველების ბუნებრივი ნიჭი ჰქონდათ მიმადლებული. XX საუკუნის ქართველ იურისტთა შორისაც იყვნენ ისეთი ადამიანები, მაგრამ არც მათი პრაქტიკული მოღვაწეობა და არც სამოსამართლო სიტყვების ქრესტომათიული მიზნით ბეჭდვა არ აღმოჩნდა საკმარისი ჩვენი სამოსამართლო ტენდენციების შესანარჩუნებლად და მჭევრმეტყველების შესწავლისადმი ინტერესის გასაღვივებლად. ვერ ვიტყვით, რომ ქართველ იურისტებს არ გასჩენიათ სახელოვან წინამორბედთა მიბაძვის სურვილი. ასეთი სურვილის არსებობა დიახაც რომ აშკარად მოჩანს, მაგრამ სათანადო სასწავლო ტრადიციების უქონლობამ მათს ორატორობას ხშირ შემთხვევაში მაინც უნიათო ეპიგონობის დაღი დაასვა.

არადა ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ძირძველი ტრადიციების აღორძინება დღეს უკვე თვითმიზანი არ არის. დღეს მას დიდზე დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც გაუჩნდა, რადგან თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს რაობას, მის რაგვარობას ისე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იურისპრუდენცია, რომ ჩვენი პლანეტის მოწინავე ქვეყნებს სამართლიანად უწოდებენ „იურისტთა სახელმწიფოს“. ასეთად მოიხსენება, მაგალითად, თანამედროვეობის უდიდესი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები.

აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს, მართლაც, სურს გამოვიდეს წარსულიდან, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „მოიკლას წარსულ დროებზეც დარდი“, მან თავისი სახელმწიფოებრიობა თანამედროვე ცივილიზაციის

პრინციპებს უნდა დაამყაროს. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ქართულმა იურისპრუდენციამ ისეთივე როლის შესრულება უნდა იტვირთოს, როგორსაც ჭეშმარიტი დემოკრატიის ნიმუშებად წარმომდგარ მოწინავე სახელწმიფოებში ასრულებს. ამ უდიდეს საქმეში კი თავისი წვლილი ქართულმა სამოსამართლო მჭევრმეტყველებამაც უნდა შეიტანოს. ახალ საქართველოს ყოველმხრივ განათლებული, გამართულად, მჭევრად მეტყველი იურისტი სჭირდება, რომელსაც სიტყვის ძალის ფასიც ეცოდინება და სიტყვით მიზნის მიღწევის უნარიც ექნება.

ამ მიზნის მიღწევაში, მჭევრმეტყველების ანბანის დაუფლებაში დაგეხმარებათ შემოთავაზებული ქრესტომათია-პრაქტიკუმი.

აქ XIX-XX საუკუნეების იმ ქართველ იურისტთა სამოსამართლო სიტყვების ტექსტებია წარმოდგენილი, რომლებიც ორატორობის ნიშნითაა გამორჩეული. რამდენიმე სიტყვას განხილვა-ანალიზიც ახლავს. ეს იმის გაგებაში დაგეხმარებათ, თუ როგორ უნდა განიხილოთ და შეაფასოთ მჭევრმეტყველების თვალსაზრისით თითოეული სიტყვა. ამასთან, როგორც თვალსაჩინო, კონკრეტული მაგალითით გაიცნოთ (და, რა თქმა უნდა, ისწავლოთ კიდეც!) რომელიმე ორატორს როგორ აქვს ჩაფიქრებული და აგებული თავისი სამოსამართლო სიტყვა, რა ორატორულ ხერხებს იყენებს და ა. შ.

თავისებური დაკვირვებით დადგენილია, რომ ნებისმიერი გამიზნულობის მეტყველების პროცესში თავს იჩენს ერთგვარი ზოგადობა: უგამონაკლისოდ გამოიკვეთება ერთგვარი ბლოკები, რომლებიც აზრის გამოკვეთას და მსმენელის ცნობიერებაში დამაგრებას ემსახურებიან. ეს ბლოკები **ორი, სამი** და **ოთხი** კომპონენტისაგან შედგება. ამტკიცებენ, რომ, როგორც კი ტვინი კომპლექსური, ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის დავალებას მიიღებს, ფსიქიკა ავტომატურად გაჰყავს დიადურ, ტრიადულ და კვადრიულ კონსტრუქციებზე. სწორედ ეს კონსტრუქციები ასრულებენ ადეკვატურობის ფუნქციას – კონკრეტული ადამიანის (მოლაპარაკე სუბიექტის) პიროვნული მნიშვნელობის გადატანას დანარჩენი ადამიანების (მსმენელი აუდიტორიის) შემეცნების სფეროში.

1. **დიადა**

დიადა მოვლენის შუაზე გაყოფას და ცალკეული ნაწილების გონების მიერ ცალ-ცალკე გააზრების დემონსტრირებაა. დიადური ფორმულა მოვლენის არსზე გონების კონცენტრირებულობას ერთგვარად ფანტავს. ასე რომ არ იყოს, ვერ შევიცნობდით ცოდნას თავის სიმყარეში, საიმედოობაში. დიადის ეფექტი მზისას ჰგავს. მზის სხივების ნაცვლად თავად მზე რომ გვინათებდეს, ადვილი წარმოსადგენია, რაც დაგვემართებოდა. მთლიანის აღსაქმელად ამ მთლიანობის დაშლა და მისი ნაწილების ცალ-ცალკე გააზრებაა საჭირო.

მაგალითი:

„უსამართლობა ორი სახისაა: ერთი იმათი მხრიდან, ვინც მას სჩადის; მეორე – იმათი მხრიდან, ვისაც შეუძლია, მაგრამ უკანონობას არ ააშორებს მათ, ვის მიმართაც სჩადიან უსამართლობას“ (ციცერონი).

2. ტრიადა

ფიქრობენ, რომ სამმაგობა ადამიანისათვის ბუნებრივად სასიამოვნოა და სასურველი, რადგან სამმაგობაა ერთადერთი პირნკიპი, რომელიც თავად სიცოცხლის პერიოდიზებასაც ახდენს (დაბადება-არსებობა-სიკვდილი) და ადამიანური ჩანაფიქრის არსსაც (წარმოქმნა-ქონება-გაქრობა) ავლენს.

ამტკიცებენ, რომ სივრცის ნებისმიერი ფაქტი სამი წერტილით ხასიათდება და ყველაფერი, ფანტაზიიდან მოვლენამდე, სამი მომენტით აღიწერება. სამ ეტაპად შეიძლება თითოეული მოქმედების განხორციელება: შუაგული სიცოცხლისუნარიანობაზე მიუთითებს.

სამმაგობა უნივერსალური მთლიანურობის გამოხატულება. როდესაც რაიმე მოვლენის ჩვენებას სამი განსაზღვრულობით ვიწყებთ, ამ მოვლენას ნაწილ-ნაწილ ვეხებით, მაგრამ მთლიანად მოვიცავთ. ასეთია ამ კანონზომიერების ბუნება.

ტრიადების სახეობები:

1. სხვადასხვა სახელდების (სინონიმები):
   - შევსება-ანტრაქტი-პაუზა;
   - შემოწმება-რევიზია-ინსპექცია;
   - ცხენი-მერანი-იორღა.

2. მრავალმხრივი განხილვის (მიმოხილვა)

მაგალითები:

- „მიყვარს ლიტერატურა, რომელიც ემსახურება ადამიანებს, და ყოველთვს მხურვალედ მსურს ვხედავდე მას უფრო **ძლიერს, ნათელს, თამამს**“ (მ. გორკი);
- „პოეზია – ესაა **სიხარულის, გაკვირვების ტკივილისა** და ზოგიერთი **გრამატიკული წესის** ნარევი“ (ჯიბრან ხალილ ჯიბრანი);
- „არასოდეს არ ცრუობენ იმდენს, რამდენსაც **თმის დროს, ნადირობის შემდეგ** და **ბრძოლებამდე**“ (ოტო ბისმარკი);

3. ინტენსივობის ზრდის ტრიადა (გრადაცია)

ა. აღმავალი გრადაცია:

- სვლა-სირბილი-ქროლვა;
- შემიძლია-მინდა-მოვალე ვარ;
- ძლევა-დანგრევა-განადგურება.

ბ) დაღმავალი გრადაცია:

- კარგია, როცა აზრი ცხოვრებაზე სწრაფად **მიდინებს**, ცუდია, როცა ცხოვრება **მიდის**, ხოლო აზრი **დგას**, კიდევ უფრო უარესია, როცა ცხოვრებაც და აზრიც დგანან (ი. შარაბოვი).
- „რატომ მომეგო განცდები, სევდა, მღელვარება?“
- „ორიგინალური, ცინცხალი, დინამიური ომარ ხაიამი თავისი ლექსების თემებით იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია არ აღფრთოვანდე მისი ენციკლოპედიურობით, თვალსაწიერით, ერუდიციით.

გ) ინვერსიული (ბოლოდან დაწყებული) გრადაცია

- ადამიანს, რომელიც ხელს ჰკიდებს არა თავის

საქმეს, **აშვიათად** მოაქვს სარგებელი ადამიანებისათვის, ხოლო უფრო **ხშირად** – ზიანი და **არასოდეს** – სიხარული.

4. მოქმედებათა თანმიმდევრობის (პროცესია) ტრიადა:

- ა) პირდაპირი პროცესია:
- წავიდა, იყიდა, გამოიყენა;
- მივიდა, ნახა, გაიმარჯვა (იულიუს ცეზარი);
- იგი ჯერ ხნავდა, შემდეგ თესავდა, შემდეგ მოსავალს იღებდა.
- ბ) ინვერსიული პროცესია (იწყება ბოლოდან და მთავრდება დასაწყისით)
- ნაღველი, პრობლემები, ბედისწერანი... დღეს, გუშინ ხვალ... ერთთან, მეორესთან, მესამესთან... მთელი კაცობრიობა გლოვობს, იტანჯება, წვალობს... აუტანელი ტვირთია" [15].

3. კვადრიუმი (ლათინური quadrium – **ოთხგზისი**) – **თემის ოთხგზისი გაშუქება.**

კვადრატი სულაც არ არის ერთ-ერთი გეომეტრიული ფიგურა. იგი გაგებას ამძიმებს. კვადრიუმი – ოთხპუნქტიანი ჩამოვლა – ინტერესს აძლიერებს. იგი შემეცნებას წელავს გაცნობიერების გაზიარების ჯაჭვით.

მაგალითები:

• „არ ეგების ოთხი საგნის უგულებელყოფა: **ცეცხლის, ავადმყოფობის, მტრის, ვალის**" (იოანე დამასკელი).

• „თუ გინდა ჭკვიანი იყო, ისწავლე **გონიერი შეკითხვა**, ყურადღებით **მოსმენა**, წყნარად **პასუხის გაცემა** და

ლაპარაკის შეწყვეტა მაშინ, როდესაც აღარაფერი გაქვს სათქმელი“ (ი. ლაფატერი).

• ხალხი ყოველთვის ხალხად დარჩება: გულუბრყვილოდ, თავნებად, **ბრმად** და თავისი ნამდვილი სარგებლის მტრად“ (ფრანსუა ფენელონი).

• რომაელი იურისტები ყველა სამართლებრივ გარიგებას შემდეგნაირად ყოფდნენ:

– „გაძლევ, რათა შენ მისცე“
– „გაძლევ, რომ შენ გააკეთო“
– „ვაკეთებ, რომ შენ გააკეთო“
– „ვაკეთებ, რომ შენ მისცე“ (ჰუგო ჰორაციუსი, ტრაქტატი ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ. 1625 წ.).

6.2. მეტყველების ფსიქოლოგიური რეგისტრები

შენიშნულია: თუ ადამიანის სამეტყველო გამონათქვამის ჩანაფიქრს 100% გავუტოლებთ, სიტყვიერ სამოსს (ანუ ფრაზად, გამონათქვამად იქცევა) მხოლოდ 90% მოირგებს, ხოლო გამოითქმება 80%. ნათქვამიდან (ნალაპარაკევიდან დარჩება არა უმეტეს 70%, მსმენელისათვის გასაგები იქნება სულ 60%, მეხსიერებაში კი დარჩება მხოლოდ 10-24%. ასე რომ, თქმის ენერგიის 5/6 იკარგება (ტარანოვი, გვ. 55)

(ყველაზე) უაღრესად საინტერესო შინაარსის ინფორმაციაც თავის თავად ვერ უზრუნველყოფს ყურადღების შენარჩუნებას დიდი ხნით. დაკვირვებებით გარკვეულია, რომ 10-15 წუთის შემდეგ მოსმენის ეფექტურობა თვალსა და ხელს შუა ქრება, რადგან გონება ჩვენს დაუკითხავად ითიშება. თუმცა მაშინაც, როცა გვისმენენ, იმიტომ კი არ

გვისმენენ, რომ ჩვენ ვაინტერესებთ მსმენელს, არამედ იმიტომ, რომ მისი ინტერესის სფეროში ვხვდებით.

ჭკუა თავის მისწრაფებებში იკარგება და ქრება-ორთქლდება. ამბობენ, იგი სინათლის მაგვარად კლავს გავრცელება-ნათების კვალდაკვალო.

მეტყველების პროცესში, ჩვეულებრივ, ადამიანები მეხსიერების განუვითარებლობას, დაბნეულობას, უყურადღებობას ავლენენ. ადამიანის ფსიქოლოგიის ამ ბუნებრივ ხარვეზებს რიტორიკა თავისი ცოდნითა და ვარჯიშებით არეგულირებს.

მოსმენილის სრულფასოვან აღქმას, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ხელს უშლის **ერუდიცია, ნაკითხობა.** რიტორიკის სწავლების პრაქტიკაში ცნობილია ასეთი მოვლენაც: რიტორიკის პედაგოგი აუდიტორიის წინაშე წარმოთქვამს ფრაზას „ვაზო, შვილივით ნაზარდო"... ეს ფრაზა დამთავრებული არ აქვს და სტუდენტებს შორის სულსწრაფები, როგორც იტყვიან, სულის მოთქმას არ აცლიან „შეახსენებენ" პედაგოგს, რომ ეს პოეტ რაფიელ ერისთავის ფრაზაა. პედაგოგი გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, რომ მას არც დაუსახელებია რაფიელ ერისთავი და არც მინიშნებას ცდილა... და ახლა აუდიტორიის გაოცების ჯერ დგება იმის გამო, რომ პედაგოგი ამ სიტყვებს უკავშირებს ქართველ გლეხკაცს, რომელიც მათ რთველში წარმოთქვამს. ეს მოვლენა ჭკვიანი ადამიანების ფსიქიკის ერთ არსებით თავისებურებას ავლენს. ესაა ცნობისმოყვარეობა, ყველაფრის ცოდნის სურვილი. ისინი გამუდმებით შემეცნებით ძიებაში არიან.

ამგვარი ძიების პროცესში **აღგზნებულ** მდგომარეობაში იმყოფებიან. **აღგზნებულობა** კი მათ ძალიან უშლის ხელს, რადგან აქვეითებს მათს ყურადღებას და ეს, ბუნებრივია, სულაც არ არის კარგი. ისიც დადგენილია, რომ ადამიანური უნარების ფსიქიკა უცნაურად არის დაკავშირებული ერთგვარ მაგიურ ფორმულასთან: 7±2. ამ ფორმულის ავტორები არიან ამერიკელი ლინგვისტი **ჯ. ინგვე** და ამერიკელი ფსიქოლოგი **ჯ. მილერი** – ავტორი სტატიისა „მაგიური რიცხვი 7±2 ანუ ადამიანური ინფორმაციის აღქმის ზღვარი“ (1945). ეს ნიშნავს, რომ ცხრა და მეტი სიტყვისაგან შემდგარი ფრაზის დამახსოვრება, დიდი მოწადინების შემთხვევაშიც კი, უშედეგოა. გერმანელმა მკვლევრებმა დაადგინეს, რომ (ქ. პადენბრგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) ნორმალური ფსიქიკის ადამიანების მხოლოდ ნახევარს შესწევს 13-ზე მეტი სიტყვისაგან შემდგარი ფრაზის დამახსოვრების უნარი, ხოლო ზრდასრული ადამიანების მესამედი ერთი წინადადების მე-14 და მომდევნო სიტყვებს რომ ისმენს, საერთოდ, ავიწყდება ამ წინადადების დასაწყისი. ამიტომაც უნდა ვიღოთ ყურად ვოლფგანგ ცილკეს რჩევა.

- უპირატესობა მივანიჭოთ მოკლე წინადადებებს;
- მივდიოთ უძველეს წესს, რომელიც იუწყება, რომ ყოველი ახალი აზრი ახალ წინადადებას საჭიროებს.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ წუთში 500 სიტყვის სიჩქარით ვფიქრობთ, ლაპარაკით კი წუთში მხოლოდ 150 სიტყვის წარმოთქმას ვახერხებთ. სიჩქარეთა ამ სხვაობას გადამრთველი ადაპტერი სჭირდება და ასეთია ინტელექტური პაუზა. ესაა შეყოვნება, დროის მონაკვე-

თი, როდესაც მოლაპარაკე სუბიექტი თავის სამეტყველო შესაძლებლობებს უსადაგებს ზეპირმეტყველებითი კომუნიკაციის რეალიებს. ამგვარი მისადაგება უზრუნველყოფს გასაგებობის მაღალ დონეს. ამის შედეგად მანამდე გვესმის სწორედ ის, რისი თქმაც გვსურს და არა ის, როგორც და რაზედაც გვინდოდა საუბარი.

ჩვენი შინასამყარო უაღრესად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ამის გამო შეუძლებელია იმ ნაწილების წარმოდგენების უგულებელყოფა, რომლებიც ერთ მთლიანობად გადაქცევის გზით ქმნიან მსმენელი აუდიტორიის შინაარსს.

ოდითგანვეა ცნობილი, რომ ადამიანები სიამოვნებით უყურებენ იმას, რისი დაჯერებაც სურთ (იულიუს კეისარი). უხილავი, დაფარული, გაურკვეველი საგნები ადამიანებში დიდ დამარწმუნებლობას იძენენ. ადამიანის გონი ხარბია. მას არც შეჩერება ძალუძს, არც მოსვენება, გამუდმებით წინ მიიწევს. ადამიანს ბევრი რამ დაუსაბუთებლადაც სჯერა და ეს ბუნებრივიცაა (ლუკ ვოვენარგი). ალბათ, ამიტომაცაა რიტორიკის პრაქტიკაში ასე პოპულარული აფორისტიკა.

ადამიანს უდიდესი კმაყოფილება ეუფლება, როცა რაიმეს შეიტყობს, გინდ ჭორი იყოს და გინდ მართალი. თავის დროზე მოლიერი აღნიშნავდა, რომ ადამიანში რაღაც ისეთი არაჩვეულებრივიც არის, რისი ახსნაც ვერაფრითა და ვერანაირად ვერ ხერხდებაო. სწორედ ამის გამოა, რომ ორატორულ ხელოვნებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოლაპარაკე სუბიექტს ანუ ორატორის პიროვნებას, კერძოდ, მის დამოკიდებულებას საკუთარი სათქმელისადმი.

აქ, უპირველესად, იმის გარკვევაა აუცილებელი, რა უნდა ითქვას და როგორ, რას უნდა მოხმარდეს ორატორის მთელი სულისკვეთება იმის და ისე სათქმელად, როგორც მას სურს და რისი თქმა სჯობს ისე, პირდაპირ, თავისთავად, როგორც არის.

ორატორი ვიდრე მსმენელის მართვის სტრატეგიასა და ტაქტიკას გამოკვეთს, საკუთარი თავის მართვა (ფლობა) უნდა შეეძლოს. ეს კი, ცხადია, სულაც არ არის იოლი და არც უბრალოდ მონდომებაზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით, უკვე ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული უდიდესი ცოდნაა დაგროვილი და გამოვლენილია უტყუარი მახასიათებლები, წესები. აი, ზოგიერთი:

- ორატორი იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ ნებისმიერ ადამიანს ესმოდეს მისი, არამედ იმისაკენ, რომ შეუძლებელი გახდეს მისი ვერგაგება (ვერგილიუსი).
- როდესაც საქმის არსი წინდაწინ არის მოფიქრებული, სიტყვები თავისთავად ჩნდებიან;
- ჭუჭყიან ჭურჭელში რაც არ უნდა ჩაასხა, აუცილებლად დაძმარდება;
- სიტყვაში (ტექსტში) აუცილებელია სისადავე და ერთიანობა;
- ვერაფერი იქნება ლამაზი ყველა მხრიდან (ჰორაციუსი);
- ძირგავარდნილი ქვევრი ვერ აივსება (ლუკრეციუსი);
- პირველი სიტყვა ყოველთვის აფრთხობს ჩვენს სმენასა და ყურადღებას;
- ცოცხალი ხმა გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას ქმნის;

- დაე, ის, რასაც კითხულობ, უფრო ძლიერი იყოს, სულში უფრო ღრმად მაინც ის ჩარჩება, რაც აღიბეჭდება მოლაპარაკის ლაპარაკის მანერით, სახით, იერით, ჟესტებით.

მსგავსი დაკვირვებებით და აფორისტული გამოთქმებით იმდენად მდიდარია რიტორიკის ისტორია, რომ სპეციალური ლექსიკონების ტომეულები შედგება. მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ ყველა გამონათქვამი მეტყველების ბუნებაზე დაკვირვებით და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლის ანალიზით არის მიღებული.

რიტორიკის თეორიაში კარგად არის ცნობილი „ჩაპლის ფენომენი". მისი ავტორია ამერიკელი ანთროპოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჩაპლი. 1936 წელს მან საინტერესო მოვლენა აღმოაჩინა: მეტყველება რიტმული პროცესია. დიალოგი არის რიგრიგობით ლაპარაკი, ყოველი პარტნიორისათვის მონაცვლეობს ლაპარაკისა და, მოსმენის პერიოდები; ამასთან, მეტყველებისა და დუმილის შესაბამისობა ყოველი ადამიანის მყარი მახასიათებელია და, იმავე დროს, იმდენად ინდივიდუალურია, რომ საიდენტიფიკაციო ტესტის ფუნქციითაც შეიძლება გამოყენება.

პ. ტარანოვმა კიდევ უფრო გააფართოვა სამეტყველო რიტმიკის ფუნქციონირების ფარგლები და შემოიტანა ორატორის მსმენელთან რიტმირების ცნება. მისი დაკვირვებით, გასათვალისწინებელია დროის განაწილება ინფორმაციის მოსმენასა და მის მოფიქრებას (ფორმატირებას) შორის. ცხადია, აქ მხედველობაშია ინფორმაციის ფორმატირებისა და მისი გადაცემის დისკრეტულობა (როგორც, საერთოდ,

ადამიანის აზროვნებისა). ამ მკვლევარმა აღნიშნული მოვლენის ცხადსაყოფად უაღრესად უტილიტარული ანალოგია წარმოადგინა – ადამიანის მიერ წვნიანის ხვრეპა. წვნიანის შეხვრეპა მოიცავს აუცილებელ ფრაზებს: შეხვრეპას, და, რაც მთავარია, გადაყლაპვას, რასაც გადამუშავება და საამისო დრო სჭირდება. უამისოდ ძალიან ძნელი წარმოსადგენია მთელი ულუფა წვნიანის უწყვეტად პირში ჩასხმა. ამიტომ დაანაწილა ბუნებამ პერიოდებად, წვნიანის მიღების ფაზებად ანუ პერიოდებად. ამის გათვალისწინებით, რიტორიკული რაკურსიც, მისი დაკვირვებით, ასე უნდა წარმოვიდგინოთ: როდესაც მოლაპარაკე სუბიექტი დაშორდება მთავარი სათქმელის ხაზს და მსმენელს რიტორიკული შეკითხვით მიმართავს, ამით მსმენელს პასუხის მოფიქრებისათვის სულის მოთქმის საშუალებას აძლევს, ეს გარემოება ორატორის ქცევის გამრუდება კი არაა, ან ნაკლი თუ ხარვეზი, არამედ მის არსებით მოვალეობასაც კი წარმოადგენს. მსმენელს ამით მოლაპარაკის მოსმენის საშუალებაც ეძლევა და საკუთარი თავისაც, რათა მოსმენილი გადაიტანოს ტვინის აღქმის ცენტრებში, სადაც მსმენელის გააზრება და, რაც მთავარია, გაცნობიერება-გათავისება უნდა მოხდეს. ეს პროცესი აუცილებლად მოიცავს ორ სუბიექტს – ორატორს და აუდიტორიას, ხოლო ლაპარაკი ამ პროცესის საფუძველთა-საფუძველია. ამ პროცესის აუცილებელი პირობა, მართალია, ლაპარაკის უწყვეტობა არის, რადგან აუდიტორია უაღრეს წყვეტილობას და მოლაპარაკე სუბიექტის ხშირ გაჩუმებებს ჯერ-ყოფილად და სათქმელის უცოდინრობად აღიქვამს. ამიტომ მოლაპარაკე ლაპარაკის

პროცესში რიტმულად (გამოზომილად) უნდა შეწყდეს და „მეტყველად დადუმდეს“, რათა მსმენელი არ გააყრუოს მოლაპარაკის ყურთასმენამ და მოსმენილით ტკბობის შესაძლებლობაც მიეცეს. ორატორს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მსმენელი მხოლოდ მაშინ არის მოლაპარაკის პარტნიორი, მისი აზროვნების, სათქმელის თანამონაწილე, როდესაც მას აზროვნების შესაძლებლობა ეძლევა, ანუ, როცა ინფორმაციის მიღების პროცესი ინტერაქტიურ სამეტყველო ურთიერთობად ესახება.

ორატორის ლექსიკა, სიტყვათა საერთო რაოდენობა, რომლებითაც იგი სარგებლობს, მსმენელისათვის თვალში საცემია და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს, რადგან ადამიანი მოსმენილს უბრალოდ კი არ უსმენს, არამედ ინფორმაციისგან სარგებელსაც მოელის; ანუ მსმენელისათვის სასურველი სასარგებლო (სარგებლიანი) ინფორმაციაა, ისეთი, რომელიც მას დააკმაყოფილებს, კმაყოფილებას მოჰგვრის. ამიტომ ენიჭება ორატორულ ხელოვნებაში დიდი მნიშვნელობა სიტყვების მარაგს. შენიშნულია, რომ მეტყველების პროცესში ხდება მოლაპარაკე სუბიექტის პიროვნული სამყაროს (ინტელექტის) „გადაქაჩვა“ მსმენელში.

სიტყვების მარაგი ნაკითხობის გამოხატულებაა. ადამიანების ინტელექტუალურობის მაჩვენებელიც სიტყვების მარაგია. ამ თვალსაზრისით ერთგვარი სახასიათო ტაბულაც არსებობს. ი. ილფისა და ე. პეტროვის „თორმეტი სკამის“ პერსონაჟის ელოჩკა შჩუკინას ლექსიკური მარაგი 30 სიტყვას მოიცავს. პროფესიონალ დამნაშავეთა ენა - 120-130 სიტყვას შეიცავს. თანამედროვე ადამიანის საყოველდღეო

სასაუბრო ენის სიტყვიერი მარაგი – 400-500 სიტყვას.

საშუალო განათლების ადამიანის აქტიური ლექსიკონი მოიცავს 1500-4000 სიტყვას, ნაკითხი ადამიანის ლექსიკური მარაგი დაახლოებით 8000 სიტყვისაგან შედგება. სიტყვიერების კორიფეთა, მაგალითად, უ. შექსპირის ენა დაახლოებით 12000 სიტყვას იცნობს. ა. პუშკინთან დაახლოებით 20000 სიტყვას ითვლიან [16, 59]. ისიც გამოსათვლელია, თუ რამდენი წიგნის წაკითხვა შეუძლია ადამიანს, თუ იგი დღეში წიგნის კითხვას 4 საათს მაინც უთმობს. ამტკიცებენ, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანი 10 წელიწადში 330 წიგნის წაკითხვას შეძლებს, თუ კითხვის ამგვარი რეჟიმი 40 წელს გაგრძელდებაო. ამ სიჩქარით გამოდის, რომ ადამიანი წელიწადში 33 წიგნის წაკითხვას შეძლებს. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ კულტურას ადამიანი მხოლოდ წიგნის კითხვით ვერ ეზიარება და ვერც წიგნიერება დაიყვანება წიგნების კითხვაზე. გერმანელი მეცნიერი გუსტავ გერბერი აღნიშნავს, რომ არსებობს ორი სახეობის ხელოვნება: 1. **ხედვის** (**ცქერის**) ხელოვნება – ჭედურობა, ძერწვა, ფერწერა და 2. **სმენის** ხელოვნება – მუსიკა, პოეზია, მჭევრმეტყველება [17].

აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ მჭევრმეტყველება მიკუთვნებულია ხელოვნებისადმი. ამ ხელოვნების დანიშნულებაა სმენის დატკბობა მეტყველებით, სხვადასხვაგვარი მოქმედებებით, მონდომებით და იმის უზრუნველყოფით, რომ ბგერათანაკადი მოემსახუროს ფუნქციას, სიტყვებით გარკვეული განზრახულობის, მიზნობრიობის შევსებას.

მეტყველებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს **მოუ-**

ლოდნელობას. ამ მოვლენის არსის საჩვენებლად მივმართოთ ცნობილ მაგალითს: ამერიკის ველურ დასავლეთში მოძღვარი ქადაგებით მიმართავს მრევლს: ლოთობა არის თქვენი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი. გამოცლით ერთ ბოთლ ვისკის, მერე მიხვალთ სახლში, ცოლი აურზაურს აგიტეხთ, თქვენ დააძრობთ კოლტს... და აუცილებლად ააცდენთ!.. ადვილი წარმოსადგენია ბოლო ფრაზის მოულოდნელობის ეფექტი.

ამბობენ, რომ ორატორობა წამიერების ხელოვნებაათ. ზეპირი სიტყვა ყოველთვის აქ და ახლა გვაქვს. ორატორი და მისი ხელოვნება მაშინ უნდა შეიცნო და შეაფასო, ვიდრე შენ წინაშეა; მისი უკანასკნელი სიტყვის-ბგერის მილევასთან ერთად მისი მეტყველების სიმჭევრეც, სიტყვამზეობაც ფერმკრთალება და ქრება. ვერანაირი ძალისხმევით ვეღარ ხერხდება მისი ხიბლის შენარჩუნება. ორატორის ზეპირი სიტყვა ერთ ანეკდოტს მოგვაგონებს: როგორც ანეკდოტშია ჩადებული სიამოვნების ეფექტი და თვალსაჩინო მხოლოდ თხრობის პროცესშია, ისეთივეა ორატორის სიტყვის ეფექტი.

კარგი სიტყვის შეთხზვისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

1. ასოციაციების გააქტიურება;
2. საქმის არსის ჩვეულებრივისაგან განსხვავებული - უჩვეულო რაკურსით გაცნობიერება;
3. საკვანძო სიტყვების ან თემის მნიშვნელოვანი კომპონენტების გათამამება;
4. მიმზიდველი კონკრეტიკის მაქსიმალური გამოყენება;
5. ქვეტექსტის მაქსიმალური გამოყენება;

6. არსის ნიშნის შებრუნება;
7. მიდგომის პრინციპების შენაცვლება;
8. ყველაფრის, რაც მოგვეპოვება, რაც არსებობს და რაც ხდება, როგორც გაკვეთილისა და მინიშნების აღქმა;
9. ნეგატიურის პოზიტივირება; პრობლემურისა და უარყოფითის ძიება კარგსა და საჭიროშიც;
10. ოპტიმიზმის ბალანსის აღდგენა;
11. წინააღმდეგობრიობის სიღრმეების კვლევა; ყველა ტენდენციის, ყველა მიმართულების, თვით შეუძლებლების, მკაფიოდ გამოსახვა;
12. ყველაფრისათვის კავშირის, დამოკიდებულების, მიმდინარეობის, ბედისწერის ხაზის, შემთხვევათა თამაშის, ზეგარდმო ძალთა ფონის მიცემა;
13. პროცესის ხაზის შექმნა (გავლება) იქაც, სადაც მხოლოდ დაფანტული შტრიხები და გაურკვეველი წერტილებია;
14. სტატიკურის გაცოცხლება, ინერტულის დინამიზება, წარსულის დაბრუნება.

მეტყველების პროცესში არსებითი მნიშვნელობა აქვს **ასოციაციურობას აზრის გამოტანაში.** როდესაც ვლაპარაკობთ, ნაირგვაროვანის ერთმანეთთან რაღაცნაირი დაკავშირება და ჰარმონიული მთლიანობის შექმნა გვიწევს. **ნაირგვაროვანის** იმიტომ, რომ ნებისმიერი გამონათქვამი არსის აღწერაა, მთლიანის განხილვის ჩვენებაა – როგორც გაგების მიზნის და როგორც მისი განმაპირობებელი კომპონენტებისა. ეს პროცესი ჰარმონიულია იმის გამო, რომ

გონებისათვის სასიამოვნოა თვალსაჩინოს, ნამდვილის კავშირებისა და გამოვლინებების სიმწყობრე იქაც კი, სადაც თავიდან მხოლოდ ქაოსი იგრძნობა. და ეს უაღრესად საინტერესო მომენტია. აქ თვალნათლივ ვლინდება გონების ზეობა იმ ვითარებაში, როცა რეალობა, გარეგანი ფონი ააქტიურებს ფსიქიკას და წარმოსახვას. თვალით დანახული რეალობის ფრაგმენტი წარმოსახვით მთლიანდება და ამით მისი უჩვეულობა ვლინდება.

• საქმის არსის უჩვეულო რაკურსით გაცნობიერება-დანახვის შესახებ ასეთი ფაქტის მოტანაც იკმარებდა: ესაა ფრანგი მწერლის ალფრედ დე მიუსსეს (1810-1857) პიესის „ჟინის“ ფრაგმენტი.

„ხომ არ ფიქრობთ, რომ კაბა, როგორც თილისმა, უბედურებისაგან იცავს?

– ესაა ბარიერი, რომელიც მათ გზას უღობავს.

– თუ საფარი, რომელიც ფუთავს მათ“.

დააკვირდით: საერთოდ, რასაც ვიტყვით, იმას უთუოდ სხვაც გაიფიქრებს. რაიმეს მყარად ჩვენებას ერთი თვისება აქვს - წარმოდგენის უკუღმა შეტრიალება. თუ დიდხანს და დაჟინებით ვუყურებთ რაიმეს, მასში თავიდან მხოლოდ დანახულის არსის განმსაზღვრელ ელემენტებს კი არ დავინახავთ, არამედ სრულიად საწინააღმდეგოს, საპირისპიროს აღმოვაჩენთ.

• **საკვანძო მომენტების გამოყენებასთან დაკავშირებით** შეიძლება ითქვას, რომ რაიმე თემის გაშლის, ანალიზის დროს საკვანძო სიტყვის, სიტყვათშეთანხმების განმეორებით, ახალი რაკურსით გამოყენება ნათქვამს სრულიად გაღრმავებულ შთამბეჭდაობას და დამაჯერებლობას სძენს.

მაგალითად, როდესაც ერთ პოლიტიკოსს დისიდენტობის გამო წამოაძახეს: „ყველა დისიდენტი მემარცხენეა“, მან დაუყოვნებლად უპასუხა: „დიახ, ყველა ნორმალური ადამიანი სწორედ ასეთი უნდა იყოს. ამაზე თავად შემოქმედმა იზრუნა, როცა ადამიანის ადამიანურობის განმსაზღვრელი ორგანო – გული – მარცხნივ მოუთავსა!“

აშკარაა, რომ საკვანძო სიტყვის „მემარცხენეს“ გადათამაშებამ სათქმელს დამატებით არგუმენტად გამოყენებასთან ერთად, სრულიად სხვა მასშტაბი და ელვარება შესძინა.

• **„კონკრეტიკის პრესინგთან“ დაკავშირებით:** ამ სამეტყველო მოვლენის არსი იმაშია, რომ ზოგჯერ ზედმეტი კონკრეტიკისა და სიზუსტისაკენ ლტოლვა სათქმელს აბუნდოვანებს მაგალითად, ყოფილი სსრ კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი ეკითხება თავის რეფერენტს:

– როგორ არის ინგლისურად „სტროიკა“ (მშენებლობა)?

– ბილდინგ, მიხაილ სერგეევიჩ, – პასუხობს რეფერენტი.

– მე ახალი ტერმინის „პერესტროიკის“ შემოტანა მინდა, ეს როგორღა იქნება?

– დებილდინგი“, – იყო პასუხი.

• „ქვეტექსტის შესაძლებლობის“ გამოყენება სრულიად ახალ შინაარსს სძენს სათქმელს. ალწერაზე უკეთ ამას ასეთი მაგალითი წარმოაჩენს:

საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVIII-ს (1765-1824) პირველად ეწვია მინისტრი კობრიერი. ვიდრე მოხსენების კითხვას დაიწყებდა, კიბეებიდან ამოიღო ცხვირსახოცი, სათუთუნე, სათვალე, კდომაში ხელი რომ არ შეშლოდა.

მეფე შეეკითხა:

– მითხარით, თქვენ სპეციალურად მოხვედით აქ ვაბეების დასაცარიელებლად?

-- თქვენ რა, ის გერჩიათ აქ რომ დამეწყო მათი ვაბეებში ჩატენვა? – უპასუხა მინისტრმა.

• „ანტი-რიგში გადასვლის“ სამეტყველო მოვლენა გულისხმობს ფაქტების ზომიერად გამოყენების აუცილებლობას, რადგან მათი სიჭარბე აბუნდოვანებს სათქმელის არსს, ხელს უშლის გამონათქვამიდან მსმენელის მიერ აზრის გამოტანას.

ამის საილუსტრაციოდ რიტორიკის სასწავლო ლიტერატურაში ასეთი ფაქტიც არის მოყვანილი:

პატარა პეტკამ საკლასო ოთახში ჰაერი გააფუჭა ხმაურით. მასწავლებელმა კლასიდან გააგდო. პეტკა დერეფანში მიდის და რაღაცას ბურტყუნებს. აჩერებს დირექტორი და ეკითხება:

– რას ბურტყუნებ, ან რატომ არა ხარ გაკვეთილზე?

პეტკა ეუბნება: ჰაერი გავაფუჭე, მასწავლებელმა გარეთ გამომაგდო. თვითონ დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად კლასში დარჩა. აბა, მითხარით: სადაა გონიერება, სადაა ლოგიკა?

• **„მიდგომის პრინციპული სიახლე“** არსებითად ცვლის სათქმელის შინაარსს. კვლავ მაგალითს მივმართოთ: ფრანგი მწერლის პროსპერ მერიმეს (1803-1870) მოთხრობაში „სანგრის აღება“ ასეთი ეპიზოდი გვხვდება: ერთ-ერთი პერსონაჟი შემდეგნაირად აღწერს ბრძოლის ეპიზოდს: „ყუმბარის საკმაოდ მსხვილმა ნამსხვრევმა თავიდან კივერი მომგლიჯა, გვერდით მდგომ ჯარისკაცს მოხვდა და მოკლა.

გილოცავთ, – მითხრა კაპიტანმა, როდესაც დავიხარე და ქუდი ავიღე, – ახლა შეგიძლიათ მთელი დღე მშვიდად იყოთ". მე ვიცოდი ეს მხედრული რწმენა-წარმოდგენა, რომელიც რომის სამართლის სამყაროდან მომდინარეობდა – ერთი და იმავესათვის ორჯერ არ სჯიან – რომელიც ბრძოლის ველზეც ისეთივე უტყუარია, როგორც სასამართლოს დარბაზში. მე ამაყად დავიხურე კივერი.

შენიშნულია, რომ ადამიანი განსაკუთრებით აქტიურად იყენებს მიმიკებს, როდესაც ლაპარაკობს. ამ დროს მიმიკების გამოყენების აქტივობა არის დაახლოებით 80%, ხოლო როდესაც სხვას უსმენს, ეს აქტივობა 20%-მდე ეცემა. სახის მიმიკის ოკპროცენტიანი აქტივობა არ არის საკმარისი მსმენელთან კარგი კონტაქტის დასამყარებლად. მსმენელს ასეთ შემთხვევაში ძალიან მალე უჩნდება ისეთი შეგრძნება, თითქოს მანეკენი ელაპარაკებაო.

რის ხარჯზე შეიძლება მიმიკის გაინტენსიურება? უპირველესად, საკუთარი თავის რწმენის და სათქმელის მნიშვნელობაში დარწმუნებულობის ხარჯზე. რაც უფრო საფუძვლიანი ინტელექტი აქვს ორატორს, მით უფრო ნაკლებად ახასიათებს კომუნიკაციური გაუბედაობა.

საზოგადოდ, ინფორმაციის აღქმა-გათავისების ფსიქოლოგიური ასპექტების თავისებურებათა შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ყველანაირი აზრი არ შეიძლება უწყვეტი სამეტყველო ნაკადის სახით გადაიცეს. იგი მსმენელში დისკრეტულად – ულუფობრივად, კვანტურად მკვიდრდება. ამის გამო

არის ლექსი დატეხილი სტრიქონებად, ფილმი – კადრებად, ტელეპროგრამა – სიუჟეტებად.

როგორც კომპიუტერს აქვს ოპერატიული მეხსიერება, რომელიც ფუნქციონირების მიზნების შესაბამისად არის დაყოფილი ნაწილებად, ასევე ადამიანის ტვინს აქვს **ოპერატიული მეხსიერება** ანუ ფსიქიკის ის საზღვრები, რომელთა შეცნება გამორიცხავს გადავსებას. ეს ნიშნავს, რომ მეტყველების ნაკადი არ უნდა დაემსგავსოს მთიდან წამოსულ ზღვავს, იგი წვიმასავით წვეთობით უნდა მოედინებოდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღიქვამს მას სმენა.

ნებისმიერი გამონათქვამის აღქმა (გათავისება) პირდაპირ კი არ ხდება, არამედ მხოლოდ ნამდვილი მიზეზის გაგებით, მსგავსად იმისა, რომ ბოძს დარბაზში ვერტიკალურად ვერ შეიტან, მაშინ, როცა დაწოლილი ადვილად შევა.

გარდამქმნელი პროცედურები აზრიანი მეტყველების არსს წარმოაჩენენ. ისინი სივრცობრივ მიღებაზეა ორიენტირებული. მეტყველების გაგება სმენის წყალობით კი არ ხდება, არამედ ცნობიერება იჭერს. მეტყველების აღქმას ამ თვალსაზრისით ცვლადი დენის მოქმედებას უდარებენ. სადენებით შორ მანძილზე უდანაკარგოდ რომ გავრცელდეს, მას **გარდაქმნიან** – მუდმივობიდან ცვალებადში გადაჰყავთ. სარჩულის წყალობით ამოშავდება ადამიანური ერთობის კოდურობა, ჩვენ სხვის ტვინს ავამოქმედებთ დამაზნების სტანდარტული სიგნალებით და მხოლოდ მაშინ ბადებს ამოტივტივებული შეგრძნება სხვის თავში ჩვენთვის საჭირო არსს, რომელიც თავიდან (დასაწყისში) თავად ჩვენვე გვეკუთვნოდა.

თანაფარდობა ბზრიენების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. მისი მოქმედება სპეციფიკურად ბასრია, სამართებლის მოქმედების მაგვარი: საჭრელი ხომ სწორედ სიბასრით აღწევს იმაში, რისკენაც მიილტვის.

სამყაროს საბაზო არსი პარალელისტიკაა. იგი კოსმოსის ერთგვარი ფონია. მასში ყველაფრის თავდაპირველობის გაგრძელებულებაა. **წარმოქმნა** არ ქრება შექმნისთანავე. იგი თავის წარმომქმნელ იმპულსს დებს ყველაფერში, რაც გრძელდება და არის შემოქმედების უცვლელი და შეუმჩნეველი სული.

თანაფარდობას (შეფარდებას) სამყაროს ამ მთავარი დაფარულობის გამოაშკარავება შეუძლია.

ამტკიცებენ, რომ პროცესების ძაფები თავად პროცესებშია.

ტალღებზე მცურავი გემი გემია არა ზღვის გამო, არამედ იმიტომ რომ ასეა აგებული ეს სატრანსპორტო საშუალება. იგი ისეთივეა ხმელეთზედაც, მაგრამ მას უკვე სხვა სახელი ჰქვია – ავტომობილი. სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტულობა განხორციელების პირობებზე პრეცეალიერებს.

თანაფარდობა (შეფარდება) ანალიტიკის ნაირსახეობაა, ისეთივე, როგორიცაა ანალიზი და სინთეზი. იგი შეიცავს ანალოგიას, თუმცა ანალოგიას არ წარმოადგენს. მსგავსება აქ არის, მაგრამ განსხვავებაც გამოსჭვივის. გენიოსი გარეგნობით ჰგავს სხვა ადამიანებს, მაგრამ გასაგები განმარტებების გარეშე ვინ შეადარებს მას სხვებს?

შეფარდება ხის ფოთლებივითაა. ფოთლები ტოტებით არიან თანატოლნი და არა საფარით.

თანაფარდობა – სიღრმის ზედაპირია. იგი შესამჩნევია და უბრალოა, მიუთითებს კავშირზე აუცილებელთან. იგი ყველაფრის გაგების შეპირისპირებითი შედარებაა (არსისა და აზრის მიხედვით), რაც კი არსებობს.

თანაფარდობა ტვინის მომენტური მოქმედებაა, რაც იმის შინაგანი ფუნქციონირების კანონით გადაიშლება, რაც არსებობს, ამკარავდება და ხორციელდება მასში.

თანაფარდობა (შეფარდება) მეტყველების ქსოვილში ისეთი სიტყვებითა და შესიტყვებებით შედის, როგორიცაა:

- „როგორც...“
- „თითქოს...“
- „მსგავსად...“
- „ანალოგიურად...“
- „თითქოს და...“
- „მსგავსად იმისა...“
- „იმავე აზრით, როგორც...“
- „მსგავს პროცესს ვხედავთ...“
- „ისევე, როგორც...“
- „ეს ძალიან ჰგავს იმას, თითქოს...“
- „აქ ისეთივე კავშირია, როგორც...“
- „მომხდარი მოგვაგონებდა...“
- „ამას შეიძლება ასეთი პარალელი გავუვლოთ...“
- „შეიძლება რამდენადმე დაშორებულად, მაგრამ არსებობს მაგალითი იმისა...“
- „ამასთან დაკავშირებით არსებობს ასეთი ოგავი...“
- „აზრი რომ უფრო გავათვალსაჩინოო, ასეთ მაგალითს მოვიყვან...“

შეფარდება (შეფარდება) ძალიან დამაჯერებელიცაა და ასევე ადვილად უარსაყოფიც. ყველაფერი მოლაპარაკე სუბიექტზეა დამოკიდებული; ვინც განსაზღვრავს სათქმელს და მის მიზანს, მოგებულიც ის რჩება.

შეფარდება ასოციაციურობას ემყარება, ხოლო ასოციაციურობა ტვინის მუშაობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ადამიანის ფსიქიკის მექანიზმები სიღრმისეულად არიან აგებული შეფარდებაზე, პარალელიზმზე, შინაარსობრივ გადატანაზე. აზრი მაშინ გათავისდება, როდესაც ამ მექანიზმებს დაემყარება, რადგან ჩვენი არსება და სამყაროული წესრიგი **თანახმიანია.** ჩვენს არსებასაც და ამ კოსმიურ წესრიგსაც ერთნაირად ახასიათებს დაფარვისა და, პირიქით, გადმოშლა-გამომზეურებისაკენ მისწრაფება.

სახეობრიობას (ხატოვანებას) მაშინ მივმართავთ, როდესაც ჩვენი შეგრძნება უკვე გამოკვეთილია, ხოლო მისი დემონსტრირება ვგერ კიდევ საჭიროებს რაღაცნაირად ძლევას, გადალახვას. და ამ დროს შევიგრძნობთ ერთგვარ მისწრაფებას იდუმალისაკენ და თითქოს ამ იდუმალის ძახილს.

სახეობრიობის შექმნა არც ისე იოლია, მაგრამ სრულიად შესაძლებელია და ყველასათვის ხელმისაწვდომია. ამისათვის საჭიროა ჩვენი სურვილის ჩვენსავე ცოდნის არეში გატარება.

თანაფარდობის (შეფარდების) იდეა მდგომარეობს ჩვენ მიერ სიტუაციის ვიზუალური აღბეჭდვის ვითარების შექმნაში, რომელსაც პარალელს ვუვლებთ სათქმელს და ნართაული თქმის ენას ვიყენებთ, რათა მსმენელს მისივე გამოგონილის მისთვის ცნობილთან ასოცირების შესაძლებლობა მივცეთ.

6.4. ინტრიგა

ცბიერება (ეშმაკობა) ჭკუის გამოხატულებაა. მაგრამ იგი ის ჭკუა კი არაა, რთულ მათემატიკურ ამოცანებს რომ სწვდება, არამედ **წინასწარგანზრახვის ჭკუაა.** ეს ჭკუა იმას აკეთებს, რაც უცნობია მათემატიკისათვის. იგი არათანაბრობებს ათანაბრებს.

ინტრიგა – პირველ რიგში, სხვისი წამოგებაა ანკესზე. მასში ყოველთვის არსებობს წამახალისებელი სატყუარა და ანგარიშიანად (გამიზნულად) ნასროლი ქამანდი.

ამ შემთხვევაში მაგალითად გამოდგება სტრადივარიუსის ვიოლინოს ამბავი, რომელიც გვხვდება მწერალ ს. დოვლატოვის ერთ მოთხრობაში.

„ერთხელ, ძლიერი თქეშის დროს, მაღაზიაში შევიდა სადად ჩაცმული ყმაწვილი, რომელიც სათუთად იხუტებდა გულში ძველ ვიოლინოს. მან სთხოვა მაღაზიის პატრონს ვიოლინოს დროებით დატოვება და მოგვიანებით მისვლა მის წასაღებად.

– რატომაც არა? – გულგრილად უპასუხა მაღაზიის მეპატრონემ, ბატონმა ტანაკისმა.

ერთი საათის შემდეგ მაღაზიაში შემოვიდა მორთულ-მოკაზმული, ფაფუკი ჟღალი ულვაშებიანი უცხოელი, ვიოლინო დაინახა და სიხარულით ცას ეწია.

– რა სასიხარულოა. ეს ხომ ნამდვილი სტრადივარიუსია! მე ვყიდულობ მას!

– იგი არ იყიდება, – უპასუხა ტანაკისმა.

– მე მზად ვარ, გადავიხადო ნებისმიერი თანხა.

– ძალიან ვწუხვარ...

– თხუთმეტი ათასი ნაღდი ფულით, კიდევ უხვი საკომისიო.

– ისინი იქამდე ევაჭრნენ ერთმანეთს, ვიდრე ფასმა ოცი ათასს არ მიაღწია.

– კარგი, – უთხრა მაღაზიის მეპატრონემ, – დაველაპარაკები პატრონს.

უცხოელი წავიდა. მალე დაბრუნდა ღარიბი ჭაბუკიც.

– ვიოლინოს წასალებად მოვედი, – უთხრა მან მეპატრონეს.

– მე მომყიდეთ, – უთხრა ტანაკისმა.

– არ შემიძლია, – ნაღვლიანად უთხრა ჭაბუკმა, – პაპაჩემის ნაჩუქარია.

მაშინ მაღაზიის მეპატრონემ დაუწყო დაყოლიება ვიოლინოს გაყიდვაზე და სულ უფრო მეტ და მეტ ფულს სთავაზობდა. ბოლოს ჭაბუკი ვიოლინოს დათმობას ხუთი ათას მანეთად დაპირდა. მან აიღო ფული და წავიდა. რაღა თქმა უნდა, რომ მაღაზიის მეპატრონე ამაოდ ელოდა „უცხოელს". იგი თავისმა სიხარბემ იმსხვერპლა. მას შეეძლო ერთმანეთთან დაეკავშირებინა მყიდველ-გამყიდველი და ალალად მიეღო თავისი საკომისიო, მაგრამ მეტი მოინდომა და, არსებითად, მოატყუა ვიოლინოს პატრონი, ხოლო, საბოლოოდ, ხუთი ათასი მანეთი დაკარგა.

● ინტრიგა გარს შემოვლასაც ვარაუდობს. ამის მაგალითად თუნდაც დანაეს ამბავი გამოდგება.

არგოსის მეფე აკრისიოსს ჰყავდა ასული დანაე, რომელიც ღვთაებრივი სილამაზით იყო განთქმული. ორაკულმა აკრისიოსს უწინასწარმეტყველა, რომ დანაეს შვილის ხელით მოკვდებოდა. ასეთი ბედის თავიდან ასაცილებლად, აკრისიოსმა ღრმა მიწისქვეშეთში ააგო ბრინჯაოს და ქვის ფართო სამყოფელი და იქ გამოკეტა ასული. მაგრამ მეხისმტყორცნ-

ელმა ზევსმა შეიყვარა დანაე, შეაღწია მიწისქვეშეთმა სამყოფელში ოქროს წვიმის სახით და აკრისიოსის ასული გახდა დედა გმირი პერსევსისა, რომელიც ზევსისაგან ჩაესახა.

• ინტრიგაში შთაბეჭდილია სპეკულაციური მომენტიც, როცა გამოიყენება რაიმე სისუსტე ადამიანში – ცნობისმოყვარეობა, შიში, „აკრძალული ხილისადმი“ ლტოლვა (მისწრაფება). ინტრიგა შეიძლება იყოს ცბიერიც, ფინთიც, მურდალიც... მაგრამ მისი მთავარი თვისება – ზემოქმედების დაფარულობა-შეუმჩნევლობა აქაც განუხრელად არის დაცული.

საინტერესო ისიც არის, რომ ინტრიგა მოლაპარაკე სუბიექტისათვის რთული სიტუაციებისათვის თავის დაღწევის საშუალებაც არის და, რაც მნიშვნელოვანია, – სხვის ხარჯზე.

საერთოდ, ინტრიგა ტყუილს ემყარება. უფრო სწორად, ამოსავალი მასალის შენიღბვას და შემდეგ იმას, რომ მისმა თავჩენამ კი არ გაფანტოს ყურადღება და ინტერესი, არამედ, პირიქით, გამოააშკარაოს სიტუაცია, თანაც ისეთნაირად, თითქოს არც შეეძლოს დაძაბვა.

ინტრიგაში არსებითი მომენტია შელამაზება, ანუ ადამიანის ჩათრევა თამაშში, სადაც იგი მანიპულირების ობიექტად გადაიქცევა. ინტრიგა ისეთი ეშმაკური სპექტაკლია, სადაც ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ხაფანგი მოეწონოს მსხვერპლს. თავს იჩენს მკირედი ღვაჭნილობა, რომლის დინამიკურობა რეალიზაციაშია და ქამანდის სროლის დაკისრება მისთვის, ვისაც უკვე ელოდება ინტრიგის ბადე, სრულიად საკმარისი გარანტიებია ნებისმიერი წინასწარგანზრახულობის ნიშანში ამოღებისათვის.

ინტრიგა მოვლენების მართვაცაა. ამ აზრის ცხადსაყ-

ოფად ასეთი მაგალითიც მოჰყავთ: უბრალო ორმოც კი, რომელსაც დამრეცი ნაპირები აქვს, უკვე ამით აიძულებს წყალს დაემორჩილოს მოცემულ მიმართულებას.

ინტრიგა ჩვენი რეაქციის გამოწვევაა. გამოყოფენ ინტრიგის სამ წესს (კანონს):

1. მაღალი ამოიზრდება დაბლიდან;
2. დაბინძურება შესაძლებელია მხოლოდ სიბინძურიდან;
3. წვრილმანისადმი ინტერესი ყოველთვის გადამეტებულია.

პირველი წესის შინაარსი თავისთავად ცხადია. მეორე წესი მიგვითითებს, რომ ინტრიგას იმდენად არ ვიგონებთ, რამდენადაც მის ტრასნლირებას ვახდენთ. მესამე წესი კი იმას იუწყება, როგორ შეიძლება ინტრიგის გაუვნებელყოფა.

ინტრიგა სიტუაციის ისეთი შექმნაა, რომლის დროსაც ადამიანი (ინტრიგის ობიექტი) „ანკესზე წამოეგება“ და იწყებს მოქმედებას ზუსტად ჩვენი გეგმების შესაბამისად, ჩვენ ვუქმნით მას სცენას, ვწერთ მისთვის პიესას, გამოვაწყობთ შესაბამის კოსტუმში, შემდეგ მას ერთიღა დარჩება – ნებაყოფლობით და ხალისით (სინამდვილეში კი – იძულებით!) ითამაშოს სხვის მიერ შექმნილი როლი. აქ ყველაფერი მისგანაა, მისი ნებითაა, მაგრამ არა თავისი ახირებით – იმგვარად, როგორც სიცილი უწმაწურ ანეკდოტზე: არგაცინება არ გამოდის, რადგან, მართლაც, სასაცილოა. მაგალითად:

პროფესორი ხმამაღლა, ყვირილით ცდილობს აუდიტორიის ხმაურის გადაფარვას... არაფერი გამოსდის და ამბობს: „შეყვარებული ვარ! აუდიტორია უცებ დუმდება. ახალგაზრდა ქალიშვილი შემიყვარდა... აუდიტორიაში ირონიული ხითხითია... მაგრამ ერთი ჭაბუკი შემეცილა... აუდიტორიაში

კმაყოფილების შეძახილები. საბოლოოდ, მე არაფერი გამომივიდა, ის კი უცხვიროდ დარჩა.[1]

არის თუ არა ინტრიგა სიკეთე? შეიძლება ასეთი კითხვაც გაჩნდეს. თუმცა პასუხი, ალბათ, გაჭირდება. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: მთავარი ავტომანქანა კი არაა, არამედ გზები. უგზოობა გამორიცხავს მოძრაობას. ასეა ინტრიგაც. იგი გარდაქმნის ჩვენს საარსებო სივრცეს სასიცოცხლო გარემოში. გამოდის, რომ ინტრიგა არ აუარესებს სამყაროს იმით, რომ გამადიდებელი შუშით უყურებს რეალობას, იგი სიმორეებს უფრო მგრძნობიარეს ხდის...

ინტრიგა საოცარია იმითაც, რომ გასაოცარია და იმ აზრითაც, რომ უმოწყალოდ ძირს ანარცხებს მსხვერპლს.

სიტყვა ძნელად ითქმის ინტრიგის გარეშე. ადამიანები მოქმედებას მხოლოდ მაშინ იწყებენ, როდესაც მოქმედება გაპირობებული. ეს პირობები კი ვიღაცებმა უნდა შექმნან.

ინტრიგაში მნიშვნელოვანი ეპიზოდის – ერთი ადამიანის მიერ მეორის დაპროგრამების – მაგალითია დამოკლეს ამბავი, ანტიკური დროიდან უამრავ ავტორს რომ მოჰყავს თავის წიგნებში.

სირაკუზელი ტირანის დიონისე უფროსის (მმართველობის წლები ძვ. წ. ა. 405-367) კარზე მიღებული ხუმარა დამოკლე ერთთავად განადიდებდა და ქებას ასხამდა დიონისეს ბედნიერ ხვედრს. დიონისემ ერთ დღესაც გადაწყვიტა ეჩვენებინა დამოკლესათვის, რას წარმოადგენდა

[1] სიტყვების თამაშია: რუსულში: „Я остался с носом" – ნიშნავს - „გაწბილებული დავრჩი".

სინამდვილეში ხელმწიფის ცხოვრება. მან იხმო დამოკლე, დასვა ოქროს ტახტზე, მიუჩინა მსახურები, მის ყველანაირ ნება-სურვილს წამსვე ასრულებდნენ, მაგიდა საესე იყო ნუგბარითა და სასმელებით, ჰაერი ნელსაცხებლების სურნელებით იყო გავჯერებული. მაგრამ არსებობდა ერთი, სულ პაწაწინა „მაგრამ“. დამოკლეს თავზე ცხენის ძუაზე გამობმული მახვილი ეკიდა. თავიდან ბედნიერებისაგან გაოცებულმა დამოკლემ ეს რომ დაინახა, დიონისეს ხვეწნა დაუწყო, აქაურობას გამაშორეო.

აქ არსებითი, ცხადია, ის არის, რომ დამოკლემ ყველაფერი დანახვით გაიგო, რაც მისთვის მეფეს უნდა ეთქვა შეგონებით; გაიგო არა სხვისი ჭკუის მეშვეობით, არამედ საკუთარი ჭკუით. აქ თვალშისაცემად წარმოდგენილია განსჯითი ინტრიგა. **განსჯითი** ინტრიგა უფრო კეთილშობილია, ვიდრე **ქცევითი.** იქ ცბიერება არ გსურს, მაგრამ იყენებ. აქ მიზანი საშუალებით კეთილშობილდება.

ნებისმიერი სიტყვა გავლენიანი (გავლენის მომხდენი და ზემოქმედი) სიტუაციაა. ინტრიგა სერიოზული სამეტყველო მოვლენაა და მისადმი დამოკიდებულებაც ადეკვატური უნდა იყოს. იგი ფაქტორულ უნივერსალურ კომპონენტად იწოდება, კანონზომიერია, იძულებითი, აუცილებელი და ვალდებულებითი. ვისაც ცხოვრება (არსებობა) უნდა, მას უნდა ემსახუროს. კიდევაც.

ინტრიგა ესმით აგრეთვე, როგორც განწყობითი საქმიანობა, რომლამდეც და რომლის დროსაც ადამიანი აგებს და განახორციელებს სხვის საწინააღმდეგო და საკუთარი მიზნის მიღწევის გეგმას.

ინტრიგის ხერხი საკუთარი განზრახვის დაფარვაა, მიჩქმალვაა. ინტრიგის სპეციფიკა მდგომარეობს მხარეთა ინტერესების კოლიზიაში. ინტრიგა, ზოგიერთის ფიქრით, ერთ-ერთი მხარის ეგოიზმის სივრცობრივი ტოტალიზაციაა.

ინტრიგას მაშინ მიმართავენ, როდესაც რაიმე მოვლენა შესაძინევი ხდება და ოპონენტის გულგრილი ხედვის საზღვრებს გადაკვეთს. ინტრიგაში ბოლმა კი არ ზეიმობს, არამედ ინდივიდუალური უფლება. ის ინდივიდი კი, რომელიც ამ უფლებას იყენებს, შეიძლება ბრაზიანიც იყოს, ბოლმიანიც და გულქვაც.

ადამიანები საზოგადოებაში ცხოვრობენ, თავისმაგვართა შორის, მუდმივად ადამიანურ ველში იმყოფებიან. ამ ველის ენერგეტიკული მდგენელი (ელემენტი) **თვითგანხორციელების ფსიქოპოტენციალია,** ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ინტრიგაა. ინტრიგა „ხერხებისა" და „გავლენებისაგან" შედგება. ხერხები კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული ზოგიერთი სტანდარტული მანიპულაციით განისაზღვრება, რომლებიც ყველანაირი შესაძლო, ამომწურავად საკმარისი რეცეპტურული რეკომენდაციებისაგან შეირჩევა. ისინი იმას შეესატყვისება და იმისათვისაა გამოსადეგი, რომ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში საკუთარი გეგმების წარმატებით რეალიზება მოხერხდეს.

გავლენის უნარი გულისხმობს ქცევებით, მოქმედებებით ჩვენთვის მიუღებელი სხვისი ურთიერთობის ყაიდის, წყობის დაბლოკვას, წარმართვას, სახის შეცვლას, ორიენტაციის შეცვლას, აღკვეთას. გავლენა არის გადაკეთება, სახის შეცვლა (სახეცვლილება), გადახატვა ჩვენი მისწრაფებების

საწინააღმდეგოდ მოქმედი ბორბლი ან არაკეთილი კომუნიკაციური სურათისა.

ინტრიგა განიხილება აგრეთვე, როგორც ძირითადი გამაშუალებელი მექანიზმი განზრახვასა და ამ განზრახვის განხორციელების კომფორტს შორის. ხერხები ქმნიან გარემოს, განწყობას, ატმოსფეროს, აკვალიანებენ ადამიანების ფსიქოლოგიას, ყურადღებასა და ინტერესებს, კრავენ, აერთიანებენ სოციალური კომპონენტების ფონს. ასე რომ, წინასწარ (შეგნებულად) დაფანტული, ზოგჯერ ნაირგვარი საბოლოოდ ერთიანდება, ცოცხლდება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალობის ფაქტი ხდება. ეს ყველაფერი ცალკეული ადამიანების თანდაყოლილი პიროვნული თვისებების გამოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ადამიანების ერთად ყოფნის სივრცეში წარმოქმნილებს.

ინტრიგოლოგია არის აღნიშნული თვისებების გამოყენება თავისი თავისათვის, სხვების საწინააღმდეგოდ, სხვებისაგან დასაცავად.

6.5. ინტრიგოლინგვისტიკა

ფიქრობენ, რომ ინტრიგა არის სხვა ადამიანში მის უნებართვოდ შეღწევის ხელოვნება, ყურადღების მოდუნების, მახეში გაბმის, ანკესზე წამოგების მიზნით.

ინტრიგა ადამიანური საზოგადოების არსებობის პირობასაც წარმოადგენს. ზოგიერთის დაკვირვებით, ადამიანები, საერთოდ, ვერ იარსებებენ საზოგადოებაში, ერთმანეთის გაცურება რომ არ ამოძრავებდეთო (ლაროშ ფუკო).

ინტრიგის რეალიზების უმთავრესი ფორმა მეტყველება და სიტყვაა. მართალია, ინტრიგა კინესიკითაც (განსაკუთრებით მიმიკა-ჟესტიკულაციითაც) იკვალავს გზას, მაგრამ, არსებითად, ადამიანის ენას, მეტყველებას იყენებს. ამიტომაც არის, რომ ინტრიგოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ენის შემსწავლელ მეცნიერებას – ლინგვისტიკას და მის კონკრეტულ დარგს – ინტრიგოლინგვისტიკას.

ინტრიგოლინგვისტიკა აზრის გასაოცარი ფორმით გადმოცემაა. გამონათქვამის აგებულება, წყობა ადამიანის შემეცნებას თავის ნებაზე ატარებს. მოლაპარაკე სუბიექტი მსმენელის მოლოდინს სიტყვათშერჩევის მოულოდნელი მიგნებითა და საზრიანობით ატყვევებს და აოცებს. სიტყვით ზემოქმედების მოდელებს შორის, ჩვეულებრივ, ასახელებენ:

1. დაშლას (დანაწილებას);
2. გადასხვაფერებას;
3. თამაშს;
4. მიმატებას; გადაბმას, დაწყობას;
5. სიტყვის გაგრძელებას;
6. სიტყვის წინწაწევას, გამოკვეთას („თვალებში ჩაჩრას“);
7. სინთეზს;
8. კალამბურს;
9. გადააზრებას;
10. უარყოფას დადასტურებით;
11. განულებას;
12. მოულოდნელ გაგრძელებას;
13. ფონოვარირებას;
14. მოხეტიალე „არას“;

15. გადაგდებას; გადატანას;
16. წრებრუნვას;
17. გადააღჭურვას, ზედმეტის ჩადებას;
18. გადატანის ამოსავალ სახე-ხატში;
19. გადაჭარბებულობას;
20. პირიქითობას;
21. მიჩუმათებას;
22. კადრსმიღმა ხმას;
23. აღრევას;
24. გაგების მარაოს;
25. გასარკვევას;
26. პირველი ასოს ჩამონაოვალს;
27. ორაზროვანებას;
28. მახვილით მანიპულირებას;
29. შეკითხვით დაწყებას;
30. უკანდახევას;
31. ციფრიზაციას;
32. მკაფიო შეზღუდვას;
33. მრავლობითობების ვარიაციზაციას;
34. შეფასების ხარისხის დაქვეითებას;
35. მონავარდე სხვას;
36. დამიფრულობას;
37. კოორდინატირებულობას;
38. თანახმიანობას;
39. მონტაჟს;
40. ცნობილის შეცვლას;
41. დამატებას;

42. პასუხის კარნახს;
43. ბალანსირებას;
44. მიბმას;
45. ანტი-ნორმას;
46. კამუფლიაჟს;
47. დაძრომას (კაურს), დასხლტომას;
48. შეთავაზებული დაკვირვების გასაოკრებას;
49. რეფლექსიას;
50. შინაგანიდან გარეგანზე გადასვლას;
51. დიალოგის მისტიფიკაციას;
52. განჯახადებას საგნის სახელით;
53. შევგამებულობას;
54. აზრის ტყორცნას (მახვილგონივრულობას);
55. შერკინებას სტერეოტიპებთან;
56. თავმობეზრებით მიმართვას;
57. ცნობილ სახესთან მიბმას;
58. ორმაგ უარყოფას;
59. საეჭვო, მერყევ ფრაზას;
60. დეშიფრირებას;
61. პარადოქსის საბურველს;
62. შინაარსობრივი მნიშვნელობის გრძნობითით შენაცვლებას;
63. ფრაზის სრულ გამეორებას ყველა მნიშვნელოვან წერტილში მისი ერთდროული ინვერსიით;
64. ნეიტრალიზებას დამატებით;
65. სხვადასხვაპლანურობის ჩვენებას;
66. ერთი რიგით მაღლა აწევას;

67. მაპროგრამირებელ ზმნას;

68. სასაკილოში გადაყვანას;

69. აწონდაწონვის კონსტრუქციას;

70. საკვანძო აზრის რეფრენს;

1. **სიტყვის დანაწილება** (აქცენტი შიდაფენოვან კომპონენტზე)

მაგალითად, სიტყვაში გამეზარდაშვილი ზმნა „გამეზარდას“ დანახვა, ან ქართულ საგვარეულოს აღმნიშვნელ სიტყვაში „ჩქიმკოჩი“ აქცენტის გადატანა „ჩქიმ“-ზე (ჩემი).

ასათიანი, რატომ „ას-ათიანი“ და არა „ას-ოციანი“?

2. **გადასხვაფერება** (ახალი წაკითხვა საყოველთაოდ ცნობილი სიტყვებისა)

- რასაცა გასცემ, სხვისია;
- სჯობს სიკოკხლესა ნაძრახსა, სიკვდილი მაინც ძნელია;

3. **თაბაშში** (ასოებით)

ეს რა ფიქრმაა?! ეს ფერმაა!

მდივანი დივანი...

4. **დაწყობა (გადაბმა) სიტყვებისა**

5. **სიტყვის გაგრძელება**

6. **წინწამოწევა** (სიტუაცია, როდესაც სიტყვას წინ წამოსწევენ უკეთ მოხილვისა და შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით).

მაგალითი:

„კარგი დარი იდგა, მზიანი, წყნარი – დღე სწორედაც რომ ბრწყინვალე გამოდგა“.

7. **სინთეზი** (სიტყვათა შეერთებით ახალი სიტყვის მიღება) სეკრეტუტკა (რუსული) = პროსტიტუტკა+მდივანი ქალი.

8. **კალამბური** (ხმოვანებით დაახლოებული და შინაარსით განსხვავებული, დამორებული სიტყვების თხზვა)

მაგალითები:

- „აბორი<u>გენის გენი</u>“

ბავშვობა – ეს არის დრო, როცა ყველაფერი გასაკვირია და არაფერი იწვევს გაკვირვებას.

- თხზულება მშვენიერია იმით, რომ უსამშვენისოა (ცისცერონი).

9. **აზრჩაღრმავება** (**აზრის ჩადება**) Оратор от орать, врач от врать.

10. **დადასტურების უარყოფა** (**შებრუნების ინტრიგა**)

– უკრავთ სალამურზე?

– არა!

– თქვენი ძმა?

– კი.

– რა „კი“?

– არც ის.

11. **განულება** (სიცარიელის შინაარსიანობა. იგი ორმოს წააგავს: მისი სიცარიელე ამოვსებულია. რით? პასუხი: – ტევადობით.

12. **მოულოდნელი გაგრძელება**

გიდი ტურისტული ჯგუფის უდისციპლინობის აღკვეთის მიზნით შეახსენებს „ტურისტის მცნებებს“: 1. როცა ტურისტი ავტობუსზე აგვიანებს ხუთი წუთით, მიკროფონში ჯგუფს საყვარელ ლექსს უკითხავს. როცა ათი წუთით აგვიანებს, – მღერის; როცა თხუთმეტი წუთით აგვიანებს... და გიდი მრავლისმეტყველად დუმდება. ჯგუფი აიტაცებს

მის სათქმელს: „ცეკვავს!“ გიდი აგრძელებს: – დიახ, ცეკვავს, მაგრამ იმ ადგილზე, სადაც თხუთმეტი წუთის წინ ავტობუსი იდგა.

13. **ფონოეარიაციები** (ფერების დალაგებას წააგავს: ღია ლურჯი წითელ ფონზე რუხთან მიახლოებულ ფერს იძლევა...)

მაგალითი: ამ მწერლის მსგავსნი აქაც ზიან, ამ დარბაზში.

– სხედან, ბატონო, და არა „ზიან“, – ისმის დარბაზიდან.

პასუხი: დიახ, სხედან და ზიანს აყენებენ ქართულ ლიტერატურას.

14. **მოხეტიალე „არა“**

მაგალითები:

- რაც აქ სწორია, **არა** ახალია, ხოლო ის, რაც ახალია, **არა**სწორია;
- თუ ტკივილი აუტანელია, **არა** ხანგრძლივია, ხოლო თუ ხანგრძლივია, მაშინ **არა** აუტანელია.

15. **გადასრთოლა.**

მაგალითები:

- დღეს შენ – ხვალ შენ!
- მე რა. ბუმ იფიქროს, – დიდი თავი აქვს.
- საიდუმლოს გამჟღავნებაში დამნაშავე ყოველთვის ის არის, ვინც იგი სხვას გაანდო (ბალთაზარ გარსიანი).

16. **წრებრუნვა.**

- ტრადიცია – ესაა პროგრესი წარსულში: მომავალში კი პროგრესი ტრადიციად იქცევა;
- რა არის მოლაპარაკება? – შეთანხმების დასაწყისი; რა არის შეთანხმება – მოლაპარკების დასასრული.

• ადამიანები ცდებიან არა იმიტომ, რომ მცდარად ფიქრობენ, რომ იციან, არამედ იმიტომ, რომ ფიქრობენ, სხვებმა არ იციანო.

17. **გადატანა (მნიშვნელობის შეცვლა, როგორც თეატრში: ადამიანი იგივეა, ოღონდ როლი აქვს სხვა).**

მაგალითი (ანეკდოტი):

ნიკიტა ხრუშჩოვს ხვდებიან ლონდონში. ერთმა ინგლისელმა მუშტი მოუღერა. პასუხად ნ. ხრუშჩოვმა შუბლზე მიირტყა ხელი. პოლიციამ ინგლისელი დააკავა.

– რას ნიშნავდა თქვენი ჟესტი! – ეკითხებიან ინგლისელს.

– შენები მუშტში იყოლიე, თორემ ჩამოგაგდებენ, – ამის თქმა მინდოდა, – უპასუხა ინგლისელმა.

– დავუშვათ, რომ ეგრეა. მაშინ ისიც გეცოდინებათ, რა გიპასუხათ ნ. ხრუშჩოვმა.

– საამისოდ ჭკუა არ მყოფნის", – უპასუხა ინგლისელმა.

18. **გადაყვანა ასახვაში (გრძნობის გადაყვანა თვალხილულობის სიუჟეტირებაში).** ეს არ არის შედარება, ესაა აზრის მნიშვნელობის შინაარსის გადადნობა ვიზუალიზებაში. მაგალითად, „დრო კანვაა, რომლის თარგზეც არის ნაქსოვი ცხოვრება" (სამუილ რიჩარდსონი).

• პაწია ეკითხება დედას: – რა არის იმპოტენტი?

– როგორ გითხრა? ეს დაახლოებით იგივეა, რომ, მაგალითად, მოხარშული მაკარონით შეეცადო ბილიარდის თამაშს.

19. **გადაჭარბებულობა**

გადაჭარბებულობა ადამიანური ბუნების არსებითი თვისებაა, მის გარეშე არსებობა არ შეუძლია. გადიდება-გაზვიადება მისთვის ყოველთვის პრინციპული მნიშვნელობაა.

საინტერესო იმით არის, რომ აფართოებს, ზრდის ჩვენი მყოფობის სივრცეს და მფლობელობის განცდების არეს. **გაზვიადების** საპირისპირო **ზომიერება,** ჩვეულებრივ, ესმით, როგორც რაიმე პოლარულის ბალანსირება, საშიშთან, კატასტროფულთან არ მიახლოების საზღვრების რაღაცნაირი დაცულობა.

გადაჭარბებულობა (გაზვიადებულობა) არის აზრობრივი ფონი, რომელზედაც ვაკინოფილმებთ ჩვენი მზრუნველობის განგაშებს. ესაა ერთგვარი ჰიპერბოლა – შთაბეჭდილების გასაძლიერებელი გაზვიადება, გადაჭარბება.

მაგალითები:

- უსაზღვრო ზღვა;
- აუტანელი სიცხე;
- ღვთაებრივი სასმელი;

20. **პირიქითობანა** (ჩვეულებრივი გამოთქმების გადაფორმულირება)

მაგალითი: „თუ ასეთი ღარიბია, რატომაა ასე ლამაზი?"

21. **მიჩუმათება (საკუთარი თავისათვის სიტყვის შეწყვეტინების კონსტრუქცია)**

მაგალითები:

- „რადგან ამაზე კი არაა, არამედ..., არა, არაფერს ვიტყვი იმაზე, რაც ახლა თავში მომდის" (დემოსთენე)
- არ მინდა რაიმე ისეთი ვთქვა ჩემი სიტყვით გამოსვლის დასაწყისში.

მიჩუმათება ეფექტურია პაუზით, რომელიც რაღაცას გულისხმობს, ანუ იმას, რომ ვიწყებთ რაიმეს თქმას, შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად ვდუმდებით და მსმენელს ჩვენი აზ-

რის დინებაში ჩართვის საშუალებას და ამით თანამოაზრედ ქცევის პერსპექტივებსაც ვუქმნით.

მაგალითად:

- „ტაშტი გატყდა",... (იგულისხმება: „ხმა გავარდა");
- „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა"... (იგულისხმება: „სიკვდილი სახელოვანი");
- „ჯერ გადახტი"... (იგულისხმება: „ჰოპლა მერე თქვი").

22. **კადრსმიღმა ხმა** (გვერდიდან შეხედვის ფრაზები)

- „როგორ წახვედი ამაზე?"

23 **შენაცვლება** (ჩანაცვლება სივრცეში, დროსა და მოსაზრებაში)

- „დღემ დაიხურა პირბადე".

24. **გაგების მარჯა** (აზრის თამაში)

ოპტიმისტი: ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბოთლი სანახევროდ სავსეა მაშინ, როდესაც ბოთლი ნახევრად ცარიელია.

- ქორწინებამდე ექვსი თეორია მქონდა ბავშვების აღზრდის თაობაზე, ახლა ექვსი შვილი მყავს და არცერთი თეორია არ გამაჩნია" (ჯონ უილმოტი).

25. **გასარკება** (ერთი ფრაზის შიგნით ზუსტი შეტრიალება)

მაგალითები:

- სიყვარულის ნაღველი – ნაღველის სიყვარული
- მიზნის მიღწევა – მიღწევის მიზანი
- შიშის საფრთხე – საფრთხის შიში

26. **პირველი ასოების ჩამთნათვალი** (ფოკუსირებული ინტრიგა).

გერმანული პატრიარქალური ოჯახის ფორმულა: ქალი უნდა ემორჩილებოდეს სამ „K“-ს: – Kirchen (ეკლესიას), Kinder (ბავშვებს), Kuchen (სამზარეულოს).

27. **ორაზროვნება.**

● „მაღლით წვიმა მოდიოდა,
ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა მან, თავიდან
ფეხებამდე მასხა რაო“...
და იქვე:
„ხუმარადაც ვარგებულხარ,
ვაჟკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს **სულ ელიო**“ (აკაკი).

28. **მახვილით მანიპულირება.** ესაა სიტყვის ინტონაციური თუ გრამატიკული მახვილის ადგილის შეცვლით სიტყვის სემანტიკის (გამოსახატავი შინაარსის) შეცვლა. ქართულს ეს არ ახასიათებს, ზოგიერთ ინდოევროპულ ენას კი სჩვევია. მაგალითად, ძველ ბერძენ ფილოსოფოს ჰერაკლიტე ეფესელს ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „მშვილდის სახელია „სიცოცხლე“ (bios), ხოლო მისი საქმე – „სიკვდილი“ (bიos). ამ ბრძნული გამონათქვამის არსი სიტყვის მახვილის დასმაში იკითხება. ამ სიტყვაში მახვილის პირველ მარცვალზე დასმა (bíos) სიცოცხლეს აღნიშნავს, ხოლო მახვილის მეორე მარცვალზე (biós) დასმა მშვილდს (მეომრის იარაღს, ანუ სიკვდილის იარაღს).

29. **შეკითხვით დაწყება**

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა

და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეაქოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?“

30. **უკანდახევა (გადახვევები, ჩანართები, ინფორმაციული კოქტეილი** (მეტყველების დამუხრუჭება ჩართვების, გადახვევების, ჩანართების ხარჯზე მსმენელის ინტერესის გაძლიერების მიზნით, ლათ. Retardation-დან - შენელება, შეყოვნება)

31. **ციფრიზაცია, პუნქტობივი სია (ნაბიჯნაბიჯობრივი ინტერესის ინტრიგა)**

მაგალითი:

სანიმუშო კომპანიის რვა ნიშანი (მსოფლიოში ცნობილი 62 წამყვანი ფირმის კვლევის საფუძველზე გამოვლენილი კლასიფიკაციის თანახმად):

1. წარმატების მისაღწევ ქმედებებზე ორიენტირება;
2. სახით მომხმარებლისაკენ ყოფნა (საჭიროა ყურისგდება პუბლიკისათვის);
3. დამოუკიდებლობა და ფხიანობა (ლიდერებისა და ნოვატორების ყოლა);
4. მწარმოებლობა - ადამიანისაგან (ადამიანური ფაქტორი);
5. ცხოვრებასთან კავშირი, ღირებული ხელმძღვანელობა (ფირმის არსებობა შეუძლებელია ფირმის ფილოსოფიის არსებობის გარეშე);
6. თავისი საქმისადმი ერთგულება (იმის კეთება, რაც იცი, რაც შეგიძლია);
7. ფორმის უბრალოება, მოკრძალებული სამმართველო შტატი;

8. ერთდროული თავისუფლება და სიმკაცრე“ [18].

32. **მძაფრი შეხლუდვა** (გამოთქმული აზრის არეალი მკისიერად ვიწროვდება)

მაგალითი:

● „გონიერი მხოლოდ ის არის, ვინც კეთილია და ზუსტად იმდენად, რამდენადაც არის კეთილი“ (ნ. ჩერნიშევსკი).

33. **მრავლობითობების ვარიირება**

მაგალითი:

● ადამიანად ყოფნა - საკუთარი თავის განსხვავების უნარია. ყველაფრისაგან. არცთუ უკანასკნელ წუთებში - ყველასაგან.

34. **შეფასების ხარისხის დაბლა დაწევა**

მაგალითი:

„რა ლოთი მე მნახე? ლოთები თეთრი ხურვისაგან იკურნებიან. მე მხოლოდ და მხოლოდ მოყვარული ვარ. დალევა მიყვარს“.

35. **მონაცვლედ სხვა**

მაგალითი:

ქმარი - ცოლს:

- წელს სადმე ისეთ ადგილას მინდა დავისვენო, სადაც ადრე არასოდეს ვყოფილვარ.

ცოლი:

- სამზარეულოზე რას იტყვი?

36. **შიფრირება** (ლაპარაკი დაფარული აზრით)

შ..., - შენ გკითხულობენ, - ეუბნება მეუღლე შალვას. შალვა განაწყენებული, თავისთვის ბუზღუნებს:

– კიდევ კარგი ყარამანი, არა მქვია.

37. **კოორდინირება** (ათვლის სისტემის თანხლებით)

ცნობილი საბჭოთა დიპლომატი სოკოლნიკოვი აღშფოთდა, როცა ოფიციალურ მიღებაზე მიწვევასთან ერთად ეთიკის შესაბამისად ფრაკის, შარვლის... ჩაცმის თხოვნაც მიიღო. ფრაკი, შარვალი მას, რევოლუციონერს? მაგრამ იქვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის გიორგი ჩიჩერინის (1872-1936) დეპეშაც მიიღო, სადაც ეწერა: ლაპარაკია არა თქვენს ფეხებზე, არამედ თქვენს სახეზე".

38. **თანხმიანობა**

მაგალითი:

ცნობილი რუსი მსახიობი ვასილ კარატიგინი (1802-1953) განთქმული იყო თავისი ექსპრომტებით. მეფე ნიკოლოზ პირველის ძმას, დიდ თავადს მიხეილ რომანოვს, შურდა მსახიობისა, რადგან თავის თავს მიიჩნევდა ამ საქმის დიდოსტატად. ერთხელ, ზამთრის სასახლეში (პეტერბურგში) მეფის სურვილით ვ. კარატიგინი დასთან ერთად წარმოდგენას მართავდა. საგრიმიოროს ადგილად სამრეკლოა მიუჩინეს. ხელმწიფემ ეს რომ გაიგო, მოუბოდიშა და უთხრა: – მითხარი, ჩემი ძმა ხანდახან გართმევს სარსებო ლუკმაპურს?

– ჩვენს საქმეში მთავარი მარილია, – უპასუხა მსახიობმა.

39. **მონტაჟი.**

● სდექ! გესვრი და გაგათავებ (ამბობდა გენერალი და ხვანჯარს იხსნიდა).

40. **ცნობილის (გადასხვაფერება) შეცვლა** (ანუ პერიფრაზირება)

მაგალითი:

საფრანგეთის რევოლუციის ცნობილმა სახემ მარატმა

ასე გადაასხვაფერა ვოლტერის გამონათქვამი ღმერთის შესახებ („ღმერთი რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოგვეგონაო"): „ლუდოვიკო XVI რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოგვეგონებინა".

41. **შეკრულობა** (ემოციური დამატებებისა და დეტალიზებული წვრილმანების მოხმობა)

დამცველი სამართალში მიცემულის შესახებ:

„იგი, პატივცემულო მოსამართლე, მარტო არ იღუპება; მას ემყარება ქალის ხელი; მის კისერზეა ბავშვები, მას ყელზე ეხვევა ბავშვის ხელები.

42. **პასუხის კარნახი**

„თქვენ, ცხადია, იბანთ ხელებს ჭამის წინ?"

43. **ბალანსირება** (შეთავაზებული ინფორმაციის ნაწილების გაწონასწორება; არსებითად, ესაა საყლაპი გასათავისებელი წინააღმდეგობიდან).

მამაკაცებს ისეთივე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ თავიანთ უფლებებზე, როგორც ქალებს თავიანთ უუფლებობაზე.

44. მიბმა (ბმა)

45. **ანტი-ნორმა.**

ა) პარადოქსული გაძლიერება

„ომში შეიძლება მოკლან და დაჭრან კიდევაც" (ფოლკლორული თქმა)

ბ) **სიტყვათა ჩვეული რიგის დარღვევა**

„ძლევამოსილად იხევს თვითმკვლელობა ლამაზი" (სტეფანე მალარმე).

46. **კამუფლიაჟი** (აზრის წარმოდგენა მისი თავდაპირველი დედნურობის გახმაურებით)

მაგალითი:

ა. ჩეხოვის მოთხრობის „სამი წელი“ ერთი პერსონაჟი რესტორანში ასეთნაირად უკვეთავს სადილს: „აი, რა, საყვარელო, მოგვიტანე ერთი ულუფა ჭორების და ავყიაობის მთავარი ოსტატი კარტოფილის პიურეთი (ლაპარაკია ენაზე).

47. **დაძრომა**

მაგალითი:

„ცხოვრება დაუნდობელია მამაკაცებისადმი... როცა ამ ქვეყანას ევლინებიან, მათი დედები იღებენ ყვავილებს; როცა ქორწინდებიან, მათი პატარძლები იღებენ ყვავილებს და საჩუქრებს; როცა კვდებიან, მათი ცოლები იღებენ დაზღვევას და ისვენებენ ბაგამის კუნძულებზე“.

48. **შეთავაზებული დაკვირვების განაოცრება**

- „გააფრთებული აუცილებლობის ნაკბენები განსაკუთრებით სახიფათოა“ (პორციუს ლატრონის სიტყვები მისი გამოსვლის ტექსტიდან კატილინას შესახებ);
- „ვისაც მეგობრები ჰყავს, მას არ ჰყავს მეგობარი (არისტოტელე);
- „სხვისი ბავშვები სწრაფად იზრდებიან“;
- მონური საქციელი ყოველთვის მონის საქციელი არ არის.

49. **რეფლექსია** (გზადაგზა თვითმიმართება საკუთარ ქმედებებთან ანუ თვითშეფასება)

მაგალითი:

ჩესტერფილდის წერილიდან შვილისადმი:

„ფრანჩესკო პეტრარკა, ჩემი შეხედულებით, ერთგვაროვანი, სიყვარულით ნატანჯი პოეტია, რომლითაც აღფრთოვანება იტალიაში მაინც არ წყდება. ამასთან, რომელიმე იტალიელი, რომელიც ამ პოეტს იმაზე მაღლა არ აყენებს, ვიდრე მე, იტყოდა, რომ თავისი ლექსებით მან დაიმსახურა უფლება ლაურაზე და სულაც არა ლავრებზე (დაფნის გვირგვინზე – რედ.) და ეს უსუსური კალამბური ჩაითვალა იტალიური გონებამახვილობის დიდებულ ნიმუშად“.

50. **შინაგანიდან გარეგანზე გადასვლა**

„ხელისუფლება ზოგს თავში უვარდება, ზოგს კი თავში ურტყამს“.

51. **დიალოგის მისტიფიკაცია** (ორატორის მსმენელზე ზემოქმედების ყველაზე ეფექტური საშუალება)

- „ვიღაცამ შესაძლოა მკითხოს“...
- „მოდით, ასე ვთქვათ“...
- „აი, არიან ისეთებიც, ვინც მიიჩნევენ“...

52. **განცხადება საგნის (ნივთის) სახელით.**

რაღაც იმის მაგვარი, რაც გვხვდება მ. ბულგაკოვის რომანში „ძაღლის გული“ (1925 წ.), სადაც მოვლენები დანახული და შეფასებულია ძაღლის სახელით.

53. შეჯამებადობა (ჩამონათვალის ამოწურვა; მთლიანურობის მოცვის, სისრულის განცდის შექმნა)

- ბედნიერების ხუთი გამოვლენა ასეთია: პირველია – დღეგრძელობა, მეორეა – სიმდიდრე, მესამეა – სხეულის სიჯანსაღე და სულის სიმშვიდე, მეოთხე – ქველმოქმედების სიყვარული, მეხუთე – საკუთარი სიცოცხლის ღირსეული

დასრულება“ (ჩინური წყარო „შან შუ“, თავი „დიდი კანონი“ (VIII ს. ძვ. წ. ა.).

54. **გასროლა აზრით** (მახვილგონიერება)

მაგალითები:

- „დიაგნოსტიკამ ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ ჯანმრთელი ადამიანები, პრაქტიკულად, აღარ დარჩნენ“ (ბერტრან რასელი);
- სქელოს შეიძლება ვენდოთ – მას უბრალოდ არ შეუძლია დამცირება;
- ისე არაფერი აახლოებს ადამიანს სიკვდილთან, როგორც დღეგრძელობა.

55. **შერკინება (შებრძოლება) სტერეოტიპებთან** (შებრძოლების სამიზნე-სხვისი მსჯელობის პოსტულატები)

ფრაგმენტი: „თქვენ გინდათ გილიოტინის მეშვეობით ყველა თქვენი მტერი გაანადგუროთ? გაგონილა ქვეყნად ამაზე მეტი უჭკუობა?! შეგიძლიათ თუნდაც ერთი ადამიანის გილიოტინირება ისე, რომ თავისუფლებას არ მოუვლინოთ ათობით მტერი მის ოჯახს შორის, მის მეგობრებს შორის?“ (კამილ დემულენი, ფიქრები რესპუბლიკაზე, საფრანგეთი, XVIII საუკუნე).

56. **გადაბრუნება, ინვერსია მომაბეზრებლობით** (ეს ჰგავს წყლის წვეთით კლდის გახვრეტას შეუპოვარი დაუღლელობით).

მაგალითი:

იულიუს ცეზარის ახლო მეგობრის მარკუს ანტონიუსის სიტყვის ფრაგმენტი

57. **მიბმა ცნობილ სახეზე**

მაგალითი: „მე რევოლუციონერისათვის კრიტიკულ პერიოდში ვიმყოფები. იმავე ასაკისა ვარ, რომელშიც იესო ქრისტეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მეც 33 წლისა ვარ“ (კამილ დემულენი, რევოლუციური ტრიბუნალის 1794 წლის 2 აპრილის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან).

58. **ორმაგი უარყოფა** (= **ორმაგი არა**)

მაგალითი:

„ადამიანი არ არის უფლებამოსილი არ აკეთოს ის, რასაც მისთვის მომეტებული სიამოვნება მოაქვს“ (სტენდალი).

59. **სლიპინა ფრაზა** (სიტყვების ისეთი ჩალაგება წინადადებაში, როდესაც აზრის ბოლმიანობას ვგრძნობთ, ვხედავთ, მაგრამ შეპასუხება არ შეგვიძლია, ხელმოსაკიდს ვერ ვპოულობთ).

მაგალითი:

„ხელისუფალის გაკიცხვა კი არა მისი საქციელის გამო, არამედ მისი ქება, ვისი საქციელებიც იყო იმის საწინააღმდეგო, რასაც ის აკეთებს“.

60. **დეშიფრირება** (ფრაზის ყველა აზრის, ქვეტექსტის, მიმართულებისა და სუბიექტების სისრულის გადაშლა)

მაგალითი: იღვიძებ დილას და მთელი ოჯახი გეხვევა და გკოცნის: დედა, და, ქალიშვილი“.

61. **პარადოქსის ვუალი** (ძირითადი აზრის მოწესრიგება ან უცნობისათვის მისი ნამდვილი მიზეზების ჩვენება; ძალიან ხშირად განზრახულობების საიდუმლოს შეკონვა)

მაგალითი:

- „თქვი რაიმე თავისთავად გასაგები და უკვდავყოფ საკუთარ სახელს“.

• თუ რაიმეთია ადამიანი კმაყოფილი – თავისი უკმაყოფილებით.

62. **შინაარსობრივი მნიშვნელობის შეცვლა გრძნობითით** (ანუ რაღაცნაირი სპეციალური და საგანგებოდ შერჩეული სიტყვების გამოტანით განსაკუთრებული შესაბამისი მიკროტექსტის აგება). იდეა – წამოიდგინეთ ტექსტი ისეთი საკვანძო სიტყვებით, როგორიცაა: „ტერორისტული, თავხედი, არაკანონიერი, უსირცხვილო, სიცრუე...“ ვფიქრობთ, ხვდებით, საითაც უმიზნებს ორატორი...

63. ფრაზის სრული გამეორება მისი ერთდროული ინვერსიით მის ყველა მნიშვნელოვან წერტილში

მაგალითი:

„დაე, ის დუმდეს, ვინც მისცა, დაე, ილაპარაკოს იმან, ვინც მიიღო“ (მიგელ სერვანტესი).

64. **ნეიტრალიზება დამატებებით**

მაგალითი (გადათქმევინება პირობისა)

მშობლები ბავშვს ჰპირდებიან ფულს და ეუბნებიან: „შენ შეგიძლია შენთვის იყიდო, რაც გინდა!“

და დაამატებენ:

„... იქიდან, რაც შენთვის, მართლაც, აუცილებელია“.

65. **სხვადასხვაწყობილობის ჩვენება**

მაგალითი:

„გამოცდილება **არის** და **მიიჩნევა** კიდევაც მჭევრმეტყველების საუკეთესო მასწავლებლად“ (პლინიუს უმცროსი).

66. **ერთი რიგით მაღლა აწევა**

მაგალითი:

ცნობილი რუსი ჟურნალისტი დოროშევიჩი, ზედმეტ-

სახელად „ფელეტონისტების ხელმწიფე", დიდი ხნის განმავლობაში აგროვებდა ფრანგული რევოლუციის გამოცემების დეტნებს - პიერ დიუშენის მოწოდებებს, კამილ დემულენის ჟურნალებს. დოროშევიჩი ხალისით ჰყვებოდა თავისი შემკრებლობითი მუშაობის ამბებს და კოლექციას ასე აფასებდა:

„ახლა მისი ფასი ოქროთი კი არ განიზომება, არამედ ბრილიანტებით".

67. **მაპროგრამებელი ზმნა:** მნიშვნელობა იქმნება მოლაპარაკის განზრახვის შესაბამისად, იმ მიზნით, რომ ერთი ითქმოდეს და მეორე ისმინებოდეს. ეს კი აღმგზნები სიტყვების გამოყენებით ხერხდება.

მაგალითი:

XX ს. 70-იან წლებში აშშ-ში ჩატარდა კვლევები, რომლებმაც ცხადყვეს, როგორ მოქმედებს აუდიტორიის გადაწყვეტილებაზე ესა თუ ის ზმნა.

განათლებული ადამიანების ჯგუფს ჰკითხეს: „მიგაჩნიათ თუ არა, რომ კანონი ისეთნაირად უნდა **შეიცვალოს**, რომ პრეზიდენტობის ვადა 6 წლით განისაზღვროს, თანაც ისე, რომ მეორე ვადით არჩევანის უფლება შეიცვალოს - გაუქმდეს. 60%-მა უარყოფითი პასუხი გასცა. ამავე ჯგუფმა კითხვაზე „ხომ არ ამჯობინებდით, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება 4-ის ნაცვლად 6 წლით განსაზღვრულიყო და ამის შემდეგ პრეზიდენტის ახალი ვადით არჩევა აღარ მომხდარიყო", 70%-მა დადებითი პასუხი გასცა.

ზმნა **„შეიცვალოს"** არარსებობამ განაპირობა ადამიანების რეაქცია. „შეიცვალოს" შინაარსმა ადამიანებში გამოიწვია გაურკვევლობის, რისკის, დაეჭვების გრძნობა.

68. **სასაკილოში გადაყვანა**

XVIII საუკუნის დასასრულს საფრანგეთში პრესის ლიდერებს შორის არიან მემარჯვენე ჟურნალი „Les actes des Apótres“ (აპოსტოლ მოციქულთა ქმედებანი) და მემარცხენე ჟურნალი „L'Espion de Paris“ (პარიზის შპიონი). „მოციქულთა ქმედებანი“ სატირული ჟურნალი იყო. იგი ასეთნაირად გამოეხმაურა 1792 წლის ტერორისტულ პოლიტიკას, რომელიც არც ჟურნალისტებს ინდობდა. გამოაქვეყნა პუბლიკაცია **„დეკრეტი საყოველთაო თანასწორობის შესახებ“**, სადაც სასაკილო იყო აგდებული ხელისუფლების დიქტატურული მაქსიმალიზმი:

§1. 14 ივლისიდან დღე და ღამე უნდა გათანაბრდეს მთელი დედამიწის ზურგზე. მზე ყველგან უნდა ამოვიდეს 5 საათზე;

§2. როგორც კი დასრულდება დღე, აუცილებლად უნდა გამოანათოს მთვარემ და ვალდებულია ანათებდეს მზის ამოსვლამდე;

§ 3. მთელი დედამიწის ზურგზე ტემპერატურა მუდმივად ერთნაირი და ზომიერი უნდა იყოს.

§4. ელჭექი და სეტყვა მხოლოდ ტყეებს უნდა დაატყდეს. მოსახლეობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდეს წყალდიდობებისაგან და მთელი დედამიწა მოირწყას მხოლოდ კეთილნაყოფიერი ცის ნამით მის მკვიდრთა საკეთილდღეოდ;

§5. წინამდებარე დეკრეტი აღსასრულებლად უნდა დაეგზავნოს დედამიწის ორივე ნახევარსფეროს მუნიციპალიტეტებს და გამოქვეყნდეს.

69. **აწონ-დაწონვის კონსტრუქცია**

მაგალითი:

„ბატონო ნაფიცო მსაჯულებო! სასწორის ერთ მხარეს სამართალში მიკვემულის ცოლი და შვილია, ხოლო მეორე მხარეს – აი, ეს საშოვარი, რომელიც სამი მანეთი ღირს".

70. საკვანძო აზრის რეფრენი

მაგალითი:

„მჭამელნი **ვიქნებით,** მსმელნი **ვიქნებით,** ხოლო როცა სიკვდილი მოვა, მკვდარნი **ვიქნებით".**

ინტრიგოლინგვისტიკური მოდელების წარმოდგენილი ნუსხა, თავისი შთამბეჭდავი ნაირგვარობის მიუხედავად, ცხადია, მაინც არ არის ამომწურავი. ენა ყველაზე დიდი სასწაულთაგანია, რომელიც შემოქმედმა ადამიანს მიაგო, დააშვენა მისი სამეტყველო ტექნოლოგიების წვდომა და მით უფრო ამომწურავი აღწერა-დახასიათება უბრალოდ წარმოუდგენელიც კი არის. მაგალითად, ზემოთ წარმოდგენილ ინტრიგოლინგვისტიკური მოდელების ნუსხა შესაძლოა გაგრძელდეს ასეთი ლინგვისტიკური ტექნოლოგიით – **ფაქტისა თუ მოვლენის სემანტიკური უცნობობით ადამიანის გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება.**

მაგალითი:

XX ს. 40-იან წლებში ლენინგრადში, ნევის პროსპექტზე, ქართველი ახალგაზრდების ჯგუფს გზად შეხვდა მშვენიერი დედა და კიდევ უფრო მშვენიერი ქალიშვილი. ერთმა ზედმეტად თამამმა ქართველმა ჭაბუკმა ქალიშვილს მალულად უჩქმიტა. ქალიშვილმა მოულოდნელობისაგან შეჰკივლა. დედა უცებ მიხვდა ყველაფერს და ახლოსმყოფ მილიციელს უხმო. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი,

მეორე ქართველ ჭაბუკს რომ არ ემარჯვნა. იგი მიუახლოვდა დედას და შთაგონებით ჩასჩურჩულა ონავარ ჭაბუკზე:

– „Мадам, а вы знаете, что он из Кутаиси?“ (ქალბატონო, იცით, რომ იგი ქუთაისიდანაა?). ქალი შეცბა და მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ქუთაისზე, თქვა:

– „Ах, из Кутаиси, тогда ничего“ და მილიციელს ხელით ანიშნა - არაფერიაო. ასე დაფარა მან თავისი არცოდნა და იმოქმედა მასზე უცნობმა ინფორმაციამ...

... და ვინ იცის, კიდევ რამდენ ინტრიგოლინგვისტიკურ მოდელს შეიცავს ჩვენი ენობრივი სამყარო.

6.6. ლექსითი ვარჯიში

ლექსის, კონკრეტულად რომელიმე პოეტის ლექსის ან მისი ნაწყვეტის, გამოყენებას რიტორიკაში - ორატორულ ხელოვნებაში განუზომელი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში, ეს ფაქტი ნაკითხობას ცხადყოფს და ორატორის ინტელექტის სიმაღლეზე მიუთითებს. ამას გარდა, ლექსის ციტირებით სათქმელის მოკლედ გამოხატვაც ხერხდება. პოეტური ციტატა სათქმელს დამაჯერებლობასაც მატებს, რადგან მსმენელი იცნობს ლექსის ავტორს - პოეტს და მის ნათქვამს აბსოლუტური ნდობით ეკიდება. ეს კი, თავისთავად, ორატორისადმი ნდობასაც ზრდის.

ლექსში აზრის ლოგიკა სულ სხვა არის, ვიდრე პოეზიაში. აქ აუცილებელი არ არის აზრების დაკავშირება გამომდინარეობის მიხედვით. მორალი ჩვენი ყოფიერების სივრცე, მიზანი, საყრდენი და ფასია. მასშია ჩვენი წარუშლელობის

სათავეებიც და კვალიც. ხოლო ზნეობრივი სიტყვაში თავისი პირველადობის წყალობით აყალიბებს ჩვენს ზნეობას. ამიტომ იგი ყველა ადამიანური კავშირის მაერთებელია, იმ საერთო გრძნობების ქრონოგრაფია, რაც გვაერთიანებს და რის გამოც ადამიანების სჭირდებათ ერთმანეთი.

რა არსებითი რიტორიკული ასპექტებია საინტერესო ლექსის ციტირების პროცესში? უპირველესად, ინტონაცია და გაცნობიერებული ლოგიკური აღქმა, მეორე მხრივ, ანალიტიკის სიმკაცრე. ლექსი თავისებური გამოცანაა, რაღაც ნაირად კროსვორდის მსგავსი. ბუნებრივია, სხვისი აზრის ამ თავისებურ დაშირფულობას, ჩახვეულობას, ჩაკეტილობას ახსნა სჭირდება, მასში შეღწევა და პოეტური ჩანაფიქრის გახსნა. ამ შემთხვევაში პრინციპულ მნიშვნელობას იძენს განხილვის რაკურსი. ფორმალური მომენტი ნებისმიერ განსჯაში მყოფობს და თეორიულ კანონზომიერებას ემყარება. მართალია, მეცნიერული განსჯა აქ უკანა პლანზეა გადაწეული. წინ წამოწეულია რეალობის საწკისებრი ასახვა.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს სისტემატიზების სიმკვეთრეს, სხვის გამონათქვამში მისი ნიჭისა და ოსტატობის საიდუმლოს ამოკითხვას. ორატორის ტექსტი გაშიშვლებული არ უნდა იყოს, როგორც მახვილი – სატევარი, რადგან გონებას იოლად დაუსხლტება. ამიტომ იგი მუხლობრივი უნდა იყოს, როგორც, მაგალითად, ბამბუკი, რათა ასეთ შემთხვევაში ჩაგვებღაუჭოს და შემეცნებაში მყარად აღიბეჭდოს. აღქმაში ყველაზე რთული ყურადღებაა ლოგიკურისადმი. ლოგიკურის მონოტონურობა ადუნებს სიფხიზლეს. ამ

მიზეზით მეტყველება რაღაცნაირად ალოგიკური უნდა იყოს. მისი დინების სიმდორე გამუდმებით უნდა ირღვეოდეს.

პოეტის მეტყველება რიტორიკულია. ლექსში ამკარაა მჭევრმეტყველების კანონისტიკა. აქედან გამომდინარე, ლექსის ტრადიციებზე აღზრდა ორატორისათვის აუცილებელიც კი არის. პოეზიის სამყაროში ორატორი ყველაფერს იპოვნის – ბრწყინვალე დასაწყისებს, მჭევრად მეტყველების ნიმუშებს, სიბრძნის სიმფონიას, ნატიფად ნაქსოვ ინტრიგებს და ა. შ.

ორატორისათვის დიდად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ლექსი პირდაპირი გაგებითაც ხელთქმნილი მოვლენაა, იმ გაგებით, რომ იგი ხელების მოძრაობისაკენაც უბიძგებს, ჟესტების ხატოვანი გამომსახველობისაკენ და პოზის ამეტყველებისაკენ. ჟესტების (ჟესტიკულაციის) შინაგანი მოთხოვნილება საყოველთაოა და იგი ყველას უგრძვნია, ვისაც კი ლექსის დეკლამაცია უცდია. დაკვირვებით დადგენილია, რომ ლექსები კარგი თავისთავად ვერ იქნებიან, თუ წამკითხველია ცუდი. აქედან გამომდინარეობს უაღრესად საინტერესო (უნიკალური) აღმზრდელობითობის ინვერსია: ლექსებთან ზიარება აკეთილშობილებს და სოციალურად აყალიბებს ადამიანს. ლექსის მეშვეობით შეიცნობა ადამიანი, უპირველესად კი, საკუთარი თავის. ლექსი აახლოებს და კრავს საზოგადოებას.

პოეზიით სარგებლობა მომგებიანია, რადგან მის სამყაროში ცალ-ცალკე აირეკლება ყველა მომენტი, რაც დამახასიათებელია სიტყვისათვის (ტექსტისათვის) და მის შედარებით ნატიფ მომენტებს ახლავს. ცნობილია, რომ პოეზია უფრო ორგანულია ტვინის ფსიქოგენურობისათვის. იგი განსაზღვრავს განწყობის რიტმიკას, რაღაცნაირად წარმართავს დასახული

მიზნისაკენ მეტყველების რაგვარობას, ინტონაციას, ხმის სიმაღლეს, სიძლიერეს, ტონალობას და ა. შ.

6.6. შედარება

შედარება არის შეპირისპირება – კონკრეტულისა კონკრეტულთან; მსგავსების საფუძველზე აზრის აღნიშვნა და მისი ხელშესახებობის გამოხატვის მიზნით, აზრისათვის სიღრმის მისაცემად, გასაცოცხლებლად. შედარების გზით ხორციელდება გამოცდილების ტრანსლირება – საკუთარ თავთან და მთელ კაცობრიობასთან.

- **მეტაფორა**

მეტაფორა – ტროპი, გადატანა (ლათ. თრანსლატიო) კონკრეტულის შეპირისპირება აბსტრაქტულთან.

ჩვენს შემეცნებას მატერია მხოლოდ მეტაფორის მეშვეობით ეძლევა (ო. მანდელშტამი).

მეტაფორა აზრის წარმოუდგენელი საფუძველია, რომელიც ჩაწერილია წარმოუდგენელი თეთრი მელნით ყველა ფილოსოფიის წიგნში (ჟაკ დერიდა).

არისტოტელეს მიხედვით, მეტაფორა არის უცხო სიტყვის გადატანა (ანუ სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვისა საძიებელი სიტყვის მნიშვნელობასთან) პროპორციაში, სადაც მეორე ისეთ მიმართებაშია პირველთან, როგორც მეოთხე – მესამესთან. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ მეორის ნაცვლად შეიძლება ჩაისვას მეოთხე და მეოთხის ნაცვლად – მეორე.

ავიღოთ ასეთი მაგალითი: „მეღვინეობის ღვთაებას დიონისეს ყოველთვის გამოხატავდნენ თასით, ხოლო ლეგენდარულ არესს – ფარით“.

ამ ფრაზაში ორი წყვილი იქცევს ყურადღებას. „თასი - დიონისე“ და „ფარი - არესი“. ამასთან თასი ისე მიემართება დიონისეს, როგორც ფარი არესს.

ანუ

$$\frac{\text{თასი}}{\text{დიონისე}} = \frac{\text{ფარი}}{\text{არესი}}$$

- ფარი - ესაა არესის თასი
- თასი - ესაა დიონისეს ფარი

კიდევ ერთი მაგალითი:

$$\frac{\text{სიბერე}}{\text{სიკოკხლე}} = \frac{\text{საღამო}}{\text{დღე}}$$

მაშინ: საღამო ესაა დღის სიბერე, ხოლო სიბერე - სიკოკხლის საღამო.

მეტაფორა უდარებს (მაგალითად: ფეხსაცმლის ძირი და მთის ძირი), მაგრამ იგი არ არის შედარება.

მეტაფორა ამსგავსებს, მაგრამ არ არის მიმსგავსება. ფიქრობენ, რომ მეტაფორა მავიზუალიზებელი (გამომთვალისაჩინოებელი) ხერხია და არა შემეცნებითი. იგი ავლენს არსის ქვეტექსტს. იგი კი არ ახასიათებს, არამედ სიტყვაკაზმულად (შნოიანად) აშიშვლებს. ენა მოუხეშავია, იმ თითს ჩამოჰგავს, წერტილზე რომ მიუთითებს და თავადვე რომ

ფარავს ამ წერტილს. ამიტომაც არის საჭირო სახვეწი, ნატიფობის პროცედურები. მეტაფორა განსჯის ერთი ასეთი მონაპოვარია.

მეტაფორას გრძნობა-შემოქმედების მექანიზმსაც უწოდებენ. მაგალითები:

„დღემ დაიხურა პირბადე...“

„მთებმა დახუეს თვალები...“ (ვაჟა)

„იისფერი თოვლი“ (გალაკტიონი).

- **ანალოგია**

ანალოგია ცნობილის სფეროში ცნობილის საფუძველზე ერთდონიანი შეფარდებაა.

ორი ობიექტი (საგნობრივი თუ აზრობრივი) – ანალოგიურია, თუ მათი განსხვავება არ სცილდება **მსგავსების** ცნების ფარგლებს.

მოვლენის არსი აქ იმაში მდგომარეობს, რომ დაკვირვების ქვეშ მოქცეული მოვლენების დამოკიდებულებები ყოველგვარი ცვლილებების გარეშე გადაიტანება დაკვირვების მიღმა სფეროში. მაგალითად, დეკარტე ამბობდა: გამოცდილებით ვიცით, რომ ხომალდები, რომლებიც მდინარეში მიცურავენ, არასოდეს მოძრაობენ ისე ჩქარა, როგორც მათი მამოძრავებელი წყალი. ზუსტად ისევე, როგორც ამ ხომალდებიდან ყველაზე დიდები ვერ დაცურავენ ისე სწრაფად, როგორც პატარები. ზუსტად ასევე, თუმცა პლანეტები ცის მატერიის დინებას წინააღმდეგობის გაუწევლად მიჰყვებიან მასთან ერთად ერთ კალაპოტში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი მუდმივად მოძრაობენ ისევე სწრაფად, როგორც ეს მატერიაა“.

ახალი სამყაროში ძველზე დამატების გზით კი არ შემოიტანება, არამედ საზოგადოების არსებული ცოდნის არსებითი მსაზღვრელების შეცვლით.

ანალოგია ზოგადარსობრივ პროცესებს გამოხატავს. მაგალითად, მუსიკალური ტონის სიმაღლე უდარდება მთების სიმაღლეს, ბგერითი ტალღები – ზღვის ტალღებს და ა. შ.

მაგალითები:

- „გაზაფხულის გაყრას ჰგავს – მთელ ჭუჭყს ააშკარავებს“ (თ. ვიზბორი);
- „ადამიანები იმისათვის არიან შობილნი, რომ ერთმანეთს დაეხმარონ, როგორც ხელი ეხმარება ხელს, ფეხი – ფეხს და ზედა ყბა – ქვედას“ (მარკუს ავრელიუსი);
- „ცოდნის ჩანასახები ჩვენში კაჟში ცეცხლის მსგავსადაა“ (რენე დეკარტე);
- „გამრუდებული ჭკუა ისევე ახასიათებს ადამიანებს, როგორც გამრუდებული სხეულები“ (ოსკარ უაილდი);
- „ცხოვრებისეული სამყარო – ესაა საათი, რომლის საწონები ფულია, ხოლო ქანქარა – ქალი“ (გ. ლესინგი);
- „ვინც თავისთვის ეგანმრთელობის უზრუნველყოფას სიზარმაცეში ყოფნით ვარაუდობს, ისევე სულელურად იქცევა, როგორც ადამიანი, რომელიც ხმის დახვეწას დუმილით ფიქრობს“.
- რუსული სასამართლოს პრაქტიკიდან: სახელგანთქმული ადვოკატის ფიოდორ ნიკიფოროვიჩ პლევაკოს სასამართლო სიტყვიდან:

ეს მოხდა მოსკოვში, სასტუმრო „ჩერნოგორიაში“. ეს სას-

ტუმრო უფრო ფარული ბორდელი იყო, რადგან აქ გაჩერებული ქალების ზნეობრივ-ეთიკურ ქცევებზე მოსკოვის საზოგადოებას გარკვეული შეხედულება ჰქონდა. განგებამ სწორედ ამ სასტუმროში მოახვედრა ერთი მშვენიერი და წესიერი პროვინციელი ქალიშვილი. მან არაფერი იცოდა ამ სასტუმროს რეპუტაციის შესახებ. იგი მოსკოვში ჩასული იყო მუსიკალური კარიერის გსაკეთებლად. იმ საღამოს, როდესაც იგი სასტუმროში შესახლდა, ამ სასტუმროს მმართველი ფროლოვი დაბადების დღეს იხდიდა. ზომაზე მეტად ნასვამი – გადამთვრალი თავისი ასევე გვარიანად გამომთვრალი თანამეინახეების გასართობად მიიჭრა ახლად ჩასახლებული ქალიშვილის ოთახთან და პასპორტის შემოწმების მოტივით კარის გაღება მოსთხოვა. ქალიშვილს კარგად ესმოდა გამომთვრალი ადამიანების ხორხოცი. ამიტომ მმართველს უპასუხა, პასპორტს დილით გიჩვენებთ, ან ახლა, ოღონდ პოლიციელის თანხლებით. ფროლოვი კარის შენგრევით დაემუქრა და დაიწყო კიდეც მტვრევა. შეშინებულმა ქალიშვილმა შერცხვენას თავის გაწირვა არჩია და ღამისპერანგიანი მესამე სართულის ფანჯრიდან გადახტა. უფალმა დაინდო... დეკემბრის თოვლიანი, ქარბუქიანი ღამე იდგა და თოვლის გროვაში ჩავარდა. სიკვდილს გადარჩა, მაგრამ ხელი მოიტეხა და მუსიკალურ კარიერაზე ფიქრიც კი შორს დარჩა. საქმე სასამართლომდე მივიდა და პროცესი გახმაურდა. საქმე მოსკოვის საოლქო სასამართლოში იხილებოდა. ქალიშვილის სამოქალაქო მოსარჩელე იყო ფ. პლევაკო. ფროლოვის დამცველები გაკვირვებას გამოთქვამდნენ: ღირდა კი შიშის გამო სიცოცხლის საფრთხეში

ჩაგდების რისკით ფანჯარაში გადახტომა. წარმოუდგენელია, – მხრებს იჩეჩავდნენ ფროლოვის ადვოკატები.

ის, რასაც გამოცდილი და მრავლისმნახველი ადამიანები ვერ ხვდებოდნენ, მკირედი რეპლიკით სრულიად გასაგებად დაანახა ფ. პლევაკომ. მან თქვა: შორეულ ციმბირში, უსიერ ტაიგაში ცხოვრობს პატარა ცხოველი, რომელიც ბედმა თოვლივით თეთრი, ქათქათა „ქურქით“ (ბეწვით) დააჯილდოვა. ესაა ყარყუმი. როდესაც იგი მტერს გაურბის, ხოლო გზაში ტალახიანი გუბე დახვდება, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის, იგი მტრის ხელში ჩავარდნას ამჯობინებს, თავისი თეთრი ქურქის ლაფში ამოსვრას და ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ გადახტა ფანჯრიდან ქალიშვილიო. სხვა აღარაფერი უთქვამს პლევაკოს. იგი დაჯდა. თავისთავად აღარც იყო საჭირო სიტყვის გაგრძელება. ნაფიცი მსაჯულებისათვის ყველაფერი ცხადი გახდა. მათ ფროლოვს სერიოზული სასჯელი მიაგეს.

რიტორიკის თეორიაში ცნობილია **ანალოგიზაციის** მოვლენაც. **ანალოგიზაცია** – სხვადასხვაგვარის შეფარდებაა სხვადასხვა სფეროში, როდესაც შეპირისპირება ემყარება აღმოჩენას – ადრე შეუმჩნეველი ნიშან-თვისების შემჩნევას. ფიქრობენ, რომ ანალოგიზაცია არის ძიების მიმსგავსება. მას ობიექტებში არსებითობები შეაქვს, რომლებსაც დაემყარება მაპოპულარიზებელი მიმსგავსება. ანალოგიზაცია ჩამოჰგავს მიმსგავსებას და არის კიდევაც მიმსგავსება, მაგრამ ანალოგიზაცია მისგან მაინც განსხვავდება, როგორც კინოფირის განათება გამჟღავნებისას ამ ფირის განათებისაგან მისი

დემონსტრირების დროს, ეკრანზე პროექტირების პროცესში კინოფილმის ჩვენებისას.

ანალოგიზაციის პროცესის არსის წარმოსაჩენად ასეთ მაგალითს იშველიებენ: ანალოგია ჩამოჰგავს წყალს, რომელიც ჭურჭელში ჩაედინება, მაგრამ ჭურჭლის გადავსების გამო კიდევაც გაედინებაო. ამ მოვლენაში საინტერესო ის არის, რომ აქ თავს იჩენს ტიპური ევრისტიკა, ცალხაზოვან პროცესს თან თავისი უკუპროცესი სდევს: ჭურჭელში **ჩადინებას,** იმავდროულად, **გადინება** ახლავს. გამოდის, რომ საპირისპიროობა და აზრთა სხვადასხვაობა სინამდვილის ეპიზოდი კი არ არის, არამედ მისი მახასიათებლობა და სიმბოლო. აქ ისიც ცხადია, რომ **აქტივიზატორი** უკან იხევს, რათა უფრო მკაფიოდ და ძლიერად გამოჩნდეს ის, რომელიც მოძიების გარეშე უკვე ვეღარ იარსებებს.

ანალოგიზაციის მაგალითი:

ისტორიას ფ. პლევაკოს მონაწილეობით ჩატარებული მრავალი სასამართლო პროცესის ჩანაწერები შემორჩა. ამ პროცესებზე მისი გამოსვლები ორატორული და იურიდიული ხელოვნების კლასიკური მაგალითებია, შედევრებია. მას ზოგჯერ ისეთ პროცესებშიც მიუღია მონაწილეობა, რომლებიც უმაღლესი მმართველი წრეების წარმომადგენლებიც ყოფილან დაინტერესებულნი. ფ. პლევაკო ყოველთვის სიმართლის მხარეს იდგა, არავის მაამებლობდა, თუმცა კი მას აშინებდნენ, ჭორებს უვრცელებდნენ. მას, მაგალითად, ერთხელ, იუსტიციის მინისტრი გრაფი კ. ი. პალენიცკი დაუპირისპირდა, მაგრამ მისი გატეხა ვერავინ შეძლო.

1905 წელს იგი გამოვიდა სამართალში მიცემული

ტულის გუბერნიის სევსკის მაზრის სოფელ ლიუტარიჩის ავღანყებული გლეხების დამცველად. სასამართლოზე მან შემდეგი თქვა:

„სიმართლის სწავლება სიმართლითვეა საჭირო, კანონის პატივისცემის სწავლება კი – მაგალითებით. მაგრამ სადაა ისინი? თქვით თქვენს განაჩენში, რბილსა და ადამიანურ განაჩენში, რომ ხალხის აღდგომა სინათლეს შეუძლია და არა სიბნელეს, მაგრამ ვიდრე სკოლაში შემავალი კარი ვიწროა, ხოლო ციხის კარები ფართო, სამართალში მიცემულების მგავსი ადამიანები ბრმადშობილებს ჰგვანან. წაფორთხილებაში ისინი უფრო ნაკლებად. არიან დამნაშავენი, ვიდრე თვალხილულნი“.

- **მიმსგავსება (დამსგავსება)**

მიმსგავსება გონებრივი მოღვაწეობის განსაკუთრებული ფორმაა. იგი თავს შემეცნების პროცესის ფილოსოფიურ სტადიაზე იჩენს. მიმსგავსება მდგომარეობს არა ამა თუ იმ ობიექტების ან მათი ნიშან-თვისებების გადატანასა და შებირისპირებაში, არამედ უკვე ცნობილში (ნაცნობში) საგნებისა და პროცესების შეფარდებებში ისეთი ეკვივალენტების აღმოჩენაში, რომლებსაც წარმოსახვითი აღმოჩენით წარმოსახვითი საგნის გამოხატვა შეუძლიათ.

მიმსგავსება არის უცნობის (ანუ იმის, ერასაც ამტკიცებს მოლაპარაკე) გატოლება ცნობილთან (ანუ იმასთან, რაც მან იცის და იოლად შეუძლია ასახოს). „ჩვენი გონება ბევრს ისეთს ხედავს, რისთვისაც არ გვყოფნის სიტყვიერი გამოხატულებები“ (დანტე ალიგიერი). მიმსგავსება ყოველთვის ცნობილისა და უცნობის ზღვარზეა. იგი მათი კავშირია.

იგი სიგნალიცაა მათ შესახებ. მიმსგავსება ჩვენს ცოდნასაც ავსებს, მართალია, მცირედად, მაგრამ, არსებითად. ფიქრობენ, რომ მიმსგავსება აზრის გასაგნების საშუალებაა. მიმსგავსება აზრის გრძნობად აღქმასაც უზრუნველყოფს. მართალია, ენა აზრის უშუალო სინამდვილეა, მაგრამ იგი მისი ფორმაა. მაგრამ როცა დგება აზრის შინაარსის უშუალო სინამდვილის საკითხი, აქ მხოლოდ ენა აღარაა საკმარისი, ისევე, როგორც ტელევიზორის ეკრანიდან ინფორმაციის მისაღებად სულაც არ არის საკმარისი ელექტროქსელში ჩართვა და საჭიროა სატელევიზიო არხის მუშაობაც.

მიმსგავსება სიახლის გასაოცრებას ანუ ქვეტექსტის ფარულ ქვეაზრს შეიცავს, გამოთქმული უთქმელობის მშვენიერებას ასახავს. როგორც სინათლის სხივი ავლენს თავს ამ თავჩენაში, ასევე საკრალური არსის წანამძღვრებიც მჟღავნდება მიმსგავსებაში და თვალდასანახი და ცნობილი ხდება ნაცნობით.

მიმსგავსების ზემოქმედება ძლიერია აღმოჩენის შეგრძნებით. ადამიანი მყისიერად გრძნობს საკუთარი ინტელექტის ნახტომისებრ დაბრძენებას.

მაგალითად: თავისუფლების ხარისხები თავისუფალია, მაგრამ ისინი დასმული ამოცანის მიზანს ემსახურებიან. ეს მარაოს ჩამოჰგავს, რომლის ფურცლები ნებისმიერ მხარეს შეიძლება მივაბრუნოთ, მაგრამ ისინი ვერსად წაუვლენ მათ გამაერთიანებელ ღერძს. მიმართულება მართულია. ის, რაც იმპულსს იძლევა, ბიძგსაც იძლევა, მიმართულებას წარმოქმნის მიმართულებაზე. ჩვენ შეგვიძლია აცდენა, მაგრამ არა გადახვევა.

მიმსგავსება შესაძლოა იმის ეფექტური მაგალითიც იყოს, რამდენად არის ნაქანდაკევი რიტორიკის პლანში სახეობრივი მომენტი. სილამაზე თურმე არ არის თანამდევი ნიშანი (აგურის სამშენებლო შესაძლებლობები ხომ სულაც არ განისაზღვრება მისი ფიგურალურობით, მაგალითად, გვირილასთან ან თევზთან მსგავსებით), არამედ წონით, სიმკვრივით, სიმაგრით და ეს ყველაფერი მისი ფუნქციური მშვენებაა.

რასაც ვუსმენთ, მხოლოდ მაშინაა სიტყვაკაზმულობა, როდესაც იგი საუცხოოა თავისი გზნებადობით. სილამაზე არ გადაიცემა. ამის მიუხედავად იგი, აღქმის ფუნქციაა და ამ უცნაური კანონზომიერების აღქმა მხოლოდ ასე შეიძლება: ჩვენ გვსიამოვნებს არა მიღებული, არამედ ჩვენი დამოკიდებულება მისადმი.

მიმსგავსებას დასაბუთების ესთეტიზაციასაც უწოდებენ. მიმსგავსების როლი კომუნიკაციური ქმედების პალიტრაშია. რაკი ადამიანს ჩაცმულობით იღებენ, ამიტომ ეს წესი უცვლელია ორატორული ხელოვნების სივრცეშიც. სიტყვა – გამოსვლა, მოხსენება, ადამიანებს უნდა წარედგინოს არა უბრალო ლექსიკით, არამედ ნახვეწი სიტყვიერი სამოსით, მოხდენილ-მოპრანჭულად.

რამდენიმე მაგალითი:

- რელიგიები ციცინათელებს ჩამოჰგვანან: იმისათვის, რომ გაანათონ (და განანათლონ), მათ სიბნელე სჭირდებათ (არტურ შოპენჰაუერი);
- „მობოდიშება გამოყვანილ ლაქას წააგავს, ყოველთვის რჩება რაღაცა“ (ალექსანდრე ფრედო);

- „ბევრი მიილტვის მზის ქვეშ ადგილის დამკვიდრებისაკენ, მაგრამ ცოტას თუ ახსოვს, რომ მზე ჩადის, როგორც კი ამ ადგილს მოიპოვებენ (კარლ კრაუსი).
- **კვადრინალი**

ძალიან საინტერესო ენობრივი მოვლენაა. იგი არის ანალოგიის სახეობა, საზოგადოებრივი ცოდნის გათავისება (ჩემად ქცევა).

სინამდვილის ღრმააზროვანი (სიღრმისეული) წარმოდგენა ასეთი თანმიმდევრობით მიმდინარეობს: **გარჩევა→ანალოგიაცია→ მიმსგავსება.** თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მიმდევრობის შუა ელემენტი, ფაქტობრივ, ორი ანალოგიისაგან შედგება, მთელი პროცესი ოთხი ერთმანეთისაგან მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტით წარმოგვიდგება:

1. ინტუიციური ანალოგიისაგან;
2. (მინათება) განათების ანალოგიისაგან;
3. (გამონათება) გააზრების ანალოგიისაგან;
4. დემონსტრირების ანალოგიისაგან.

შეკრული ციკლის სივრცეში ისინი ქმნიან ერთგვარ კვადრატს - ანალოგიათა კვადრატს, ეგრეთ წოდებულ კვადრანალს. კვადრანალი არის განმარტება, თანაც საკმაოდ მაღალი დონის. მეტყველების ინტელექტუალიზების საშუალებებს შორის იგი განსაკუთრებით მძლავრი შუამავალია ჩაფიქრებულ აზრსა და აღქმულ აზრს შორის. ცხადვყოთ ეს ასეთ მაგალითზე:

შეიძლება იყოს (საქმით) დაკავებული ადამიანი, რომელიც არაფერს აკეთებს? შეიძლება... თუმცა...

ძნელი ასახსნელია, რადგან ადამიანი მიჩვეულია, რომ

რაიმეს კეთება ნიშნავს ხელ-ფეხის ქნევას და სხეულის საქმიანობაში მონაწილეობის გარეგნული ნიშნების განხორციელებას. აქ კი ეს არ ჩანს... ამიტომ კითხვაზე პასუხს იძლევა, თუნდაც ასეთი მიმსგავსება:

ეს იმ სავარძლის მდგომარეობას წააგავს (თეატრში ან თვითმფრინავში), მასზე ბილეთი რომ გაყიდულია, ხოლო მყიდველი თუ რაღაც მიზეზით ვერ მივიდა, იგი არ ფუნქციონირებს დასაჯდომი ერთეულის სახით, მაგრამ არც თავის თავს ეკუთვნის, რადგან ფული გადახდილია და მყიდველის უფლება ამ სავარძლის დაკავებაზე ძალაში რჩება.

სხვა მაგალითებიც მოვიშველიოთ:

- ძველი ბერძენი ფილოსოფოსი **პლუტარქე ქერონელი** (დაახ. 46 – დაახ. 127) მიმსგავსების ისეთ შესანიშნავ ნიმუშებს გვთავაზობს, რომლებიც აფართოებენ ფილოსოფიის კვადრანალურ ბაზას.

„რომაელმა, რომელსაც მეგობრები საყვედურობდნენ იმის გამო, რომ კეთილგონიერ, მდიდარსა და ლამაზ ცოლს გაცილდა, ფეხი წადგა წინ და უთხრა მათ: „გარეგნულად ეს ფეხსაცმელიც ლამაზია, მაგრამ არავინ იცის, სად მიჭერს ფეხზე!“ ეს ნიშნავს, რომ ცოლი მზითვის, სიმდიდრისა და სილამაზის იმედად კი არ უნდა იყოს, არამედ იმისა, რითაც ნამდვილად შეიძლება ქმრის მიჩვევა – თავაზიანობა, კეთილზნიანობა, დამთმობლობა და ამ თვისებებს ყოველდღიურად ნაძალადევად კი არ უდნა ავლენდეს, არამედ ხალისიანად, მზადყოფნით და სიამოვნებით“.

მეტყველებაში **მიმსგავსებათა,** მით უფრო, კვადრანალების თავჩენის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მო-

ლაპარაკე სუბიექტის ფიქრის, განსჯის უნარზეც, მისი პროფესიონალიზმის დონეზეც, მის კომუნიკოლოგიურ განსწავლულობაზეც. არასოდეს არ არის დასავიწყებელი, რომ ჩვენი მაშინ კი არ ესმით, როდესაც რაიმე ვიცით, არამედ, როდესაც გვესმის, როგორ უნდა გავაკეთოთ ისე, რომ სხვებმა შეიტყონ ჩვენგან რაიმე.

რატომ არის საჭირო შეფარდება (მიმსგავსება და ანალოგია)?

იმიტომ, რომ ენაში არსებობს პრინციპული არასრულობა (არასავსეობა) და გრძნობით ცოდნის გამოხატვა და გადაცემა მხოლოდ სიტყვებით შეუძლებელია. საჭიროა ხრიკები. ისევე, როგორც ქვების სიმრავლე ვერ კიდევ არ არის არც დაცვა და არც სახურავი თავზე. ისინი ერთმანეთზე უნდა დალაგდნენ და შეიქმნას თაღი, რათა გაკეთდეს სახურავი.

თავი VII. ორატორული ტექსტის აგების ტექნოლოგია

ორატორული სიტყვის ტექსტი ზეპირი, მოხსენების – სიტყვით გამოსვლის განსაკუთრებული ტიპია. იგი ენობრივად და აზრობრივად შთამბეჭდავია: ერთი მხრივ, აზრის გადაცემის გასაგებობით, სისადავითა და სინატიფით არის გამორჩეული, მეორე მხრივ, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებითაა დამშვენებული. ასეთ ტექსტში არაფერია ზედმეტი და არც რაიმეა გამოტოვებული. ამას განაპირობებს ორატორული ტექსტის სტრუქტურა, კომპოზიცია და მისი აგების ტექნოლოგია. ორატორული ტექსტის აგების ტექნოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანი იმის გამო არის, რომ მხოლოდ ამ ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი ჭეშმარიტი ორატორული სიტყვის გონებაში შექმნა, რაც რამდენადმე განსხვავდება ტექსტის დაწერის (წერილობით შექმნის) ტექნოლოგიისაგან.

ორატორული ტექსტის აგების ტექნოლოგიის უპირველესი სტადია მოიცავს თემის შერჩევას და მისი აქტუალურობის განსაზღვრას. თემას, ჩვეულებრივ, ორატორს რეალობა, საზოგადოებრივი ცხოვრება კარნახობს, თუმცა თემის ობიექტურად არსებობა ტექსტის შექმნისათვის თითქმის არაფერს იძლევა. თემის აქტუალურობას განაპირობებს ორატორის ხედვა, დამოკიდებულება, გააზრება, მთავარისა და მეორეხარისხოვნის გამოვლენა, მათი გაშუქების გზისა და მასალის შერჩევა. ეს პროცესი ორატორის თემაზე მუშაობის რამდენიმე საფეხურს მოიცავს.

თემას, ფართო გაგებით, შეადგენს ორატორის სათქმელი. ორატორულ ხელოვნებაში თემა არ უნდა იყოს ვრცელი. მის გაშუქებას დიდი დრო არ უნდა სჭირდებოდეს, დროის მკირე მონაკვეთში უნდა ჩაეტიოს, პრობლემური საკითხებით არ უნდა იყოს გადატვირთული – ერთი მთავარი საკითხი უნდა გაშუქდეს, დეტალები მის წარმოსაჩენად უნდა იყოს ტექსტში შეტანილი. თანამედროვეობა ინფორმაციული ერაა, ინფორმაციული სიჭარბე უკვე საგრძნობი პრობლემა ხდება. არადა, ადამიანის შემეცნება ისეა მოწყობილი, რომ ზედმეტი ინფორმაციულობისაგან თავისი ბიოლოგიითაც იზღვევს თავს – „კარს უხშობს", მთავარს გამოარჩევს და მას შეიმეცნებს. ორატორი ამ მხრივ კიდევ უფრო გამოირჩევა. იგი მსმენელს მაქსიმალურად უადვილებს სათქმელის – თემის აღქმა-გათავისებას.

ორატორული ტექსტის აგების მეორე საფეხური ანუ ტექნოლოგიური ელემენტია თემის გაშლისათვის (რეალიზებისათვის) ჟანრის შერჩევა. ამ თვალსაზრისით თანამედროვეობისათვის ცნობილია სიტყვა, მოხსენება, ლექცია, ქადაგება, ხოტბა და ა. შ. ყველაზე გავრცელებულია **სიტყვა.** სიტყვას, როგორც ჟანრს, კონკრეტულობა გამოარჩევს. სიტყვა ორი სახეობისაა – **ინფორმაციული** და **დამარწმუნებელი.** ზოგჯერ ორივე სახეობა ერთად (შერწყმულად) გამოიყენება.

ინფორმაციული სიტყვა აუდიტორიისათვის ახალი ცოდნის მიწოდებას გულისხმობს, ხოლო დამარწმუნებელი სიტყვა რაიმე საგანსა თუ მოვლენაზე მსმენელის შეხედულების შეცვლას და ორატორის პოზიციაზე გადაყვანას ისახავს მიზნად. ამ მიზანს, მართალია, ინფორმაციული სი-

ტყვაც შეიცავს, რადგან ინფორმირების ბუნებაშია თავ-
ისთავად ასეთი მიზანი, მაგრამ ზოგიერთ სფეროში ამგვარი
მიზანი თავი და თავია. ამ ნიშნით არის გამორჩეული, მაგ-
ალითად, სამოსამართლო მჭევრმეტყველების სფერო და,
შესაბამისად, ორატორული სიტყვაც.

სამოსამართლო სფეროში ორატორული სიტყვა, ერთი მხრივ, ინფორმირების მიზანს შეიცავს, მეორე მხრივ, ინ-
ფორმაციის ნამდვილობის დამარწმუნებლობის უზრუნვე-
ლყოფასაც.

საუნივერსიტეტო-აკადემიურ სივრცეში დამკვიდრებული ჟანრია **ლექცია**. ლექცია ერთეულებრივიცაა და მთლიანი აკადემიური კურსის ნაწილიც, ანუ კონკრეტული საგნის ნაწილ-ნაწილი თხრობაც. ამგვარ ლექციას მსმენელიც გა-
მორჩეული ჰყავს. მას საერთო წარმოდგენა აქვს საგანზე ანუ დიდ თემაზე, კონკრეტული ლექცია მისთვის კონკრეტ-
ული ქვეთემაა.

ერთჯერადი ლექციის მიზანი მსმენელისათვის კონკრეტ-
ული ცოდნის გადაცემა ან ინფორმაციის მიწოდებაა.

მოხსენება მიზნობრივი (ერთი მიზნის, ინტერესის მქონე) აუდიტორიისთვის კონკრეტული ცნობის, ამოცანის ან რე-
კომენდაციის მიწოდებას ისახავს მიზნად. განასხვავებენ **საან-
გარიშო, სამეცნიერო, პოლიტიკურ** მოხსენებებს და სხვას.

საანგარიშო მოხსენება შეიცავს გარკვეულ პერიოდში ჩატარებული მუშობის მიმოხილვას, შეფასებას და სამომავ-
ლო ამოცანების განსაზღვრას.

სამეცნიერო მოხსენებაში აისახება მეცნიერული აღმოჩე-
ნის, ექსპერიმენტის შედეგები, მათი შეფასება-ანალიზი.

პოლიტიკურ მოხსენებაში, როგორც წესი, წარმოდგენილია სახელმწიფო ან არასამთავრობო ორგანიზაციის, ორგანოს, პოლიტიკური პარტიის პოზიციის ან სტრატეგიული მიმართულების ანალიზი, წარმოჩენილია საქმიანობის პრინციპები და ა. შ.

ჟანრის განსაზღვრის შემდეგ ეტაპია (საფეხურია) ტექსტის სქემის შედგენა და მასალის ძიება. ტექსტის სქემა არ არის გეგმა. სქემა მასალის ძიების გზამკვლევია. ფაქტობრივი მასალის წყაროებზე მითითებებს შეიცავს. წყაროები მრავალგვარი და მრავალფეროვანია, ძირითადად კი ოთხი ტიპისაა. ესენია: საინფორმაციო, სამეცნიერო, საარქივო და სხვა სახის წერილობითი წყაროები; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ინფორმაციები; ორატორის პროფესიული ცოდნა, პრაქტიკა, გამოცდილება; ორატორის პროფესიული კონტაქტები.

ორატორის ტექსტის წყაროებზე მუშაობის პროცესში იმაზე მეტი ფაქტობრივი მასალა უგროვდება, ვიდრე თემაში გამოიყენებს. „ზედმეტი“ მასალა მაინც მნიშვნელოვანია და საჭიროა, რადგან, ერთი მხრივ, ორატორის პროფესიონალიზმის დონის ზრდას უწყობს ხელს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ აუცილებელი ცოდნის შეძენას, რომელიც „ცხადყოფს“ ორატორის მიერ იმაზე მეტის ცოდნას, ვიდრე კონკრეტული სიტყვის ტექსტში ვლინდება. მსმენელი ცოდნის აღქმის, ანუ ინფორმაციის მოსმენის პროცესში უშეცდომოდ გრძნობს რამდენად ინფორმირებულია ორატორი, რამდენად ღრმად იცის ის საკითხი, რომელიც მისი ტექსტის საფუძველს შეადგენს; ხვდება, რა მიმართებაშია ორატორის

შიერ საკითხის ცოდნა ამ საკითხის არსის აუდიტორიისათვის მიწოდებასთან, „რჩება“ თუ არა მას იმაზე უფრო ღრმა, მეტი ცოდნა, ვიდრე მსმენელს სთავაზობს. ორატორისადმი ნდობის ხარისხიც იმის შესაბამისად იზრდება, რაც უფრო აშკარა ხდება მსმენელისათვის ამგვარი მეტი ცოდნის არსებობა. ორატორს „ჭარბი“ ცოდნა იმისათვისაც მოეთხოვება, რომ მზად იყოს მსმენელის მოსალოდნელ შეკითხვაზე იმაზე დეტალური პასუხისათვის, ვიდრე ძირითად ტექსტში აქვს წარმოდგენილი.

თემის გამოკვეთის, წყაროების შესწავლის შემდეგ იწყება მუშაობა ტექსტის აგებაზე: წარმოშობილი მოსაზრებების ლოგიკური დაკავშირება, მიზნობრივად დალაგება, ანუ ტექსტის კომპოზიციის დადგენა.

ამ მომენტში პრინციპულ მნიშვნელობას იძენს ლოგიკის კანონები, რადგან ორატორულ ხელოვნებაში ისინი კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვიდრე ზოგიერთ სხვა სფეროში, ლოგიკის შეგრძნება აქ ორატორზე მეტად მსმენელისათვის არის აუცილებელი, რათა დარწმუნდეს ორატორის ნათქვამის ჭეშმარიტებაში.

ფორმალური ლოგიკის თანახმად, ადამიანის აზროვნებაში წარმმართველია ოთხი კანონი: **იგივეობრიობის, წინააღმდეგობრიობის, გამორიცხული მესამის** და **საკმათ დასაბუთებულობის** კანონები.

იგივეობრიობის კანონის თანახმად, მსჯელობის დროს აზრი რამდენჯერაც არ უნდა გავიმეოროთ, არ შეიცვლება. წინააღმდეგობრიობის კანონი კი ცხადყოფს, რომ თუ ერთ საგანზე ორი აზრი არსებობს, ერთი მცდარია.

გამორიცხული მესამის კანონის მიხედვით, ორი საპირისპირო მოსაზრებიდან ერთი ჭეშმარიტია, მეორე – მცდარი, მესამეს არსებობა გამორიცხულია. საკმაო დასაბუთებულობის კანონი ამტკიცებს, რომ რაიმე აზრის სისწორე უკვე ჭეშმარიტებად მიჩნეული სხვა აზრის მოშველიებით უნდა დასაბუთდეს.

აზროვნების ამ ოთხი კანონის შინაარსის გარდა, ორატორისათვის აუცილებელია სიტყვის აგების კლასიკური მეთოდებისა და პრინციპების ცოდნა. ესენია:

• **ინდუქციის მეთოდი** – აზრი კერძოს გამოვლენიდან ზოგადისაკენ მიემართება, ანუ იგი ცხადყოფს, როგორ გამოიკვეთება ცალკეული ფაქტების სპეციფიკიდან ზოგადი (საერთო) წესი. ინდუქცია ორგვარია – სრული და არასრული.

სრული ინდუქციის დროს დასკვნა აბსოლუტურად ყველა ფაქტის ანალიზის საფუძველზე კეთდება, არასრული ინდუქციისათვის კი რამდენიმე ფაქტიც საკმარისია (მაგალითად, თუ რაიმე ტენდენცია სამ ფაქტში იჩენს თავს, შეიძლება საერთო კანონზომიერების არსებობის მტკიცება).

ინდუქციის მეთოდით ტექსტის აგების დროს ჯერ კონკრეტული მნიშვნელობის ფაქტებს უყრიან თავს, საერთო დასკვნას კი ბოლოს გააცხადებენ.

• **დედუქციის მეთოდი:** აქ აზრი ზოგადიდან კონკრეტულისაკენ მიემართება. ეს მეთოდი მაშინ გამოიყენება, როდესაც აზრის დასაბუთების პროცესში კონკრეტული ფაქტი განიხილება ცნობილი ფაქტის საფუძველზე, როგორც ამ ცნობილიდან გამომდინარე.

• **ანალოგიის მეთოდი:** ესაა დასკვნის გამოტანა მოვლე-

ნების მსგავსების საფუძველზე. ამ მეთოდის თანახმად, თუ ორი მოვლენა ერთმანეთს ჰგავს ერთი ან ორი ნიშნით, ისინი სხვა ნიშნებითაც ჰგვანან ერთმანეთს. ორატორი ამ მეთოდით მსმენელისათვის კარგად ცნობილი ფაქტს საფუძვლად დაუდებს მისი საუბრის სასაფუძვლო ფაქტს, შემდეგ შეუდგება იმ ნიშნების განხილვას, რომელთა უტყუარობის მტკიცებაც შეადგენს მის მიზანს და მსმენელს ანალოგიის კანონის მოშველიებით დაუმტკიცებს თავისი სათქმელის სისწორეს.

• **კონცენტრირების მეთოდი:** ტექსტში დასმული პრობლემა დაისახება ერთგვარ ცენტრად და ყველა საკითხი მის ირგვლივ (გარშემო) დალაგდება.

• **საფეხურებრივი მეთოდი:** ამ შემთხვევაში თემა ნაწილ-ნაწილ იშლება, საფეხურების მაგვარად. ყოველ საფეხურზე თემის ერთი ნაწილი განიხილება, ბოლო საფეხურზე თემა მთლიანად განხილული ხდება.

• **ისტორიული (ქრონოლოგიური) პრინციპი:** ორატორული მეტყველების პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, ჯერ ადრე მომხდარი ფაქტების განხილვა ხდება, შემდეგ მასზე გვიან მომხდარისა და ა. შ.

• **სივრცობრივი პრინციპი:** გულისხმობს ფაქტის ერთ სიბრტყეზე, მიზეზ-შედეგობრივ კავშირში დალაგებას.

ტექსტის აგების მეთოდოლოგიის შერჩევისა და პრინციპის განსაზღვრის შემდეგ მიზანშეწონილია გეგმის შედგენა. ტექსტის გეგმის შედგენა ყველა შემთხვევაში გამართლებულია. მართალია, ორატორული სიტყვა ზეპირი მეტყველების ფაქტია, ამის გამო განსაკუთრებულ როლს იმპროვიზაცია ასრულებს, მაგრამ იმპროვიზაციაც გარკვეულ გეგმას ემყ-

არება. იგი ორატორის გონებაში გამოინასკვება უკაბედად და მიზნად აუდიტორიაზე ზემოქმედების გაძლიერებას ისახავს.

გეგმა ამ შემთხვევაში ზეპირი ტექსტის სავარაუდო ელემენტებს, ნაწილებს შეიცავს. ზეპირი სიტყვის ტექსტისათვის არ არის რეკომენდირებული ბევრი ნაწილი. მათი სიუხვე მსმენელის მიერ ტექსტის გააზრებას აძნელებს, მას ყურადღებას უფანტავს. ამიტომ ნაწილები ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდეს, ერმანეთისაგან (მომდევნო წინასაგან) უნდა გამომდინარეობდეს.

ორატორული (ზეპირი) ტექსტი ავტორის ჩანაფიქრით შექმნილი (განპირობებული) მთლიანობაა. მართალია, აქ თვალშისაცემია (და ასეც უნდა იყოს) ტექსტის სამი ძირითადი ნაწილის – შესავლის, ძირითადი ნაწილის, დასკვნის არსებობა, მაგრამ იგი მათი მექანიკური ჯამი მაინც არ არის.

7.1. შესავალი

შესავალი – ორატორის ტექსტის შესავალი ტრადიციული ფუნქციისა – მსმენელი შეჰყავს ორატორის სათქმელის სამყაროში. მისი მიზანია: მსმენელის ინტერესის გააქტიურება; მასთან კონტაქტის დამყარება და ნდობის მოპოვება; ტექსტის მოსმენის ნიადაგის შემზადება; მსმენელისათვის ტექსტის მიზანდასახულობის გაცნობა.

შესავალში, ჩვეულებრივ, გამოიყენება **მიმართვის** ხერხი. ამ შემთხვევაში ორატორულ ხელოვნებაში გამოიყენება ქართული ენობრივ პრაქტიკაში დამკვიდრებული თავაზიანი მიმართვის ფორმები, ან პროფესიული სფეროს პროფესიული ეთიკით დადგენილი მიმართვის ფორმები.

ქართულ ენობრივ პრაქტიკაში დამკვიდრებული მიმართვის ფორმებია: „ქალბატონებო“, „ბატონებო“, „ძვირფასო !საზოგადოებავ“, „პატივცემულო საზოგადოებავ“, „ძვირფასო სტუდენტებო“ და ა. შ.

პროფესიულ სფეროში, მაგალითად, სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში გამოიყენება: „პატივცემულო მოსამართლევ“, „ბატონო/ქალბატონო მოსამართლე“, „პატივცემულო ნაფიცო მსაჯულებო“ და სხვა.

შესავლის მოარული, გაცვეთილი ფრაზით დაწყება გამართლებული არ არის, მსმენელი ასეთი ფრაზისადმი ირონიულად განეწყობა. საინტერესოა შესავლის მოულოდნელად დაწყება, ორიგინალურად, დამაინტრიგებლად. ეს მსმენელზე განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებს. უაღრესად შთამბეჭდავია ისეთი ცხოვრებისეული ფაქტით დაწყება, რასაც ვითომ კავშირი არა აქვს მოხსენების თემასთან, მაგრამ რეალურად უშუალო კავშირშია.

ძველი „რიტორიკების“ მიხედვით სამნაირი შესავალი გამოყენებოდა: **ხელოვნური, ბუნებრივი** და **უეცარი.**

• ხელოვნური შესავალი მსმენელის თანდათან ამზადებს მოხსენების გაცნობისათვის.

• ბუნებრივ შესავალში პირველივე სიტყვით იწყება განსახილველ თემაზე ლაპარაკი.

• უეცარი შესავალი ორატორის განწყობის, მსმენელის მის თანამონაწილედ ქცევას და შემდეგ სათქმელზე მოულოდნელ გადასვლას გულისხმობს.

შესავლის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ორატორულ ხელოვნებაში რამდენიმე ხერხი გამოიყენება:

1. **თანაგანცდის გამოწვევის ხერხი.** იგი წააგავს ანტიკური „რიტორიკების“ „უეცარ შესავალს“. საუბარი იწყება რაიმე უჩვეულო ამბავზე და „აიძულებს“ მსმენელს ორატორთან ერთად განიცადოს იგი.

2. **პარადოქსული სიტუაციის ხერხი:**

საუბარი იწყება ისეთი ფაქტისა და მოვლენის აღწერით, რომელსაც ორი საპირისპირო ვითარება ახასიათებს. მაგალითად, „ბატონო მოსამართლე, ჩვენ ისე ახლოს არ მივსულვართ მომხდარის არსთან, როგორც ახლა, მაგრამ არასოდეს დავშორებივართ მას ისე, როგორც ნაფიცი დამცველის სიტყვის მოსმენისას“.

3. **პრობლემური საკითხის დასმა:** ორატორი დააყენებს გლობალურ, პრობლემურ საკითხს, რომელიც მსმენელსაც აწუხებს, აინტერესებს, ე. ი. „საერთო სატკივარს“ შეეხება. ამით მსმენელი დასაწყისიდანვე მისი თანამოაზრე ხდება.

4. **აპელირების ხერხი:**

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ორატორულ ხელოვნებაში აპელირება გასაჩივრების სამართალწარმოების პროცესუალურ აქტს არ აღნიშნავს. აქ უფრო წუხილის განდობას და თანაგრძნობის მოპოვებას ისახავს მიზნად. აპელირება ამ გაგებით სხვადასხვაგვარია: ერთია მსმენელის ინტერესებისადმი აპელირება, მეორეა მოვლენის, დროისა და ადგილისადმი აპელირება, მესამეა ავტორიტეტისადმი აპელირება და ა. შ.

5. **იუმორისტული და შენიშვნის გამოყენების ხერხი:**

იუმორის გამოვლენას ადამიანები, საზოგადოდ, დიდი ინტერესით ეკიდებიან. იუმორი ცხადყოფს, რომ ადამიანი

მოვლენას აღიქვამს კიდევაც და მასზე ამაღლებულიც არის, მისი სხვადასხვა თვალით დანახვა-გააზრებაც შეუძლია. მსმენელს ორატორის ამგვარი ინტელექტუალური სიძლიერე მოსწონს. ესეც რომ არ იყოს, სიცილი ადამიანებს ძლიერ აახლებს, თანამოაზრეებად აქცევს. საერთო საგანზე ერთნაირი სიცილი აზროვნების ერთგვარობასაც გამოხატავს.

განსაკუთრებით ეფექტურია საკუთარ თავზე გაცინება. ეს მოვლენა სკეპტიკური მსმენელის გულსაც მოინადირებს.

საერთოდ, ორატორული სიტყვის შესავალი დახვეწილია, არცერთი სიტყვა არ ურევია ისეთი, რომელსაც სიტყვის არსის ახსნა-განმარტების ფუნქცია არ ექნება.

7.2. ორატორული სიტყვის ძირითადი ნაწილი

ორატორული სიტყვის ძირითადი ნაწილი მოიცავს უმთავრეს სათქმელს, მიზნისა და ამოცანების მიმოხილვა-განხილვებს, სათქმელის დასაბუთებებს, სამტკიცებს და ა.შ. ძირითად ნაწილში წარმოდგენილია გარკვეული სახის ინფორმაცია, ნათქვამის დასაბუთება, გარკვეული მოქმედების, მიზნისა თუ სურვილის სტიმულირება.

მთავარი ამოცანა აქ ისაა, რომ ორატორმა შეინარჩუნოს მსმენელის ის ინტერესი, რაც შესავლით მოიპოვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზეპირმეტყველებაში ინფორმაციის აღქმას **თანდათანობითი,** დისკრეტული პრინციპი წარმართავს. მსმენელი ამბავს მაშინ ითავისებს იოლად, როცა ეს ამბავი ეტაჭვის რგოლებივით ასხმული ნაწილებისაგან არის შედგენილი.

ყველაზე ძნელია ამბის გამეორებით მოსმენა. ამიტომ ამ-

ბავში ნაწილები თანმიმდევრულად და მიზეზშედეგობრივად არის დაკავშირებული. მიზანშეწონილია უარის თქმა ქვეტექსტებზე, გადახვევებზე, ყოველგვარ ჩანართებზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანი ინფორმაციას მაქსიმალური ყურადღებით 10-15 წუთის განმავლობაში ისმენს, შემდეგ მისი სმენის კოეფიციენტი კლებულობს. ამიტომ ორატორის ტექსტის თითოეული ნაწილის გამუქებას 10-15 წუთზე მეტი დრო არ უნდა დასჭირდეს. ყოველი ნაწილი კი ისეთ მთლიან, შეკრულ მონაკვეთს (ფრაგმენტს) უნდა წარმოადგენდეს, რომ მსმენელი ინტერესით მოელოდეს მომდევნო ნაწილს.

ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლისათვის რამდენიმე ხერხი არსებობს. ერთ შემთხვევაში შესაძლებელია ერთი ნაწილის დასრულების შემდეგ მეორე ნაწილის დასახელება და შემდეგ მისი განხილვის დაწყება. შესაძლებელია თავისებური ფრაზის მოშველიებაც, მაგალითად, „ამრიგად", „ეს, ერთი მხრივ, ახლა მეორე ვნახოთ", „ახლა სხვა მხრივ შევხედოთ საკითხს" და სხვა. ამგვარი ფრაზების გამოყენების დროს აუცილებელია სხვადასხვა ლექსიკურ საშუალებათა შერჩევა.

7.3. დასკვნა

დასკვნა ორატორული ტექსტის დამასრულებელი ნაწილია. დასკვნაში დამარწმუნებლობა უნდა განიმტკიცოს ორატორის ნათქვამმა, განსაკუთრებით წამოყენებულმა დებულებებმა და ტენდენციებმა, თანაც ისე, რომ გამოირიცხოს რაიმეს დაკონკრეტება-დაზუსტების საჭიროება. დასკვნა რამდენიმე აუცილებელი მომენტის გათვალისწინებას საჭიროებს.

უპირველესად, ორატორის ნათქვამის შეჯამებას; მსმენელზე მოხდენილი შთაბეჭდილების გამყარებას; ტექსტიდან გამომდინარე ტენდენციების, დებულებების პერსპექტივების წარმოჩენას; მსმენელის დარწმუნებას გარკვეული მოქმედების გარდაუვალობასა და სამართლიანობაში.

დასკვნა ჩამოთვლილი მომენტების რეალიზების თავისებურ მეთოდოლოგიასაც ემყარება. ამ მეთოდოლოგიის ერთი ელემენტია ორატორული ტექსტის ძირითადი პრობლემის მოკლედ გამეორება; ასევე ნათქვამის განზოგადება და ამოცანის დასახვა.

ზოგ შემთხვევაში განზოგადებულ დასკვნაში ყველაფერი ბოლომდე არ არის თქმული. დასკვნის გამოტანა მსმენელზეა გათვლილი, ამასთან შემზადებულია პირობები ორატორისათვის სასურველი, მიზნობრივი დასკვნის გამოტანისათვის.

შედეგის მომტანია დასკვნაში ორატორული ტექსტის მთავარი აზრის პერსპექტივების წარმოჩენა, იმაზე მითითება, თუ რაში შეიძლება ორატორის დებულებების გამოყენება.

ამგვარ დასკვნაში გამოიყენება აგრეთვე ილუსტრირების ხერხიც. ილუსტრირებაში რაიმე საინტერესო მაგალითის გამოყენება იგულისხმება – ციტატა, მეტაფორა, მეტონიმია და ა. შ.

ორატორულ ხელოვნებაში, განსაკუთრებით სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში აქტიურად გამოიყენება სიტყვის დასრულება მოწოდებით ან ლოზუნგით.

ასეთია ორატორული ტექსტის აგების ძირითადი მეთოდოლოგიური თავისებურება.

ორატორულ ხელოვნებაში დასაბუთებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დასაბუთების უნარზე დიდად არის დამოკიდებული მსმენელის მიერ ორატორის ნათქვამის სარწმუნოობაც, მისი კომპეტენტურობის აღიარებაც.

რიტორიკის თეორიის მიხედვით, დასაბუთება რთული პროცესია და, უმთავრესად, სამი ელემენტისაგან შედგება. ესენია: **თეზისი, არგუმენტი** და **დასაბუთების ხერხი.**

თეზისი ისეთი ახალი მოსაზრებაა, რომელსაც დასაბუთება სჭირდება.

არგუმენტი უკვე დასაბუთებული მოსაზრებაა. მისი ჭეშმარიტება საყოველთაოდ არის აღიარებული.

დასაბუთების ხერხი თეზისის სისწორის, უტყუარობის არგუმენტით დასაბუთების საშუალებას ეწოდება. თავად დასაბუთების პროცესი გამჭვირვალე და მოკლე უნდა იყოს.

• **თეზისი** სამი პრინციპით აიგება. პირველ რიგში, ნათლად, გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული; მსჯელობის მანძილზე უცვლელი უნდა იყოს და არ უნდა შეიცავდეს ლოგიკურ წინააღმდეგობას.

ორატორმა ოპონენტის თეზისიც (კამათის პროცესში) ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს, რათა მისი გაბათილება შეძლოს.

მსჯელობის პროცესში თეზისის შეცვლა არ შეიძლება იგულისხმება· განზრახ, მოფიქრებულად შეცვლა და არა უნებლიეთ, დაბნევის გამო, როდესაც ორატორი ერთი თეზისის სისწორეს ამტკიცებს და უცებ, გაუაზრებლად, უნებლიეთ სხვა თეზისის მტკიცებას იწყებს. ამ მოვლენის **„თეზისის** დაკარგვა“ ეწოდება. თუმცა რიტორიკაში თეზისის

შეგნებულად დაკარგვის შემთხვევებშიც არის ცნობილი. ამას ორატორი მაშინ მიმართავს, როდესაც კამათში მისი საწინააღმდეგო თეზისის უარყოფას ვერ ახერხებს და „თეზისის შენაცვლებას“ მიმართავს. თეზისში რაიმე წინააღმდეგობრივის არსებობა ორატორის ანალიტიკური აზროვნების სისუსტის მაჩვენებელია და იმას ცხადყოფს, რომ საკუთარ თავთან მოდის წინააღმდეგობაში.

• **არგუმენტის** ფუნქცია რიტორიკაში გამორჩეულად განსაკუთრებულია. მან უნდა დაასაბუთოს ორატორის მოსაზრების სისწორე. არგუმენტი სამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: ჭეშმარიტებას შეიცავდეს, საკმაო საბუთიანობა ჰქონდეს, მისი ჭეშმარიტება საყოველთაოდ უნდა იყოს აღიარებული.

თუ არგუმენტი ჭეშმარიტებას არ შეიცავს, თავად არგუმენტი აღმოჩნდება მცდარი, ხოლო ასეთი არგუმენტი თეზისს გააყალბებს. საბუთიანობის უკმარისობა არგუმენტის საფუძვლის არასაკმარისობის მიზეზი გახდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წამოყენებული საბუთით თეზისი ვერ დამტკიცდება. ამას გარდა, თუ არგუმენტის ჭეშმარიტება დამტკიცებული და საყოველთაოდ არ იქნება აღიარებული, შეიქმნება „მოგადოებული წრე“ თეზისის დასამტკიცებლად გამოყენებული იქნება ისეთი არგუმენტი, რომელიც თავად იქნება მოკლებული საფუძველს და დასამტკიცებელი შეიქმნება.

• **არგუმენტირების მეთოდები**

არგუმენტირება დასაბუთების პროცესია. იგი სპეციალურ მეთოდებს ემყარება. რიტორიკაში არგუმენტირების მრავალი მეთოდი არის ცნობილი. ქრესტომათიულად მიჩნეულია 26

მეთოდი. ამათგან პირველი თოთხმეტი კამათში დასაბუთების უზრუნველყოფის ფუნქციისაა, ხოლო მეთხუთმეტედან მოყოლებული ოცდამექვსის ჩათვლით თავისებური შეღავათების ხერხებია და მათი ცოდნა მათივე გაუვნებელყოფისათვის არის საჭირო, ანუ პირველი თხუთმეტი თავისი არსით პოზიტიურია, მეორე ნაწილი (16-26) – ნეგატიური.

➢ **პოზიტიური მეთოდებია:**

1. **ფუნდამენტურობის** მეთოდი ოპონენტის ფუნდამენტური ღირებულებების გაბათილებას ისახავს მიზნად. იგი არღვევს ოპონენტების მთელ სისტემას, ხოლო ორატორის მტკიცებულებების გასამყარებლად გამოიყენებს ფაქტებსა და ციფრებს. ციფრობრივი მონაცემების გამოყენება მიზანშეწონილი იმ შემთხვევაში არის, როდესაც მათ მყარი საბუთიანობის ძალა აქვთ.

2. წინააღმდეგობის მეთოდი

ეს მეთოდი განსჯაში ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტების აღმოჩენას ემსახურება.

3. **შედეგობითი მეთოდი** გულისხმობს ოპონენტის არგუმენტირების მიზეზშედეგობრივი განპირობებულობის კონტროლს, საეჭვო თეზისების დასაბუთების მოთხოვნას.

4. **მაგალითების მეთოდი** კამათში მაგალითების, როგორც ჭეშმარიტების დამადასტურებელი მასალის წარდგენას გულისხმობს. და იმის რწმენას ემყარება, რომ კამათის მონაწილის მსჯელობას დამარწმუნებელს გახდის.

5. **შედარების მეთოდი:** კამათის მონაწილემ უნდა გამოძებნოს ოპონენტის თვალსაზრისის ანალოგი, შეადაროს და მიმართება დაამყაროს. ანალოგიურ ფაქტთან შეუსა-

ბამობის გამოვლენით ოპონენტის ფაქტს მისსავე საწინააღმდეგოდ შეაბრუნებს.

6. **შებრუნების მეთოდი:** კამათის მონაწილე ფაქტებს შეაბრუნებს, სხვა კუთხით განიხილავს. ამით ოპონენტის არგუმენტირების სისტემაში სუსტ ადგილებს გამოძებნის და თავად ოპონენტის საწინააღმდეგოდ შეატრიალებს. თავიდან დაეთანხმება მას, შემდეგ იტყვის „მაგრამ" და შეუდგება მისი აზრის გაკამტვერებას.

7. **შემოფარგვლის მეთოდი** გულისხმობს ოპონენტის მოსაზრების დანაწევრებას, ანალიზს, შეუსაბამობის გამოვლენას და კრიტიკას.

8. **ბუმერანგის მეთოდი** ოპონენტის თვალსაზრისში სუსტი ადგილის გამოძებნას და მთლიანად მის საწინააღმდეგოდ შებრუნებას გულისხმობს. ეს მეთოდი კამათს ზოგჯერ სკაბრეზულობის შინაარსით ადბეჭდავს.

9. **გაუფასურების მეთოდი** ითვალისწინებს ოპონენტის არგუმენტის დამცრობას. ოპონენტს განუცხადებენ, რომ მისი არგუმენტები უმნიშვნელო, არაფრისმთქმელ ფაქტებს ემყარება და ამის დასაბუთებას იწყებენ.

10. **ფასის აწევის მეთოდი** გაუფასურების მეთოდის საპირისპიროა, ხდება ორატორის არგუმენტების ღირებულების გაზვიადება.

11. **გადაფასების მეთოდი** ფაქტების საპირისპირო შეფასებას ითვალისწინებს.

12. **დასწრების მეთოდი** ორატორის მიერ საკუთარ მსჯელობაში არსებული სისუსტეების თავადვე აღიარებას გულისხმობს და მიზნად ისახავს ოპონენტისათვის დასწრებას.

13. **მოთხოვნის, შეკითხვის მეთოდი** კამათის მსვლელობაში შეკითხვის დასმით განხილვის გააქტიურებისათვის ბიძგების მიცემას გულისხმობს. აქ გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ადამიანებს შეკითხვების დასმა ბუნებრივად ეხალისებათ, რადგან მიიჩნევენ, რომ პასუხის ფორმით მიწოდებული ინფორმაცია უფრო ამომწურავი და სანდო იქნება.

14. **ყალბი მხარდაჭერის მეთოდი** საპირისპირო აზრის ჩამოყალიბების მიზანს შეიცავს. ოპონენტი თავიდან ეთანხმება ორატორის არგუმენტს, მის მხარდამჭერ ახალ მოსაზრებებსაც კი წააყენებს, ხოლო შემდეგ იწყებს მისი არგუმენტის დარღვევას.

აღნიშნული მეთოდის პრაქტიკული გამოყენება თავის მეთოდიკას ემყარება. ამ მეთოდიკის არსი კითხვების დასმასა და მათზე პასუხების გაცემას ემყარება. არგუმენტაციის პროცესისათვის არსებითია ისეთი საკითხები, როგორებიც არის: წარმოდგენილი ფაქტების უტყუარობა; შეიცავს თუ არა მტკიცება წინააღმდეგობებს; დაცულია თუ არა მსჯელობაში თანამიმდევრულობა; მოიპოვება თუ არა ფაქტების შედარებები; რა მიდგომების გამოყენების პერსპექტივები აქვს ოპონენტს.

კონტრარგუმენტაციისათვის მიზანშეწონილია შემდეგი კითხვების დასმა და არგუმენტაციის მათზე პასუხების ფორმატში აგება:

შესაძლებელია თუ არა ოპონენტის ფაქტების უგულებელყოფა; იჩენს თუ არა თავს წინააღმდეგობანი; არის თუ არა არათანმიმდევრული ოპონენტის განსჯა; ვარგა თუ არა ოპონენტის შედარებები; გათვალისწინებულია თუ არა

მსჯელობაში ფაქტის მრავალმხრივობა; შეიცავს თუ არა სუსტ ადგილებს ოპონენტის არგუმენტი; შესაძლებელია თუ არა ოპონენტის არგუმენტის შეტრიალება მისსავე საწინააღმდეგოდ; შესაძლებელია თუ არა წინმსწრები შეკითხვის დასმა; არის თუ არა ოპონენტის შეფასებაში რაიმე საკამათო, თუნდაც მცირე უზუსტობა; სარგებლობს თუ არა ოპონენტი არაეთიკური ხერხებით.

არგუმენტაციის პროცესისათვის არსებითი სწორედ აღნიშნული 14 მეთოდია. ამას გარდა, ცნობილია „საცდუნებელი მანევრების" სახელით ცნობილი კიდევ ოთხი მეთოდი: **გაზვიადების, გამასხარავების, ავტორიტეტის მოშველიების, განზოგადების მეთოდები.**

15. **გაზვიადების მეთოდი** ერთეულებრივ ფაქტს ტენდენციად სახავს და მის ღირებულებას აზვიადებს.

16. **გამასხარავების მეთოდი** ოპონენტზე იუმორისტულ თავდასხმას გულისხმობს. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ არის წყენის შემჩნევა. საჭიროა იუმორისტული პასუხის გამოძებნა. ეფექტური და შედეგის მომტანია საკუთარ თავზე სიცილი, შემდეგ საქმის არსზე გადასვლა და ამით ოპონენტის ხრიკის გაუფასურება.

17. **ავტორიტეტის მოშველიების მეთოდი.**

ორატორიკაში მეტყველების ზეპირი ფორმის გამო ავტორიტეტის მოშველიება ყოველთვის არ ქმნის სასურველ ეფექტს, რადგან არ არის ციტირების სანდოობის შემოწმების საშუალება. მთელი სიმძიმე „სიტყვაზე ნდობაზე" მოდის. ამიტომ კამათის დროს ციტატა მტკიცებულებად არ გამოდგება, გარდა ისეთი განსაკუთრებული შემთხვევი-

სა, რომელიმე ავტორის გამონათქვამი (აფორიზმი, მაქსიმა) საყოველთაოდ და უზუსტესად არის ცნობილი.

18. **პიროვნებისადმი მიმართვის** მეთოდი უპატიოსნოა, არაეთიკური. იგი ოპონენტის მოსაზრების ნაცვლად მის პიროვნებაზე თავდასხმას ითვალისწინებს.

19. **იზოლაციის მეთოდი** არაეთიკურია. ოპონენტი მისი გამოყენების დროს ორატორის გამოსვლის ტექსტიდან ამოგლეჯს რაიმე გამონათქვამს, ჩასვამს სხვა კონტექსტში და სხვაგვარი ინტერპრეტაციით ჩართავს კამათის პროცესში.

20. **თავის არდების მეთოდი** ორატორის მიერ წაყენებული დებულებისათვის თავის არიდებას გულისხმობს. ასეთ დროს ოპონენტი წვრილმან, ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაზე გადადის.

21. **დაძაბლების მეთოდი.** ოპონენტი არ გაურბის კამათის საგანს, მაგრამ ორატორის ნათქვამის მიფუჩეჩებას ცდილობს. უმნიშვნელოს უმნიშვნელოვანესის დონეზე აზიდავს და ორატორის მიერ წამოყენებული დებულების შინაარსს სრულიად განსხვავებულად კითხულობს.

22. **დაბნევის მეთოდი** ოპონენტი ორატორის სიტყვას, თქმას საკამათოდ აქცევს, შეკითხვებით ლაპარაკს აწყვეტინებს და პასუხის მოსაფიქრებელ დროს არ აძლევს. ოპონენტის ასეთი მცდელობა, ცხადია, დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს. მიზანშეწონილია თუნდაც ამგვარი ფრაზის გამოყენება: „მოითმინეთ (მოიცადეთ), ვცერ ეს გავარკვიოთ...“

23. **გაჭიანურების მეთოდი** ითვალისწინებს კამათის პროცესის გაწელვას. ამ მიზნით, ოპონენტი დამატებითი შეკითხვების დასმის ტაქტიკას მიმართავს, რათა დრო მოი-

გზოს ორატორის შეკითხვებზე პასუხის მოსაფიქრებლად და გასაცემად. გაჭიანურების გამორჩეული სახეობაა დამშვიდების მცდელობა. ამ დროს ოპონენტი ორატორის აზრის გაზიარების დემონსტრირებას ახდენს, მსჯელობა ზოგად საკითხებზე გადააქვს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ოპონენტისათვის კონკრეტული საკითხის განხილვაზე დაბრუნება და რეალობის აღიარების იძულება.

24. **გრძნობებისკენ მოწოდების მეთოდი** მაშინ გამოიყენება, როდესაც ოპონენტს საბუთები არ მოეპოვება. იგი დანდობას, შეწყალებას ითხოვს. ამით ორატორზე ზეწოლას ახდენს. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია ოპონენტის დაბრუნება კონკრეტული საკითხის განხილვაზე.

25. **გაუკუღმართების მეთოდი** ყველაზე არაეთიკურია. ამ მეთოდის მომარჯვებით ოპონენტი განზრახ ამახინჯებს ორატორის გამონათქვამებს, ასხვაფერებს მათ, შინაარსს უცვლის. ამ მეთოდს განსაკუთრებით დემაგოგები ეტანებიან.

26. **დამთრგუნველი შეკითხვების მეთოდი** ზეწოლის თავისებურ სახეობას წარმოადგენს. მისი მიზანია ოპონენტზე ზემოქმედება ჩაგონების გზით. რიტორიკის პრაქტიკა ამ მეთოდის გამოყენების ოთხ სახეობას იცნობს. ერთია შეკითხვების **გამეორება.** შეკითხვის დაჟინებით გამეორება დასაბუთების ილუზიას ქმნის. ნაკლებად კომპეტენტური ადრესატი ადვილად ექცევა ამ ხრიკის ზეგავლენის ქვეშ.

დამთრგუნველი შეკითხვის მეორე სახეობაა **ჩამაგონებელი შეკითხვა.** ამნაირი შეკითხვის მიზანია ოპონენტზე შთაგონებით ზემოქმედება – თავსმოხვეული აზრის გარდაუვალობასა თუ სისწორეში დარწმუნების მცდელობა.

კიდევ ერთი სახეობაა **ალტერნატიული შეკითხვა.** მისი მიზანია საკითხის ყველა შესაძლებელი გაანზრებისათვის გზის გადაღობვა, საქმის რეალური არსის შენიღბვის ცდა.

დამთრგუნველი შეკითხვის მეოთხე სახეობაა **საპირისპირო შეკითხვა.** ოპონენტი ორატორს ისეთი შეკითხვით მიმართავს, რომელიც, საერთოდ, უარყოფს მის არგუმენტაციას.

• **დასაბუთება,** მართალია, თეზისისა და არგუმენტის საფუძველზე ხდება, მაგრამ თავად დასაბუთების პროცესი სამი კანონის მეშვეობით წარიმართება, რომელიც ლოგიკის მეცნიერებაში ცნობილია **ინდუქციის, დედუქციისა** და **ანალოგიის** კანონების სახელწოდებით.

ორატორულ ხელოვნებაში დედუქციის კანონით თვალსაზრისის დასაბუთება გულისხმობს მსმენელისათვის უკვე ცნობილი დებულების (არგუმენტის) მომარგვებას და თეზისს, როგორც ზოგადის კერძო გამოვლინების გაშლას. აქ გასათვალისწინებელია, რომ განზოგადება ყველანაირი შემთხვევისათვის არ გამოდგება.

ორატორულ ხელოვნებაში უფრო შედეგიანია დასაბუთება ინდუქციის კანონით. ამ შემთხვევაში აზროვნება კონკრეტული მაგალითებიდან ზოგადისაკენ მიემართება. კამათის დროს ამდაგვარი დასაბუთება მსმენელზე უფრო დამარწმუნებლად მოქმედებს თავისი კონკრეტულობით, რადგან კონკრეტული უფრო დამაჯერებელია, ვიდრე განყენებული და ზოგადი მსჯელობა.

ანალოგიის კანონი ნაკლებად ეფექტურია, რადგან უფრო ზედაპირულია, ამასთან შესადარებელი ფაქტისა თუ მოვლენის ასევე ღრმა ცოდნას საჭიროებს.

აღნიშნული სამი კანონის გარდა, გამოიყენება **ალტერნატივის ლოგიკური ხერხიც.** ამ ხერხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორატორი მსმენელს მსჯელობაში მონაწილეობისათვის იწვევს, თანამოაზრეობას, პარტნიორობას სთავაზობს. მასთან ერთად თეზისის დასაბუთების რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს – განიხილავს და ბოლოს ერთს, უტყუარს ამოირჩევს, როგორც ალტერნატიულს.

დასაბუთებაში ხშირია შეცდომები. მათგან შედარებით გავრცელებულია „სიტყვაზე ნდობის“ სახელით ცნობილი მოვლენა: ორატორი მსმენელს ისეთ მოსაზრებას შესთავაზებს, რომლის ჭეშმარიტების დასაბუთების საშუალებები არ მოეპოვება და მსმენელს სიტყვაზე ნდობას სთხოვს. არის შემთხვევები, როდესაც ორატორს წამოყენებული თეზისის დასამტკიცებლად ისეთი არგუმენტი მოჰყავს, რომლითაც თეზისის ჭეშმარიტება ვერ მტკიცდება.

დასაბუთებაში შეცდომების ერთი მიზეზია არგუმენტირების ლოგიკური თანმიმდევრობის დარღვევა.

7.5. ფაქტობრივი მასალა

ფაქტობრივი ორატორული ტექსტის მასალას იმიტომ ჰქვია, რომ ამგვარი ტექსტი მთლიანად მიზნობრივად – თემატურად და პრობლემურად შერეული ფაქტებისაგან შედგება. ამგვარი ფაქტების შერჩევა დამოკიდებულია ორატორის პროფესიონალიზმსა და ინტელექტზე. ფაქტობრივი მასალის უმთავრესი დანიშნულებაა ორატორის ჩანაფიქრის, სათქმელის ხორცშესხმა ანუ სიტყვიერი სამოსის მორგება, ან ორატორის განსჯის ილუსტრირება.

ზემოაღნიშნული თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ ფაქტობრივი მასალის გამოყენება, როგორც წესი, ინდივიდუალური ხასიათისაა. თუმცა ეს ინდივიდუალურობა მაინც დადგენილ კანონზომიერებებს, წესებს ემყარება. ამ წესების მიხედვით, ფაქტების გამოყენება სისტემურობას უნდა ექვემდებარებოდეს, თავად ფაქტები უტყუარი უნდა იყოს და მაგალითებს უნდა შეიცავდეს, რომლებიც თვალსაჩინოების ფუნქციასაც შეასრულებს. აქ ისიც არის მხედველობაში მისაღები, რომ ტექსტი არ უნდა იყოს გადატვირთული ფაქტებითა და მაგალითებით.

ზეპირად წარმოსათქმელ ტექსტში ფაქტების სიჭარბეს მეხსიერება ვერ იგუებს, რადგან იგი ინფორმაციას, როგორც წესი, უცვლელად კი არ იმახსოვრებს, არამედ ახარისხებს, მთავარს გამოარჩევს, არააროსებითს უკუაგდებს. ორატორს ეს უნდა ახსოვდეს და ტექსტს ფაქტობრივი მასალა, მსჯელობა, ანალიზი ისე შეუფარდოს, რომ მსმენელს მთავარი აზრი, სათქმელი დაამახსოვროს. განსაკუთრებით ეს სტატისტიკური მონაცემების გამოყენების დროს არის გასათვალისწინებელი.

დადგენილია, რომ ადამიანი მოსმენის პროცესში შედეგიანად ოცამდე რიცხვით მონაცემებს იმახსოვრებს, უფრო მეტი თუ არის მათი რაოდენობა, მეხსიერება არ იმახსოვრებს. ამიტომ სტატისტიკური მონაცემების მიწოდება მიზანშეწონილია თხრობითი – სასაუბრო ფორმით და არა უბრალო ჩამონათვალით, რომლის დროსაც მსმენელს მიეწოდება მხოლოდ ციფრები, ყოველგვარი კომენტარების გარეშე.

გარკვეულ წესებს ექვემდებარება ფაქტობრივი მასალის

განლაგება ორატორულ ტექსტში. თავიდან მნიშვნელოვანი ფაქტები უნდა დალაგდეს, შემდეგ ნაკლებმნიშვნელოვანი. ფაქტების ასეთნაირი განლაგება გამართლებულია ადამიანის ფსიქოლოგიის ბუნებით. ადამიანის შემეცნება გამორჩეული ყურადღებით ეკიდება დასაწყისში მოსმენილ ინფორმაციას და უკეთესადაც იმახსოვრებს.

საზოგადოდ, ტექსტში ფაქტობრივი მასალის წარმოდგენის გავრცელებული ფორმაა ციტირება. ორატორულ ტექსტში ციტატები ზომიერად უნდა იქნეს გამოყენებული. ციტატების სიუხვე მსმენელს დააბნევს. იგი ვეღარ გაერკვევა, რა ეკუთვნის ტექსტში ორატორს და რა – სხვებს; ისეთ შთაბეჭდილებასაც შეუქმნის, რომ ორატორს საკუთარი სათქმელი არ გააჩნია და სხვათა მოსაზრებების „ნიჭიერი" რეტრანსლატორია. ციტირებებში განსაკუთრებით ეფექტურია „პარადოქსული ციტირება", ანუ ისეთი, როდესაც ორატორი თავიდან არ მიუთითებს ავტორზე, მხოლოდ ბოლოს მიუთითებს, მოულოდნელად და ამით სულ სხვა ეფექტს სძენს სათქმელს.

ციტირებას ორატორი განსაკუთრებული გულისყურით და სიფრთხილით უნდა მოეკიდოს. სხვისი სიტყვები უცვლელად, დაუმახინჯებლად უნდა მოიყვანოს.

თუ სხვისი სიტყვების მოყვანა ზუსტად არ შეუძლია, მისი შინაარსი პერიფრაზირებით უნდა გადმოსცეს და მსმენელს უნდა აცნობოს, რომ ციტატა თავისი სიტყვებით მოჰყავს. წამგებიანია ციტირების დროს ავტორის მიჩუმათება. მიზანშეწონილია ციტატის სტილის შეცვლა, ორატორული მეტყველების სტილის ნორმებისადმი დაქვემდებარება.

• **თვალსაჩინოების მასალა** ორატორულ მეტყველებაში არგუმენტის როლს ასრულებს. აქაც თვალსაჩინოების მასალად გამოიყენება ფოტოები, ტაბლოიდები, სქემები, აუდიო-ვიზუალური საშუალებები, ამგვარი მასალა, ბუნებრივია, ეფექტურობას და დამარწმუნებლობას სძენს. თვალსაჩინოების მასალა ერთ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს, უნდა იყოს: სადა, ნათელი და იოლი აღსაქმელი.

თვალსაჩინოების მასალის დემონსტრირების დროს ორატორმა მსმენელთა ვიზუალური კონტაქტი არ უნდა დაკარგოს; თვალსაჩინოების მონაცემების დემონსტრირების დროს მსმენელთა ზურგშექცევით არ უნდა დადგეს, მასალა გამოყენებისთანავე უნდა მოაშოროს მსმენელს, რადგან დიდხანს გაჩერება მისი ყურადღების გაფანტვას გამოიწვევს.

• **ექსკურსი კამათის ხელოვნებაში**

კამათი ურთულესი სოციალური მოვლენაა. იგი ფორმალურად ადამიანის შემეცნების იმ თავისებურებას ემყარება, რომელიც ცხადყოფს, რომ რეალობის საგნებისა და მოვლენების აღქმა-გააზრება უაღრესად სუბიექტურია, ამიტომ ინდივიდუალურობით გამორჩეული. ადამიანებს ამის გამო კონკრეტულ ფაქტსა თუ მოვლენაზე საკუთარი შეხედულება უჩნდებათ, რომელიც იშვიათად თუ დაემთხვევა (და ისიც ნაწილობრივ) სხვის (ან სხვათა) ხედვას. ამის გამო ადამიანურ ურთიერთობებში ერთსა და იმავე საგანსა თუ მოვლენაზე შეხედულებათა განსხვავებულობა ცილობასა და კამათს იწვევს. კამათის მიზეზი კი ის ხდება, რომ ადამიანს მხოლოდ საკუთარი შეხედულება ეჩვენება და მიაჩნია სწორად, ჭეშმარიტებად. ამის გამო იგი თავგამოდებით

იცავს მას, ცდილობს საკუთარი შეხედულების სიმართლის მტკიცებას და ამაში ოპონენტების დარწმუნებას. ამ მიზნით ეძებს დამარწმუნებელ ფაქტობრივ მასალას, არგუმენტებს, მტკიცების გზებს, ხერხებს, ოპონენტის შეხედულებების გასაბათილებელ, გასაქარწყლებელ ფაქტებს, მის აზროვნებაში (საგნის განხილვაში) არსებულ შეუსაბამობებს, გაუმართაობებს, წინააღმდეგობებს, ნაირგვარ სამტკიცებს და ა. შ. იმდენად ბუნებრივი და ძლიერია ადამიანის შემეცნებაში სიმართლის ძიებისა და მტკიცების მოთხოვნილება, რომ ჭეშმარიტების დადგენის ყველაზე სამართლიან გზად ჭეშმარიტების ძიების მონაწილეთა შეხედულებების საჯაროდ განხილვა, განსხვავებული თვალსაზრისების გაანალიზება, გათვალისწინება, მათში დაპირისპირებით ერთადერთი სწორი დასკვნის (თვალსაზრისის შემუშავება) გამოტანაა. ამგვარ სიტყვიერ პაექრობას ეწოდება კამათი.

კამათი, როგორც სიტყვიერი საჯარო პაექრობა, უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. ანტიკურ საბერძნეთში კამათის მოვლენა ადამიანის გონებრივ-ინტელექტუალური საქმიანობის დონეზე განიხილებოდა და მისი თეორიული საფუძვლები არისტოტელემ წარმოაჩინა.

ორატორული ხელოვნება არ არსებობს კამათის მოვლენის გარეშე. კამათის ხელოვნება ორატორული ხელოვნების ნაწილია, მისი მშვენებაა. აქ მოკამათე მხარეებია ორატორი და მსმენელი, – ოპონენტი.

ორატორული მეტყველება გარეგნულად, ერთი შეხედვით, ფორმალურად მონოლოგს წარმოადგენს, მაგრამ შინაარსობრივად ნებისმიერი მონოლოგი დიალოგია იმ შემთხ-

ვევაშიც კი, როდესაც ერთი ადამიანი ლაპარაკობს და მსმენელი არა ჰყავს, თავის თავს ელაპარაკება. ასეთ შემთხვევაში მისი მსმენელი და არცთუ იშვიათად მისი ოპონენტი მისივე თავია, უფრო სწორად, მის სულში არსებული მეორე „მე“, ყველაზე უკომპრომისო „არსება“ ოპონენტთაგან.

მსმენელის არსებობის შემთხვევაში საუბრის წარმმართველი ორატორია, მსმენელი კი აქტიური მონაწილეა. მსმენელის მოსმენის პროცესში გამომეტყველებით, ემოციებით – ჟესტებით, მიმიკით მონაწილეობს ორატორის საუბარში. ორატორი „კითხულობს“ მსმენელის ამნაირ ჩართულობას, ანგარიშს უწევს, ცვლილებები შეაქვს სათქმელში, მსმენელისათვის უფრო მოსახერხებელ ფორმას უძებნის.

მსმენელის მონაწილეობა ორატორის მეტყველებაში კიდევ უფრო ცხადი ხდება მის მიერ კითხვის დასმის ან რეპლიკით მიმართვის დროს. თუმცა მსმენელი ორატორის რეალური ოპონენტი მაშინ ხდება, როდესაც ორატორის გამოსვლა **დისკუსიის, დისპუტის** სახეს შეიძენს, ორატორის მსგავსად გამოთქვამს აზრს, წამოაყენებს საკუთარ (ორატორისაგან განსხვავებულ) მოსაზრებას, უპირისპირებს ორატორს.

ესეც რომ არ იყოს, მსმენელთან დიალოგში ორატორი მაინც ექვემდებარება მსმენელს, საუბარი ისე მიჰყავს, რომ ყოველწამიერ მზად იყოს მსმენელის მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხისათვის.

საკვარო დიალოგი არ არის ისეთი თავისუფალი, გახსნილი, დაუძაბავი, როგორც არაფორმალური, ყოფითი დიალოგი, სადაც ადამიანები წინასწარ საგანგებოდ ნაკლებად

ფიქრობენ სათქმელის ფორმაზე. საჯარო დიალოგის პროცესში ორატორი საგანგებოდ არჩევს სიტყვებს, გამოთქმებს, ფიქრობს საკუთარი ღირსების შენარჩუნებაზე, მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენაზე, მის გადაბირებაზე...

კამათის მონაწილენი ერთმანეთს რომ მიმართავენ, ლამის უფრო მეტად აუდიტორიაზედაც აპელირებენ. აუდიტორიას მოწმეობას „სთხოვენ“, პირუთვნელი მსაჯულის როლს აკისრებენ. ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით აშკარაა სამოსამართლო მჭევრმეტყველებაში.

სამოსამართლო მჭევრმეტყველება კამათის განსაკუთრებული სახეობაა. ფორმით იგი წააგავს თანამედროვე თოქ-შოუს, სადაც მოდერატორია მოსამართლე, ოპონენტი ორატორები – ოფიციალური ბრალმდებელი (პროკურორი), სამართალში მიცემული (ბრალდებული), მოსარჩელე (დამცველი, ადვოკატი) და მსაჯულები არიან მსმენელი-აუდიტორია (ნაფიცი მსაჯულები). სამოსამართლო საჯარო კამათის მიზანია მოდავე მხარეთა თვალსაზრისების განხილვა, წარდგენილი ფაქტების, არგუმენტების (მტკიცებულებების) ანალიზი-შეფასება, შეპირისპირება და ჭეშმარიტების დადგენა.

კამათის ფორმებისა და მიზნების მრავალგვარობის მიუხედავად, პროცესუალურად იგი ერთსა და იმავე წესებს ემყარება. ეს წესები შეეხება იმას, თუ როგორ უნდა იკამათოს, როგორ დასვას შეკითხვები, როგორ უპასუხოს ოპონენტის შეკითხვებს და ა. შ.

შეკითხვებს ორატორულ მეტყველებაში ორ სახეობად ყოფენ: განმარტებით შეკითხვებად და დამატებით შეკითხ-

ვებად. განმარტებითი შეკითხვით ორატორს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა რაიმე აზრი გაუგებარია. შეკითხვით გაუგებარი აზრის განმარტებას ითხოვენ.

დამატებითი შეკითხვა ორატორის ტექსტის რომელიმე პასაჟის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ვარაუდობს.

შინაარსის მიხედვით შეკითხვები შეიძლება იყოს **კეთილგანწყობის გამომხატველი, ნეიტრალური, არაკეთილგანწყობის გამომხატველი, მტრული (პროვოკაციული).** მათ შორის განსაკუთრებით სახიფათოა (დესტრუქციული) მტრული, **პროვოკაციული შეკითხვები,** რადგან ორატორის სახელის გატეხის მიზანდასახულობას შეიცავს. მტრულ, პროვოკაციულ შეკითხვებზე პასუხი ყოველთვის ჭირს. იოლია განმარტებითი შეკითხვის პასუხი, რადგან, როგორც წესი, ორატორმა კარგად იცის მოხსენების თემა და არ უჭირს ახსნა-განმარტების მსმენელისათვის მიწოდება.

დამატებითი შეკითხვა თემისათვის დამატებითი მასალის მოძიებას საჭიროებს.

ორატორმა არასასურველ შეკითხვებს თავი უნდა აარიდოს იმით, რომ თავიდანვე უნდა იზრუნოს მათი გაჩენის საფუძვლის გაუქმებაზე. ამ მხრივ რამდენიმე საშუალება არსებობს. ერთი საშუალებაა აღნიშნულ შეკითხვის მოსალოდნელობის გათვალისწინება და მსმენელისათვის პასუხის ფორმით ინფორმაციის მიწოდება. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ამგვარი გამოთქმების გამოყენება: „შეიძლება ნათქვამმა ასეთი შეკითხვაც დაბადოს, „შეიძლება ვინმე დაეჭვდეს იმაში, რომ...“, „მაგრამ უნდა ითქვას, რომ...“ და ა. შ.

ერთი საშუალებაა თემის შემოფარგვლა დასაწყისშივე და

ასეთი განცხადების გაკეთება: „თემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს არ შევეხებით, რადგან მიზანს დაგვაშორებს“.

ორატორმა შეიძლება ასეთ საშუალებასაც მიმართოს: ძირითადი დებულებები ნაირგვარად გააშუქოს, ამოწუროს სათქმელი და მსმენელს შეკითხვის დასმის საფუძველი მოუსპოს.

კიდევ ერთი საშუალებაა მსმენელისათვის ნაკლებად ცნობილი ტერმინების და უცხო სიტყვების არიდება, რათა მსმენელს მათი ახსნა-განმარტების მოთხოვნილება არ გაუჩნდეს.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: თუ ორატორს შეკითხვას წერილობით მიაწვდიან, მსმენელის ბარათი იმწამსვე არ უნდა წაიკითხოს, – წაკითხვა ყურადღების გაფანტვას გამოიწვევს და სიტყვაც გაუწყდება. ამიტომ ორატორმა შეკითხვას პასუხი სიტყვის დასასრულს უნდა გასცეს. პასუხი არ უნდა იყოს უხეში და ამპარტავნული.

7.6. სიტყვის სტრუქტურა

სიტყვა (მოხსენება, საჭირო გამოსვლის ტექსტი) ნაწილებად უნდა იყოს დაყოფილი. ეს აზრი უკვე საშუალო სკოლის საგანმანათლებლო სივრცეშია გაცნობიერებული და კარგად არის ცნობილი ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამი ელემენტი: **შესავალი, ძირითადი ნაწილი** და **დასკვნა.** თუმცა ამ ერთეულებად დაყოფა არ არის საკმარისი ტექსტის მთელი სტრუქტურის გასააზრებლად.

სიტყვით გამოსვლის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული შესავალზე. შესავალმა უნდა დააინტერესოს მს-

მენელი და გააქტიუროს მისი ყურადღება. საჭიროა მოკლედ შევატყობინოთ, რა მიზნით და როგორ კონტექსტში გავაკეთებთ შეტყობინებას.

კარგი ტექსტი (სიტყვა) ბევრ საინტერესო მაგალითს შეიცავს. მაგალითების სიუხვე განსაკუთრებით მაშინ არის გამართლებული, როდესაც მსმენელი აუდიტორია რეტიალურია - განსხვავებული განათლების, ინტერესების, ინტელექტის ადამიანებისაგან შედგება. თუ არასპეციალისტები აუდიტორიის უმეტესობას შეადგენენ, მაგალითების გარდა, საჭიროა შედარებების გამოყენებაც.

სიტყვის შესავალი არ უნდა დავიწყოთ ისტორიამდელი ამბებით. საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ განსახილველი პრობლემის სათავეები, აღვნიშნოთ კვლევის რა დონეზეა პრობლემა აწმყოში (ამჟამად) და როგორია თქვენი შეთავაზებები (წინადადებები).

კარგი ორატორები არ ძუნწობენ იმის სამტკიცებების წარდგენაზე, რისი დამკტიცებაც აქვთ განზრახული. საუკეთესო მტკიცებულებები შემოწმებულ მონაცემებს (გაზომვებისა თუ გამოთვლების შედეგებს) ემყარებიან.

ცუდი დაბოლოება - დასასრული აფუჭებს კარგ სიტყვას. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს დასკვნა. ცხადია, სიტყვით გამოსვლისათვის მზადების პროცესში აუცილებელია დიდი დროისა და მონდომების ხარჯვა დასკვნაზე.

ასეთია დღევანდელობის გადასახედიდან ტექსტის კონცეპტუალური გაცნობიერების საყოველთაოდ მიღებული შინაარსი, თუმცა ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ამგ-

ვარი დაყოფა და თითოეული ელემენტის გაანრება სულაც აღარ არის საკმარისი კარგი ტექსტის შესაქმნელად.

ამის გამო, ზოგიერთი სპეციალისტი ტექსტის სამ ნაწილად დაყოფას საკმარისად აღარ მიიჩნევს საიმისოდ, რომ სწორი, ლამაზი და დამარწმუნებელი სიტყვა (გამოსვლა, მოხსენება) შეიქმნას. ისინი ფიქრობენ, რომ საამისოდ სულ ცოტა შვიდი სხვადასხვა მომენტი უნდა გათვალისწინებულიყო, ანუ ორატორულ ტექსტში შვიდი ელემენტი უნდა გამოყოფილიყო და შესაბამისად დამუშავებულიყო. აქ უმთავრეს არგუმენტად ის მოაქვთ, რომ შვიდი მაგიური რიცხვია და ამ მაგიურობის შინაარსს კითხულობენ ავგუსტინე ავრელიუსის წიგნის მიხედვით „7 და 12 რიცხვების საიდუმლოსა და სასწაულის შესახებ". ამ მოსაზრების მიხედვით ტექსტში გამოიყოფა:

1. **„წამოწყება** (დაწყება) ამძრავი ფრაზა. ესაა ან აფორიზმი, ან ანეკდოტი, ან რაიმე ეპიზოდი (შემთხვევა, ისტორია, ფაქტი), ან ლექსი, ან ბრძნული ანუ ფილოსოფიური საფიქრებელი. მიზანი მოლაპარაკე სუბიექტის მიერ მსმენელის ანკესზე წამოგებაა ანუ დაინტრიგება.

2. **ამოსავალი რეზიუმე** - მთავარი აზრის მსმენელის თავში ჩაჭედვა.

3. **შესავალი** → ჩანასახოვანი ისტორია. იგი მოიცავს ჩაგონებას, თვითშეთავაზებას, წინასწარმეტყველებას, ყურადღების შენარჩუნებას, ანუ გამოფხიზლებას, ცხოვრებისეულ პანორამებს (se la vie). აქ უნდა გადმოიცეს რაიმე ისტორია, ან პიროვნული მაგალითი (საკუთარი თავის, მეგობრების, ნათესავების, ნაცნობების ცხოვრებიდან).

3. გადასვლის ფრაზა → შემაერთებელი თქმა. აქ იგულისხმება ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „აი, აქ რა არის საქმე“, „საქმე ის არის“; „მოდით, ასე ვთქვათ“; „თქვენს ყურადღებას მივაქცევ“; „იქნებ არც ღირდეს ამაზე ყურადღების შეჩერება, მაგრამ...“; „თუ კარგად დავაკვირდებით ამ ამბავს, დავინახავთ, რომ...“ და ა. შ.

4. ძირითადი ნაწილი → იდეის ექსპლიკაცია ← სიტყვის (გამოსვლის, მთავარი და ყველაზე პასუხსაგები ადგილი. სწორედ ამ ნაწილშია წარმოდგენილი მოლაპარაკე სუბიექტის, ანუ ორატორის განსჯითი, გააზრებითი, ანალიტიკური უნარები და ხერხები, მანერა... ამიტომ აქ თავს იყრის: არგუმენტალისტიკა, ფილოსოფია, ინტრიგა, სადაც აისახება სინამდვილის ცომცომი, გონების თამაში, შეთავაზებულია სიტყვის თემის მთავარი აზრის ფილოსოფიზირება.

5. „აზრის გაშლა“, ე. წ. აზრის „თავისუფალ ცურვაში გაშვება“, როგორ უწოდებენ თავად აზრის შინა - არსის გადმოშლა - გამომზეურებას. ესაა მოსაზრებების, არგუმენტების, ფიქრების, მტკიცებულებების თავისუფალი შეკვრა, თანადაქვემდებარება, რაც ასოციაციების, შთაბეჭდილებების, განწყობილებების თამაშს ემყარება. ეს ნაწილი თხრობის ისეთ ელემენტებს მოიცავს, როგორიცაა: უკანდახევა, აზრის გამოთქმა კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით, აუდიტორიასთან ურთიერთობის რიტორიკული პროცედურები, თანმხლები სერვისი (ანეკდოტები, აფორიზმები, იგავები)...

- **ფინალირება (დასკვნა)**→ გამომავალი, შემაჯამებელი რეზიუმე. აშკარაა, რომ აქ ავტორის მიერ გაშლილია

და დანაწევრებულია დასკვნა – ტექსტის ტრადიციული ნაწილი. ამას ცხადყოფს ამ დანაწევრების ერთეულების ინტერპრეტაციებიც. უპირველეს ყოვლისა, წერტილოვანი განსვლა, ყოველისმომცველობის ინტრიგა, მთელი სიტყვის იმპულსური, კონცენტრირებული, ბოლოწამიერი შეტრიალება-შედედება. ამასთან მნიშნელოვანი სამეტყველო ელემენტია საქმის არსში **სიბრძნის ჩაწვნა** ანუ აფორიზმის, არგუმენტაციის ციტატის, ლექსიკის დასკვნითი ნაწილის, ცნობილი (სახელგანთქმული) თანამედროვის პოპულარული რეპლიკა, ემოციურად აღმგზნები ფუნდამენტური გამოთქმების და მტკიცებულებების გამოყენება.

ამგვარ დეტალიზებას ცხადია, აქვს თავისი მნიშვნელობა, რადგან დეტალების დაწვრილებითი აღწერა და მათი ფუნქციების გააზრება დიდად გააადვილებს სიტყვის ტექსტზე მუშაობას.

წამოწყება (დაწყება) არის ჩვენი საერთოადამიანური კავშირი, ხოლო **შესავალი** მოლაპარაკე სუბიექტის მიერ თემის ამ საერთოადამიანური ხაზით გახსნის ხერხი, ორატორის მიერ იმის ჩვენება, რაც მას აახლოებს ადამინებთან. მაგალითად, სიტყვა ეხება სიბრძნის თემას. გასაგებია, რომ შეირჩევა მეცნიერული არგუმენტები, შესაბამისი ლექსიკა და ა. შ., თუმცა ეს ყველაფერი ჩვენი მიზნის რეალიზაცია იქნება – შედეგისაკენ მისწრაფება. ამ აზრის ცხადსაყოფად ასეთი თვალსაჩინო მაგალითიც მოჰყავთ: როგორც ტუჩსაცხს ვაფასებთ არა საღებავის ქიმიური შემადგენლობით, არამედ ქალური სილამაზის კიდევ უფრო დამშვენების უნარით, ასევე სიტყვა წარმოითქმება არა დასკვნების

გამოტანისათვის, არამედ ამ დასკვნების ხიბლიანობისათვის. ასე წარმოუდგენიათ სიტყვის წონიანობა. ასეთ წონიანობას ქმნის დასაწყისი, თხრობის მჭევრი ქმედება, რომელიც მსმენელში წინასწარ იწვევს კეთილგანწყობას (მოლოდინის სიამოვნებას). ხოლო ამის შემდეგ იწყება თემატიკითა და მსჯელობებით ავსება.

შესავალს ძალიან ხშირად სათანადო ყურადღებას არ უთმობენ. ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად გადაიბრინონ და ძირითად სათქმელზე გადავიდნენ. შესავალმა, როგორც ცნობილია, მსმენელი უნდა განაწყოს ორატორისადმი, შეიყვანოს განსახილველი პრობლემის არსში, გაარკვიოს სხვადასხვა ადამიანების ყურადღების სისწრაფეში.

● **გადასვლის ფრაზა** ერთგვარი ხიდია სიტყვის ტექსტში. ადამიანის მეტყველება ულუფობრივია, დისკრეტული, ბლოკური. მართალია, დასაწყისიდან ბოლოსაკენ მიემართება თანმიმდევრულად, მაგრამ თავად ულუფობრივი ნაწილები დაყოფილი არ არის და ნებისმიერი ტექსტის, როგორც მთლიანურობის ერთეულია. გადასვლის ფრაზა ამ ერთეულების შემაერთებელია, როგორც ერთიანი ვაჭვის რგოლებისა. ვაჭვში ხომ რგოლების გარდა არაფერია, მაგრამ არის კიდევ **ბმა** და ამ **ბმის** არსებობა უდავო ფაქტია, რადგან ბმის გარეშე არც ვაჭვი იარსებებდა, არც ტექსტის მთლიანობა.

გადასვლის ფრაზა მაშინ გამოიყენება, როდესაც უკვე შექმნილია დაფიქრების სიტუაცია „წამოწყების“ მეშვეობით. განსჯის საგანზე ფიქრით ადამიანს თავისი თავი კონკრეტული „აქ“ სივრციდან რომელიმე „იქით“ სივრცეში გადაჰყავს.

მეხუთე ნაწილად, შემოთავაზებული მოსაზრების მიხედვით, წარმოდგენილია ტექსტის ძირითადი ელემენტი, რომელსაც „ძირითადი ნაწილი“ ეწოდება. საერთოდ, სიტყვით გამოსვლის შინაარსს მსმენელი ამ ელემენტის მიხედვით იმახსოვრებს და ორატორსაც ამის მიხედვით აფასებს. ძირითადი ნაწილი ჩამოჰგავს მარაოს, რომელიც ასევე გადაშლის არსობრივ კომპონენტებს და ქმნის მონათხრობის მშვენიერ ნაქარგს.

ნებისმიერი სიტყვის ძირითად ნაწილში შეუძლებელია აზრის წინასწარ განზრახულ და დაგეგმილ ჩარჩოებში ჩაკეტვა. აზრის მსვლელობას ერთი უცნაურობა სჭირს. იგი ჯიუტად გაურბის, უსხლტება ამ ჩარჩოს, როგორც გამზადებულ გალიას და გონების ნებელობისაგან თავდაღწეული იწყებს სვლას აზროვნების სამყაროს სივრცეში. იგი თითქოს მოლაპარაკე სუბიექტისაგან დამოუკიდებლად კონკრეტდება და შინაარსიანდება და ამ გზით წარმოაჩენს ამ, უკვე ახალ, შინაარსს. თითქოს ამ ახალი შინაარსის აღმოჩენაში (მათ შორის თავისი თავისთვისაც) თავად მოლაპარაკე სუბიექტი არც კი მონაწილეობს, მისი გონების კონტროლისაგან დამსხლტარი აზრი პოულობს ამ ახალ შინაარსს და მოპოვებული თავისუფლების საზღაურად და საფასურად მიართმევს თავის პატრონს.

სიტყვის ტექსტი მთავრდება „დასკვნით“, დამამთავრებელი ელემენტით. კარგია, როცა დასასრული მახვილგონივრულია. დასასრული პასუხისმგებელიცაა და განმსაზღვრელიც, შემაჯამებელიც. სიტყვით გამოსვლის დამასრულებელი ნაწილი განსხვავებულია და დამოუკიდებელი. დასასრულმა უნდა შეაჯამოს სიტყვის შინაარსი, ბოლო დასაწყისთან უნდა

დააკავშიროს და შეკრას. თუმცა ზოგჯერ ბოლოდან დაწყება უფრო მომგებიანია და ემოციურადაც უფრო ძლიერია, ვიდრე რაღაცნაირად სხვაგვარად.

- **დაწყება:**

ორატორის პროფესიულ საქმიანობაში ყველაზე ძნელი მომენტია დაწყება, სიტყვის წამოწყება და ამით მსმენელის ყურადღების მიპყრობა. პირველი სიტყვები ამიტომ უაღრესად უბრალო, გასაგები, საინტერესო უნდა იყოს, ყურადღება მიიქციოს და მიიპყროს (დაიპყროს). ასეთი ყურადღების მიმპყრობი ანკესები ბევრი უნდა იყოს დასაწყისში: რაიმე ცხოვრებისეული, რაიმე პარადოქსული, რაღაცნაირი უცნაურობა, ისეთი, რომელიც, **ერთი შეხედვით,** თითქოს არც შეეხება სიტყვის (საქმის) არსს (თუმცა სინამდვილეში ტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებულს), რაიმე ჭკვიანური შეკითხვა და ა. შ. ასეთი **დაწყების** წინ კარგად უნდა დავფიქრდეთ, ავწონ-დავწონოთ მთელი ტექსტი, გავიაზროთ როგორი დაწყება იქნება მომგებიანი. დაწყება (დასაწყისი) თავიდან ბოლომდე შემოქმედებითი პროცესია.

ფიქრობენ, რომ ჩვენი სიტყვა (მეტყველება) არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს სამყაროში მიმდინარე სხვა პროცესებისაგან. სამყაროში კი უცებ არაფერი ხდება. ვულკანის ამოფრქვევასაც კი წინ გარკვეული ეტაპები უძღვის. ყველაფერი **თანდათანობითია,** თანდათან ხდება. ასევეა მეტყველება და ტექსტის შექმნა, სათქმელისათვის თავისმოყრა, სათქმელის წამოწყება.

დაწყებაში დიდი ქმედითობით გამოირჩევა სპეციალური შეკითხვები. შეკითხვის აგებულება მარტივია და აზრ-

თან კონტრასტულობას, აზრის მრავალსახოვნობას და მისი მოხელთების სირთულეს ემყარება. შეკითხვისადმი მიდგომა გარკვეულობას ემყარება, მაგრამ რაც არ უნდა გასაგები იყოს, შეკითხვაში ყოველთვის მყოფობს რაღაც იდუმალი და ინტელექტუალურად მიმზიდველი. დიდია ცთუნება უცაბედი პასუხისა, საკუთარი მიხვედრილობით აღფრთოვანებისა, იმისა, რომ ჩვენ ვიცით პასუხი; მაგრამ დასმული შეკითხვა მაინც რაღაცნაირად გამომნუსხველია და უცებ გაჩენილი პასუხის რეალიზაციასაც რაღაცნაირად აყოვნებს, თანაც იმდენად, რომ პასუხი საბოლოოდ გამოკვეთილი და ადეკვატურ სიტყვიერ სამოსს ვერ იძენს და ვერ ირგებს. ამგვარ შეკითხვით დაწყებული დაწყება ნებისმიერი სიტყვით გამოსვლისათვის მოსახერხებელი და მომგებიანია. უპირველესად, აუდიტორიას მიუთითებს „საკუთარ ადგილზე", რადგან ვინც კი გაბედავს შეპასუხებას (ანუ პასუხის გაცემას), მაინც წაგებული დარჩება, რადგან ფორმულირების ორმაგობა ართულებს კონკრეტულ, ცალსახა პასუხს. ამგვარი დასაწყისი, მეორე მხრივ, სიტყვით გამოსვლის საფუძვლიანობის დემონსტრირების საუკეთესო საშუალებაა.

დახელოვნებულ ორატორს „ხელთ ყოველთვის უნდა ჰქონდეს" ამგვარი შეკითხვების მარაგი, თუნდაც ისეთი, როგორებიცაა:

- ჭკვიანია სისულელეზე დაწერილი წიგნის ავტორი?
- შეიძლება სილამაზის ძიება ულამაზო იყოს?
- რა უფრო მნიშვნელოვანია: დავიწყოთ თუ დავასრულოთ?
- შეუძლია ადამიანს არაადამიანურად მოქცევა?

- იქნება კი ყველაფრის მოძულე საკუთარი სიძულვილის მოძულე?
- რა უფრო უარესია: უსაზღვრო სიყვარული თუ უსაზღვრო სიძულვილი?
- მსახიობი სიკრუეშია, მართალია, თუ კრუ სიმართლეში?

უაღრესად შედეგიანია, ეფექტურია განსჯის შემცველი მოკლე ფრაზები. დასაწყისში ნათქვამი ასეთი გამონათქვამები კონკრეტული პრობლემატიკით მსჭვალავს აუდიტორიას და ორატორის ბადეში ხვევს.

აი, რამდენიმე მაგალითი:

- ამ ქვეყანაზე რა უფრო ძნელია? საკუთარი თვალით იმის დანახვა, რა დევს ჩვენს წინ (ი. გოეთე);
- ყველა იყურება, მაგრამ ცოტა ხედავს (კ. ჩაპეკი);
- მშვენიერი საშინელის ის ნაწილია, რომელიც შეგვიძლია მოვიცვათ (რილკე).

ნებისმიერ აუდიტორიაში კარგად აღიქმება სულ პირველი ფრაზა, რომელსაც **„დასაწყისის ფაქტს“** უწოდებენ. ამგვარი ფაქტი ისეთ ინფორმაციას შეიცავს, რომელიც პირველივე სიტყვით იპყრობს მსმენელის გონებას, და, რაც მთავარია, არა იმდენად თავისი „შემეცნებითი“ ასპექტით, რამდენადაც ნაკლებშესამჩნევი „ანკესზე წამომგები“ გამიზნულობით. ამას რამდენიმე მაგალითი უფრო დამაჯერებლად ცხადყოფს:

- ჩვენ ადამიანებს არ ვენდობით ან იმიტომ, რომ არ ვიცნობთ მათ, ან იმიტომ, რომ მეტად კარგად ვიცნობთ მათ;

- ჩვენ ყველაფერის დაპყრობა (დასაკუთრება) გვსურს, თითქოს იმდენი დრო გვქონდეს, რომ ყველაფერს ვფლობდეთ" (ფრიდრიხ დიდი);
- როდესაც მარტოობაში დარდობ, სარკე ამ მარტოობას აორმაგებს.
- დემოკრატია კანონების სისუსტის გამო კი არ კვდება, არამედ დემოკრატების სისუსტისაგან.
- სახელმწიფო იმისათვის კი არ არსებობს, რომ მიწიერი ცხოვრება სამოთხედ აქციოს, არამედ იმისათვის, რომ მას ხელი შეუშალოს საბოლოოდ ჯოჯოხეთად გადაქცევაში (ნ. ბერდიაევი);
- თუ არ არის, რაც გიყვარს, ის უნდა შეიყვარო, რაც არის.

დასაწყისის პრობლემურობის გვერდის ავლა არ ეგებების, დაწყება კამერტონის მაგვარად უზრუნველყოფს მთელი სიტყვის მიზნობრივ უზადობას. კვლავ რამდენიმე მაგალითი მოვიშველიოთ:

- ანტიკური სოფისტების საყვარელი „თავსატეხი": ადამიანი ამბობს: „მე ვიტყუები". კითხვა: მან მართლა იცრუა თუ სიმართლე თქვა?
- სიუჟეტი ფრანგი მწერლის ჟორჟ კურტელინის (1858-1929) პიესიდან „სტატია 330" (1901 წ.), რომელიც მოგვითხრობს 35 წლის პატარა ადამიანის – რბილი, ჩუმი, უწყინარი და ბირჟეს ტრაგედიას:

ლა ბირჟეს ასამართლებენ საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხყოფისათვის. მსოფლიო გამოფენასთან (1900 წ.) დაკავშირებით სწორედ მისი ფანჯრების წინ დადგეს მოძ-

რავი ბილიკი ფეხით მოსიარულეთათვის. ბილიკზე ყოველდღე მოძრაობდა ხალხის ბრბო და საწყალი ლა ბირჟეს ფანჯრებს აყრიდნენ მიწის თხილის ნაფცქვენებს და ალუბლის კურკებს, თანაც დასცინოდნენ მას.

სასამართლოში ამაო სირბილით გატანჯულმა ლა ბირჟემ შიშველი უკანალი მიუშვირა ფეხით მოსიარულეებს. იგი ამისათვის სასამარლოს წინაშე წარსდგა. იბადება სერიოზული კითხვა: მიაყენა თუ არა ლა ბირჟემ საზოგადოებრივ ზნეობას შეურაცხყოფა სახლიდან გაუსვლელად?

სასამართლომ დაადგინა, რომ მისი უკანალი იხილა ცამეტი ათას ექვსას ოთხმოცდაშვიდმა ადამიანმა. ლა ბირჟე ამტკიცებდა, რომ იგი არ აგებდა პასუხს იმის გამო, რომ მისი ბინა საზოგადოებრივი ადგილი გახდა.

7.7. მეტყველების სტილის განმსაზღვრელი ენობრივი ტენდენციები

ძველი, ტრადიციული „რიტორიკების“ მიხედვით, მეტყველების სტილის განმსაზღვრელი ენობრივი მოვლენები ორ სახეობად განიყოფოდა. ერთ სახეობად მოიაზრებოდა **ხატოვანი საშუალებები,** მეორე სახეობას ქმნიდა საგანთა და მოვლენათა **გამომსახველი საშუალებები.**

ხატოვანი საშუალებები ეწოდებოდა ტროპული მეტყველების ელემენტებს, მაგალითად, შედარებებს, მეტაფორებს, ეპითეტებს, ჰიპერბოლებს, მეტონიმიებს და ა. შ.

გამომსახველ საშუალებებად მოიაზრებდნენ მეტყველების ემოციურობის, ექსპრესიულობას, შთამბეჭდაობის მიმანიჭებელ სამეტყველო მოვლენებს. მაგალითად,

რიტორიკულ შეკითხვას, მიმართვას, რიტორიკულ პაუზას, ინვერსიის მოვლენას და ა. შ. აქედან გამომდინარე, ტრადიციული „რიტორიკის“ მიხედვით, მეტყველების სტილი მყარ სისტემურობას ემყარებოდა, რადგან იგი (სტილი) უცვლელ ელემენტებსა და ხერხებს ემყარებოდა.

თანამედროვე ენათმეცნიერებამ კი ეს საკითხი ახლებურად გაიაზრა. მკაცრად განსაზღვრული (დაკანონებული) წესების არსებობა ორატორული ხელოვნების პრაქტიკამ არ დაადასტურა, გაირკვა, რომ სტილისტიკის საშუალებებსა და ხერხებს სხვადასხვა ფუნქციურ სტილებში, ასევე ჟანრებში „აქტუალობის სხვადასხვა ხარისხი“ აქვთ. ამის გამო, სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში ერთნაირად ვერ იფუნქციონირებენ [19, 98-99].

მართალია, მეტყველება დისკრეტული (დანაწილებული) ბგერითობაა, მაგრამ, ამის მიუხედავად, უწყვეტი და ლინეარული (ხაზობრივი) პროცესია. ამის მიზეზი ისაა, რომ გამონათქვამში ყოველი სიტყვა თუ შესიტყვება წინარე სიტყვითა თუ შესიტყვებით არის განპირობებული, თავად კი მომდევნო სიტყვასა თუ შესიტყვებას უმზადებს ნიადაგს. ეს პროცესი კანონზომიერია. ადრესატი ამ კანონზომიერებას ძალდაუტანებლად აფიქსირებს. ამის გამო მოლაპარაკე სუბიექტის მეტყველებაში წინდაწინ ცნობილია, რა შეიძლება, უკეთ რომ ვთქვათ, რა უნდა მოჰყვეს ნათქვამ სიტყვასა თუ შესიტყვებას და ელოდება კიდევაც მას.

ადრესატის მოლოდინი ზოგჯერ მართლდება, ხოლო ზოგჯერ – არა: მოსალოდნელი სიტყვის ნაცვლად სხვა სიტყვა-შესიტყვება ჩნდება. ასეთ მოულოდნელ სიტყვა-შეს-

იტყვებას ადრესატის აღქმა ვერ გუობს, სმენა ეძაბება, მეტყველების დინებაში ჩნდება კონტრასტი. ენათმეცნიერები ამ მოვლენაში სტილის ბუნებას ხედავენ და მის ამგვარ გამოვლენას **გამტყუნებული მოლოდინის ეფექტს** უწოდებენ, ხოლო მის საპირისპირო მოვლენას – **გამართლებული მოლოდინის ეფექტს,** რადგან ადრესატს ამ შემთხვევაში მოლოდინი უცხადდება და მოლაპარაკე სუბიექტი სწორედ იმ სიტყვას მოიმარჯვებს, რომელსაც ადრესატი ელოდა.

ენათმეცნიერთა გარდა, მსგავსი მოვლენები გამოაცხადეს მეტყველების სტილის განმსაზღვრელ კანონზომიერებებად ლიტერატურული (მხატვრული) მეტყველების სტილის მკვლევრებმაც. მხატვრული მეტყველების სტილის საინტერესო მკვლევარმა გრ. კიკნაძემ ერთ ზემოაღნიშნულ მოვლენას „ფიქსირებული ფორმის დარღვევის ტენდენცია“ უწოდა, ხოლო მის საპირისპიროს – „ფიქსირებული ფორმის გამეორების ტენდენცია“.

ზოგადად, მეტყველება და უფრო კი წერითი მეტყველების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონკრეტული წყობის წინადადება რაღაცნაირად მისი მსგავსი წინადადების შერჩევას მოითხოვს. თუმცა ასე დიდხანს გაგრძელებას ენობრივი ცნობიერება ვერ ეგუება და საჭირო ხდება დარღვევა – საპირისპირო ტენდენციით შეცვლა. ეს ტენდენციები სხვადასხვანაირად ვლინდება. მაგალითად, ფიქსირებული ფორმების გამეორება შემდეგნაირად ვლინდება:

1. გამონათქვამში (წინადადებაში) ერთნაირი თავსართბოლოსართებიანი სიტყვების მიჯრით, თანმიმდევრულად გამოიყენება;

2. ფუძეთა დამსგავსების საფუძველზე სიტყვების ამორჩევა. **მაგალითად, მასხარაობა მასხარა** კაცისა“ (ილია);

3. სიტყვათა უცვლელად გამეორება, ოღონდ ასეთ შემთხვევაში ტავტოლოგია არ გვექნება. ტავტოლოგია გაუმართავი, დაბნეული მეტყველების შედეგია;

4. პროზაული მეტყველების რიტმულობით აღბეჭდვა. ასეთ შემთხვევაში რიტმის, წყობილსიტყვაობის შთაბეჭდილება მსგავსი ბგერებით, ასევე, სიტყვათა წყობით იქმნება;

5. წერის პროცესში წინა წინადადების ბოლო სიტყვის მაგვარი სიტყვის ძიება მომდევნო წინადადებისათვის, მაგალითად:

ჯერ კარი შემოაღო ახოვანმა, ქერა, ცისფერთვალება ჭაბუკმა. აქ სამი განსაზღვრება გვაქვს: 1. ახოვანმა; 2. ცისფერთვალებამ; 3. ქერამ.

თუ აღნიშნული წინადადების მომდევნოს ისე დავწერთ, რომ მხოლოდ ორ განსაზღვრებას გამოვიყენებთ, აღმოვაჩენთ ერთი ეპითეტის დამატების მოთხოვნილებას. მაგალითად:

შემდეგ შემოვიდა ცქრიალა, მშვენიერი ქალიშვილი. აქ უნებლიედ გაჩნდება მესამე ეპითეტის სურვილი და სმენა დამშვიდდება, როცა ეს მესამე გაჩნდება:

შემდეგ შემოვიდა ცქრიალა, მშვენიერი, ჰაეროვანი ქალიშვილი.

6. სტილური ფუნქციით ზედმეტი სიტყვის გამოყენება, რომელიც გრამატიკის მიხედვით პლეონაზმია და უკუსაგდებია, თუმცა მასზე მოთხოვნილება მაინც ამკარად იგრძნობა. მაგალითად, „მე თვითონ ვნახე“. აქ სიტყვა „თვითონ“ ზედმეტია, მაგრამ უმისობას ჩვენი ენობრივი ცნობიერება ვერ ეგუება;

7. ფიქსირებული ფორმის იმგვარი გარემოება, რომელიც ვერ ეგუება გრამატიკის ნორმებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, გამონათქვამს უჩვეულობას, ემოციურობას, ექსპრესიულობას სძენს.

ფიქსირებული ფორმის დარღვევის ტენდენცია მაშინ იჩენს თავს, როდესაც ფიქსირებული ფორმების ხშირი და გაუთავებელი (უწყვეტი) გამოყენებით მეტყველება ერთფეროვანი ხდება.

ფიქსირებული ფორმის დარღვევის მოვლენა ძნელი შესამჩნევია, თუმცა მეტყველების სტილის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამ ტენდენციის გამოვლენად მიჩნეულია:

1. უცხო სიტყვის ან მზა სიტყვიერი მოდელის გამოყენება. მაგალითად, **„ოკრუჟნოი სუდში“ „სეკრეტარად“** მუშაობდა;

2. ტექსტში ანდაზის, აფორიზმის, სხვათა სიტყვების გამოყენება;

3. ტექსტში პერსონაჟების სხვადასხვანაირად ამეტყველება, სტილისტური ნაირგვარობის შთაბეჭდილების შექმნის მიზნით;

4. ტექსტში შენიშვნა – განმარტებების ჩართვა;

5. კონკრეტული წყობით წერის დროს ტექსტში სიტყვის შეკვეცილი ფორმის, შედარების, მეტაფორის, მეტონიმიის და სხვა ტროპების შეტანა. ამ დროს აზროვნების ჩვეულებრივი დინება წყდება, რადგან აღნიშნული სახის შემონატანებით იცვლება მეტყველების ერთფეროვნება. ისიც არის გარკვეული, რომ ადამიანი მეტყველების სტილს საუბრის

საგნის ან თემის სპეციფიკის შესაბამისადაც ირჩევს. საგანი თუ თემა აუცილებლად კარგად უნდა გაიაზროს, საამისოდ კი სიტუაცია (ვითარება) უნდა გაიცნობიეროს, გაითავისოს.

ორატორი წინასწარ ემზადება მეტყველებისათვის, ამზადებს ნიადაგს (სიტუაციას), ამზადებს მსმენელს მოსასმენად – მისადმი მიმართვით იწყება ლაპარაკს, ცდილობს მსმენელის მიმხრობას, საკუთარ პოზიციაზე გადაყვანას. აღიშნული კი ცხადყოფს, რომ ორატორის მეტყველების სტილს ის სიტუაცია განსაზღვრავს, რომელშიც იმყოფება. სიტუაციონალურობის კატეგორიალიზმი იმსგავსებს მეტყველების სტილს.

მეტყველების სტილის თავისებურებას კვალს აჩნევს ორატორის ბუნებაც, მისი ლექსიკა-ფრაზეოლოგიაც.

თავი VIII. კამათის სახეები

კამათის ბუნების ნაირგვარობა უკვე ანტიკურ ეპოქაში იყო ცნობილი. მაგალითად, არისტოტელე კამათის სამ სახეობას განასხვავებდა. ერთი იყო **დიალექტიკა,** რომლის მიზანიც იყო ჭეშმარიტების გამოვლენა. მეორე სახეობის კამათი იყო **ევრისტიკა,** კამათში გამარჯვების ნებისმიერი ხერხით მოპოვების მიზნის შემცველი; მესამე სახეობა იყო **სოფისტიკური** კამათი - გამარჯვების მცდარი საბუთებით მოპოვების გამიზნულობის კამათი.

ამჟამად გავრცელებულია კამათის სახეობები, რომლებსაც უწოდებენ **პოლემიკას, დისკუსიას, დებატებს, მრგვალ მაგიდას, თოქ-შოუს, კონფერენციას.**

8.1. პოლემიკა

პოლემიკა (ბერძნული სიტყვისაგან - ომი) უკომპრომისო კამათია. მონაწილეთა მიზანია საკუთარი თვალსაზრისის დაცვა ყველანაირი საშუალებით, მაშინაც კი, როდესაც ყველანაირი ლოგიკური საშუალება ამოიწურება. ასეთ დროს გამოიყენება ოპონენტზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, გადაბირება და ა. შ. მთავარია საკუთარი თვალსაზრისის ლოგიკური დასაბუთება, არგუმენტების მოძიება-გამოყენება, ოპონენტის განსჯაში სუსტი ადგილების პოვნა და მათი გაკრიტიკება.

პოლემიკური კამათი პროცესუალურად ორი მომენტისაგან შედგება: ამ მომენტებს მოკამათეები ქმნიან თავისი გამოსვლებით. ჯერ ერთი გამოდის თავისი თეზისითა და

მისი სისწორის მამტკიცებელი არგუმენტებით, დასაბუთების კონკრეტული პრინციპით იცავს თავისი მოსაზრების სისწორეს, შემდეგ მეორე მონაწილე იღებს სიტყვას, უარყოფის ლოგიკური კანონების გამოყენებით ცდილობს თავისი ოპონენტის მოსაზრებების საბუთიანობის გაქარწყლებას. ამის შემდეგ ისევ პირველი მოკამათე ცდილობს ოპონენტის აზრის სისწორის გაბათილებას და ამგვარად გრძელდება კამათი თავის ლოგიკური დასასრულამდე, იმ მომენტამდე, როდესაც ერთი მხარე ვეღარაფრით უარყოფს მეორე მხარის სისწორეს და ამით, ფაქტობრივ, აღიარებს მის სიმართლეს.

აღნიშნული პოლემიკის უზოგადეს პრინციპს გამოხატავს, პრაქტიკაში კი სხვადასხვა ფორმას ირგებს. გამოყოფენ, მაგალითად, ზეპირსა და წერილობით პოლემიკებს, ასევე მის კერძო, საკვარო და არასაკვარო ფორმებს. ზოგი მკვლევარი ერთმანეთს ამსგავსებს პოლემიკასა და დისკუსიას, ემხრობიან კამათის არისტოტელესეულ კლასიფიკაციას და აღიარებენ სამი სახეობის კამათს: **ანოდიქტიკურს, ევრისტიკულს და სოფისტიკურს.** ზოგიერთი ავტორი მხოლოდ ორი სახის კამათის არსებობას აღიარებს. ერთს უწოდებენ **პოლემიკას შეგნებულ მოწინააღმდეგესთან,** მეორეს – **პოლემიკას გზააბნეულ თანამოაზრეებთან.**

არსებობს კამათის სხვაგვარი კლასიფიკაციის მცდელობებიც. მაგალითად, განასხვავებენ **კამათს მსმენელის თანდასწრებით, კამათს მსმენელის გარეშე, კამათს მსმენელისათვის.** ამ კლასიფიკაციის ნაკლი იმთავითვე აშკარაა, რადგან კამათს ყოველთვის ჰყავს მსმენელიც და მაყურებელიც, მეტიც: კამათის სპეციფიკას სწორედ მაყურებელი

განსაზღვრავს, რადგან კამათი მსმენელის თანამოაზრეობით ითვალისწინებს ოპონენტის ძლევას.

პოლემიკის შინაარსობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებები, საფუძვლები, მეთოდოლოგიური ასპექტები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში დამუშავდა. შემდეგ ეპოქებშიც მრავალმა მკვლევარმა იკვლია მისი ლოგიკური თუ ფსიქოლოგიური საფუძვლები. ახალ ეპოქაში თავისი წვლილი შეიტანა პოლემიკის პრობლემების შესწავლაში ამერიკელმა ავტორმა დეილი კარნეგიმ. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მისმა გამოკვლევამ „როგორ შევიძინოთ მეგობრები და მოვახდინოთ გავლენა ადამიანებზე", რომელიც მრავალ ენაზეა გადათარგმნილი.

პოლემიკა ისეთი კამათია, რომელიც მონაწილეების სულიერსა და ინტელექტურ ძალისხმევას, ემოციურად და ექსპრესიულად დაძაბულობას საჭიროებს. ამის გამო პოლემიკის წარმატებულობა სწორედ ემოციების მართვის უნარზეა დამოკიდებული. ემოციის მართვა, როგორც წესი, თითქმის შეუძლებელია. ასევე ძნელია ემოციით გაჯერებული განსჯით კამათში ოპონენტის ძლევა, რადგან ემოცია მსხვერპლს ითხოვს, კამათში ასეთი მსხვერპლი კი, ერთი მხრივ, ორატორია, მეორე მხრივ, მისი ოპონენტი. მსხვერპლად კი ეწირება კამათის მონაწილეთა თავმოყვარეობა, ღირსება, რადგან ემოციის მოძალებას კამათის სიმძიმე კამათის საგნიდან მონაწილის პიროვნებაზე გადააქვს.

პოლემიკის თავისებურებას განსაზღვრავს ოპონენტის პიროვნება (პიროვნულობა), კამათის საგანი, მაყურებლის ფსიქოლოგია, არგუმენტები და შესაბამისი ფაქტები, საკუ-

თარი ემოციების მართვა, პოლემიკაში ჩართვის ხელსაყრელი მომენტის განსაზღვრის უნარი. თუმცა ეს ყველაფერი პოლემიკის ზოგადი მახასიათებლებია, ყოველი კონკრეტული პოლემიკა კი მაინც ინდივიდუალურია. მათ მეთოდიკა უფრო ამსგავსებს ერთმანეთს. პოლემიკის წარმოების მეთოდოლოგიის რაობას კი კონკრეტული მიზანი განსაზღვრავს. მიზნის შესაბამისად განისაზღვრება, მაგალითად, ფსიქოლოგიური მექანიზმების და მათი რეგულირების წესების, არგუმენტირების სისტემის, მაყურებლის სიმპათიის მოპოვების ხერხების არჩევანი და ა. შ. რაკიღა პოლემიკა უკიდურესად ინდივიდუალურია, მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები უმთავრესად კამათის ხელოვნების სპეციალისტების რეკომენდაციებისაგან შედგება. ეს რეკომენდაციებიც მეტ-ნაკლებად განსხვავებულია სხვადასხვა სპეციალისტთან. მაგალითად, დ. კარნეგი ასეთ რეკომენდაციებს იძლევა:

პოლემიკის წარმატებულობის მთავარი პირობა მისთვის თავის არიდებაა. აუცილებელია: ოპონენტის შეხედულებების პატივისცემის გამოხატვა, საკუთარი თავლსაზრისის მცდარობის აღიარება, კეთილგანწყობილების გამომხატველი ტონის მომარჯვება, ოპონენტისათვის მეტი სალაპარაკო დროის მიცემა, ოპონენტისათვის საკუთარი მოსაზრების ისე შეთავაზება, რომ თავისად მიიჩნიოს, კამათის საგნისათვის ოპონენტის თვალით შეხედვა, ოპონენტის სურვილებისა და მისწრაფებებისადმი თანაგრძნობის გამოხატვა, საკუთარი აზრის ემოციით გაჯერება და ექსპრესიით გამოხატვა, ოპონენტის გამოწვევა მისთვის მტკივნეული საკითხის განხილვით,

ოპონენტის უცებ დათანხმების მცდელობა და ა. შ. აშკარაა, რომ დ. კარნეგის რეკომენდაციები უნივერსალური მაინც ვერ არის, რადგან დამატებით კითხვებს ბადებს. ასეთია, მაგალითად, კამათისათვის თავის არიდების რეკომენდაცია. სხვადასხვა სპეციალისტების რეკომენდაციები, ბუნებრივია, პოლემიკის წარმოების საერთო პრინციპების დადგენის შესაძლებლობას შეიცავს, მაგრამ რეკომენდაციების ნაირგვარობა ყველა სპეციალისტის მოსაზრებების, რეკომენდაციების გაცნობის, გათვალისწინების შეუძლებლობასაც ცხადყოფს. საიმედო მხოლოდ ის არის, რომ აღნიშნული რეკომენდაციები მეტ-ნაკლებად ემსგავსებიან ერთმანეთს და ერთგვარ მეთოდოლოგიურ შინაარსობრივ სისტემას – შინაარსობლიობას ქმნიან.

პოლემიკის თეორიაში დავის, პაექრობის, კამათის, დასაბუთების სხვადასხვა სისტემების არსებობის მიუხედავად, წარმატების მიღწევა მათი ზედმიწევნით კარგად ცოდნითაც შეუძლებელია. წარმატების პირობაა კამათის მონაწილის ინტელექტი, განათლება, მოვლენათა მიზეზშედეგობრიობის ჭრილში აღქმა-გაანალიზების და დახასიათების უნარი.

პოლემიკა შედეგიანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როცა მოკამათეებისათვის კრიტიკა, განქიქება თვითმიზანი კი არ არის, არამედ გონივრული გადაწყვეტილების მიგნების (გამომუშავების) სურვილია.

პოლემიკა თანამედროვეობისათვის ყველაზე აქტუალური აღმოჩნდა, რადგან საზოგადოებრივი ცნობიერება თითოეულ წევრს, მოქალაქეს რეალობის შემეცნების და შეფასების თავისუფლების აღიარებით გამოირჩევა. ამის გამო ნორმად

არის ქცეული ყველაფერზე აზრის, თვალსაზრისის, შეხედულების გამოთქმისათვის ნებისმიერი ადამიანის მზაობა, რაც ერთსა და იმავე მოვლენასა თუ ფაქტზე აზრთა სხვადასხვაობის არსებობას განაპირობებს, ამასთან, არა უბრალო ნაირგვარობის, არამედ აგრესიული მრავალფეროვნების არსებობას. ეს მოვლენა ამიტომაც არის გადაქცეული საზოგადოებისათვის აუცილებელ ნორმად და სადავო პრობლემების კამათით გადაწყვეტის მოთხოვნილებად, საჭიროებად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლემიკაში ჩართვის მომენტი. იგი ორატორისაგან დიდ ნიჭსა და გაწაფულობას ითხოვს. პოლემიკაში ჩაბმის მომენტი განსაკუთრებით დიდ რისკებს შეიცავს მაშინ, როდესაც პოლემიკაში ჩაბმა აშკარად პროვოცირებულია ოპონენტების მხრიდან. ამიტომ კამათში მონაწილეობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც თავის არიდების არანაირი საშუალება არ არსებობს.

პოლემიკაში ჩაბმამდე აუცილებელია მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება, განსაკუთრებით ფიქრი საკუთარი ღირსების დაცვაზე, იმაზე, რომ მიზანი ყოველთვის ვერ ამართლებს საშუალებას; რომ არის იმგვარი ქცევებიც, რომელიც ადამიანისათვის შეუფერებელია, რადგან არაეთიკურია, მათ შორის: კამათის საგნის შეცვლა, საკუთარი აზრის, შეხედულების დასაცავად ყველანაირი ხერხის მომარჯვება, პოლემიკაში ჩაბმა მხოლოდ ავტორიტეტის მოსაპოვებლად, ოპონენტისათვის იმის დაბრალება, რაც არ უთქვამს, ლოგიკური არგუმენტების შეცვლა პოლიტიკური ლოზუნგებით და ამით ოპონენტზე ზეწოლა და ა. შ.

დებატები (ფრანგული debats) სიტყვასიტყვით სიტყვიერ ორთაბრძოლას ნიშნავს. კამათის ეს სახეობა ემყარება აზრთა, თვალსაზრისთა გაცვლა-გამოცვლას მნიშვნელოვან საკვარო თავყრილობაზე, ფორუმზე – შეხვედრაზე, სხდომაზე, პარლამენტში და სხვაგან.

დებატები კამათის რთული ფორმაა. იგი წინ უსწრებს დისკუსიას. საინტერესოა, რომ დებატები ყოველთვის არ არის პოლემიკური. დებატების მიზანია კამათის საგნისადმი მონაწილეთა მიდგომების გამოვლენა, შესაძლო თვალსაზრისების, პოზიციების გამომუშავება, ერთმანეთის შეხედულებების მოსმენისა და გააზრების საფუძველზე.

დებატები პოლემიკურ ელფერს იძენს კამათის მონაწილეთა აქტიური პოზიციით, შემტევი ხასიათით. ასე რომ, დებატები კამათის სპეციფიკური სახეობაა. იგი კამათის სხვა სახეობებისაგან იმით განსხვავდება, რომ განსახილველი პრობლემა აქტუალურია, მასშტაბურია და მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის. ამიტომ დებატების მიზანი განსახილველი პრობლემის ირგვლივ შექმნილი ვითარების გარკვევა-დაკონკრეტებაა.

სახელმწიფოებრივი მასშტაბის აქტუალური მოვლენა სხვადასხვანაირად იჩენს თავს. თავიდან კერძო (კულუარული) განსჯის საგანი ხდება, თანდათან აშკარად გამოიკვეთება არსიც, მასშტაბებიც, სახალხოდ განხილვის საჭიროებაც, საერთო თვალსაზრისის გამომუშავების აუცილებლობაც. თუ ყველა ასპექტის ზუსტი აღწერა-დახასიათება მოხერხდა, დებატები მშვიდად ჩაივლის, რადგან დაფიქსირდება

პრობლემის არსებობა და მისადმი საერთო მიდგომა, დებატებიც ამით სრულდება.

იმ შემთხვევაში, თუ დებატების რომელიმე მონაწილე (ან მონაწილენი) საკუთარი შეხედულების ლობირებას მოიწადინებს, დებატები პოლემიკაში გადაიზრდება. ამიტომაცაა, რომ დებატების მიზანი ფაქტსა თუ მოვლენაზე მიდგომის გამომუშავებაა, ხოლო როდესაც პრობლემის გადაჭრის მიზანი დაემატება, პოლემიკაში გადაზრდით გადაწყდება.

აღნიშნულის გამო დებატები პროცესუალურად მასშტაბურია. როგორც წესი, ორზე მეტი ადამიანი მონაწილეობს, ამასთან პერზუაზიურობით (გადალაპარაკება) გამოირჩევა, რადგან კონსენსუსის მიღწევა - საერთო თვალსაზრისის გამომუშავება პერზუაზიული კომუნიკაციის მიზანს წარმოადგენს.

დებატებში ანგარიშგასაწევია მტკიცების თანამიმდევრობა. გასათვალისწინებელია, რომ მსმენელის ნდობის მოპოვება ორატორის აზროვნების პროცესში ჩართვით არის შესაძლებელი. ამით მსმენელს თანამონაწილეობის და თანამოაზრეობის განცდა უჩნდება, ანუ ჰგონია, რომ ორატორის მოსაზრება მისიც არის.

დებატებში მნიშვნელოვანია **დასწრების ეფექტი.** ცნობილია, რომ ზეპირი გამოსვლის ტექსტის მომზადება უფრო მეტ სირთულეებს შეიცავს, ვიდრე დაწერილი ტექსტის წაკითხვა. ამიტომ არის მიზანშეწონილი გეგმის შედგენა, მნიშვნელოვანი დებულებების, საკვანძო წინადადებების გონებაში გამეორება, მათთვის ტექსტის შესწავლის, ძირითადი ნაწილის და დასკვნის დაქვემდებარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პირველ წინადადებას.

მას წინა ორატორის გამოსვლასთან კავშირის დამყარების, სიტყვით გამოსვლის მიზეზისა და მიზნის გაცხადების ფუნქციაც ეკისრება.

დებატებში ჩართვა გარკვეული სქემით ხორციელდება: გამომსვლელი გამოიყენებს ტრადიციულ ფრაზეოლოგიას: „მადლობას მოვახსენებ ორატორს ახალი თვალსაზრისის გადმოცემისათვის“; „ამაზე შეიძლება განსხვავებული აზრიც გამოითქვას“; „თუ წამოყენებული დებულებას შევადარებთ მოსაზრებას, რომელსაც გთავაზობთ, დავინახავთ, რომ ...“; „ბატონმა ორატორმა აღნიშნა, რომ...“ და ა. შ.

დებატების თანმხლები, ჩვეულებრივი მოვლენაა რეპლიკები. **რეპლიკა ორატორის მოსაზრებაზე მყისიერი იმპულსური რეაგირებაა.** მას საფუძვლად გარკვეული მიზეზები უდევს. რეპლიკა ადამიანის ტემპერამენტის გამოხატულებაც არის, შორისდებული ან ექსპრესიით გადაჭერებული ფრაზაა (მაგალითად, „რა სისულელეა!“, „რა უაზრობაა!“, „მართალია!“ და სხვა).

რეპლიკები, საზოგადოდ, აცოცხლებს დებატებს, როგორც წესი, მათი მონაწილეების მოწონებასაც იმსახურებს.

ორატორს კამათის პროცესში განუწყვეტლივ აქვს რეპლიკების მოლოდინი, ეს მოლოდინი უორკეცებს ყურადღებას. რეპლიკებზე რეაგირების უნარი კი მის ინტელექტზე – საზრიანობასა და გონებამახვილობაზეა დამოკიდებული.

საერთოდ, კამათის თეორიასა და პრაქტიკაში რეპლიკებზე რეაგირების რამდენიმე შესაძლებლობა არის ცნობილი. პირველია **რეპლიკის იგნორირება**. რეპლიკის იგნორირება იმ შემთხვევაში არის გამართლებული, როდესაც იგი

აშკარად უსაფუძვლოა. ამგვარ რეპლიკაზე პასუხი უმნიშვნელოს, უაზროს გარკვეულ მნიშვნელობას მიანიჭებს, რაც არანაირად არ იქნება გამართლებული. აქ ერთი ფსიქოლოგიური მომენტიც არის გასათვალისწინებელი. მსმენელი ორატორს უფრო აღიარებს, ვიდრე რეპლიკის ავტორს, მისი სიმპათიაც ორატორის მხარესაა. ამიტომ ორატორმა ამ მომენტით უნდა ისარგებლოს და მეტი დამარწმუნებლობით განაგრძოს ლაპარაკი.

რეპლიკების ერთი სახეობაა **მოკლე და ზუსტი შეპასუხება.** ამგვარი პასუხი, ბუნებრივია, ინტელექტს, ცოდნას, გამოცდილებას საჭიროებს. შედეგის მომტანია პასუხის საფუძვლიანობა. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ, რაც უფრო დამუხტულია ემოციურად აუდიტორია, მით მშვიდი უნდა იყოს ორატორის რეაგირება.

რეპლიკებზე რეაგირების კიდევ ერთი სახეობაა **დაყოვნებული პასუხი.** ამგვარი პასუხი გამართლებულია საქმიან რეპლიკაზე. ორატორმა გარეგნულად არ უნდა მოახდინოს რეაგირება, იფიქროს პასუხზე და შემდეგ მოხერხებულად ჩასვას თავისი გამოსვლის ტექსტში. შეიძლება ორატორმა რეპლიკის ავტორი გააფრთხილოს, რომ პასუხს მოგვიანებით გასცემს. მაგალითად, მიმართოს: „პასუხს ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ“. ამით რეპლიკის ავტორის თავისებურად განეიტრალებასაც შეძლებს, მის ყურადღებას მთლიანად დაიპყრობს, რადგან პასუხის მოლოდინის რეჟიმში მოაქცევს.

რეპლიკაზე რეაგირების ერთი სახეობაა „დაგვიანებული პასუხი“. დაგვიანებული პასუხი შესაძლებელია ორატორის

მიერ სიტყვის დასრულების შემდეგაც. პასუხი მოკლე და საფუძვლიანი უნდა იყოს.

არსებობს რეპლიკებისაგან, განსაკუთრებით მომაბეზრებელი შეკითხვებისაგან თავდაცვის კიდევ ერთი – უკიდურესი საშუალება. დასახმარებლად დებატების მოდერატორისათვის (წამყვანისათვის) მიმართვა, თუმცა ამ საშუალების გამოყენება უკიდურეს შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც სხვა გამოსავალი აღარ რჩება.

8.3. დისკუსია:

დისკუსია (ლათ. discussio) ნიშნავს გამოძიებას, განხილვას, ურთიერთზე თავდასხმებს, არის კამათის გამორჩეული სახეობა. მისი საფუძველი გადაუწყვეტელი პრობლემის არსებობაა. დისკუსიის მონაწილენი კამათის დაწყებამდე შეთანხმებულები არიან მთავარზე. ამიტომ მისი მიზანია ერთიანი (საერთო) თვალსაზრისის შემუშავება განსხვავებული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე. ამასთან არა ოპონენტის ძლევა-ვნობა, არამედ ჭეშმარიტების დადგენა.

დისკურსია, როგორც კამათის სახეობა, ანტიკურ ეპოქაშივე იყო ცნობილი. არისტოტელეს ტერმინოლოგიით იგი დიალექტიკური საუბარია. მანვე აღიარა დისკუსიის სუბიექტური და იმპრომიზებული ბუნება.

ერთი განმარტების თანახმად, დისკუსია დიალოგის თავისებური ფორმაა. იგი ძალიან ჰგავს დებატებს. დისკუსია მოსაზრებათა წამოყენებით განსახილველი პროგრამის ერთობლივ გარკვევას ცდილობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დისკუსია პრინციპულად „შეუძლებლის შესაძლებლად

ქცევის“ მიზანს შეიცავს. მას მკვეთრად გამოხატული ახსნა-განმარტებითი ხასიათი აქვს.

დისკუსიის პროცესუალური ფორმა არის **დებატები,** ხოლო მისი გამოვლენის კლასიკური ფორმებია **კონფერენცია, სიმპოზიუმი, კონგრესი.**

დისკუსიები დემონსტრირების მიხედვით რამდენიმენაირია. ესენია: **გაცნობითი, მრგვალი მაგიდა, სადემონსტრაციო, კონფერენცია** და ა. შ. ამ ფორმატებში პრაქტიკული შედეგის მიღწევა უფრო სასურველია, ვიდრე აუცილებელი.

• გაცნობითი დისკუსია კამათის მონაწილის ცოდნის ახალ სფეროში ჩართვის გამიზნულობისაა. აქ აქტიურად გამოიყენება კითხვების დასმა და წინადადებების შეთავაზება.

• **მრგვალი მაგიდის** ფორმატი უზრუნველყოფს კამათის მონაწილეების თანასწორუფლებიანობას. იგი, ჩვეულებრივ, გამოიყენება მონაწილეთა ინფორმირებისათვის ცნობილი სპეციალისტების დახმარებით. „მრგვალი მაგიდა“ ყველაზე დემოკრატიულია. აქ კამათის მონაწილე ოპონენტს საკითხის განხილვაში აქტიურ თანამონაწილეობას სთავაზობს, ცდილობს მას დამოუკიდებლად გადმოატანინოს დასკვნა.

სადემონსტრაციო დისკუსია რამდენიმე მონაწილეს აერთიანებს. ოპონენტებს ესწრებიან მაყურებლებიც და მათ შეკითხვის დასმის უფლება აქვთ.

• **კონფერენცია** სადისკუსიო საგნის მიხედვით რამდენიმენაირია. ერთია მონოთემატური (ერთი თემის, ერთი პრობლემის) და პოლითემატური (რამდენიმე თემის, რამდენიმე პრობლემის) კონფერენციები.

მონოთემატური კონფერენციის დროს სხვადასხვა

მონაწილე ერთ კონკრეტულ თემას, პრობლემას განიხილავს. ხდება სხვადასხვა შეხედულებების დაახლოება, ამასთან და ამით განსახილველი თემის (პრობლემის) ცოდნის გაღრმავება.

პოლითემატური კონფერენცია თითოეული მონაწილის მიერ სადისკუსიოდ წარდგენილი რამდენიმე თემას განიხილავს. გასათვალისწინებელია, რომ ყველა თემა ერთი დიდი თემის ნაწილია და თავისი მასშტაბურობის გამო მრავალი მკვლევრის მონაწილეობას და ასპექტების კვლევას საჭიროებს.

8.3.1. დისკუსიის ტექნოლოგიური ასპექტები

დიდი მნიშვნელობა აქვს დისკუსიაში მონაწილეობის დროს თავის დაჭერას. თავის დაჭერის მანერა ბუნებრივი უნდა იყოს, მონაწილის სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, ოფიციალურისაგან თავისუფალი. აუცილებელია ყურადღებიანობა, მოსმენის კულტურის ნორმების დაცვა. მოსმენა ოპონენტის აზრის დაჭერას უწყობს ხელს, ეს კი საკუთარი პოზიციის დაცვის ხელშემწყობი ფაქტორია.

აუცილებელია ოპონენტისათვის ლაპარაკის, თქმის საშუალების მიცემა. გაუმართლებელია „სიტყვაზე გამოკიდება“, მისი თავმოყვარეობის შელახვა. მიზანშეწონილია ჟესტებითა და მიმიკით, სახის გამომეტყველებით იმის ჩვენება, რომ გულისყურით ვუსმენთ ოპონენტის მსჯელობას. თუ მისი აზრი ან რაიმე გამონათქვამი გაუგებარია, საჭიროა გამეორების, კომენტარის თავაზიანად თხოვნა.

კამათის ტექნოლოგიური ასპექტები გამოვლენილია და საკმაო სისრულით არის დამუშავებული. ტიპური სიტუა-

ციების ამსახველი თავისებურებები და ქცევის წესებიდან ყველაზე გავრცელებულია:

• იმ შემთხვევაში, თუ ორატორი აზვიადებს პრობლემას, მის გატანას ცდილობს დისკუსიის ფორმატის გარეთ, საჭიროა საკითხის დაკონკრეტების, თეზისის დაზუსტების, მსჯელობის ძველ ფორმატში დაბრუნების თხოვნა;

• როდესაც ორატორი ძირითად თეზისს გვერდს უვლის და აქცენტი წვრილმანებზე გადააქვს, აუცილებელია დისკურსიის მიზნის შეხსენება და განხილვის საგნისაკენ დაბრუნება;

• თუ ორატორი ცდილობს დისკუსიის მიმართულების შეცვლას და ამ მიზნით ინიციატივის დაუფლებას, საჭიროა სათანადო რეაგირება;

• როდესაც ოპონენტი განსახილველი პრობლემის მხოლოდ ერთ და ისიც არააღსებით წვრილმანებზე ყურადღების გადატანით ცდილობს ფონს გასვლას, საჭიროა შეკითხვა – რა აზრს ასაბუთებდა დასაწყისში;

• თუ ორატორი გამოთქმული აზრის მიჩუმათების მიზნით კონტრშეკითხვას გამოიყენებს, საჭიროა მოვთხოვოთ გამოთქმული აზრისადმი დამოკიდებულების გამოხატვა;

• როდესაც ორატორი ოპონენტს აშკარად უაზრო გამონათქვამს მიაწერს, მიზანშეწონილი არ არის თავისმართლება, ემოციების აყოლა;

• თუ ოპონენტი კამათის მონაწილის პიროვნებას შეეხება, აუცილებელი იქნება ამაზე ტაქტიანად მითითება და ამის დაუშვებლობის შეხსენება;

• იმ შემთხვევაში, თუ ორატორი უცოდინარობაში მხილების მიზნით ფაქტების აღრევას შეეცდება, აუცილებელი

იქნება დისკუსიის შეწყვეტა, ორატორისათვის მადლობის გადახდა და საერთო დასკვნის წარდგენის მოთხოვნა;

• თუ ოპონენტი ორატორისადმი უარყოფით დამოკიდებულების შენიღბვას მოიწადინებს, საჭირო იქნება მისი გამოაშკარავება და მისი ჩანაფიქრის გამჟღავნება;

• თუ ოპონენტი არაკომპეტენტურობას ამჟღავნებს, დემაგოგიას მიმართავს, საჭირო იქნება პასუხის მოთხოვნა იმაზე, რაზედაც იყო საუბარი;

• თუ ორატორის შეცდომებით მანიპულირებას დაიწყებენ ოპონენტები, ან ფაქტებს უგულებელყოფენ, ან ტენდენციურად აანალიზებენ, საჭირო იქნება პირდაპირი მითითება და მხილება;

• თუ ოპონენტი გამუდმებით იცვლის პოზიციას, არ არის საჭირო ჩვენი მოსაზრების აღიარების დაძალება, მხარდაჭერის მოთხოვნა. მიზანშეწონილია სათქმელის დასრულება;

• როდესაც კამათის მონაწილე ღიად უხეშობას, ორატორს სიტყვას აწყვეტინებს, ემოციების აყოლის მაგიერ მიზანშეწონილია თავის დასაცავად ირონიის, სატირის ანდა სულაც საკაზმის გამოყენება;

• დისკუსიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ფაქტორია რეგლამენტი – დისკუსიის დაწყების, შესვენების, დასრულების განსაზღვრა.

დისკუსიის დაწყებამდე მიზანშეწონილია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით იურიდიული კონსულტაციის მიღება. დემოკრატიზაციის თანამედროვე დონეზე აუცილებელი გახდა სამართალმცოდნის მონაწილეობა. იურისტის ფუნქციის აქტუალურობას იურისპრუდენციის სფეროში საზოგადოების ცოდნის დონე განსაზღვრავს.

დისკუსიის გამართვის დროს მონაწილეობისადმი სწორი მიდგომების შემუშავებისათვის გასათვალისწინებელია მათი მენტალობები, საამისოდ კი აუცილებელია ტიპური მენტალობითი მოდელების ცოდნა. ტიპურ მოდელთა შორის გასათვალისწინებელია გახსნილი (გულღია) ადამიანის, ჩაკეტილი (ბიუროკრატი) ადამიანის ქცევის მოდელები, გახსნილ ადამიანზე ხატოვანი, ემოციური მეტყველების კეთილნაყოფიერება, ჩაკეტილი ადამიანისათვის მშრალი, ოფიციალური სტილის მისაღებობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სადისკუსიო თემა რთულია და მისი განხილვა დიდ დროს მოითხოვს, საჭიროა წინასწარ შესაბამისი მომზადება: ინტელექტუალური ენერგიის რაციონალური ხარჯვა, ძლიერი არგუმენტების დისკურსიის ბოლო ეტაპისათვის გადადება.

დისკუსიის პროცესში ახალ საკითხზე გადასვლის წინ აუცილებელია ოპონენტის პრინციპული თანხმობის გამოთხოვა. თანხმობა საკითხის წარმატებული განხილვის წინაპირობაა.

დისკუსიის მსვლელობაში თუ აზრთა სხვადასხვაობა განსაკურებულ სიმწვავეს შეიძენს, შესაძლებელია რამდენიმე საშუალების გამოყენება.

• შედეგის მომტანია საუბრის შეწყვეტა და ოპონენტთან ცალკე, პირისპირ გასაუბრება. პირისპირ საუბარი უშუალობის, გაშინაურების განცდას ბადებს და ანეიტრალებს დაძაბულობას. ადმიანი ივიწყებს თავის ოფიციალურ სტატუსს, ბუნებრივი და უშუალო ხდება. ეს გარემოება კი აადვილებს სადავო საკითხის გადაწყვეტას.

• დიდი მნიშვნელობა აქვს დაპირისპირების აღმოფხვრას. ზოგჯერ სიტუაციის დაძაბვას ოპონენტის რეპლიკა ან ჩაქირქილება იწვევს. ამან შესაძლოა დისკუსიის ჩაშლის საფრთხეც კი წარმოშვას. ასეთ დროს საჭიროა შესვენების გამოცხადება, საუბრის ყოფით თემებზე გადატანა, იუმორისტული ამბის მოყოლა და ა. შ.

დისკუსიის მსვლელობის დროს შესვენების გამოცხადება სხვადასხვა მიზნით გამოიყენება. ზოგჯერ ოპონენტის აზრის შესაცვლელად, ზოგ შემთხვევაში, დისკუსიაში შემდგომი მონაწილეობის ტაქტიკის შესამოწმებლად – დასაზუსტებლად.

8.3.2. დისკუსიაში ჩართვა

დისკუსიაში მონაწილეობა სხვადასხვა მოტივაციას შეიცავს. ერთ შემთხვევაში, იგი განსაზღვრულია რეგლამენტით. მონაწილეებმა წინასწარ იციან, ვინ და რომდის წარდგება სიტყვით. მეორე შემთხვევაში, მონაწილეობა დაგეგმილია ძირითადი ორატორის შემდეგ. ასეთ დროს კამათში მონაწილეს სათქმელის მოფიქრების დრო აქვს: შეუძლია დაგეგმოს გამოსვლა, გათვალოს მსმენელზე შთაბეჭდილების მოხდენის შესაძლებლობა, მიზნობრივად დაალაგოს არგუმენტები და ა. შ.

სულ სხვაა დისკუსიაში დაუგეგმავი და მოულოდნელი ჩართვა. ასეთ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს მონაწილის ინტელექტი, აზროვნების, ანალიზის უნარი. დისკუსიაში ჩართვა რომ ეფექტური გამოვიდეს, საჭიროა შემდეგი რჩევების გათვალისწინება:

• დისკუსიაში ჩართვა მიზანშეწონილია კონკრეტული საკითხით. აუცილებელია აღნიშნული საკითხის ღრმა ცოდნა, ყურადღების გამახვილება რამდენიმე არსებით მომენტზე. რამდენიმე საკითხზე ერთდროულად მსჯელობა აზრის გაფანტვას გამოიწვევს. მსმენელიც დაიბნევა, ვეღარ გაარკვევს, რატომ ჩაერთო გამომსვლელი დისკუსიაში.

• დაუშვებელია წინა გამომსვლელების მოსაზრებების გამეორება. აუცილებელია სათქმელის დროის დაცვა, გაუმართლებელია გამოყოფილ დროზე მეტხანს საუბარი. დროის გადაჭარბება მსმენელზე გაღიზიანებლად მოქმედებს და მოსმენას აქვეითებს.

• ეფექტური და შედეგიანია იმპროვიზირებული ჩართვა, ისე, თითქოს სათქმელი საუბრის დროს გაჩნდა.

დისკუსიაში ჩართვის მომენტს, საერთოდ, კამათში მონაწილის მიზანი განსაზღვრავს.

დისკუსიის გეზის შეცვლის მიზნით ჩართვა კამათის საწყის სტადიაზეა გამართლებული (ერთი-ორი გამომსვლელის შემდეგ), როცა ცხადი გახდება რისი შებრუნება არის აუცილებელი და როგორ.

დისკუსიის შედეგების განსჯისა და არსებითის გამოკვეთისათვის ჩართვა კი ბოლო ეტაპზეა გამართლებული.

8.3.3. შეკითხვები და შენიშვნები დისკუსიაში

დისკუსიაში შეკითხვები და შენიშვნები აზრთა სხვადასხვაობის გამოხატულებებია. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შეკითხვა-შენიშვნებს დისკუსიაში შესაძლოა დესტრუქციული მიზანი ჰქონდეს, კერძოდ, კონფრონტაციის

გამოწვევა, მოსაზრების გაუფასურება, უთანხმოების გაღრმავება, ოპონენტის კომპრომეტირება, განხილვის ბლოკირება, პრობლემის ჩიხში მოქცევა, ოპონენტისათვის ამოცანის გადაწყვეტაში ხელის შეშლა.

შენიშვნა-შეკითხვების საფუძვლები სხვადასხვაგვარია. ერთი შეიძლება იყოს სიფრთხილე, მეორე – თავდაცვის ინსტინქტი, მესამე – შურიანობა, სხვა – მეტოქეობა, რევანშიზმი და ა. შ. ამას გარდა, სხვადასხვა მოტივები – ოპონენტის პოზიციის შერყევა, ინფორმაციის მოპოვების მცდელობა, ოპონენტის კომპეტენტურობის შემოწმება, გადაწყვეტილების მიღებაში შეცდომის თავიდან აცილება და ა. შ. ამას გარდა, ცნობილია კიდევ ერთი მიდგომა. ეს არის დისკუსიისათვის თავის არიდება, გაჩუმება, სათქმელის ბოლომდე ართქმა.

დისკუსიაში ცნობილია შეკითხვების შემდეგ ტიპები:

9.3.4. შეკითხვა-ხაფანგი

შეკითხვა-ხაფანგი, ანუ შეკითხვა, რომლის მიზანია ოპონენტის გამწარება, წონასწორობიდან გამოყვანა. ასეთი შეკითხვის განეიტრალება იუმორით არის შესაძლებელი და ეფექტური;

- **კონტრშეკითხვა.** ეს ტიპი ხშირად გამოიყენება მსჯელობის დასარღვევად;
- **ჩაძკეტი შეკითხვა:** ამ ტიპის შეკითხვის მიზანია ოპონენტის ჩიხში მოქცევა თავისივე პასუხებით;
- **მაცდური შეკითხვა.** ესაა შეკითხვა-პროტესტი ოპონენტის მსჯელობაში თავჩენილ სიყალბეზე. ამ ტიპის შეკითხ-

ვის მოგერიების ეფექტური საშუალებაა გულწრფელობა.

• **იძულებითი შეკითხვა** ითვალისწინებს ოპონენტის დათანხმებას. ასეთი შემთხვევების ტიპებია: „განა თქვენც ასე არ ფიქრობთ?“, „თქვენი ვარაუდითაც ხომ ასე გამოდის?“ და ა. შ.

• **დამაჩქარებელი შეკითხვა** მიზნად ისახავს ოპონენტის დათანხმებას მის შეხედულებაზე ზემოქმედების გზით. ასეთი შეკითხვა ოპონენტს აიძულებს პასუხის საჩქაროდ გაცემას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დამაჩქარებელი შეკითხვა შეიძლება დაკითხვად იქნას აღქმული, თუ შეკითხვის დამსმელი ტაქტზე არ იზრუნებს.

• **დამაზუსტებელი შეკითხვა.** შეკითხვის ეს ტიპი გამოიყენება ოპონენტისაგან დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. ასეთი შეკითხვა ორატორს ინფორმაციის წყაროს როლს აძალებს. იგი ინფორმაციას ოპონენტს თავისი შეხედულებისამებრ აცნობებს.

შეკითხვები დისკუსიაში მნიშვნელოვანი ელემენტებია. ისინი ააქტიურებენ მსჯელობის მსვლელობას და ხელს უწყობენ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგების წარმოჩენასაც.

8.3.5. შენიშვნები დისკუსიაში

შენიშვნები დისკუსიაში დესტრუქციული მოვლენაა. ისინი არღვევენ კამათის პროცესს, მაგრამ მათი არსებობა გარდაუვალია. თავიდან აცილება შეუძლებელია. შენიშვნები რამდენიმე ტიპისაა:

ირონიული, მაკომპრომატირებელი, თბსტრუქციული, პირმოთნეობითი, თავდაშსხმელი, იქედნური, დამ-

თრგუნავი. ოპონენტის შენიშვნის საპასუხოდ აუცილებელია პასუხის სფეროს დაკონკრეტება, მიზნის გაცნობიერება, დაზუსტება და **თავდაცვის ტაქტიკის განსაზღვრა.**

საერთოდ, რიტორიკისათვის თავდაცვის ტაქტიკის ოთხი უმთავრესი სახეობაა ცნობილი.

1. **წინააღმდეგობის გაუწევლობა** ანუ **დანებება.** ეს ტაქტიკა მაშინ გამოიყენება, როდესაც კამათის მონაწილე ოპონენტის წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობს. დანებების ტაქტიკა შენიშვნის იგნორირებას, გაჩუმებას გულისხმობს.

2. გადათქმევინება: ოპონენტი ხედავს, რომ კამათის მონაწილის აზრი არ არის დასაბუთებული და ამის აღიარებას აიძულებს. ორატორმა პირდაპირ პასუხს თავი უნდა აარიდოს.

3. **თავის მართლება:** საკუთარი არგუმენტის ისეთი სისუსტის აღიარება არის, რისი დაფარვაც შეუძლებელია. უფრო აღიარება სჯობს, მაგრამ აუცილებელია ახალი, ძლიერი არგუმენტის წარმოყენება.

4. **თავდაცვა:** ემყარება შენიშვნის მოლოდინს და სავარაუდო შინაარსის წინდაწინ გათვალისწინებას, არგუმენტის მომარაგებას, ამ სავარაუდო შენიშვნის გაცხადებას და მასზე პასუხს, – მშვიდ და საფუძვლიან განმარტებას.

ასეთი პასუხი არც ნაუცბათევი უნდა იყოს და არც ნაგვიანები. დაუყოვნებელი პასუხი ემოციური აფეთქების შემცველი იქნება.

დისკუსიის დროს ოპონენტის თავდასხმის აღკვეთა გულისხმობს ორატორის მიერ საკუთარი თეზისის დაცვას. თავდაცვა ეფექტური მაშინ არის, როდესაც ოპონენტის

თეზისზე შეტევას ემყარება. ოპონენტის თეზისზე შეტევა ორი ეტაპისაგან შედგება. პირველი ეტაპია **თეზისის უარყოფა**, ანუ მისი უსაფუძვლობის მტკიცება.

ამ შემთხვევაში ეფექტურია თეზისი უარყოფა ფაქტებით. არსებობს სხვა ხერხებიც, ერთი ხერხია თეზისის საფუძვლის ანუ არგუმენტის უარყოფა. თუ არგუმენტი მცდარია, თეზისიც მცდარია.

თეზისის უარყოფის ხერხებს შორის გავრცელებულია **თეზისი უაზრობამდე დაყვანა.** თავიდან ხდება თეზისის ჭეშმარიტების აღიარება, შემდეგ მისგან გამომდინარე შედეგების ანალიზი და იმის ჩვენება, რომ ეს შედეგები ეწინააღმდეგება სინამდვილეს. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ მცდარია თეზისიც, რადგან ჭეშმარიტებიდან მხოლოდ ჭეშმარიტება უნდა გამომდინარეობდეს.

დისკუსიის პრაქტიკაში ცნობილია თეზისის არაპირდაპირი უარყოფის ხერხიც. მისი არსი შემდეგშია: თეზისის შედეგებს დაუპირისპირებენ რაიმე ჭეშმარიტებას, რომელიც საყოველთაოდ არის აღიარებული. იგი შეპირისპირების საფუძველზე უარყოფს თეზისის უტყუარობას.

აღნიშნულის მიხედვით, ცხადია, რომ თეზისის უარყოფის პირველ ეტაპზე ხდება არგუმენტის მცდარობის გამოვლენა. ამ მიზნით ხორციელდება შემდეგნაირი ანალიზი: ვცდერ გამოვლინდება ინფორმაციის წყარო, გაანალიზდება ფაქტები, შემდეგ ჩატარდება შეპირისპირებითი ანალიზი, გამომჟღავნდება მიჩუმათების ფაქტები და დაიძებნება კონტრარგუმენტები.

მეორე ეტაპზე ხდება თეზისსა და არგუმენტს შორის კა-

ვშირების ანალიზი და დარღვევა ისეთი რთული ლოგიკური ხერხებით, როგორებიცაა: ისტორიული ანალიზი, ინდუქცია, დედუქცია, ფალსიფიკაციების გამოვლენა, ცნებების შენაცვლების ფაქტების დადგენა, საეჭვო შედეგების ჩვენება-ცხადყოფა.

დისკუსიის პროცესში მწვავე კრიტიკა არ არის მიზანშეწონილი თუ არგუმენტაცია მტკიცედ არის აგებული. კრიტიკა საზოგადოდ არასასიამოვნო პროცესია.

8.3.6. შემაჯამებელი სიტყვა დისკუსიაში

შემაჯამებელი სიტყვა, ანუ დასკვნა დისკუსიაში სამი ტიპისაა. ერთია თითოეული მონაწილის თვალსაზრისის შეჯამება, მეორე – თემატურად იგივეობრი გამოსვლების დალაგება და შეჯამება, ხოლო მესამეა დისკუსიის ყველა შედეგის გაერთიანება და შეჯამება.

დისკუსიის მონაწილეთა გამოსვლების შეჯამება მაშინ ხდება, როდესაც აზრთა გაცვლა გამორჩეულად ინტენსიურია. ასეთ შემთხვევაში თვალსაზრისების შეჯერება ნაწილ-ნაწილ და ეტაპობრივად მიმდინარეობს – ოპონენტების არგუმენტებზე კონტრარგუმენტების წამოყენებით.

ზოგ შემთხვევაში გამოცალკევდება ოპონენტების ყველა არგუმენტი, წარმოჩინდება მათი კონცეპტუალური შინაარსი, გამოვლინდება საერთო სურათი.

თემატურად იგივეობრივი (ერთნაირი) გამოსვლების შეჯამება ითვალისწინებს თემატურად მსგავსი გამოსვლების დაჯგუფებას, საერთო კონცეფციის გამოვლენას, სისტემურობის მტკიცებას.

დისკუსიის ყველა შედეგის შემაჯამებელი სიტყვა შეიცავს ყველა მომენტს და მათ კონცეპტუალურ გააზრებას.

შემაჯამებელი სიტყვისათვის მზადება წინდაწინვე არის საჭირო. ეს პროცესი გულისხმობს მნიშვნელოვანი არგუმენტების ფიქსირებას, დისკუსიის მსვლელობაში გაჩენილი მოსაზრებებისა და კონტრარგუმენტების მონიშვნას.

საერთოდ, დისკუსიაში წარმატებისათვის მიზანშეწონილია ისეთი პრინციპების დაცვა, როგორებიც არის: დისკუსიის თემის დაცვა, რაც ნიშნავს, რომ ორატორი არც უნდა დაშორდეს თემას და არც მასში ჩაიკარგოს. ორატორმა არ უნდა იმეორებს ერთი და იგივე, არ უნდა ილაპარაკოს თავისთავზე, გამოიჩინოს ტაქტი, მოთმინება, სიდინჯე, ინტელექტი და განათლება. ეს პრინციპები რიტორიკის მეთოდოლოგიის ელემენტებია.

მართალია, ამ ელემენტებში ყველა ეპოქას შეაქვს კორექტივები თუ დამატებები, მაგრამ მთავარი მაინც უცვლელია. ამიტომ ამ მეთოდოლოგიის ცოდნა ყველა ეპოქაშია მიზანშეწონილი.

8.3.7. დისკუსიის წარმართვის მეთოდოლოგიური ელემენტები

დისკუსიის ჩატარების წარმატება-წარუმატებლობა მოდერატორზეა დამოკიდებული. მართალია, დისკუსიის ჩატარების ტექნოლოგიის ცოდნა კამათის ყველა მონაწილისათვის არის აუცილებელი, რადგან ამ ტექნოლოგიით გათვალისწინებული წესების შესრულება მათთვის, პირველ რიგში, არის სავალდებულო, მაგრამ წამყვანის მოვალეობა უფრო რთულია და დისკუსიის მიზნის, ჩატარების ადგილის,

ფორმატის, მონაწილეების რაოდენობის შესაბამისად არის განსზღვრული. დისკუსიის ფორმატი პროგრამით (დღის წესრიგით) განისაზღვრება. პროგრამის განხორციელება სწორედ დისკუსიის წამყვანს ევალება. დღის წესრიგი კენჭისყრით მტკიცდება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პროგრამა და დღის წესრიგი ერთმანეთისგან განსახვავდება. პროგრამა დისკუსიის ჩატარების ზოგად პირინციპებს განსაზღვრავს, დღის წესრიგი კონკრეტული სხდომის ჩატარებას არეგულირებს.

პროგრამა ფართომასშტაბიანი დისკუსიის ჩატარებას არეგულირებს, ეძღვნება აქტუალური საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერული პრობლემის განხილვას. ასეთი დისკუსია შესაძლოა, რამდენიმე დღესაც გაგრძელდეს. ასეთ შემთხვევაში დისკუსია იწყება გაერთიანებული სხდომით, რომელსაც პლენარულს უწოდებენ, პლენარული სხდომის შემდეგ კი შესაძლოა გაგრძელდეს ჯგუფობრივად პარალელურ რეჟიმში განხილვა.

პლენარულ სხდომაზე განიხილება სადისკუსიო პრობლემის არსის წარმომჩენი მოხსენებები. ასეთ სხდომებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლები არ იმართება.

შემაჯამებელი სხდომა წინა სხდომების დასკვნითი ნაწილია და ჯგუფური მუშაობის შემდეგ ტარდება. ჯგუფობრივი დისკუსიების შედეგების საფუძველზე დგება ერთიანი შემაჯამებელი ტექსტი. დასკვნითი ტექსტის განხილვის საფუძველზე შემუშავდება საბოლოო ვერსია და კენჭისყრით მიიღება ოფიციალურ ტექსტად, დეკლარაციის სახით.

8.3.8. დისკუსიის მართვის ტექნოლოგია

დისკუსიის წარმართვაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოდერატორის ორატორულ გამოცდილებას და რიტორიკის თეორიაში განსწავლულობას. დისკუსიის წარმართვა შემდეგ ელემენტებს მოიცავს: **მომზადებას, წარმართვას, ჩატარებას, სტიმულაციას, სცენარულობის უზრუნველყოფას, პროცესის უწყვეტობის დაცვას, შეფასებას, შეჯამებას, მადლიერების გამოხატვას მონაწილეებისადმი.** ამას გარდა, მნიშვნელოვანია მოდერნატორის მეტყველების იდეოსტილი. წამყვანის მეტყველება გარკვეულწილად რიტუალურია, გაჯერებულია ტრადიციული ფრაზეოლოგიით. ეს ფრაზეოლოგია რიტუალური განმეორებადობით ხასიათდება.

მომზადება რამდენიმე ტექნიკური საკითხის გადაწყვეტას შეიცავს. ესენია: სადისკუსიო საგნის მონაწილეთა მიერ ცოდნის დონის გარკვევა, დისკუსიის საჯაროობის უზრუნველყოფილების დონის დადგენა, მონაწილეთა ადგილების განსაზღვრა (იმის გათვალისწინებით, რომ მათი პირისპირ ჯდომა მიზანშეწონილი არ არის და ნახევარწრიულად დასხდომა უფრო გამართლებულია), მათი გვარ-სახელების ფიქსირება, რაც დისკუსიის ატმოსფეროს „დათბობას" უწყობს ხელს.

დისკუსიის წაყვანაში მთავარია მოდერატორი. იგი კიდევაც მონაწილეობს დისკუსიის საგნის განხილვაში და კიდევაც ხელმძღვანელობს მის პროცესს. მისი წარმატება წყდება ამ საგნის ღრმა ცოდნის საფუძველზე. დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაჭერას, ქცევის მანერას, წყნარ, შეუ-

ბოჭავ, იუმორით გამთბარ თავდაჭერილობას, დისკუსიაში უადგილო ჩარევისაგან თავშეკავებას, მიუკერძოებლობას. საუბარი არ უნდა იყოს ამპარტავნული, პრეტენზიული.

მნიშვნელოვანი ეტაპია დისკუსიის დაწყება. შედეგიანია დისკუსიის გახსნა ემოციურ-ექსპრესიულობით, კეთილგანწყობის გამომხატველი მიმართვით, ტრადიციული ფრაზეოლოგიით. მაგალითად: „ბატონებო (ქალბატონებო და ბატონებო) მოგესალმებით. სხდომას გახსნილად ვაცხადებთ. სხდომის დღის წესრიგი თქვენთვის ცნობილია, რომ არ გექნებათ დამატება ან რაიმეს შეცვლის სურვილი... თუ არა, დავამტკიცოთ დღის წესრიგი (კენჭი ვუყაროთ)... შევუდგეთ პირველი საკითხის განხილვას“...

თუ დისკუსიის დაწყება რაიმე მიზეზით ჭიანურდება, მოდერატორმა შეკითხვებით უნდა გააქტიუროს მონაწილეები ან დისკუსიის საგნის საკვანძო საკითხების მიმოხილვას უნდა შეუდგეს და სავარაუდო პერსპექტივები წარმოაჩინოს. ასეთ შემთხვევაში მონაწილეები თავისებურად ჩაერთვებიან მოდერატორის მსჯელობაში და დისკუსიაც დაიწყება.

მოდერატორის პროფესიონალურობა დისკუსიის პროცესის პროპორციულობის უზრუნველყოფაში ვლინდება. მან თვალი უნდა ადევნოს თითოეულ მონაწილეს და დროულად აღიკვეთოს მათი მსჯელობის მონოლოგში ან რომელიმე ორი მონაწილის დიალოგში გადაზრდის მცდელობა ან გააქტიუროს ისინი, რომლებიც ჩუმად სხედან. ამ შემთხვევაში შედეგიანია ასეთი მონაწილეებისათვის კითხვის დასმა – „თქვენ რას ფიქრობთ“ „ეთანხმებით იმას, რაც მოისმინეთ? და ა. შ.

ამგვარი შეკითხვებით მიმართვაში უდიდეს მნიშვნელობა აქვს მოდერატორის ინტონაციასა და ექსპრესიას, ტონალობას, მათით განპირობებულ ქვეტექსტურობას. ეს ქვეტექსტურობა კეთილგანწყობას, სითბოს უნდა გამოხატავდეს, იმზე მინიშნებას უნდა შეიცავდეს, რომ სწორედ შეკითხვის ადრესატის მოსაზრებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა; სწორედ მას შეუძლია დისკუსიის საგანზე ამომწურავი პასუხის გაცემა. ასეთი სტიმულირება დისკუსიის მონაწილეს პიროვნული ღირსების და საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის შეგრძნებას გაუძლიერებს და დისკუსიაში მთელი მონდომებით ჩართვას განაპირობებს.

მოდერატორმა ყველაფერი უნდა იღონოს ყბედი, „ყოვლისმცოდნე" მონაწილეების მოსათოკად. ამ თვალსაზრისით საუკეთესო საშუალებაა მათთვის ზოგადი საუბრის ნაცვლად დისკუსიის საგნის კონკრეტული და სიღრმისეული განხილვის მოთხოვნა. კონკრეტული, ღრმა ცოდნა, როგორც წესი, „ყბედ ყოვლისმცოდნეებს" არ გააჩნიათ, უცებ რწმუნდებიან ამაში და ჩუმდებიან.

მოდერატორი მუდმივად უნდა გრძნობდეს დისკუსიის რიტმს, აკონტროლოს ყოველი ნიუანსი. თუ რომელიმე მონაწილე თემას დაშორდა, ტაქტიანად უნდა მიუთითოს, თუ მოკამათემ ყურად არ იღო ეს მითითება, სიტყვა უნდა ჩამოართვას.

აუცილებელია დისკუსიის საგნის თანდათანობით (ევოლუციურად) განხილვის უზრუნველყოფა – ჯერ ერთი, საკითხის განხილვის ამოწურვით და შემდეგ, მეორე საკითხის განხილვაზე გადასვლით.

მოდერატორს „კერძო საუბრების“ ყურისგდებაც მართებს. თუ შენიშნა, რომ დისკუსიის მონაწილენი აღარ უსმენენ ორატორს და ერთმანეთში იწყებენ საუბარს, იმთავითვე უნდა აღმოფხვრას ამის მკვდელობა.

მოდერატორმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს გამოუცდელი მონაწილეებიც, ისინი, ვისაც აზრის გამოთქმა უჭირთ, სათქმელს თავს ვერ უყრიან, აზრი ეფანტებათ. ასეთ შემთხვევაში მოდერატორი დამაკვალიანებელი შეკითხვით მიმართავს, მაგალითად: „რამდენადაც მივხვდი, თქვენ გინდოდათ გეთქვათ...“, „ჩემი აზრით (მე ისე გავიგე, რომ) თქვენ გინდოდათ გეთქვათ, რომ...“.

თუ დისკუსიის მონაწილე ვერ იცნობიერებს აღნიშნულ ნაკლს, აუცილებელია მოდერატორის ენერგიული ჩარევა, მან მონაწილეს უნდა დააზუსტებინოს ნათქვამი, მაგალითად, ამგვარი მიმართვით: „გთხოვთ, უფრო დააზუსტოთ..., უფრო დაწვრილებით გაგვიმარტოთ, რას გულისხმობთ“. თუ ამანაც არ გაჭრა, მაშინ კონკრეტული მაგალითის მოყვანა უნდა სთხოვოს.

დისკუსიის მსვლელობის კონტროლის საუკეთესო საშუალებაა შუალედური შეჯამებები, მონაწილეთა მოსაზრებების შედარებები. მაგალითად: „თუ სწორად გავიგე, ბატონი პეტრე იმ აზრისაა, რომ..., ხოლო ბატონი პავლე ფიქრობს, რომ...“.

მოდერატორისათვის დისკუსიის მსვლელობის მონიტორინგი იმისათვისაც არის აუცილებელი, რომ პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფაში დაეხმარება. ამავე მიზნის მიღწევაში ეხმარება მას რეგლამენტიც. მოდერატორი, როგორც

წესი, რეგლამენტით დადგენილ დროზე მეტხანს ლაპარაკის საშუალებას არცერთ მონაწილეს არ აძლევს. თუ რომელიმე ორატორი მცირე დროის დამატებას სთხოვს, მოდერატორს შეუძლია თხოვნის დაკმაყოფილება, თუ საქმე ეხება დისკუსიის საგნის (თემის) არსებითი საკითხის განხილვას.

აუცილებელია უადგილო, პროვოკაციული გამოხდომების ალაგმვაც. საჭიროა ასეთი მონაწილის გაფრთხილება და, თუ საჭირო გახდა, მისთვის სიტყვის ჩამორთმევა.

აუცილებელია დისკუსიის შეჯამება, აზრთა გაცვლა-გამოცვლის კონკრეტული შედეგების გამოყოფა, დისკუსიის მიზნის დასაბუთება. ამის გარეშე ყველას ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ დისკუსიას შედეგი არ მოჰყოლია.

დისკუსიის დასრულების შემდეგ მოდერატორმა გონებაში თავისი თავიც უნდა შეაფასოს, გაიცნობიეროს: რამდენად სწორად წარმართა დისკუსია, გაართვა თუ არა თავი მოვალეობას, მიაღწია თუ არა მიზანს.

მიზანშეწონილია დისკუსიის დასრულება მადლიერების გამოხატვით, დისკუსიის საგნის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებით, იმის აქცენტირებით, რომ საზოგადოებრივად აქტუალური პრობლემის გადაწყვეტაში დისკუსიის მონაწილეების წვლილიც აუცილებელია. ამით კი ის მიზანიც მიიღწევა, რომ ადამიანი გამართლებულად მიიჩნევს თავის არსებობას, რადგან გრძნობს, რომ იგი სჭირდებათ და მას თავისი ფუნქცია აქვს ამ ცხოვრებაში.

კამათში, საერთოდ, ბევრი და მრავალგვარი ხერხი გამოიყენება. დიდი რაოდენობისაა არაეთიკური ხერხებიც. ისინი ძველი დროდანვეა ცნობილი. ანტიკურ ეპოქაში მათ „სოფიზ-

მებს“ უწოდებდნენ. მათი საფუძველია ლოგიკის კანონების გაცნობიერებული უგულებელყოფა. მიზანი, ცხადია, ოპონენტის ძლევა და სამისოდ ყველა ფანდის გამოყენებაა.

საერთოდ, კამათის მეთოდების, ხერხების მიზნებისა და მათი მიღწევის გზების სიმრავლისა და სირთულის გამო რიტორიკაში ცალკე დარგად ძველთაგანვე ჩამოყალიბდა კამათის ხელოვნება. მისი თეორიისა და პრაქტიკის საკითხები დიდი ხანია სპეციალურად შეისწავლება ყველა ეპოქაში და შთამბეჭდავი სამეცნიერო ლიტერატურაც არის დაგროვილი. კამათის ხელოვნება სპეციალურ სასწავლო-საგანმანათლებლო დარგს წარმოადგენს. რიტორიკის და მისი სამართალმცოდნეობის მიმართულების პრობლემატიკის მომცველ სასწავლო ნაშრომში, ბუნებრივია, კამათის მეთოდების (ხერხების, ფანდების) ამომწურავი მიმოხილვა შეუძლებელია, თუმცა მათი ბუნების ზოგადი ცოდნა მაინც საჭიროა. ამიტომ ამ მიზნით უკეთური, არაეთიკური ხერხებიდან რამდენიმე (ყველაზე გავრცელებული) ასეთის მიმოხილვა მაინც არის მიზანშეწონილი. ეს ხერხები ცალკეულ სახეობებს ქმნიან იმის მიხედვით, თუ ორატორული ტექსტის რა ნაწილს უკავშირდებიან: თეზისსა თუ არგუმენტს, ფაქტობრივ მასალას თუ თავად ორატორს.

თეზისს და არგუმენტს უკავშირდება შემდეგი სოფიზმები:

1. **შეგნებული შენაცვლება-გადასხვაფერება:**

ორატორი წამოაყენებს თეზისს ან არგუმენტს, ოპონენტი კი სულ სხვა თეზისსა და არგუმენტზე იძლევა პასუხს, შემდეგ გამოაქვს დასკვნა და „ამტკიცებს“ ორატორის თეზისისა და არგუმენტის უსაფუძვლობას. ასეთ შემთხვევაში **„დაფარვის ფიგურის“** ხერხიც გამოიყენება.

ოპონენტს უმალავენ საქმის არსს, მსჯელობა არაარსებით საკითხზე გადააქვთ, მთავარი კი გაუმჟღავნებელი რჩება.

2. **იარლიყების მიკერება** მიზნად ისახავს ორატორის თეზისისა და არგუმენტის „სახელის გატეხას“, ანუ რაიმეს დაბრალებას უსაფუძვლოდ. სახელგატეხილობას კი თავის მართლება, როგორც წესი, ბევრს ვერაფერს შველის.

3. **ავტორიტეტობანას თამაში** მიზანია ორატორის მიერ საკუთარი ნათქვამისათვის „წონის“, ღირებულების შემატება, ოპონენტის დასარწმუნებლად. ამისათვის საკუთარ აზრს ცნობილ, საყოველთაოდ აღიარებულ პიროვნებას (ბრძენს, მეცნიერს...) მიაწერს და მისად გაასაღებს.

4. **მტკიცების აქსიომატურობა.** ამ ხერხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორატორი თავის ნათქვამს საყოველთაოდ ცნობილ სიბრძნეს წარმოადგენს, რასაც ვითომ მტკიცება არა სჭირდება. იგი საამისო ფრაზეოლოგიასაც გამოიყენებს: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ...“, „ნათქვამია, რომ...“, „ცნობილია, რომ...“.

კამათში ბევრი არაეთიკური ხერხი ოპონენტის პიროვნებაზეა გათვლილი. მათი მიზანია ოპონენტის გამოყვანა წონასწორობიდან, მისი გაღიზიანება, აღშფოთება. აფექტურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი კი თავს ძნელად უყრის სათქმელს, უჭირს გამართული მეტყველება და მისი ძლევა იოლდება. ამიტომ კამათის დროს ოპონენტის ნათქვამზე გაღიზიანება მიზანშეუწონელია.

საჭიროა მოკლე პასუხი და სასწრაფოდ მიბრუნება კამათის საგნისაკენ. ცხადია, ყოველად გაუმართლებელია ლანძღვა-გინებაზე პასუხის ლანძღვა-გინებითვე გაცემა. ასეთ შემთხვევაში

გამოდგება „აბსურდული ჰიპერბოლიზების“ ხერხი, რომელიც ოპონენტის იმდენად გაზვიადებულ შეფასებას გულისხმობს, რომელიც სრულიად არ შეეფერება სიმართლეს.

5. **ქედმაღლური პასუხი,** რომელსაც საფუძვლად უდევს ოპონენტის დამცირება მისი შედარებით ცნობილ, ავტორიტეტის მქონე მოკამათესთან. აქ ოპონენტის დამცირება იმით ხდება, რომ იწყება მისი პიროვნების მნიშვნელობის გაზვიადება, მისი კომპეტენტურობისთვის ისეთი დიდი „წონის“ მინიჭება, რომლის უსაფუძვლობაც ყველასათვის ცნობილია. ასეთ შემთხვევაში ოპონენტი ისეთ ფრაზეოლოგიას გამოიყენებს, როგორიც არის: „თქვენ, რასაკვირველია, უკეთ მოგეხსენებათ“, „ჩემგან არ გესწავლებათ“, „კარგად მოგეხსენებათ“ და ა. შ.

ასეთ ოპონენტს უნდა დაუპირისპირდეს ორატორის სიმშვიდე. გაუმართლებელია წყენის შემჩნევა. აქ შეიძლება ასეთი მოარული ფრაზაც დავუპირისპიროთ: ჩვენს შეფასებაში ჩვენი ოპონენტი შესაძლოა მართლაც იყოს, მაგრამ ამას არანაირი კავშირი არა აქვს განსახილველ საკითხთან“. ამის შემდეგ მყისიერად უნდა გადავიდეთ კამათის საგნის განხილვაზე და მისი ღრმა ცოდნით წარმოვაჩინოთ ჩვენი რეალური კომპეტენტურობა.

6. **თავმოყვარეობაზე თამაშის** ხერხი გულისხმობს ორატორის მიერ დაუსაბუთებელი მოსაზრების წამოყენებას და ოპონენტისათვის კარგად ცნობილ შეხედულებად გასაღებას. ასეთ შემთხვევაში გამოყენება მყარი, ტრადიციულად ქცეული შესიტყვებები და გამოთქმები: „თქვენ, ცხადია, კარგად მოგეხსენებათ...“, „თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობი-

ლია...“ და ა. შ. ოპონენტმა, სინამდვილეში, არაფერი იცის, არც სმენია, რაზედაც მიანიშნებენ, მაგრამ უცოდინარობის გამჟღავნების ეშინია და დუმილს ამჯობინებს.

7. **მოკამათეზე ფსიქოლოგიური ზეწოლა.** ზოგჯერ ორატორი ვერაფერს უპირისპირებს ოპონენტს, გრძნობს საკუთარ უმწეობას და მისი დაფარვის მიზნით ყვირილზე გადადის, დამაჯერებლობის ტონს მიმართავს. ამით ცდილობს ოპონენტის შეცბუნებას. ასეთ მოკამათეს ფაქტობრივი მასალით გამყარებული პასუხი უნდა გაეცეს და დაუნდობლად უნდა იქნეს მხილებული მისი თვალთმაქცობა. შედეგიანია მსმენელისადმი მიმართვა აპელირებით, მსმენელის მიმხრობა მშვიდი, აკადემიური სიდინჯით და ოპონენტის „ერთობლივად“ დამარცხება.

8. **თვალთმაქცობის** ხერხის გამოყენების დროს მოკამათე ისე იქცევა, თითქოს დარწმუნდა ოპონენტის აზრის უტყუარობაში, აღიარებს მარცხს და პასუხს კრძალვით იწყებს. ოპონენტი კმაყოფილია, საქმეს მოგებულად თვლის, ორატორს აღარ უსმენს, სიფხიზლეს კარგავს. ამ დროს იწყებს ორატორი ოპონენტის თეზისისა თუ არგუმენტის საფუძვლიან ანალიზს და არაფერს ტოვებს იქიდან. ოპონენტი ორატორის თვალთმაქცობის მსხვერპლი ხდება.

კამათში, როგორც აღინიშნა, მრავალი სხვა ხერხიც გამოიყენება და ყველა მათგანის გაცნობა, აღწერა-დახასიათება და გაუვნებელყოფის მეთოდიკის შესწავლა რიტორიკის ცალკე დარგის – კამათის ხელოვნების საგანსა და ამოცანებს შეადგენს.

გამოყენებული და რეკომენდებული ლიტერატურა:

1. ვოლფგანგ ცილკე, დამაჯერებელი ზემოქმედება სიტყვით, თარგმანი რუსული გამოცემიდან, „ЭКО“, 1990, №6.

2. Дюбуа Ж., Менге Ф., Эдлин Ф., - Общая риторика, перевод с французского, М., „Прогресс“, 1986;

3. Э. Бёрн, „Игры в которые играют люди (психология человеческих взаимоотношений), и Люди, которые играют в игры (психология человеческой судьбы)“, М., „Прогресс“, 1988. ეს წიგნი აშშ-ში გამოქვეყნდა 1972 წელს სახელწოდებით „რას ვამბობთ მას შემდეგ, როცა მისალმებას წარმოვთქვამთ“;

4. საქმე მოციქულთა, ა. შანიძის რედაქციით, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1950;

5. კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება,თბ., 1958;

6. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ორ წიგნად, თბილისი, 1928, 1929 წ. და შემდეგი გამოცემები.

7. ვ. ჟვანია, ქართველი იურისტები, თბილისი, 1961;

8. კრებული: ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები, შემდგენელი ნიკოლოზ დავითაია, თბილისი, 1963;

9. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბილისი, 2000;

10. ჟურნალი „სამართალი“, 1999, N4;

11. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1973;

12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986;

13. ჟ. „სამართალი“, 1999, №5;

14. სერგეიჩი პ, „Искусство речи на суде“ Москва, 1988;

15. წიგნიდან „ცნობიერების ლოგიკა“ (1999).

16. ტარანოვი პ., რიტორიკის ხელოვნება, მოსკოვი, 2002 (რუსულ ენაზე);

17. გუსტავ გერბერი, მეტყველება, როგორც ხელოვნება, ბერლინი, 1885;

18. პიტერსი ტ., უოტერმენი რ., ეფექტური მართვის ძიებაში: საუკეთესო კომპანიების გამოცდილება, მოსკოვი, „პროგრესი“, 1986 (თარგმანი ინგლისურიდან, რუსულ ენაზე).

19. კვარაცხელია გ., მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტიკური ასპექტები, თბ., 1995;

20. ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ორატორული ხელოვნება, თბ., 2000;

21. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი., პაპასკირი ვ., ქართული ორატორული ხელოვნება (ქრესტომათია-პრაქტიკუმი), თბ., 2000;

22. ქართული ორატორული ლექსიკონი, შემდგენელი ვ. პაპასკირი, თბ., 2000;

23. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი., ვერბალური კომუნიკაციები, თბ., 2009;

24. ყაუხჩიშვილი ს., ლიბანიოსი და ბაკურა, წიგნში ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, I, ქუთაისი, 1940;

25. ბარამიძე რ., ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, თბ., 1979;

26. კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები, თხზ. 5 ტომად, ტ. III, თბ., 1999;

27. ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952;

28. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988;

29. კიკნაძე გრ., ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972;

30. შანიძე აკ., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953;

31. ბერიძე-მელიქიშვილი ეთერ, რიტორიკა, ლექციების კურსი, თბ., „უნივერსალი“, 2013;

32. თავბერიძე თეა, აკაკი წერეთლის სატირული ლირიკის რიტორიკა, ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009;

33. შათირიშვილი ზაზა, გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა, 1915-1927, ლოგოს პრესი, თბ., 2004;

34. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თ. კუკავამ, კონსტანტინეპოლი, 1879 (ანთუან გვიზალინის სტამბა); ასევე: არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981;

35. ნაჭყებია მაია, სტილი და რიტორიკა, ლიტერატურული ძიებანი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2011, გვ. 148-146;

36. ბარბაქაძე ცირა, ტრადიციული რიტორიკა და ნეორიტორიკის ლინგვისტური მიმართულება, კრებულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. VIII, თბ., 2003, გვ. 27-31;

37. თოფურია აკაკი, სოლომონ დოდაშვილის "რიტორიკა" და ქართული ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის მოკლე დახასიათება, წიგნში: ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია: ნაწ. 1, IV ს. – 1921 წ., თბ., 1969, გვ. 41-47;

38. 8. ჯაგოდნიშვილი ივანე, რიტორიკა – ძირძველი ენობრივი კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა, კრებულში: ჟურნალისტური ძიებანი, თბ., 2009, ტ. XII, გვ. 168-117;

39. კორაშვილი ზ., სოლომონ დოდაშვილი ორატორული ხელოვნების შესახებ, კრებულში: კავკასიის მაცნე, თბ., 2000, №2, გვ. 48-50;

40. სიამაშვილი გია, რიტორიკის შესავალი, თბ., 2009;

41. გაფრინდაშვილი ნანა, რიტორიკის შესავალი, თბ., „ნეკერი“, 2005;

42. ბარბაქაძე ცირა, ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა, თბ., 2004;

43. რეხვიაშვილი გურამ, რიტორიკის საფუძვლები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., გამომც. „ენა და კულტურა“, 2003;

44. დოდაშვილი სოლომონ, თხზულებანი, გამომც. თსუ, 1989;

45. კუხალაშვილი მარინა, ორატორული სტილი, სახელმძღვანელო, ქუთაისი, 2008;

46. კანდელაკი ნიკოლოზ, ქართული მჭევრმეტყველება, კრებულში: წერილები, თბ., 1988, გვ. 13-14;

47. ბეზარაშვილი ქეთევან, რიტორიკისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების ლიტერატურულ-თეორიული ასპექტი ქართველ ელინოფილთა ნააზრევში, გელათი, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., თსუ, 2007, გვ. 4-5;

48. ჯაგოდნიშვილი ი., რიტორიკის დაბრუნება, შრომები / საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2007. 1512-102X №9, გვ.325-329;

49. ფირცხალავა ნათია, არგუმენტაცია : არგუმენტის შექმნის გზები და სტრატეგიები. თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახ. უნ-ტი, 2005.

50. 20. გოგოლაშვილი გიორგი, პოლემიკური კულტურა - დაკარგული ტრადიცია, ჟურნალში: ჩვენი მწერლობა, თბილისი, 2010. 1987-7730 22 იანვარი, #2(106), გვ.2-5;

51. ვეფხია ნათია, პოლემიკის ოსტატობა, სამეცნიერო ჟურნალში: ენა და კულტურა, ქუთაისი, 2009, №2, გვ.190-192;

52. კაპანაძე ლია, ხახუტაშვილი ელისაბედ, ქართული ორატორული ხელოვნება; კრებულში: შრომები, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის" დამატება №3(15), თბილისი, 2009. გვ. 122-127;

53. Ахмедова Лала, Риторика - наука и искусство красноречия, კრებულში: კულტურათასორისი კომუნიკაციები, თბ., 2011, გვ. 30-36;

54. Kublashvili Khatuna, Rhetories Communication, Scripta manent. saqarTvelo: samecniero Jurnali / Ria diplomatiis asociacia. თბილისი, 2010, №4, გვ.45-48;

55. Smith Craig R. Rhetoric and human consciousness : history / Craig R. Smith. Prospect Heights : Waveland Press, c.2009;

56. Tannen Deborah, The argument culture : moving from debate to dialogue / Deborah Tannen. New York : Random House, 1998;

57. Wilder, Lilyan. Professionally speaking : getting ahead in business and life through effective communicating / by Lilyan Wilder. N.Y. : Simon a. Schuster, [1986]

58. Quinn, Arthujr, Figures of speech : 60 ways to turn a phrase / by Arthur Quinn. Salt Lake City : Gibbs . M. Smith Inc., 1982.

59. Osborn, Michael. Speaking in public / Michael Osborn. Boston [et al.] : Houghton Mifflin, 1982.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

თავი I. რიტორიკა: არსი, სპეციფიკა, დანიშნულება 7

1.1. რიტორიკის თეორიული ელემენტები 13

თავი II. ქართული ორატორული ხელოვნების დარგები ... 22

თავი III. რიტორიკის ქართული ტერმინოლოგიის შესახებ 28

თავი IV. ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების განვითარების გზა 32

თავი V. ორატორული მეტყველების (მჭევრმეტყველების) კულტურის ბუნება 59

თავი VI. რამდენიმე სიტყვა სამოსამართლო მჭევრმეტყველების სტილის შესახებ 95

6.1. მეტყველების ფსიქოლოგიური კომპონენტები ... 124

6.2. მეტყველების ფსიქოლოგიური რეგისტრები 128

6.3. თანაფარდობა (შეფარდება) 144

6.4. ინტრიგა 147

6.5. ინტრიგოლინგვისტიკა 154

6.6. ლექსითი ვარჯიში 177

6.6. შედარება 180

თავი VII. რატორული ტექსტის აგების ტექნოლოგია.... 193
7.1. შესავალი 200
7.2. ორატორული სიტყვის ძირითადი ნაწილი:..... 203
7.3. დასკვნა..... 204
7.4. მოსაზრების დასაბუთება ორატორულ ხელოვნებაში 206
7.5. ფაქტობრივი მასალა 215
7.6. სიტყვის სტრუქტურა..... 223
7.7. მეტყველების სტილის განმსაზღვრელი ენობრივი ტენდენციები..... 234

თავი VIII. კამათის სახეები 240
8.1. პოლემიკა 240
8.2. დებატები 246
8.3. დისკუსია: 250
8.3.1. დისკუსიის ტექნოლოგიური ასპექტები 252
8.3.2. დისკუსიაში ჩართვა..... 256
8.3.3. შეკითხვები და შენიშვნები დისკუსიაში..... 257
9.3.4. შეკითხვა-ხაფანგი 258
8.3.5. შენიშვნები დისკუსიაში 259
8.3.6. შემაჯამებელი სიტყვა დისკუსიაში..... 262
8.3.7. დისკუსიის წარმართვის მეთოდოლოგიური ელემენტები 263
8.3.8. დისკუსიის მართვის ტექნოლოგია 265

გამოყენებული და რეკომენდებული ლიტერატურა 274